

მ. ფაფიაშვილი

**თანამდებობრივ  
დინამიკულთან ბრძოლის  
ზოგიერთი პრობლემა**



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, 1985

ნაშრომში სპეციალური ლიტერატურის, საკანონმდებლო ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზის საფუძველზე ნაწვენებია თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა; მოცემულია ცალკეული რეკომენდაციები სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფისათვის თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლაში.

განკუთვნილია საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი მმართველობის აპარატის მუშაკთათვის.

რ ე ც ე ნ ე ტ ე ბ ი: იურიდიულ მეცნიერებათა კალენდარი  
ბ. ნაჰუბინა, მ. ჭურღაძე

120303000—102

Π ————— —24—85

601 (08)—85

## შესავალი

თანამდებობრივი დანაშაული და მასთან ბრძოლის პრობლემა საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია. ამ ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლას არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. თანამდებობრივი დანაშაულის პოლიტიკური საშიშროების არსი უაღრესად მკვეთრად ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა შრომაში „ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პოლიტიკური ამოცანები“, როცა ეხებოდა თანამდებობრივი დანაშაულის ერთ-ერთ უმძიმეს სახეს — მექრთამეობას და მასთან ბრძოლის პრობლემებს. „...თუკი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჯერ კიდევ პოლიტიკის ნასახივ არ არის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ, რომ ყოველგვარი ზოძები ჰაერში გამოკიდული დარჩება და სრულიად არავეითარ შედეგს არ მოიტანს. კანონიც რომ იყოს, უარესი იქნება, თუ პრაქტიკულად მას გამოიყენებენ ქრთამის შესაძლებლობისა და გავრცელებულობის პირობებში. ასეთ პირობებში არავეითარი პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება, აქ არ არის იმის ძირითადი პირობა, რომ შესაძლებელი იყოს კაცმა პოლიტიკას მოჰკიდოს ხელი“<sup>1</sup>. ამასთან ერთად ვ. ი. ლენინი მექრთამეობას მოიხსენიებდა იმ სამ მთავარ მტერთა შორის, რომელიც იმ დროს ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე იდგა. „პირველი მტერია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კომუნისტური ყოყონობა, მეორე — წერა-კითხვის უცოდინარობა და მესამე — ქრთამი“<sup>2</sup>.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის ცხოვრებაში სწორად გატარება შეუძლებელია სახელ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 72-73.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 71.

მწიფო და საზოგადოებრივ აპარატში, ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე თანამდებობის პირთა აქტიური მონაწილეობის გარეშე. თუ რომელიმე თანამდებობის პირი არ მოქმედებს სოციალისტური კანონიერების მოთხოვნათა შესაბამისად, ამით იგი ხელყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სწორ, ნორმალურ მუშაობას, მის ავტორიტეტსა და ღირსებას. ამიტომ, ყველა ადმინისტრაციული ორგანოს, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა „გამორიცხოს სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ მუშაკთა მხრივ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა“<sup>1</sup>.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ „ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ნორმალური მიმდინარეობა წარმოუდგენელია ისე, თუ უმკაცრესად არ შესრულდა კანონები, რომლებიც იცავენ საზოგადოების ინტერესებს და მოქალაქეთა უფლებებს. საჭიროა, კერძოდ, მთლიანად მოვეუღოთ ბოლო ისეთ მოვლენას, როგორც არის პირადი გამდიდრების მიზნით სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების შემთხვევები, რადგან... ეს სხვა არა არის რა, თუ არა თვით ჩვენი წყობილების არსისათვის ძირის გამოთხრა“<sup>2</sup>.

ჩვენი საზოგადოების განვითარების შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის განმტკიცების მიზნით პარტიულ-ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად საჭიროა თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესება, რადგან იგი ხელს უწყობს დამნაშავეობასთან ბრძოლის გაუმჯობესებასა და სოციალისტური კანონიერების დაცვა-განმტკიცებას, პარტიული, სახელმწიფოებრივი და შრომის დისციპლინის ამაღლებას.

სკკპ პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესება სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა კომუნისმის მშე-

<sup>1</sup> სკკპ პროგრამა. თბილისი, 1971, გვ. 149.

<sup>2</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1983 წლის ივნისი. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983, გვ. 19.



ნებლობის პერიოდში. თანამდებობრივ დანაშაულთან სწორი, თანამიმდევრული ბრძოლა ამ მიმართულების პრაქტიკული რეალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვა-განმტკიცების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მუშაობის სრულყოფა-გაუმჯობესების, მისი სიმტკიცისა და სიწმინდის დაცვის ერთ-ერთი აქტიური საშუალებაა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სიმტკიცესა და სიწმინდეზე კი ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის განმტკიცება, ჩვენი საზოგადოების შემდგომი წინსვლა კომუნისმის მშენებლობის საქმეში და, საერთოდ, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მისი ყოველდღიური ამალეობა. სწორედ ამიტომ პარტია და მთავრობა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო აპარატის სისტემატიურ სრულყოფა-გაუმჯობესებას, პარტიულ-სახელმწიფოებრივი და შრომის, საწარმოო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვა-განმტკიცებას.

1984 წლის 2 მარტს ამომრჩევლებთან შეხვედრისას თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კ. უ. ჩერენენკომ აღნიშნა: „ეს არ არის დროებითი კამპანია. ეს არის გეზი, რომელიც ნიადაგ და განუხრელად განხორციელდება. აქ არავის ეპატიობდით და არც ვაპატიებთ. თავს ნურავინ მოიტყუებს. ამიტომ საჭიროა ხელმძღვანელთა კიდევ უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა, პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების, ყველა საბჭოთა ადამიანის მუდმივი ყურადღება ამ საკითხებისადმი, სახალხო კონტროლის, მართლწესრიგისა და მართლმსაჯულების ორგანოების ეფექტიანი მუშაობა“<sup>1</sup>.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როცა დაუნდობელი ბრძოლა წარმოებს ყოველგვარი სახის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ პარტიული, სახელმწიფოებრივი და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

<sup>1</sup> კ. უ. ჩერენენკო. ხალხი და პარტია ერთიანია. თბილისი, 1984, გვ. 12-13.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერებისა და სრულყოფის შესახებ არა ერთხელ იყო გამახვილებული ყურადღება საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებსა და სახელმძღვანელო მითითებებში. მაგალითად, 1975 წლის 14 მარტის №1 დადგენილებით სასამართლოებს დაევალათ გააძლიერონ ბრძოლა სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულთან წინააღმდეგ. ასევე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილებაში — „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ — პირდაპირ მითითებული იყო ამ ბოროტებასთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე.

სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ საჭიროა ორგანიზაციული, ფინანსური და იურიდიული საშუალებებით მაგრად „ამოქოლოთ მუქთახორობის, მექრთამეობის, სპეკულაციის, უშრომელი შემოსავლის, სოციალისტური საკუთრების ყოველგვარი ხელყოფის ყოველგვარი ზერელი“<sup>1</sup>.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების საჭიროების შესახებ იმსჯელა საქართველოს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ 1982 წლის 15 იანვარს.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სსდომაზე, რომელიც 1983 წლის 12 იანვარს გაიმართა, აღინიშნა, რომ აუცილებელია პროკურატურის ორგანოებმა გააძლიერონ საზედამხედველო მუშაობა სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვა-განმტკიცებისა და თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების მიზნით.

ამრიგად, ჩვენი საზოგადოების განვითარების შესაბამისად სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის განმტკიცების მიზნით საჭიროა თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ფორმების შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესება, თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ამსახველი ნორმების დახვეწა, რადგან იგი ხელს უწყობს არა მარტო ამ ბოროტ დანაშაულობათა თავიდან აცილებას, არამედ საერთოდ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაუმჯობესებას, დისციპლინის, მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვა-განმტკიცებას.

<sup>1</sup> სკკპ XXVI ყრილობის მასალები. თბილისი, 1981, გვ. 91.

**თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის განვითარების  
ისტორია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში**

ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია რა მეფის თვითმპყრობელური სახელმწიფო აპარატი, მის ნამსხვრევებზე ააგო სრულიად ახალი, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული, სოციალისტური სახელმწიფო. რევოლუციამ მოსპო ძველი, დრომოკმული ექსპლოატატორული კანონმდებლობა, „სხვადასხვანაირად მოწყობილი და მრავალინსტანციანი სასამართლოების დაუსრულებელი რიცხვი“ და მის ნაცვლად „შექმნა ერთიანი სახალხო სასამართლო, რითაც, — როგორც აღნიშნული იყო რკპ (ბ) მერვე ყრილობაზე. — გაამარტივა სასამართლო წყობა, გახადა იგი მოსახლეობისათვის აბსოლუტურად მისაწვდომი და მოსპო ყოველგვარი გაჭიანურება საქმეთა წარმოებაში“. ამასთან „დაავალა საბჭოების მიერ არჩეულ მოსამართლეებს განახორციელონ პროლეტარიატის ნება მისი დეკრეტების გამოყენებით, ხოლო ასეთების უქონლობის ან მათი უსრულობის შემთხვევაში, იხელმძღვანელონ სოციალისტური მართლშეგნებით“<sup>1</sup>.

რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად და სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების შექმნის მიზნით 1917 წლის დეკემბერში რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემაში შეიქმნა საკანონმდებლო წინადადებათა და კოდიფიკაციის განყოფილება. ამ განყოფილების შექმნამდე გამოცემულ დეკრეტებში, მართალია, ზოგადი სახით მოცემული იყო თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საკითხები, მაგრამ მითითებული იყო არა ცალკეული სახის თანამდებობრივ დანაშაულთა ნიშნებზე, არამედ მხოლოდ ზოგად ფორმებში „ბოროტად გამოყენების“ ცნების შესახებ. ასე მაგალითად, სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 14 ნოემბრის დეკრეტში „მუშათა კონტროლის შესახებ“ ნათქვამი იყო, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემოდნენ მუშათა კონტროლის განხორციელებისათვის არჩეული კერძო მეწარმეთა და მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლე-

<sup>1</sup> სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი, I, გამოცემა მეშვიდე, თბილისი, 1954, გვ. 533.

ბი, რომლებიც მხილებული იქნებოდნენ მასალებისა და პროდუქტების დამალვასა და სხვა მსგავს ბოროტმოქმედებაში. ასევე, ვაჭრების, მეწარმეთა და სხვა პირთა მიერ თავიანთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის შესახებ აღნიშნული იყო სახალხო კომისარათა საბჭოს 1917 წლის 24 ნოემბრის დეკრეტში „სასამართლოს შესახებ“.

იუსტიციის სახალხო კომისარათა 1917 წლის 19 დეკემბრის ინსტრუქციაში „რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ“ პირველად იქნა ნახმარი „ხელისუფლების ბოროტად გამოყენების“ ცნება. ამ ინსტრუქციის „უ“ პუნქტის თანახმად, რევოლუციურ ტრიბუნალებს დაექვემდებარა იმ პირთა საქმეები, რომლებიც სარგებლობდნენ რა თავიანთი საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული მდგომარეობით, ბოროტად იყენებდნენ რევოლუციური ხალხის მიერ მინიჭებულ ხელისუფლებას. ამასთან ასეთი ქმედობისათვის რევოლუციურ ტრიბუნალებს უფლება ეძლეოდათ დამნაშავეისათვის სასჯელად შეეფარდებინათ: თავისუფლების აღკვეთა; რუსეთის რესპუბლიკიდან გაძევება; ხალხის მტრად გამოცხადება; პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა; ქონების კონფისკაცია და სხვა.

მართალია, ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტებში ლაპარაკი მარტოოდენ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაზე, მაგრამ, როგორც სწორადაა მითითებული აურიდიულ ლიტერატურაში, აქ „ხელისუფლების ბოროტად გამოყენების“ ცნებაში ნაგულისხმევია საერთოდ თანამდებობრივი დანაშული და არა მარტო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება.

ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევისა და ახალი სოციალისტური სახელმწიფო აპარატის შექმნის პროცესში საბჭოთა სახელმწიფო განიცდიდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. 1920 წლის 29 მარტს რკპ (ბ) IX ყრილობაზე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სახელმწიფოს მოწყობისათვის უნდა გვეყავდეს ადამიანები, რომლებმაც იციან მართვა-გამგეობის ტექნიკა, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო და სამეურნეო გამოცდილება, ხოლო ასეთ ადამიანებს ჩვენ ვერსაიდან ავიყვანთ, თუ არა წინა კლასიდან“<sup>1</sup>. ამასთან პარტია მოუწოდებდა თავის „ყველა წევრს შეურიგებლად ებრძოლონ იმ უმეცრულ ყოყოჩობას, თითქოს მუშათა კლასს შეუძლია გადაწყვიტოს თავისი ამოცანები ბურჟუაზიული სკოლის სპე-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 555.

ცილისტთა გამოუყენებლად უაღრესად საპასუხისმგებლო პოსტებზე“<sup>1</sup>. ამიტომ საბჭოთა მთავრობა პირველ ხანებში იძულებული იყო გამოეყენებინა მეფის ყოფილი მოხელეები, რომლებიც მზად იყვნენ ძირი გამოეთხარათ და შეესუსტებინათ საბჭოთა სახელმწიფო.

დამხობილი ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენლები კვლავ ცდილობდნენ რა აღედგინათ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა, მოქრთამვითა და მოსყიდვით თავიანთი გავლენის ქვეშ აქცეედნენ საბჭოთა აპარატში მომუშავე იმ მერყევე ელემენტებს, რომლებსაც უნარი არ შესწევდათ წინ აღდგომოდნენ „სპეკულაციის, ქრთამის, პირადი გამორჩენის „ცდუნებას“, რაც მთელი იმ აპარატის გაფუჭების ფასად ჯდებოდა, რომლის წესიერ მუშაობაზეც დამოკიდებული იყო შიმშილობასა და უმუშევრობაზე გამარჯვება“<sup>2</sup>. ასეთი მერყევი ელემენტები ბურჟუაზიის აგენტებს გზას უხსნიდნენ სახელმწიფო აპარატისაკენ, ხელს უშლიდნენ პარტიის სწორი პოლიტიკის გატარებას, ცდილობდნენ გაეხრწნათ სახელმწიფო აპარატი და შეეფერხებინათ მისი ნორმალური მუშაობა.

ასეთი გზით მათ მოახერხეს პარტიის რიგებში თავიანთი აგენტების შეგზავნა და სახელმწიფო აპარატში მთელ რიგ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მათი მოკალათება. ამიტომ საჭირო იყო პარტიის რიგების გაწმენდა მერყევი, შემთხვევითი ელემენტებისაგან. საჭირო იყო იმ კომუნისტების განდევნა, „რომლებიც მიეტმასნენ პარტიას და რომელთაც, — როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, — არათუ არ ძალუძთ ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან და მექრთამეობასთან, არამედ ხელსაც უშლიან მათთან ბრძოლას“<sup>3</sup>. ამიტომ, ვ. ი. ლენინი აუცილებლად მიიჩნევდა შეგვერჩია და სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში აქტიურად ჩაგვება „ათეულ ათასობით რჩეული, მოწინავე, სოციალიზმისადმი ერთგული მუშები, რომელთაც არ შეუძლიათ აპყვნენ ქრთამსა და მტაცებლობას, რომელთაც უნარი შესწევთ რკინისებური ძალა შექმნან კულაკების, სპეკულანტების, მაროდოროების, მექრთამეობის, დეზორგანიზატორების წინააღმდეგ“<sup>4</sup>.

1 სკკ გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებში, ნაწ. 1, გამოცემა მეშვიდე, თბილისი, 1954, გვ. 621.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 316.

3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 69.

4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 471.

ვ. ი. ლენინი, ითვალისწინებდა რა თანამდებობრივ დანაშაულთა დიდ საშიშროებას, მოითხოვდა მის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას და სპეციალური კანონის გამოცემას ყველა იმ პირთა სასტიკად დასასჯელად, ვინც მოსყიდვისა და ქრთამით კაპიტალისტებისა და კულაკების გავლენის ქვეშ მოექცეოდა. ამ მიზნით ვ. ი. ლენინი 1918 წლის 2 მაისს დ. ი. კურსკისადმი გაგზავნილ წერილში<sup>1</sup> მოითხოვდა: „საჭიროა ახლავე, დემონსტრაციული სისწრაფით შეიტანოთ კანონპროექტი, რომ სასჯელი ქრთამისათვის (მექრთამეობა, მოსყიდვა, შუამავლობა ქრთამის აღებაში და სხვა და ა. შ.).“

უნდა იყოს

### სულ მცირე

ათი წლის საპყრობილე და, გარდა ამისა, ათი წლით იძულებითი მუშაობა“<sup>1</sup>.

იმავე დროს, ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა პარტიას თავისი რიგები გაეწმინდა ისეთი კომუნისტებისაგან, რომლებსაც უნარი არ შესწევდათ ებრძოლათ მექრთამეების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი იმავე წლის 4 მაისს რკპ ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „გთხოვთ დღის წესრიგში დააყენოთ პარტიიდან მისი იმ წევრების გარიცხვის საკითხი, რომლებიც, იყვნენ რა მოსამართლეებად მექრთამეთა საქმეზე (2.V. 1918), სადაც ქრთამის აღება დამტკიცდა და მექრთამეებმაც აღიარეს, მაინც დაკმაყოფილდნენ 1/2 წლის პატიმრობის განაჩენით.“

მექრთამეთა დახვერტის ნაცვლად ასეთი აბუჩადამგდებად სუსტი და რბილი განაჩენების გამოტანა სამარცხვინო საქციელია კომუნისტისა და რევოლუციონერისათვის. ამნაირი ამხანაგები უნდა ვდევნოთ საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროთი და გავრიცხოთ პარტიიდან, რადგან მათი ადგილია კერენსკებისა და მარტოვეების გვერდით და არა რევოლუციონერ-კომუნისტთა გვერდით“<sup>2</sup>. ამასთან ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა მოეწყუოთ „დიდი „ჭვაროსნული ლაშქრობა“ მექრთამეების წინააღმდეგ.“

ვ. ი. ლენინი იუსტიციის სახალხო კომისარიატს მიუთითებდა ტრიბუნალების შესახებ შემოტანილი დეკრეტის პროექტი გადა-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 35, გვ. 352.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 384.

უმუშავებინათ იმ მიმართებით, რომ შესაძლებელი გამხდარიყო „მექრთამეობისა და დეზორგანიზატორების, დისციპლინის დამრღვევთა მიმართ ნამდვილად რევოლუციურ-ულმობელი სასამართლოს“ შექმნა. მოითხოვდა იმ თანამდებობის პირთა სასტიკად დასჯას, ვინც მოქრთამეითა და მოსყიდვით კაპიტალისტებისა და კულაკების ზეგავლენის ქვეშ მოექცეოდნენ. სტატიაში „პასუხი გლეხის შეკითხვაზე“ იგი წერდა: „საბჭოთა ხელისუფლებას უკვე ცოტა როდი დაუხვრეტია ისეთი თანამდებობის პირნი, რომლებიც მხილებულნი ყოფილან, მაგალითად, მექრთამეობაში, და ბრძოლა ამჯერად არამზადების წინააღმდეგ ბოლომდე იქნება მიყვანილი“<sup>1</sup>.

მექრთამეობასთან ბრძოლის გაძლიერებრა მიზნით 1918 წლის 1 მაისს მექრთამეობის საქმეები დაექვემდებარა რევოლუციურ ტრიბუნალებს, იმავე წლის 20 ივლისს კი საოკრუგო სასამართლოებს.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1918 წლის 8 მაისს ე. ი. ლენინის ინიციატივითა და ხელმოწერით გამოცემულ რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალურ დეკრეტს „მექრთამეობის შესახებ“. ამ დეკრეტით იწყება ცალკეული სახის თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ამსახველი კანონმდებლობის განვითარების ნამდვილი ისტორია, რადგან პირველად სწორედ ამ დეკრეტში აისახა მექრთამეობის, როგორც თანამდებობრივი დანაშაულის ერთ-ერთი სახის იურიდიული ნიშნები თავისი მარტივი და მაკვალიფიცირებელი გარემოებებით.

დეკრეტი შედგებოდა ექვსი მუხლისაგან.

პირველ მუხლში მოცემული იყო მექრთამეობის შემადგენლობის ზოგადი ნიშნები და იმ პირთა წრე, რომლებიც პასუხს აგებდნენ ქრთამის აღებისათვის. იგი ასეთ პირებად მიიჩნეოდა სახელმწიფო დაწესებულებათა თანამდებობის პირებს, საფაბრიკო-საქარხნო და საბინაო კომიტეტის წევრებს, კოოპერაციისა და პროფკავშირის გამგეობის წევრებს და სხვ. ამავე მუხლით მექრთამეობად ითვლებოდა თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღება არა მარტო ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც მის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა, არამედ ისეთ მოქმედებაში ხელის შეწყობაც, რომელიც სხვა უწყების თანამდებობის პირის მოვალეობას შეადგენ-

<sup>1</sup> ე. ი. ლენინი. თხზ., ტ. 36, გვ. 579.

და. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღებისათვის დეკრეტი აწესებდა სასჯელს — თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლები ხუთი წლით და იძულებით მუშაობას იმავე ვადით.

დეკრეტი მექრთამეობის შემადგენლობისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებდა იმას, თუ ქრთამის ამღები თანამდებობის პირი როგორ სამსახურებრივ მოვალეობას შეასრულებდა: კანონიერს თუ უკანონოს.

დეკრეტის მეორე მუხლით ქრთამის მიმცემი, წამქეზებელი, დამხმარე და ქრთამის მიცემაში მონაწილე ყველა მოსამსახურე პირი ისევე ისჯებოდა, როგორც ქრთამის ამღები.

მესამე მუხლით ქრთამის მიცემა-აღების მცდელობა ისჯებოდა როგორც დამთავრებული დანაშაული.

დეკრეტის მეოთხე მუხლით მექრთამეობისათვის სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა: ა) მოსამსახურის განსაკუთრებული უფლებამოსილება; ბ) მოსამსახურის მიერ თავისი მოვალეობის დარღვევა და გ) ქრთამის გამოძალვა.

მეხუთე მუხლის საფუძველზე თუ შეძლებულთა კლასის წარმომადგენელი ქრთამის მიცემას ან ქრთამის აღებას გამოიყენებდა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრივილეგიების შენარჩუნების ან მოპოვებისათვის, მაშინ მას დამატებით სასჯელად შეეფარდებოდა აგრეთვე მთელი ქონების კონფისკაცია.

მეექვსე მუხლი დეკრეტს ანიჭებდა უკუქცევით ძალას. უკუქცევითი ძალა არ ვრცელდებოდა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდნენ პირები, რომლებმაც დეკრეტის მიღებამდე მისცეს თანამდებობის პირს ქრთამი, მაგრამ დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან სამი თვის განმავლობაში ნებაცხოფლობით განაცხადეს სასამართლო ორგანოებში ქრთამის მიცემის შესახებ.

მართალია ქრთამის აღებისათვის დეკრეტი არ ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას, მაგრამ, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, იმ დროის სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია ისეთი შემთხვევები, როცა მექრთამეობაში მხილებულ პირებს (განსაკუთრებით ბოროტ მექრთამეებს) რევოლუციური ტრიბუნალები განაჩენით უფარდებდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას — დახვრეტას.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის დაზუსტების საქმე-



ში გარკვეული წვლილი შეიტანა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საკასაციო განყოფილების 1918 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებამ „რევოლუციური ტრიბუნალების ქვემდებარეობის შესახებ“. ამ დადგენილებით თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად მიჩნეული იქნა „ყველა, ვინც სარგებლობდა თავისი საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული მდგომარეობით და ბოროტად იყენებდა რევოლუციური ხალხის მიერ მინიჭებულ ხელისუფლებას“. ასეთ თანამდებობის პირებთან ერთად სასამართლო ტრიბუნალს დაექვემდებარენ და თანამდებობრივ დანაშაულში მონაწილეობისათვის პასუხს აგებდნენ აგრეთვე კერძო პირებიც.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებს ეხებოდა აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 22 ივნისის დეკრეტი „სპეკულაციის შესახებ“ და სრულიად რუსეთის საბჭოების VI საგანგებო ყრილობის 1918 წლის 8 ნოემბრის დადგენილება „კანონების ზუსტად დაცვის შესახებ“, რომელიც ყველა თანამდებობის პირს მოუწოდებდა მტკიცედ დაეცვათ ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაშუქებული დადგენილებები, დებულებები და განკარგულებები.

ზემოაღნიშნული დეკრეტებისა და დადგენილებებისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ მათში ლაპარაკია მხოლოდ დაუდევრობის, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების საშიშროებაზე და არაფერია ნათქვამი ამ დანაშაულთა შემადგენლობის ნიშნებზე.

სამეურნეო და გამანაწილებელ ორგანოებში სპეკულაციის, გატაცების, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, სიყალბის და სხვა სახის თანამდებობრივ დანაშაულთან დაუხდობელი ბრძოლის მიზნით, სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წლის 21 ოქტომბრის დეკრეტით სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიასთან შეიქმნა განსაკუთრებული რევოლუციური ტრიბუნალი, რომლის მიერ გამოტანილი განაჩენი საბოლოო იყო და საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. სწორედ ამ რევოლუციურ ტრიბუნალებს დაექვემდებარა თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეები, შემდეგ კი დაექვემდებარა საგუბერნიო სასამართლოებს.

სპეკულაციისა და მასთან დაკავშირებულ თანამდებობრივ დანაშაულთა ყველა წყაროს შესასწავლად და მის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივი მეთვალყურეობისათვის შეიქმნა განსაკუთრებული საუწყებათაშორისო კომისია. ამ კომისიის წევრებსა და თავმჯდომარეს ამტკიცებდა სახალხო კომისართა საბჭო.

სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წლის 14 ნოემბრის დეკრეტში მუშათა დისციპლინარული ამხანაგური სასამართლოების შესახებ უკვე გაიშალა დანაშაულებრივი დაუდევრობის შინაარსი, მისი შემადგენლობა და დაწესდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქმისადმი გულგრილი, დაუდევარი დამოკიდებულებისათვის.

სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1919 წლის 20 ნოემბრის დეკრეტში დებულება სამხედრო რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ კიდევ უფრო დაზუსტდა თანამდებობრივ დანაშაულთა ცნება. ამასთან მასში განისაზღვრა სამხედრო მოსამსახურე პირთა მიერ ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულთა ზოგადი ნიშნები და თანამდებობრივ დანაშაულთა გარკვეული სისტემა. მაგალითად, ამ დებულების „ვ“ პუნქტით საერთო სახის თანამდებობრივ დანაშაულს მიეკუთვნებოდა ა) საბოტაჟი; ბ) ხელისუფლების გადამეტება ან უმოქმედობა, რომელსაც მოჰყვა არსებითი ზიანი; გ) მითვისება, გაფლანგვა ან სამსახურებრივად მინდობილი ქონების განადგურება; დ) სამსახურებრივი სიყალბე და ე) გამოძალვა.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1919 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით გამოიცა რსფსრ სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისები, რომელშიც სხვა სასჯელთა შორის მოხსენიებული იყო აგრეთვე სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვერტის გამოყენება განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ისეთი თანამდებობრივი დანაშაულისათვის, როგორცაა მექრთამეობა.

სრულიად რუსეთის ცაკ-ის მიერ 1920 წლის პირველი მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოიცა ამნისტია, რომელიც არ ერცელდებოდა იმ პირებზე, ვისაც ჩადენილი ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების აშკარად სახელის გამტეხი თანამდებობრივი დანაშაული.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1920 წლის 26 თებერვლის დადგენილებით სასურსათო სამუშაოების დროს ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, — რევოლუციურ ტრიბუნალებს დაექვემდებარა ყველა სახის თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეები.

სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1921 წლის 1 ივნისის ერთობლივი დეკრეტით, — სახელმწიფო საწყობებიდან გატაცებისა და გატაცების ხელშემწყობ თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ — დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისათვის

შემოდებული იქნა სასჯელის უმაღლესი ღონისძიება. იმავე დროს დეკრეტმა წინადადება მისცა სრულიად რუსეთის ცაკ-ის საკასაციო ტრიბუნალს, რომ მას დაევალებინა რევოლუციური ტრიბუნალებისათვის, ამ კატეგორიის საქმეები განეხილათ რიგგარეშე, აგრეთვე გამარტივებულად — სათანადო დაცვისა და მოწმეთა მონაწილეობის გარეშე. ამასთან დეკრეტი მოითხოვდა, რომ საქმეების განხილვის ეს წესი აუცილებლად დაცულიყო თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეების განხილვის დროს.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მტკიცე, დაუნდობელი ბრძოლა წარმოებდა არა მარტო ისეთ თანამდებობრივ დანაშაულთა წინააღმდეგ, რომლებიც არსებით ზიანს აყენებდნენ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს, არამედ ცალკეულ მოსამსახურეთა მიერ. თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის უმნიშვნელო დარღვევის წინააღმდეგაც. ამ გარემოებაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1920 წელს სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა სპეციალური დეკრეტი — „დამსჯელ დაწესებულებებში მოსამსახურეთა მიერ თავიანთი მოვალეობის მცირე მნიშვნელობის მქონე დარღვევებისათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემოღების შესახებ“.

სახალხო კომისართა საბჭომ 1921 წლის 16 აგვისტოს გამოსცა დეკრეტი „მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ“, რომელმაც კიდევ უფრო დააზუსტა მექრთამეობის ცნება.

აღნიშნული დეკრეტის ოირსება ისაა, რომ მან შედარებით მკაფიოდ განმარტა თანამდებობის პირის ცნება და წინა დეკრეტისაგან განსხვავებით უფრო გააფართოვა ქრთამის საგნის წრე. ამავე დროს, დეკრეტი დასჯადად აცხადებდა მხოლოდ ისეთი მოქმედების შესრულებას ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ, რომელიც მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა და არაფერს ამბობდა ამგვარი მოქმედების შეუსრულებლობაზე.

თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღების მცდელობას დეკრეტი განიხილავდა როგორც დამთავრებულ დანაშაულს, იმავე დროს, დეკრეტის მესამე მუხლი დანაშაულად აღიარებდა მექრთამეთა დაფარვასა და მექრთამეობაში შუამავლობას.

დეკრეტი მექრთამეობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევდა: ა) თანამდებობის პირის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, ბ) მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას და გ) ქრთამის გამოძალვას.

დეკრეტის მეოთხე მუხლის თანახმად ქრთამის მიმცემი შეიძ-

ლება განთავისუფლებულიყო სასჯელისაგან, თუ იგი დროულად განაცხადებდა სათანადო ორგანოებში ქრთამის გამოძალვის შესახებ ან თუ იგი ხელს შეუწყობდა მექრთამეობის საქმის განხრანს.

ამ დეკრეტმა ცვლილებები შეიტანა 1918 წლის 8 მაისის დეკრეტის მხოლოდ მექრთამეობის მუხლის დისპოზიციურ ნაწილში, სანქცია კი უცვლელი დარჩა.

დეკრეტში არაფერი იყო ნათქვამი მექრთამეობისათვის სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვერეტის გამოყენების შესახებ.

1921 წლის 3 დეკემბერს სრულიად რუსეთის ცაკ-ის უმაღლესი ტრიბუნალის პლენუმმა სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება აუცილებლად მიიჩნია და გადაწყვიტა ამის შესახებ სასკომსაბჭოში წევტანა შესაბამისი პროექტი.

თანამდებობრივ დანაშაულთაგან ერთ-ერთი ყველაზე საშიში ბინძური დანაშაული — მექრთამეობა განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა სარკინიგზო ხაზზე. 1921 წლის 6 დეკემბერს გაზეთ „გუდოკში“ გამოქვეყნდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ფ. ძერჟინსკის მიმართვა რკინიგზელებისადმი, რომელშიც იგი ყველა პატიოსან მოქალაქეს მოუწოდებდა უფრო გაბედულად გამოევიწყებინათ მექრთამე თანამდებობის პირები.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ ლაპარაკია აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭოს 1921 წლის 14 დეკემბრისა და 1922 წლის 2 იანვრის დეკრეტებში.

ზემოაღნიშნულმა სხვადასხვა სახის ნორმატიულმა აქტებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ცალკეული სახის თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით ა. ა. გერცენზონი სტატიაში „სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარება მის კოდოფიკაციამდე“ სწორად შენიშნავს, რომ 1917-1920 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ თავის დეკრეტებსა და დადგენილებებში უკვე მოგვცა თანამდებობრივ დანაშაულთა ძირითადი ცნებები და პრინციპები, და, რომ 1920-1921 წლებისათვის უკვე ჩამოყალიბდა თანამდებობრივ დანაშაულთა მწყობრი სისტემა, რომელიც შემდგომ წლებში ათვისებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსებით.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იწყება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსით, რომელიც სრულიად რუსეთის

ცაქის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული იქნა 1922 წლის 1 ივნისიდან.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავების საკითხი არა ერთხელ ყოფილა შეტანილი იუსტიციის სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის დღის წესრიგში.

როგორც გ. შვენკოვი გადმოგვცემს ნაშრომში, — „პირველი საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი“, — იუსტიციის მუშაკთა შორის საბჭოთა სისხლის სამართლის კოდიფიკაციის საკითხის შესახებ თავიდანვე წარმოიშვა ორი ძირითადი აზრი. ერთნი საერთოდ უარყოფდნენ სისხლის სამართლის კოდექსის შექმნის აუცილებლობას, მეორენი კი მოითხოვდნენ სისხლის სამართლის კოდექსის დაუყოვნებლივ გამოცემას და ამისათვის რევოლუციამდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენებას. ამით ისინი ცდილობდნენ აღედგინათ ბურჟუაზიული სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები. ამ მოსაზრებას განსაკუთრებით თავგამოდებით იცავდნენ მემარცხენე ესერები, რომელთა წარმომადგენელი შტეინბერგი გახდა იუსტიციის პირველი სახალხო კომისარი. რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების მცირეოდენი გადამუშავებით მათ შექმნეს შვიდი განყოფილების, 34 თავისა და 378 მუხლისაგან შემდგარი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი.

სისხლის სამართლის კოდექსის მეცნიერული სისტემატიზაციის პირველი ცდა, ადრე გამოცემული საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტების მიხედვით მოგვცა დ. ი. კურსკიმ სტატიაში „ახალი სისხლის სამართალი“, რომელშიც მან თანამდებობრივი დანაშაული მოათავსა მეოთხე განყოფილებაში „სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურის ვალდებულებათა დარღვევა“.

სისხლის სამართლის კოდიფიკაციის საკითხთა ფართო კრიტიკული განხილვა პირველად მოეწყო 1920 წლის 28 ივნისს სრულიად რუსეთის საბჭოთა იუსტიციის მოღვაწეთა მესამე ყრილობაზე. როგორც გ. ვ. შვენკოვი გადმოგვცემს, განსახილველად წარმოდგენილი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი გაყოფილი იყო ექვს ჯგუფად. თანამდებობრივი დანაშაული მოთავსებული იყო მეოთხე ჯგუფში.

შემდეგ გადამუშავებული და უფრო სრულყოფილი სახით სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი განსახილველად წარედგინა სრულიად რუსეთის საბჭოთა იუსტიციის მოღვაწეთა IV ყრილობას 1922 წლის 26 იანვარს. განხილვის შემდეგ პროექტში შეტანილი

იქნა მთელი რიგი არსებითი ცვლილებები სისხლის სამართლის დასჯად ქმედობათა ჩამოთვლაში. აქედან ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ თანამდებობრივ დანაშაულთა თავს ცალკე შემადგენლობად დაემატა: პასუხისმგებლობა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის, ქრთამის პროეკაციისა და აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ საიდუმლო ცნობების გახმაურებისათვის. ამ პროექტის შესახებ ფართო მსჯელობა გაიმართა იმავე წლის მაისში, სრულიად რუსეთის ცაკ-ის მე-9-ე მოწვევის სესიასზე. ცალკეული მუხლებისათვის კენჭისყრის შემდეგ პროექტი მთლიანად მოწონებული იქნა და იგი საბოლოო რედაქტირებისათვის გადაეცა სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმს.

პირველმა საპროტა სისხლის სამართლის კოდექსმა „თანამდებობრივი (სამსახურებრივი) დანაშაული“ ვაითვალისწინა სახელმწიფო დანაშაულის მომდევნო—მეორე თავში (105-118 მუხ.), რომელშიც წმინდა თანამდებობრივ დანაშაულთა გარდა მოთავსებული იყო, აგრეთვე, ზოგიერთი ისეთი დანაშაულებრივი ქმედობაც, რომლის ჩადენა საერთოდ დაკავშირებული თანამდებობის პირთან. მაგალითად, მოსამართლის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მოსასრებით უკანონო განაჩენის გამოტანა (111-ე მუხ.); უკანონო დაკავება, უკანონო მოყვანა და გამოძვივების ან მომკვლევები პირის მიერ ჩვენების მიცემის იძულება (112-ე მუხ.); თანამდებობის პირის მიერ მისთვის თანამდებობით ან სამსახურით მინდობილი ფულის ან განძეულის მითვისება ან გაფლანგვა (113-ე მუხ.); თანამდებობის პირის მიერ, საიდუმლო ცნობების გახმაურება (117-ე მუხ.) და სხვა.

რსფარს ცაკ 105-ე მუხლით ხელისუფლების ბოროტად გამოყენებად ითვლებოდა თანამდებობის პირის ისეთი ქმედობა, რომლის ჩადენა მას შეეძლო მარტოდენ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით და გამოწვეული არ იყო სამსახურებრივი აუცილებლობით და რომელსაც მოჰყვა დაწესებულების ან საწარმოს სწორი მუშაობის, ან საზოგადოებრივი წესრიგის, ან ცალკეულ მოქალაქეთა პირადი ინტერესებზე ის დარღვევა.

ამ მუხლის პირველი ნაწილით ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მარტივი სახე ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნით, ხოლო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი რგივე ქმედობა, თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი ან თუ იგი

ჩადენილი იყო თანამდებობის პირის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი სახით (მოტივით), ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით არა ნაკლები ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით.

იმვე მუხლის შენიშვნაში მოცემული იყო თანამდებობის პირის ცნება, რომლითაც თანამდებობის პირად იგულისხმებოდა პირი, რომელსაც ამა თუ იმ სახელმწიფო (საბჭოთა) დაწესებულებასა ან საწარმოში მუდმივად ან დროებით ეკავა თანამდებობა და კანონით მინიჭებული ჰქონდა გარკვეული უფლება-მოვალეობა და უფლებამოსილება სამეურნეო, საადმინისტრაციო, სოციალურ-გულუბნობრივ და სხვა საერთო სახელმწიფოებრივ მოვალეობათა განხორციელებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის სსკ 105-ე მუხლით დაწესებული სასჯელი ვრცელდებოდა აგრეთვე იქვე დაწესებულზე, როგორცაა ხელისუფლების გადამეტების მარტივი სახე (106-ე მუხ.); ხელისუფლების უმოქმედობა (107-ე მუხ.); სამსახურებრივი უგულებელყოფა (108-ე მუხ.); ხელისუფლების სახელის გატეხა (109-ე მუხ.); სამსახურებრივი სიყალბე (116-ე მუხ.) და თანამდებობის პირის მიერ საიდუმლო ცნობების გახმაურება (117-ე მუხ.).

სსკ 106-ე მუხლის მეორე ნაწილით ხელისუფლების გადამეტება, რომელსაც თან სდევდა ძალადობა, იარაღის გამოყენება, ან დაზარალებულის განსაკუთრებული ტანჯვა ან მისი პირადი ღირსების შეურაცხყოფელი მოქმედება, ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლები სამი წლისა, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში — სასჯელის უმაღლესი ზომით<sup>1</sup>.

სსკ 107-ე მუხლით ხელისუფლების უმოქმედობად მიჩნეული იყო თანამდებობის პირის მიერ ისეთი მოქმედების შეუსრულებლობა, რაც მას სამსახურებრივად ევალებოდა. პირს ასეთი უმოქმედობისათვის იგივე სასჯელი შეეფარდებოდა, რაც 105-ე მუხლის 1-ლი და 2-ე ნაწილით იყო გათვალისწინებული.

108-ე მუხლით სამსახურით მინდობილი მოვალეობის დაუდევ-

---

<sup>1</sup> იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1922 წლის 8/VI, № 48 დადგენილების მე-4-ე მუხლით სასჯელის უმაღლესი ზომის ცნების ქვეშ გაგებული იყო თავისუფლების აღკვეთა ათი წლით. მაგრამ რევოლუციურ ტრიბუნალებს საპირო შემთხვევაში (იქ, სადაც მითითებული იყო სასჯელის უმაღლესი ზომაზე) შეეძლოთ გამოეყენებინათ აგრეთვე დახურტა. იხ. დ. ი. კურსკის წინაიტყვაობით გამოცემული ზემოთ დასახელებული სისხლის სამართლის კოდექსი, გვ. 5.

რად, უყურადღებოდ შესრულება, რასაც მოჰყვა საქმის გაქიანუ-  
რება, საქმის წარმოების დაყოვნება, საქმის წარმოებაში და ანგა-  
რიშგებაში უწესრიგობა და სამსახურით სხვა დაუდევრობა, ისჯე-  
ბოდა 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინე-  
ბული სასჯელით.

სსკ 109-ე მუხლით დასჯად ქმედობად გამოცხადდა თანამდე-  
ბობის პირის ისეთი მოქმედება, რომლის ჩადენაც თუმცა დაკავში-  
რებული არ იყო მის სამსახურებრივ მოვალეობასთან, მაგრამ  
მშრომელთა თვალში აშკარად სახელს უტეხდა ხელისუფლების იმ  
ორგანოს ღირსებასა და ავტორიტეტს, რომლის წარმომადგენელიც  
თვით ეს თანამდებობის პირი იყო.

სსკ 110-ე მუხლით ხელისუფლების ბოროტად გამოყენება,  
ხელისუფლების გადამეტება და სამსახურისადმი დაუდევარი და-  
მოკიდებულება, რასაც შედეგად მოჰყვა ცენტრალური ან ადგილობ-  
რივი სამეურნეო აპარატის განაწილების ან მომარაგების, ან ტრან-  
სპორტის მოშლა, სახელმწიფოსათვის აშკარა უვარგისი შეთანხმე-  
ბის ან ნელშეკრულების დადება, ან სახელმწიფოს ინტერესები-  
სათვის ყოველგვარი ძირის გამოთხრა, ისჯებოდა თავისუფლების  
აღკვეთით არა ნაკლები ხუთი წლისა სასტიკი იზოლაციით, ხოლო  
ჯანსაყუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში — სასჯელის უმაღ-  
ლესი ღონისძიებით.

სსკ 111-ე მუხლით, მოსამართლის მიერ ანგარებით ან სხვა  
პირადი მოსაზრებით უსამართლო განაჩენის დადგენა ისჯებოდა თა-  
ვისუფლების აღკვეთით არანაკლები სამი წლისა სამოსამართლო  
თანამდებობიდან გადაყენებით, განსაკუთრებით დამამძიმებელ გა-  
რემოებისას კი — სასჯელის უმაღლესი ზომით.

სსკ 112-ე მუხლით უკანონო შებჰყრობა, უკანონო მოყვანა, აგ-  
რეთვე გამოძიების ან მოკვლევის მწარმოებელი პირის მიერ დაკი-  
თხვის დროს ჩვენების მიცემის იძულება უკანონო ღონისძიების  
გამოყენებით, ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით არანაკლები ერ-  
თი წლისა სასტიკი იზოლაციით. ხოლო იმავე მუხლის მეორე ნა-  
წილით, — პირადი მოსაზრებით ან ანგარებით დაპატიმრება, —  
ისჯებოდა 106-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სო-  
ციალური დაცვის ღონისძიებით, ე. ი. თავისუფლების აღკვეთით  
არა ნაკლები სამი წლისა ან სასჯელის უმაღლესი ზომით.

სსკ 113-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა თანამ-  
დებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობით მის გამგებ-



ლობაში მყოფი ფულის ან სხვა განძეულობის მითვისებას და ის-  
ჯებოდა არა ნაკლები ერთი წლისა თანამდებობიდან დათხოვნით.  
იმავე მუხლის მეორე ნაწილით კი იგივე მოქმედება, — ჩადენილი  
განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის  
პირის მიერ, ან განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ფასე-  
ულობათა მითვისება, — ისჯებოდა 106-ე მუხლის მეორე ნაწილით  
დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებით, ე. ი. წინა მუხლის  
მსგავსად თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლები სამი წლისა ან  
სასჯელის უმაღლესი ღონისძიებით.

რსფსრ სსკ 114-ე მუხლით, მარტივი სახის ქრთამის აღება ის-  
ჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე, ქონების კონფის-  
კაციით ან მის გარეშე. ამავე მუხლის მესამე ნაწილით კი დამამძი-  
მებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღება ისჯებოდა თავისუფ-  
ლების აღკვეთით არა ნაკლები სამი წლისა სასჯელის უმაღლესი  
ზომის გამოყენებამდე ქონების კონფისკაციით<sup>1</sup>.

კანონი ქრთამის აღების დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევდა:  
ა) ქრთამის ამღები თანამდებობის პირის განსაკუთრებულ უფლე-  
ბამოსილებას; ბ) თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას;  
გ) გამოძალვასა და დ) შანტაჟს.

იმავე მუხლის მეორე ნაწილით მექრთამეობაში შუამავლობა  
და მექრთამეობის დაფარვა ერთნაირად ისჯებოდა — თავისუფლე-  
ბის აღკვეთით ვადით ორ წლამდე ქონების კონფისკაციით ან მის  
გარეშე. ქრთამის მიცემა კი თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

იმავე მუხლის მეოთხე ნაწილით ქრთამის მიმცემი სისხლის სა-  
მართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა მხოლოდ იმ  
შემთხვევაში, თუ იგი დროულად განაცხადებდა ქრთამის გამოძალ-  
ვის შესახებ ან თუ ხელს შეუწყობდა მექრთამეობის საქმის გახ-  
სნას.

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ 114-ე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გა-  
რემოებაში ჩადენილი მექრთამეობისათვის პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად  
იყენებდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას — დახვერტას. ასე, მაგალითად, ერთ-  
ერთი საქმის გამოძიების დროს გამოძიებულმა საქმის კეთილად დაბოლოები-  
სათვის ბრალდებულის ნათესავეებს მოთხოვა 500 მილიონი მანეთი. გამოძიე-  
ბელს, რომელიც შემდგომ მხილებული იქნა ქრთამის გამოძალვაში, საგუბერნიო  
სასამართლომ მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვერტა (იხ. ЕСЮ,  
1923, № 19, გვ. 444). ასევე, სახალხო მოსამართლე გლახკოვსა და გამოძიებულ  
სტანკოვს, დაუმტკიცდათ რა სისტემატურად ქრთამის აღება, მრესაჯათ სასჯელის  
უმაღლესი ზომა — დახვერტა (იხ. ЕСЮ, 1923, № 15, გვ. 349).

ამრიგად, სსკ 114-ე მუხლმა თითქმის უცვლელად გადაიტანა 1921 წლის 16 აგვისტოს დეკრეტის ფორმულირება ქრთამის აღების შემადგენლობის შესახებ. მაგრამ მათ შორის მაინც არსებობდა გარკვეული სხვაობა, რაც ძირითადად შემდეგში გამოიხატებოდა: ა) დეკრეტისაგან განსხვავებით 114-ე მუხლი აღარ მიუთითებდა ქრთამის აღების მცდელობაზე, რადგან იგი უკვე გათვალისწინებული იყო სსკ ზოგადი ნაწილის მე-14-ე მუხლში; ბ) დეკრეტში მოცემული ფორმულირებისაგან განსხვავებით თანამდებობის პირი მექრთამეობისათვის პასუხს აგებდა არა მარტო მაშინ, როცა იგი ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ შეასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობაში შემაჯავალ რაიმე მოქმედებას, არამედ ასეთივე მოქმედების შეუსრულებლობისათვისაც; გ) 114-ე მუხლი ზუსტად განსაზღვრავდა სასჯელის ზომას მექრთამეობაში მონაწილე ყველა პირისათვის; დ) 114-ე მუხლი, დეკრეტისაგან განსხვავებით, ქრთამის აღების ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევდა აგრეთვე შანტაჟს.

სსკ 115-ე მუხლი ითვალისწინებდა ქრთამის პროვოკაციას და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღების მსგავსად სასჯელად აწესებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით არა ნაკლები სამი წლისა, მკაცრი იზოლაციით ან სასჯელის უმაღლესი ღონისძიების გამოყენებას.

სსკ 116-ე მუხლით სამსახურებრივ სიყალბედ მიჩნეული იყო თანამდებობის პირის მიერ ოფიციალურ საბუთში წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობების შეტანა, გაყალბების, ამოფხეკის ან წინა რიცხვით ჩანიშვნის, აგრეთვე მის მიერ წინასწარი შეცნობით დოკუმენტის შედგენა და გაცემა ან წინასწარი შეცნობით დავთარში ტყუილი ჩანაწერის შეტანა, თუ ეს ქმედება არ მოიცავდა სსკ 85-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ისევე როგორც 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

სსკ 117-ე მუხლი ითვალისწინებდა თანამდებობის პირის მიერ ისეთი ცნობის გახმაურებას, რომელიც არ უნდა გახმაურებულიყო და ასეთი ქმედობისათვის იგივე სასჯელი იყო დაწესებული, რაც წინა მუხლით.

სსკ 118-ე მუხლი ითვალისწინებდა თანამდებობის პირის მიერ ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ისეთი ცნობის, ანგარიშის და სხვ. არადროულ წარდგენას, რომლის წარდგე-

ნაც მას კანონით ევალებოდა, და ისჯებოდა ექვს თვემდე იძულებითი მუშაობით ან თანამდებობიდან დათხოვნით.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს 1923 წლის № 31 ცრკულარით ქრთამის მიცემები პირი, მისგან ქრთამის გამოძალვის შესახებ ნებაყოფლობითი და დაუყოვნებლივი განცხადების შემთხვევაში საერთოდ არ მიეცემოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. თორმისი განცხადება უარყოფილი არ იქნებოდა წინასწარი გამოძიებით ან სასამართლოს მიერ. ხოლო ის პირები, რომლებიც თავიანთი დროული შეტყობინებით და ჩივნებებით სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს დაეხმარებოდნენ მექრთამეობის საქმის გახსნაში, ქრთამის მიცემაში მსილებულ სხვა ბრალდებულთა თანაბრად პასუხისგებაში მიეცემოდნენ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდებოდნენ წინასწარი გამოძიების ან სასამართლო განხილვის სტადიიდან. მსოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სრული უტყუარობით იქნებოდა დადგენილი მათი შეტყობინების დროულობა და საქმის გახსნაში მათ მიერ დახმარების აღმოჩენა.

მექრთამეობასთან ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ გატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი. კერძოდ, იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1922 წლის 9 ოქტომბრის № 86 ცრკულიარით შემოღებული იქნა მექრთამეობის გამოძიების განსაკუთრებული წესი და გამოცხადდა მექრთამეობასთან ბრძოლის მასობრივი კამპანია. ამასთან, სახალხო კომისარიატის საბჭოს 1923 წლის 15 სექტემბრის დეკრეტით დაწესდა ყველა თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეების განხილვა ურიგოდ.

მექრთამეობის წინააღმდეგ დაწყებული მასობრივი კამპანიის შედეგად, როგორც 1923 წელს უზრნალ „ეფენედელნიკ სოვეტსკოი იუსტიციაში“ (№ 10, გვ. 219-220, № 21, გვ. 492) გამოქვეყნებულ ვ. ზენკოვიჩის წერილიდან — „მექრთამეობასთან ბრძოლის შედეგებისათვის“ ვგებულობთ, კამპანიის დაწყებიდან ნახევარი წლის შემდეგ (1922 წლის 10 ოქტომბრიდან 1923 წლის თებერვლამდე) რსფსრ ტერიტორიაზე აღიძრა მექრთამეობის 4763 სისხლის სამართლის საქმე. მარტო თებერვლის მეორე ნახევარსა და მარტის თვეში გამოძიება დამთავრდა 1185 მექრთამეობის საქმეზე. სასამართლოებში განიხილეს 502 საქმე. კამპანიის დაწყებიდან მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სულ განხილული იქნა 2403 საქმე. მექრთამეობისათვის მსჯავრი დაედო 3265 კაცს. აქედან:

სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვერტა შეეფარდა 61 პირს, 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, 211-ს. ხოლო დანარჩენთ კი თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით 2-დან 5 წლამდე. მსჯავრდადებულთაგან 595 იყო საბჭოთა აპარატის პასუხისმგებელი გუშაკი, 995 კი რიგითი მოსამსახურე.

თანამდებობრივი დანაშაულის და მათ შორის მექრთამეობისათვის ასეთი მკაცრი სასჯელების შემოღება გამოწვეული იყო იმით, რომ იმ დროისათვის იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ საშიშ დანაშაულს, რომელიც ფართოდ გავრცელდა მთელ სახელმწიფო აპარატში და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მეურნეობის მთელ სოციალისტურ სისტემას. სწორედ ამიტომ თანამდებობრივი დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ მომდევნო მეორე თავად იყო შეტანილი.

თანამდებობრივი დანაშაულის ასეთი დიდი საშიშროებით იყო გამოწვეული ისიც, რომ სრულიად რუსეთის ცაკ-მა და სახალხო კომისარათა საბჭომ 1922 წლის 9 ოქტომბერს გამოსცა ერთობლივი დეკრეტი „მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ“, რომლითაც რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლი გაიყო ორ — 114-ე და 114-ა-ე მუხლად.

სსკ 114-ე მუხლის ახალი რედაქცია ითვალისწინებდა ქრთამის აღების მარტივ და კვალიფიციურ სახეს. კერძოდ, 114-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა ქრთამის აღების მარტივ სახეს და სასჯელად აწესებდა თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ერთი წლისა ქონების კონფისკაციით ან მის გარეშე. იმავე მუხლის მეორე ნაწილი კი ითვალისწინებდა ქრთამის აღების დამამძიმებელ გარემოებებს: ა) ქრთამის ამღები თანამდებობის პირის პასუხსაგებ მდგომარეობას; ბ) მატერიალურ ზიანს, რაც ქრთამის შედეგად მოუვიდა სახელმწიფოს ან შეიძლებოდა მოსელოდა; გ) ქრთამის ამღების ადრინდელ ნასამართლობას ქრთამისათვის ან ქრთამის არაერთხელ აღებას და დ) ქრთამის გამოძალვას.

ამ დეკრეტმა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის იგივე სასჯელი დატოვა, რაც 114-ე მუხლის ძველი რედაქციით იყო დაწესებული.

სსკ 114-ე მუხლის ახალი რედაქციით გაფართოვდა მექრთამეობისათვის პასუხისმგებელ პირთა წრე. ქრთამის აღების, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის გარდა სისხლის სამარ-

თლის პასუხისმგებლობა დაწესდა აგრეთვე მექრთამეობაში ხელის შეწყობის ან მის წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვისაც.

1922 წლის 19 ოქტომბერს სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებით 1922 წლის 9 ოქტომბრის კანონს „მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ“ და მის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სსკ 114-ე და 144-ე მუხლებს მიეცა უკუქცევითი ძალა.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში გარკვეული როლი შეასრულა თანამდებობის პირების მიმართ დისციპლინარული სასჯელების შემოღებამ და დისციპლინარული სასამართლოების შექმნამ. მაგალითად, 1920 წლის 26 აპრილის დეკრეტით სამსახურებრივი დარღვევისათვის დაწესდა დისციპლინარული სასჯელების გამოყენება. ასევე, სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1921 წლის 27 იანვრის დეკრეტით სამსახურებრივი გადაცდომისათვის დისციპლინარული სასჯელი შეიძლებოდა დასდებოდა ყველა თანამდებობის პირს.

სრულიად რუსეთის ცაკ-ის X მოწვევის II სესიამ მიიღო დებულება დისციპლინარული სასამართლოების შესახებ, რომლის საფუძველზე შეიქმნა ორი დისციპლინარული სასამართლო: სრულიად რუსეთის ცაკ-თან — მთავარი დისციპლინარული სასამართლო და საგუბერნიო (საოლქო) აღმასრულებელ კომიტეტთან — საგუბერნიო (საოლქო) დისციპლინარული სასამართლო.

მთავარ დისციპლინარულ სასამართლოს, თავმჯდომარისა და ორი წევრის შემადგენლობით, ნიშნავდა სრულიად რუსეთის ცაკ-ის პრეზიდიუმი და იგი ანგარიშვალდებული იყო მის წინაშე.

დებულების თანახმად, დისციპლინარულ სასამართლებს უფლება ჰქონდათ გამოეყენებინათ შემდეგი ხასიათის ღონისძიებანი: ა) მიეცათ შენიშვნა; ბ) გამოეცხადებინათ საყვედური პრესაში გამოქვეყნებით ან მის გარეშე; გ) გადაეყვანათ სხვა თანამდებობაზე; დ) მიესაჯათ შინაპატიმრობა ვადით სამი დღე-ღამიდან ერთ თვემდე; ე) ორ წლამდე ვადით ჩამოერთვათ სახელმწიფო ორგანოებში თანამდებობის დაკავების უფლება; ვ) დაეთხოვათ თანამდებობიდან; ზ) დაეკისრებინათ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

იუსტიციის სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 7 ოქტომბრის № 93 ცირკულარით განისაზღვრა სასამართლოს თანამშრომელთა მიერ ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულის ქვემდებარეობა. ამ ცირკულარის № 1 მუხლით თანამდებობრივი დანაშაულისათვის სახალხო მოსამართლეთა და ტრიბუნალების წევრთა საქმე-

ები განსახილველად დაექვემდებარა რევოლუციურ ტრიბუნალებს ადგილობრივი საგუბერნიო პროკურორის მითითებით.

სასაღხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 11 აგვისტოს №169 ცირკულარით დადგინდა იუსტიციის მუშაკთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის წესი.

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სწორი ხელმძღვანელობით დამნაშავეობასთან მებრძოლმა ორგანოებმა თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლაში გარკვეული წარმატებები მოიპოვეს, რომელიც იმდროინდელ სპეციალურ ლიტერატურაშიც აისახა. მაგალითად, 1923 წლის 4 აპრილს ფ. ძერჟინსკი წყალტრანსპორტის მუშაკთა სრულიად რუსეთის კონფერენციისადმი მოხსენებაში ადარებდა რა მექრთამეობასთან ბრძოლის კამპანიის დასაწყისს, აღნიშნავდა, რომ რკინიგზებზე დღევანდელი მდგომარეობა არ შეიძლება შევადაროთ იმას, რაც წლინახევრის წინ ხდებოდაო. ასევე, ჟურნალ „რაბოჩიი სუდის“ 1928 წლის №6 გამოქვეყნებულ წერილში „თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლა“, პროკოპენია აღნიშნავდა: თუ 1922 წელს მექრთამეობა მასობრივ ხასიათს ატარებდა, სახელმწიფო აპარატის შემდგომმა განმტკიცებამ და ამ ბოროტების წინააღმდეგ განუხრებლმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო და 1923 წლის ბოლოს სხვა სახის დანაშაულთა შორის მექრთამეობას უკვე უმნიშვნელო ადგილი ეკავაო. ასეთივე აზრი გატარებულია 1928 წელს გამოცემულ ა. ესტრინისა და ა. გიუნტერის შრომებში „თანამდებობრივი დანაშაული“. როგორც ა. პიონტოვსკი აღნიშნავს 1928 წელს გამოცემულ საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში (ტ. 2. განსაკუთრებული ნაწილი, გვ. 231), მარტო 1924 წელს რსფსრ-ის ტერიტორიაზე მექრთამეობისათვის დაისაჯა 10544 კაცი. აქედან 9622 მამაკაცი, 922 ქალი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღეებიდანვე ასევე გარკვეული ყურადღება ექცეოდა თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებს. მაგალითად, 1921 წლის 3 აპრილს საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო დებულება „რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ“, რომელმაც მე-7-ე მუხლით თითქმის ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაული, კერძოდ: მექრთამეობა, სამსახურებრივი სიყალბე, სახალხო ქონების მითვისება და გაფლანგვა, ხელისუფლების გადაშენება და უმოქმედება დაუქვემდებარა რევოლუციურ ტრიბუნა-

ლებს, რომლის განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

იმავე დებულების მე-9 მუხლით რევოლუციური ტრიბუნალების ქვემდებარე საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს საგანგებო კომისია და სხვა საგამოძიებო ორგანოები, რომლებსაც უფლება ჰქონდათ ტრიბუნალისათვის უშუალოდ გადაეცათ საქმე განსახილველად.

დებულების 39-ე მუხლით ტრიბუნალების მიერ გამოტანილი განაჩენების გამო აღძრული საჩივრებისა და პროტესტების განსახილველად საქართველოს რევკომთან შეიქმნა საკასაციო ტრიბუნალი.

დებულების მე-10 მუხლით ტრიბუნალს უფლება ჰქონდა საქმის სრული გამოკვლევისა და დამატებითი გამოძიების მიზნით განსახილველად გადმოგზავნილი საქმე უკანვე დაებრუნებინა იმ საგამოძიებო ორგანოსათვის, რომელმაც გამოიძია და გადმოგზავნა იგი განსახილველად.

საბჭოთა საქართველოში რევოლუციური ტრიბუნალები დაარსდა დროებით უმაღლესი სასამართლო ორგანოს სახით. რევოლუციური ტრიბუნალების ამ დებულების პირველი მუხლის თანახმად მათი დაარსების მიზანი იყო კონტრრევოლუციასა და იმ ბოროტებასთან ბრძოლა, რომელიც მიმართული იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ მიღებული წესდანიშნული დებულება თავისი სტრუქტურით არაფრით არ განსხვავდებოდა რსფსრ-ის რევოლუციური ტრიბუნალების დებულებისაგან, თუ შედეგობაში არ მივიღებთ იმ მცირეოდენ ცვლილებებს, რაც საქართველოს თავისებურებებიდან გამომდინარეობდა. სწორედ ამაზე მიუთითებდა ლ. სარაჯიშვილი, როცა წერდა: „დებულება სახალხო სასამართლოების შესახებ საქართველოში“ თითქმის ასლია, ანარეკლია ასეთივე „დებულებისა“ რუსეთის სასამართლოების შესახებ“<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ რევკომის 1921 წლის 29 ოქტომბრის № 88 ბრძანებით კავკასიის არმიის რევოლუციური ტრიბუნალისა და მის განყოფილებათა გარდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცალკე მოქმედების უფლება მიეცათ სახალხო მოსამართლეთა საბ-

<sup>1</sup> მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, 1921 წ. № 16, გვ. 24.

ქოსა და სახალხო სასამართლოებს; აგრეთვე საქართველოს რევოლუციურ ტრიბუნალებს და სამედიატორო სასამართლოებს. ყველა სხვა სასამართლო გამოცხადდა გაუქმებულად<sup>1</sup>.

მეტად საყურადღებოა საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის 1922 წლის 23 თებერვლის № 156 დადგენილება „მექრთამეობისათვის დასჯის ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც, რსფსრ 1921 წლის 16 აგვისტოს დეკრეტის („მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ“) მსგავსად ერთნაირ, დამთავრებულ დასჯად ქმედობად გამოცხადდა არა მარტო ქრთამის აღება, არამედ მისი აღების მცდელობაც. ამასთან ერთნაირი სასჯელი დაწესდა ქრთამის აღებისა და ქრთამის მიცემაში შუამავლობისათვის. ასევე, მექრთამეობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეული იქნა: თანამდებობის პირის განსაკუთრებული უფლებამოსილება; მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა; ქრთამის გამოძალვა.

დეკრეტისაგან განსხვავებით, ამ დებულების შენიშვნაში დამატებითი სახის სასჯელად ქონების კონფისკაციის გარდა მოხსენიებული იყო აგრეთვე ქრთამად აღებული საგნის ღირებულების ერთიორად ან ერთისამად გადიდებული რაოდენობით ჯარიმის გადახდევინება.

იურიდიული შემადგენლობის თვალსაზრისით ზემოაღნიშნული დადგენილება გარკვეულ ინტერესს იწვევს. ამასთან აღსანიშნავია, რომ მასში მოცემულია მხოლოდ ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მექრთამეობით დასჯად ქმედობად, კონკრეტული ქმედობისათვის გათვალისწინებულ სასჯელზე კი არაფერია ნათქვამი.

დადგენილება შედგებოდა ოთხი მუხლისაგან, კერძოდ, ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო: „მექრთამეობის აღმოსაფხვრელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. თავისუფლების აღკვეთით დაისჯება ის, — სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი პირი, — ვინც პირადად ან შუაკაცის შემწეობით მიიღო ან ცდილობდა მიეღო ქრთამი, — ამა თუ იმ სახით, — ქრთამის მიცემის სასარგებლოდ ისეთი საქმის შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც მისი სამსახურის მოვალეობას შეადგენდა:

2. იგივე სასჯელი დაეკისრება იმ პირს, რომელიც ქრთამის მიცემისათვის შუაკაცობას გასწევს.

<sup>1</sup> მოამბე..., 1921 წ. № 20, გვ. 2.



3. ქრთამის აღებისათვის სასჯელის გამადიდებელ საბაზად ჩაითვლება შემდეგი გარემოება: ა) თანამდებობის პირის განსაკუთრებული რწმუნებამოსილება, ბ) მოსამსახურის მიერ სამსახურის მოვალეობის დარღვევა, გ) ქრთამის იძულებითი დატყუება.

შენიშვნა: ზემოაღნიშნულ სასჯელს შეიძლება დაერთოს ქრთამად აღებული ქონების კონფისკაცია. აგრეთვე, ჯარიმა — აღებული ქრთამის ერთიორად ან ერთისამად გადიდებული რაოდენობისა“.

მე-4 მუხლის თანახმად ეს დადგენილება ძალაში შედიოდა დღიდან მისი გამოქვეყნებისა<sup>1</sup>.

სრულიად საქართველოს ცაკ-ის 1922 წლის 11 ნოემბრის № 19 დადგენილებით დამტკიცდა „დებულება პროკურატურის შესახებ“, რომლის 1-ლი მუხლით იუსტიციის სახალხო კომისარიატში დაწესდა სახელმწიფო პროკურატურა და მას იმავე დებულების მე-13-ე მუხლით გამოსაძიებლად დაექვემდებარა ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაული<sup>2</sup>.

ამ პერიოდში გარკვეული მუშაობა წარმოებდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შექმნისათვის. კერძოდ, სრულიად საქართველოს ცაკ-ის 1922 წლის 9 ნოემბრის № 17 დადგენილებით საქართველოს სსრ სსკ სამოქმედოდ შემოღების დღედ განისაზღვრა 1922 წლის 15 ნოემბერი. შემდეგ ეს ვადა შეიცვალა და სრულიად საქართველოს ცაკ-ის 1922 წლის 23 ნოემბრის № 23 დადგენილებით საქართველოს სსრ სსკ შემოღების დღედ გამოცხადდა 1922 წლის 5 დეკემბერი<sup>3</sup>.

სრულიად საქართველოს ცაკ-ის № 72 დადგენილებით 1923 წლის 1 სექტემბრიდან სამოქმედოდ შემოღებული იქნა სრულიად საქართველოს ცაკ-ის მე-4 სესიის მიერ 1923 წლის 21 ივნისს მიღებული დებულება საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ<sup>4</sup>, რომლითაც გაუქმდა 1921 წლის 3 აპრილს დამტკიცებული რევოლუციური ტრიბუნალების დებულება ყველა შემდგომი ცვლილებითა და დამატებით.

სრულიად საქართველოს პირველ საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსში, „თანამდებობრივი (სამსახურებრივი) დანაშაული“

<sup>1</sup> მოამბე..., 1922, № 30, გვ. 17-18:

<sup>2</sup> იქვე, № 44, გვ. 6-9.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 5-10.

<sup>4</sup> მოამბე... 1923 წ., № 55, გვ. 13.

რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, გათვალისწინებული იყო სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ მეორე თავში და მოიცავდა 108-121 მუხლებს. მასში გათვალისწინებული იქნა თანამდებობრივ დანაშაულთა ისეთი შემადგენლობები, როგორცაა: ხელისუფლების ბოროტად გამოყენება (108-ე მუხ.); ხელისუფლების გადამეტება (109-ე მუხ.); ხელისუფლების უმოქმედობა (110-ე მუხ.); სამსახურის უგულვებელყოფა (111-ე მუხ.); ხელისუფლების სახელის გატეხვა (112-ე მუხ.); დამამძიმებელ მდგომარეობაში ჩადენილი ხელისუფლების ბოროტად გამოყენება (ხელისუფლების გადამეტება, ხელისუფლების უმოქმედობა, სამსახურის უგულვებელყოფა (113-ე მუხ.) მოსამართლის მიერ უკანონო განაჩენის, გადაწვეტილების ან დადგენილების გამოტანა (114-ე მუხ.), გამომძიებლის ან მომკვლევის მიერ პირის უკანონო მიყვანა ან ჩვენების იძულება (115-ე მუხ.); თანამდებობის პირის მიერ მისთვის სამსახურით მინდობილი ფულის ან ქონების მითვისება ან გაფლანგვა (116-ე მუხ.); მექრთამეობა (117-ე მუხ.); ქრთამის პროვოკაცია (118-ე მუხ.); სამსახურებრივი სიყალბე (119-ე მუხ.); თანამდებობის პირის მიერ საიდუმლო ცნობების გასმაურება (120-ე მუხ.) და თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლებისათვის სავალდებულო ცნობების არადროული წარდგენა (121-ე მუხ.). თანამდებობის პირის ცნება მოცემული იყო სსკ 108-ე მუხლის შენიშვნაში.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული თანამდებობრივ დანაშაულთა ამსახველ მუხლებში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი არსებითი ხასიათის ცვლილება როგორც დისპოზიციურ, ისე სანქციის ხაზით, შეტანილი იქნა მექრთამეობის მომკვლელ 117-ე მუხლში სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 22 მარტს მიღებულ № 34 დადგენილებით „მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნული დადგენილებით სსკ 117-ე მუხლი გაიყო 117-ე და 117ა-ე მუხლებად. რსფსრ სსკ 114-ე მუხლის მსგავსავე,

---

<sup>1</sup> საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული. ტფილისი, 1923, №1, გვ. 25—26.

საქართველოს სსრ სსკ 117-ე მუხლში გათვალისწინებული იქნა ქრთამის აღების პარტიული და მაკვალფიცირებელი გარემოებანი. სსკ 117-ე მუხლის პირველი ნაწილით კი დადგინდა სასხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქრთამის მიცემის, მექრთამეობაში შუაქაცობისა და მექრთამეობისათვის ხელის შეწყობის ან მექრთამეობის საწინააღმდეგო ღონისძიების მიუღებლობისათვის. ამასთან, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღების, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის დაწესდა სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება ქონების კონფისკაციით. სსკ 117-ე მუხლის მეორე ნაწილში (რსფსრ სსკ 114-ე მუხლის მსგავსად) მოცემული იყო აგრეთვე მექრთამეობაში მონაწილე პირთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების პირობები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მუხლში, ადრე მოქმედი კანონის მსგავსად, გამოკვეთილად არ იყო ჩამოთვლილი ის პირები, ვინც შეიძლება განთავისუფლებულიყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. მასში მხოლოდ ზოგადად იყო მითითებული, რომ „ის ვისზედაც ვაჯრცელდება ამ და წინა მუხლის მოქმედება, შეიძლება სასამართლოს მიერ განთავისუფლებული იქნეს სასჯელისაგან... უკეთუ იგი ნებაყოფლობით და დაუყოვნებლივ განაცხადებს ქრთამის გამოძალვის შესახებ და თავის დროზე ჩვენების მიცემითა და შეტყობინებით ხელს შეუწყობს მექრთამეობის გამოაშკარაებას“.

ეს უკანასკნელი გარემოება საფუძველს გვაძლევს ვაუკეთოთ დასკვნა, რომ სასამართლოს უფლება ჰქონდა სასჯელისაგან (და არა საერთოდ პასუხისმგებლობისაგან) გაენთავისუფლებინა არა მარტო ქრთამის მიმცემი, არამედ მექრთამეობაში შემხები ყველა პირი — მექრთამეობაში შუამავალი, მექრთამეობის ხელშემწყობი და თვით ქრთამის აღებცი, თუკი იგი ნებაყოფლობით დაუყოვნებლივ განაცხადებდა და თავისი დროული ჩვენების მიცემით ხელს შეუწყობდა მექრთამეობის გამოაშკარაებას.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა სრულიად რუსეთის ცაკ-ის მეათე მოწვევის მეორე სესიის 1923 წლის 10 ივლისის დადგენილებამ „რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“, რომელმაც სათანადო ცვლილებები შეიტანა აგრეთვე თანამდებობრივ დანაშაულთა თავში. ამ დადგენილებით რსფსრ სსკ 105-ე მუხლი (ხელისუფლების ბოროტად გამოყენება) გაიყო ორ ნაწილად. პირვე-

ლი ნაწილი ითვალისწინებდა სისხლის სამართლის დასჯად ქმედობას, მეორე კი ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, როგორც დისციპლინარულ გადაცდომას. ასევე მცირეოდენი ცვლილებები იქნა შეტანილი რსფსრ სსკ 106-ე მუხლში (ხელისუფლების გადამეტება), 107-ე მუხლში (ხელისუფლების უმოქმედება) და 108-ე მუხლში (სამსახურისადმი გულგრილი დამოკიდებულება).

გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს სსრ 1922 წლის სსკ თანამდებობრივ დანაშაულთა ამსახველ მუხლებში. მაგალითად, სრულიად საქართველოს ცაკ-ის 1924 წლის 28 თებერვლის სპეციალური დადგენილებით „საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ“. კიდევ უფრო დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი 108-ე, 109-ე, 110-ე, 113-ე, 115-ე, 117-ე, 119-ე და 121-ე მუხლები.

ზემოაღნიშნულ ცვლილებათა შეტანის შემდეგ საქართველოს სსრ სსკ 108-ე მუხლით ხელისუფლების ბოროტად გამოყენებად მიჩნეული იქნა თანამდებობის პირის ისეთი მოქმედება, რაც მას შეეძლო ჩაედინა მარტოდენ სამსახურებრივი მდგომარეობით და გამოწვეული არ იყო სამსახურის საჭიროებით, რასაც შედეგად მოჰყვა დაწესებულების ან საწარმოს წესიერი მუშაობის აშკარა დარღვევა, ან რამაც მიაყენა მას ქონებრივი ზარალი ან გამოიწვია საზოგადოებრივი წესიერების ან ცალკე მოქალაქეთა კანონით დაცული უფლებისა და ინტერესის დარღვევა, იქვე მითითებული იყო ისეთ დამამძიმებელ გარემოებებზე როგორცაა: თანამდებობის პირის მიერ ასეთი მოქმედების ჩადენა სისტემატურად ან ანგარებით ან სხვა პირადი ინტერესით, ან უკეთუ ასეთ მოქმედებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი ან თანამდებობის პირის წინასწარი შეცნობით მძიმე შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

მოცემული მუხლის პირველი ნაწილით თანამდებობის პირის ასეთი მოქმედებისათვის დაწესდა სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლები ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილით კი ყველა დანარჩენ შემთხვევაში ჩადენილი იგივე მოქმედება ისჯებოდა „დისციპლინარული წესით, თანაც თანამდებობიდან დათხოვნითურთ, მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა ან მანე შედეგის გასწორების მოვალეობის დაკისრებითურთ, ან უამისოდ“.

იმავე მუხლის შენიშვნაში მოცემული იყო თანამდებობის პირის ცნება, რომლითაც თანამდებობის პირად იგულისხმებოდა ის პირი, ვისაც ექირა მუდმივი ან დროებითი თანამდებობა ამა თუ იმ სახელმწიფო (საბჭოთა) დაწესებულებასა ან საწარმოში, აგრეთვე ორგანიზაციასა ან შენაერთში, რომელსაც კანონით მინიჭებული ჰქონდა განსაზღვრული უფლება, მოვალეობა და რწმუნებულება სამეურნეო, საადმინისტრაციო, საგანმანათლებლო და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნის განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსით თითქმის მთლიანად გაიზიარა რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ჩამოთვლილ დანაშაულთა სისტემა, მათი შემადგენლობა და შემდეგში მათში შეტანილი ცვლილებებიც კი. ამ მუხლების დისპოზიციური ნაწილი უმეტეს შემთხვევაში ტექსტუალურად ემთხვევა ერთიმეორეს. მუხლებს შორის არსებული ძირითადი სხვაობა მხოლოდ ზოგიერთი სახის დანაშაულთა სასჯელის სხვაობაში მდგომარეობს. მაგალითად, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსით რვა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის იყო დაწესებული სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით კი მხოლოდ ექვსი სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის. კერძოდ, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით მოსამართლის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მოსაზრებით უსამართლო განაჩენის დადგენისათვის, რაც ჩადენილი იყო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში, დაშვებული იყო სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლით კი იმავე ქმედობისათვის დაწესებული იყო თავისუფლების აღკვეთა არანაკლები ათი წლისა. ასევე, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის მეორე ნაწილი აღმკვეთი ღონისძიების სახით ანგარებით ან პირადი მოსაზრებით დაპატიმრებისათვის ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლესი ღონისძიების გამოყენებას, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მეორე ნაწილით კი იგივე ქმედობისათვის დადგენილი იყო 109-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ სოციალური დაცვის ღონისძიება, ე. ი. თავისუფლების აღკვეთა არანაკლები ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით ან სხვა სახის დისციპლინარული ღონისძიებით.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ რსფსრ სისხლის სამართლის

კოდექსის 115-ე მუხლი, რომელიც დასჯად ქმედობად აცხადებდა ქრთამის პროვოკაციას, საერთოდ არ ეხებოდა ქრთამის მიმცემის დასჯის ან დაუსჯელობის საკითხს პროვოკაციით გამოწვეულ პირობებში. და, თუ ვიხელმძღვანელებთ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლით დადგენილი ქრთამის მიმცემის დასჯის საერთო პირობებით, მაშინ ქრთამის მიმცემსაც უნდა ეგო პასუხი ქრთამის პროვოკაციის დროს. ქრთამის მიმცემი პირისა და ქრთამის პროვოკაციის მომწიფობი თანამდებობის პირის ერთიმეორესთან გაიგივება კი, ცხადია, არასწორია. მათი ერთმანეთთან გაიგივება საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისითაც არ შეიძლებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ქრთამის პროვოკაცია გულისხმობდა თანამდებობის პირის მიერ განზრახ ისეთი მდგომარეობისა და პირობების შექმნას, რომელიც გამოიწვევდა ქრთამის შეძლევას იმ მიზნით, რომ შემდეგ მას ქრთამის მიმცემი ემხილებინა ქრთამის მიცემაში, ე. ი. ქრთამის პროვოკაციის სუბიექტი თანამდებობის პირია, მაშინ როცა ქრთამის მიცემის სუბიექტი შეიძლება იყოს არა თანამდებობის პირიც. იმისათვის, რომ ასეთ შემთხვევაში ქრთამის მიმცემი სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცათ და ასეთი სასამართლო შეცდომები თავიდან აეცილებინათ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლს, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლისაგან განსხვავებით, ჰქონდა მეტად მნიშვნელოვანი შინაარსის შენიშვნა: „ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქრთამის მიმცემს სოციალური დაცვის ღონისძიება არ შეეფარდება“.

ამრიგად, რსფსრ-სა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსების თანამდებობრივ დანაშაულთა ამსახველ მუხლებს, საერთო ნიშნების გარდა, მცირეოდენი სხვაობაც ახასიათებდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში თანამდებობრივი დანაშაულისათვის მკაცრი სოციალური დაცვის ღონისძიებების დაწესებამ გარკვეული შედეგები გამოიღო. მაგალითად, მექრთამეობისათვის სასჯელის გაძლიერებამ — სიკვდილით დასჯის შემოღებამ, როგორც გ. ურუშაძე აღნიშნავდა საკმაოდ კარგი შედეგები გამოიღო და, „თუ რამოდენიმე ხნის წინათ მექრთამეობას ეპიდემიური ხასიათი გ. ურუშაძე აღნიშნავდა, საკმაოდ კარგი შედეგები გამოიღო და, ნაშაულსო“. აქედან გამომდინარე, იგი მოითხოვდა სსკ 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული, დანაშაულის ჩადე-

ნ.სათვისაც შემოდებული ყოფილიყო სასჯელის უმაღლესი ზომა. მას არასწორად მიაჩნდა ის, რომ სსკ 116-ე მუხლის მეორე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქმედობისათვის (თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება ან გაფლანგვა) დაწესებული არ იყო სასჯელის უმაღლესი ზომა.

მექრთამეობასთან ბრძოლის გაძლიერების, მისი აღმოფხვრისა და თავიდან აცილების შესახებ მაშინდელ პრესაში არა ერთი წერილი გამოქვეყნდა. მაგალითად. ერთ-ერთი სტატიის ავტორი ეხებოდა რა მოსამართლეთა მუშაობას, წერდა, რომ ზოგჯერ სასამართლოს მიერ გამართლებული მხარე, რაღაც მოსაზრებით, საჭიროდ თვლის ინახულოს მოსამართლე და გადაუხადოს მადლობა, დაჰპირდეს პატივისცემას ან და სხვა რაღაც ამის მსგავსს. ასეთი რამ ყოვლად დაუშვებელია. „საბჭოთა სასამართლო იმიტომ დგას თავის დანიშნულების სიმალლეზე, რომ იგი შეუდრეკლად იცავს მუშურ-გლეხურ სამართალს. არა მადლობის გულისათვის, არა რაღაც საექვო დაპირებისათვის აწარმოებს იგი მართმსაჯულებას, არამედ პროლეტარული სინდისის მიხედვით, ხელმძღვანელობს რა რევოლუციური კანონებით, ამყარებს სამართლიანობას. ყოველგვარი, ზევით აღნიშნული დაპირება, იგივე ქრთამის შეძლევაა და ასეთ არამზადებს სასტიკად უნდა შეებრძოლოს ჩვენი კანონი და მოსამართლეები. ძველი თვისება-ჩვეულებით გარყვნილმა მოქალაქემ უნდა დაინახოს სისპეტაკე და სიმკაცრე ჩვენი მსჯავრისა. უნდა დარწმუნდეს ყველა, რომ ძველებურ სიბოროტეს, მექრთამეობას ჩვენში ადგილი არ ექნება არასოდეს. ჩვენი მოვალეობაა ვებრძოლოთ ასეთ პირებს და სამუდამოდ მოვსპოთ შესაძლებლობა ძველი, გარყვნილ წესწყობილებათა მემკვიდრეობის განახლებისა“<sup>2</sup>.

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო აპარატის სიმტკიცის, სიწმინდისა და მისი მუშაობის ყოველდღიური გაუმჯობესებისათვის თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ამსახველი სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის გარდა მრავალი ღონისძიება გატარდა. ამ მიზნით სპეციალური ორგანოებიც კი შეიქმნა. მაგალითად, ცნობილია, რომ სახელმწიფო აპარატის მუ-

1 გ. უ რ უ შ ა ძ ე. სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი. „მოამბე“..., 1925 წ., № 3, გვ. 70—71.

2 „მოამბე“..., 1924 წ., № 4, გვ. 130.

შაობის გაუმჯობესების საქმეს ემსახურებოდა საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი, რომელიც რუსეთის გამოცდილების მაგალითზე შეიქმნა. ამ კომისარიატის დებულებაში პირდაპირ იყო აღნიშნული რომ „მუშათა და გლეხთა ინსპექცია არის საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ორგანო, რომელიც მოწოდებულია სრულყოფილ სახელმწიფო აპარატი, ხელთ ეპყრას იგი და ხელი შეუწყოს სოციალისტური აღმშენებლობის მიზნებს“ და, რომ ამ ორგანოს ძირითადი მიზანია „პრაქტიკული და თეორიული შესწავლა მართვა-გამგეობის საქმისა, ცხადყოფა მართვა-გამგეობის მოქმედ ორგანოთა ნაკლისა და ღირსებისა, თავიდან აცილება პირველისა და განმტკიცება მეორისა... არსებითი შეფასება და შემოწმება ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა მუშაობისა... გამოკვლევა და შესწავლა ბოროტმოქმედებათა მიზეზებისა, სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა უყაირათობისა; ბრძოლა მოსყიდვის სისტემასთან და მექრთამეობასთან. სახელმწიფო აპარატისა და სამეურნეო ორგანოების განსაკუთრებული სრულყოფა მოსახლეობასთან უშუალო კავშირის დამყარების სფეროში“<sup>1</sup>... და სხვ.

სრულიად საქართველოს ცაკ-ის 1924 წლის 28 თებერვალს მეორე მოწვევის მეორე სესიაზე მიღებული დადგენილებით — „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ“, — ოლქის სესამართლოს დაექვემდებარა თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი ისეთი თანამდებობრივი დანაშაული, რაც გათვალისწინებული იყო სსკ 108-115-ე მუხლებში, 115-ე მუხლის მეორე ნაწილში, 117-ე მუხლის მეორე ნაწილში, და აგრეთვე 117<sup>1</sup>-ე მუხლში, უკეთუ დანაშაული ჩადენილი იქნებოდა განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში, ასევე, 118-ე, 119-ე და 120-ე მუხლები, უკეთუ ამ ორი უკანასკნელი მუხლებით გათვალისწინებულ მოქმედებას მოჰყვებოდა განსაკუთრებით მძიმე შედეგი ან უკეთუ ამ მოქმედებას თანამდებობის პირი ჩაიდენდა ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით<sup>2</sup>.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებ-

<sup>1</sup> მოამბე..., 1925 წ., № 1, გვ. 34—40.

<sup>2</sup> იხ. „მოამბე“..., 1924 წ. № 4, გვ. 66-67.



ბელი კომიტეტის 1924 წლის 6 ნოემბრის № 115 დადგენილება ამნისტიის შესახებ არ ვრცელდებოდა სსკ 113-ე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაზე (ხელისუფლების გადაშეტება, ხელისუფლების უმოქმედობა, სამსახურის უგულვებელყოფა); თანამდებობის პირის მიერ მისთვის სამსახურით მინდობილი ფულის ან ქონების მითვისებას ან გაფლანგვაზე (116-ე მუხ.); ქრთამის აღებაზე (117-ე მუხ.); ქრთამის მიცემასა და მექრთამეობაში შეუამავლობაზე (117ა-ე მუხ.) და ქრთამის პროვოკაციაზე (118-ე მუხ.).

სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლით კვალიფიკაციის დროს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ თანამდებობის პირის მიერ წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობა იყო შეტანილი ოფიციალურ საბუთში, თუნდაც რომ იგი ჩადენილი არ ყოფილიყო ანგარებით ან სხვა პირადი ინტერესით.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს საქართველოში თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლა წარმოებდა არა მარტო სისხლის სამართლის კანონმდებლობით, არამედ დისციპლინარული დასჯის გზითაც. ამ მხრივ საინტერესოა ის, რომ სრულიად საქართველოს ცაკ-ის № 122 დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული იქნა სადისციპლინო სასამართლოს დებულება „ისეთი პირების სამსახურებრივ დაუდევრობასთან, მკირე დანაშაულთან და არა სათანადო მოქმედებასთან საბრძოლველად, რომელთაც სახელმწიფო ორგანოში პასუხსაგები თანამდებობანი უჭირავთ, უკეთუ ასეთი მოქმედებისათვის არ შეიძლება დამნაშავის დასჯა სისხლის სამართლის წესით“<sup>1</sup>.

სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 31 ოქტომბრის № 90 დადგენილებით გაუქმდა საოლქო სასამართლოები და საოლქო პროკურატურა და მათ მაგიერ დაარსდა სამაზრო სასამართლოები და სამაზრო პროკურატურა. საოლქო სასამართლოს ყველა ქვემდებარე საქმე, მათ შორის თანამდებობრივი დანაშაულისაც, განსახილველად დაექვემდებარა სამაზრო სასამართლოებს.

სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1926 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით 1927 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული იქნა რსფსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც თანამდებობრივმა (სამსახურებრივმა) დანაშაულმა რიგით III თავში გა-

<sup>1</sup> იხ. „მოამბე“., 1924 წ., № 4, გვ. 24.

დაინაცვლა. მაგრამ მასში თითქმის უცვლელად იქსა გადატახილი რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1922 წლის რედაქციით გათვალისწინებულ თანამდებობრივ დანაშაულთა მომცველი მუხლები, თუ რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ მუხლებში შეტანილ ზოგიერთ მცირე ცვლილებას. კერძოდ, იმას, რომ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ამსახველ 109-ე მუხლს დაემატა მეორე შენიშვნა პროფესიული კავშირების თანამდებობის პირთა შესახებ; ხელისუფლების უმოქმედობა (107-ე მუხ.) და სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება ანუ სამსახურის უგულებელყოფა (111-ე მუხ.). გაერთიანებული იქნა ხელისუფლების უმოქმედობის ამსახველ 111-ე მუხლში. თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან ამოღებული იქნა აგრეთვე სსკ 118-ე მუხლი ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მოთხოვნილ საჭირო ცნობის არადროული წარდგინების შესახებ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, ხელისუფლების გადამეტების, ხელისუფლების უმოქმედობისა და სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების ამსახველ 112-ე მუხლს დაემატა მესამე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა დისციპლინარულ პასუხისმგებლობას, უკეთუ იგი არ შეიცავდა პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. ამასთან, ამ მუხლის პირველი ნაწილი კიდევ უფრო დაზუსტდა და ასეთ დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეული იქნა ანგარებითი დაინტერესება, გაყალბება, ქონების დატაცება, მექრთამეობა და სხვ. ზოგიერთი ცვლილება იქნა შეტანილი, აგრეთვე, სოციალური დაცვის ღონისძიებათა გამოყენებაშიც. მაგალითად, ადრე მოქმედი კოდექსით, თუ სასჯელის უმადლესი ღონისძიების გამოყენება დაწესებული იყო რვა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის, 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსით დაწესდა მხოლოდ ოთხი სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის (დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, გადამეტების, უმოქმედობისა და სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის — 112-ე მუხ., მოსამართლის მიერ უკანონო განაჩენის გამოტანა — 114-ე მუხ., თანამდებობის პირის მიერ მისთვის სამსახურით მინდობილი ფულის ან ქონების მითვისება ან გაფლანგვა — 116-ე მუხ, და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის — 117-ე მუხ.).

ამრიგად, ცალკეული სახის თანამდებობრივი დანაშაულის ამ-

სახელი მუხლები რსფსრ 1922 წლისა და 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემაში შემდეგნაირი თანამიმდევრობით იყო განლაგებული: 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლი ითვალისწინებდა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასა და თანამდებობის პირის ცნებას. 1926 წლის სს კოდექსში კი იგივე დანაშაული გათვალისწინებული იყო 109-ე მუხლით, რომელსაც ცალკე შენიშვნის სახით დამატებული ჰქონდა პროფკავშირთა თანამდებობის პირის ცნება; 106-ე მუხლი ითვალისწინებდა ხელისუფლების გადამეტების მარტივ სახეს, ახალი კოდექსის 110-ე მუხლი კი ითვალისწინებდა არა მარტო ხელისუფლების გადამეტების მარტივ სახეს, არამედ საერთოდ ხელისუფლების გადამეტებას; სსკ 107-ე მუხლი — ხელისუფლების უმოქმედობას. ახალ კოდექსში იგივე დანაშაული გათვალისწინებული იყო 111-ე მუხლით; სსკ 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, — სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, — ცალკე შემადგენლობად აღარ იყო წარმოდგენილი; სსკ 109-ე მუხლი — ხელისუფლების სახელის გატეხვა გათვალისწინებული იქნა სსკ 113-ე მუხლში; სსკ 110-ე მუხლში მოცემული დანაშაული — დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების გადამეტება, ხელისუფლების უმოქმედობა და სამსახურებრივად დაუდევარი დამოკიდებულება უფრო დახვეწილი სახით იქნა გადატანილი 112-ე მუხლში; მოსამართლის მიერ უკანონო განაჩენის გამოტანა (111-ე მუხ.) გათვალისწინებული იქნას სსკ 114-ე მუხლით. გამომძიებლის ან მომკვლევის მიერ პირის უკანონო მოყვანა ან ჩვენების იძულება (112-ე მუხ.) გათვალისწინებული იქნა სსკ 115-ე მუხლით; თანამდებობის პირის მიერ მისთვის სამსახურით მინდობილი ფულის ან განძეულის მითვისება ან გაფლანგვა (113-ე მუხ.) გათვალისწინებული იქნა სსკ 116-ე მუხლით იმ განსხვავებით, რომ მასში განძეულის მაგიერ მითითებული იყო ქონება; ქრთამის აღება (114-ე მუხ.), ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა (114<sup>1</sup>-ე მუხ.) ახალი კოდექსში გათვალისწინებული იქნა 117-ე და 118-ე მუხლებით; ქრთამის პროვოკაცია (115-ე მუხ.) მოცემული იყო 119-ე მუხლში; სამსახურებრივი სიყალბე (116-ე მუხ.) — 120-ე მუხლში; თანამდებობის პირის მიერ საიდუმლო ცნობების გახმაურება (117-ე მუხ.), — 121-ე მუხლში. თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლებისათვის სავალდებულო ცნობების არადროული წარდგენა (118-ე მუხ.) კი ახალი

სისხლის სამართლის კოდექსით საერთოდ აღარ იყო გათვალისწინებული დამოუკიდებელი სახის თანამდებობრივ დანაშაულად.

რაც შეეხება საქართველოს სსრ 1922 და 1928 წლებში გამოცემულ სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის სისტემაში თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი მუხლების თანმიმდევრობას, იგი შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებდა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას და თანამდებობის პირის ცნებას. 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში კი იგივე ქმედობა გათვალისწინებული იყო 114-ე მუხლში, რომელსაც ასევე თან ახლდა შენიშვნა თანამდებობის პირის ცნების შესახებ; ხელისუფლების გადამეტება (109-ე მუხ.) ახალი კოდექსით გათვალისწინებული იყო 115-ე მუხლით; ხელისუფლების უმოქმედობა (110-ე მუხ.) — 116-ე მუხლით; სამსახურის უგულვებელყოფა (111-ე მუხ.) — 117-ე მუხლით; ხელისუფლების სახელის გატეხვა (112-ე მუხ.) — 119-ე მუხლით; 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედობა, — დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ბოროტად გამოყენება (ხელისუფლების გადამეტება, ხელისუფლების უმოქმედობა, სამსახურებრივი უგულვებელყოფა) 118-ე მუხლში; მოსამართლის მიერ უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების ან დადგენილების გამოტანა (114-ე მუხ.) 120-ე მუხლში; გამომძიებლის ან მომკვლევის მიერ პირის უკანონო მოყვანა ან ჩვენების იძულება (115-ე მუხ.) — 121-ე მუხლში; თანამდებობის პირის მიერ მისთვის სამსახურით მინდობილი ფულის ან ქონების მითვისება ან გაფლანგვა (117-ე მუხ.) — 122-ე მუხლში; ქრთამის აღება (117-ე მუხ.) — 123-ე მუხლში; ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა (117ა მუხ.) — 124-ე მუხლში; ახალი კოდექსის იმავე 124-ე მუხლის შენიშვნაში მოცემული იყო ქრთამის მიმცემისა და მექრთამეობაში შუამავალი პირის განთავისუფლების პირობები. ქრთამის პროვოკაცია (118-ე მუხ.) — 125-ე მუხლში; სამსახურებრივი სიყალბე (119-ე მუხ.) — 126-ე მუხლში; თანამდებობის პირის მიერ საიდუმლო ცნობების გახმაურება (120-ე მუხ.) — 127-ე მუხლში. თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლებისათვის სავეალდებულო ცნობების არადროულ წარდგენას (121-ე მუხ.) ახალი კოდექსი საერთოდ აღარ ითვალისწინებდა.

საქართველოს 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ თანამდებობრივ დანაშაულთა შემადგენლობა თით-

ქმის ასეთივე ცვლილებებით იქნა გადატანილი 1928 წელს გამოცემულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მესამე თავში — „თანამდებობრივი (სამსახურებრივი) დანაშაული“. სრულიად საქართველოს ცაკ-ის 1928 წლის 29 იანვრის დადგენილებით კოდექსი სამოქმედოდ შემოღებული იქნა 1928 წლის 1 მაისიდან. აღსანიშნავია, რომ იგი, საქართველოს 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსისა და რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, არც ერთი სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის არ აწესებდა სასჯელის უმადლეს ღონისძიებას. გარდა ამისა, უფრო დახვეწილი სახით იქნა მოცემული მექრთამეობის ცნება (123-ე მუხ.). ცალკე შემადგენლობად გამოიყო, აგრეთვე, ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა (124-ე მუხ.). ამასთან, ქრთამის მიცემის ასასახველ 124-ე მუხლს დაემატა შენიშვნა, რომელშიც უფრო გამოკვეთილად იყო ნაჩვენები ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავალი პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების პირობები. ქრთამის პროვოკაციის ასასახველ 125-ე მუხლს, ადრე მოქმედი სსკ 118-ე მუხლისაგან განსხვავებით, უკვე აღარ ახლდა შენიშვნა, რომლითაც ქრთამის მიცემს პროვოკაციის შემთხვევაში სასჯელი არ შეეფარდებოდა. ასევე რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად ამოღებული იქნა ადრე მოქმედი სსკ 121-ე მუხლი — თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ორგანოსათვის საჭირო ცნობების არა დროული წარდგენის შესახებ და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მუხლის მეორე ნაწილი. ამასთან ხელისუფლების ბოროტად გამოყენების 118-ე მუხლს დაემატა მესამე ნაწილი და მასში გათვალისწინებული ქმედობისათვის დაწესდა დისციპლინარული სასჯელი.

გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი აგრეთვე თანამდებობრივ დანაშაულთათვის დადგენილ სასჯელებში. მაგალითად, თუ ადრე მოქმედი სსკ-ს 108-ე მუხლის მეორე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ბოროტად გამოყენება ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლები ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით, ახალი სსკ 114-ე მუხლს აღარ ჰქონდა მეორე ნაწილი და იგი საერთოდ ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლები ექვსი თვისა სასტიკი იზოლაციით.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსი აღარ ითვალისწინებდა სასჯელის უმადლესი ზომის

გამოყენებას თანამდებობრივი დანაშაულისათვის. რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე, 114-ე და 117-ე მუხლები კი პირველ ხანებში კვლავ ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებას, მაგრამ სსრკ ცაკ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 31 ოქტომბრის დაგენილებით იგი შეიცვალა თავისუფლების აღკვეთით.

თანამდებობრივ დანაშაულთა საერთო დამახასიათებელი ნიშნების მიუხედავად საქართველოს სსრ სსკ მაინც განსხვავდებოდა რსფსრ სსკ-საგან. მაგალითად, რსფსრ სსკ 109-ე მუხლს ჰქონდა ორი შენიშვნა, საქართველოს სსრ სსკ 114-ე მუხლს კი ახლდა ერთი შენიშვნა და მასში გაერთიანებული იყო ყველა თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები. თუმცა 1928 წლის 1 აგვისტოს საქართველოს სსრ სსკ 114-ე მუხლსაც დაემატა მეორე შენიშვნა, მაგრამ არა პროფკავშირის თანამდებობის პირის ცნების შესახებ, როგორც ეს რსფსრ სსკ 109-ე მუხლს ჰქონდა, არამედ იმ პირთა თანამდებობის პირად ცნობის შესახებ, ვისაც საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში თანამდებობა ეკავა არჩევით; სამსახურის უგულვებელყოფა ანუ სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება გათვალისწინებული იყო ცალკე სსკ 117-ე მუხლით. რსფსრ სსკ 111-ე მუხლში კი გაერთიანებული იყო ხელისუფლების უმოქმედობა და სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება; რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ სსკ 123-ე მუხლის მეორე ნაწილი ქრთამის აღების დამამძიმებელ გარემოებათა შორის კვლავ მოიხსენიებდა „თვალსაჩინო ზიანს, რაც სახელმწიფოს მოუყიდა ან შეიძლება მოსვლოდა ქრთამის აღებით“ და სხვ.

ზოგიერთი სხვაობა იყო აგრეთვე ცალკეული სახის თანამდებობრივ დანაშაულთათვის გათვალისწინებულ სასჯელთა ზომებშიც. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 123-ე მუხლის პირველი ნაწილით ქრთამის აღების მარტივი სახე ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე, რსფსრ სსკ 117-ე მუხლის პირველი ნაწილით კი იგივე ქმედობა ისჯებოდა ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და სხვ.

რსფსრ, საქართველოსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული თანამდებობრივი დანაშაულის მუხლები თითქმის უცვლელად მოქმედებდა მთელი სამი ათეული წლის მანძილზე. საკანონმდებლო ორგანოების

მითითებათა საფუძველზე საზოგადოების განვითარების მიხედვით იცვლებოდა თანამდებობრივ დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის ზომა და ზოგჯერ თვით ამ დანაშაულთა თავში გათვალისწინებული ცალკეული სახის შემადგენლობაც. ასე, მაგალითად, სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 1 აგვისტოს დადგენილებით სსკ 114-ე მუხლს დაემატა მეორე შენიშვნა, რომლითაც საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში თანამდებობაზე მომუშავე პირი კანონის დარღვევის შემთხვევაში პასუხს აგებდა თანამდებობის პირის თანაბრად.

საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს შემდგომი (1928 წლის 18 დეკემბრის, 1929 წლის 28 სექტემბრის, 1930 წლის 6 აპრილისა და 9 ნოემბრის) დადგენილებებით კიდევ უფრო დაიხვეწა და დაზუსტდა სსკ 118-ე მუხლის რედაქცია და გამოყენებული სასჯელის ზომა. სასჯელი—სადისციპლინო გადასახადი შეიცვალა იძულებითი მუშაობით ექვს თვემდე ან თანამდებობიდან დათხოვნით, მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებით ან უამისოდ.

სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 5 ივნისის დადგენილებით თანამდებობრივ დანაშაულთა თავს დაემატა ოთხი მუხლი: სსკ 127<sup>1</sup> მუხლი მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის პირთა მიერ სამსახურის თვითნებობით ვადამდე დატოვების შესახებ; 127<sup>2</sup> მუხლი მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის მიერ სამსახურის წესით გაცემული ბრძანების შეუსრულებლობის შესახებ; 127<sup>3</sup>-ე მუხლით დასჯადად გამოცხადდა იმავე პირთა მიერ ძალადობითი მოქმედებით მეთაურისა და უფროსის შეურაცხყოფა; 127<sup>4</sup>-ე მუხლით კი დასჯადად გამოცხადდა მილიციის საადმინისტრაციო-სამწყობრო შემადგენლობის პირის მიერ საყარაულო ან საბადრაგო სამსახურის წესდების დარღვევა. მაგრამ ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ 1931-1932 წლებში ოთხივე ეს მუხლი ამოღებული იქნა თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან.

საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 28 სექტემბრის დადგენილებით სსკ 118-ე მუხლს დაემატა შენიშვნა, რომლითაც ამ მუხლის მე-2 ნაწილი არ გავრცელდებოდა ისეთი სახის უმნიშვნელო სამსახურებრივ დანაშაულზე, რომლისთვისაც საჭირო იყო სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდება. ამავე დადგენილებით გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი აგრეთვე სსკ

126-ე (სამსახურებრივი სიყალბე) და 127-ე (თანამდებობის პირის მიერ საიღუმლო ცნობების გახმაურება) მუხლებში.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის გაუმჯობესების საქმეში ასევე გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის ცაკ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 25 ივნისის დადგენილებას „რევოლუციური კანონიერების შესახებ“, რომელშიც ყურადღება გამახვილებული იყო თანამდებობის პირთა მიერ სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვა-შესრულებაზე. ამასთან ამ დადგენილებით პროკურატურასა და სასამართლოს დაევალა მკაცრად დაესაჯათ მშრომელთა უფლებების დამრღვევი ყველა თანამდებობის პირი.

სამამულო ომის პერიოდში რსფსრ-სა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებულ თანამდებობრივ დანაშაულთა ამსახველ მუხლებში შეტანილი იქნა ზოგიერთი ცვლილება. კერძოდ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 4 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სსკ-ს დაემატა 126<sup>1</sup>-ე მუხლი თანამდებობის პირის ან საარჩევნო კომისიის წევრის მიერ საარჩევნო დოკუმენტების გაყალბების ან ხმების არასწორად დათვლის შესახებ და ამ ქმედობისათვის დაწესდა სასჯელი თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე. ასევე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 15 იანვრის ბრძანებულებით სსკ-ის 115<sup>1</sup>-ე მუხლს დაემატა თანამდებობის პირების მიერ ორდენებით, მედლებითა და სამკერდე ნიშნებით უკანონოდ დაჯილდოების ან მათი არასწორად შენახვის შესახებ და იგი ისჯებოდა საპატიმროში მოთავსებით ორ წლამდე. მცირეოდენი ცვლილებები იქნა შეტანილი აგრეთვე სსკ 177-ე (სამსახურის უგულვებელყოფა), 122-ე (თანამდებობის პირის მიერ მისთვის სამსახურებრივად მინდობილი ფულის ან ქონების მითვისება ან გაფლანგვა) და 123-ე (ქრთამის აღება) მუხლებში.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობის გაუმჯობესების საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულებას „ამნისტიის შესახებ“, რომელშიც ლაპარაკი იყო საერთოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და მათ შორის ზოგიერთი სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის დაწესებულ სასჯელებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობის გან-



ვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს 1959-1961 წლებში მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსთა მიღება. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 1960 წლის 30 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეოთხე სესიაზე, სამოქმედოდ შემოღებული იქნა 1961 წლის 1 მარტიდან.

ამ კოდექსში თანამდებობრივი დანაშაული მოთავსდა მეშვიდე თავში „თანამდებობრივი დანაშაულის“ სახელწოდებით, ე. ი. თანამდებობრივ დანაშაულთა თავის დასათაურებიდან ამოღებული იქნა სიტყვა „სამსახურებრივი“. დაიხვეწა თანამდებობრივ დანაშაულთა შემადგენლობაც. ამ თავში გათვალისწინებულია მარტოდენ საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაული, კერძოდ, მოცემულია თანამდებობის პირის ცნება (185-ე მუხ.); ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (186-ე მუხ.); ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტება (187-ე მუხ.); დაუდევრობა (188-ე მუხ.); ქრთამის აღება (189-ე მუხ.); ქრთამის მიცემა (190-ე მუხ.) და სამსახურებრივი სიყალბე (191 მუხ.). წინა კოდექსისაგან განსხვავებით არსებითი ცვლილებები იქნა შეტანილი ზემოაღნიშნულ მუხლების როგორც დისპოზიციურ, ისე სანქციის ნაწილში.

ვინაიდან ამ კოდექსით გათვალისწინებულ თანამდებობრივ დანაშაულთაგან შემდგომში მხოლოდ მექრთამეობის მომცველი მუხლებში იქნა არსებითი ცვლილებები შეტანილი, ამიტომ რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით სწორედ ამ მუხლების ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ.

საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში მოთავსებულ მექრთამეობასთან ბრძოლის ამსახველ მუხლებს, ადრე მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, ახასიათებდა შემდეგი თავისებურებანი: ა) ქრთამის აღების ნიშნების განსაზღვრისას მასში მითითებული არ იყო თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის აღება; ბ) აღნიშნული არ იყო, რომ ამა თუ იმ სახის მოქმედების შესრულება და შეუსრულებლობა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ქრთამის მიმცემის ინტერესებთან; გ) მასში შედარებით დახვეწილი სახით იყო გადმოცემული კანონმდებლის აზრი ქრთამის სავანთან დაკავშირებით, კერძოდ: „ამათუ იმ სახით ქონების ან ქონებრივი სარგებლობის მიღება“; დ) მოცემული იყო ქრთამის მიცემისა და მექრ-

თამებაში შუამავლობის კვალიფიციური სახეები (არაერთხელ ქრთამის მიცემა ან ქრთამის მიცემაში შუამავლობა, ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის); ე) კანონმდებელმა დამამძიმებელ გარემოებათა წრიდან გამორიცხა ისეთი გარემოება, რომელიც ცნობილი იყო ადრინდელი კოდექსისათვის, კერძოდ, თვალსაჩინო ზიანი, რაც სახელმწიფოს მოუვიდა ან შეიძლება მოსვლოდა ქრთამის აღებით. ვ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა მხოლოდ ქრთამის მიმცემი, მექრთამეობაში შუამავალზე კი იგი არ ვრცელდებოდა.

ქრთამის აღების მარტივი სახე ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღება — თავისუფლების აღკვეთით ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან მის გარეშე. 190-ე მუხლით ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის მარტივი სახე ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი იგივე ქმედობა — თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებდა ქრთამის მიმცემი პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს და ასეთად მიიჩნევდა ქრთამის მიმცემის ნებაყოფლობით განცხადებას და ქრთამის გამოძლვას.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 20 თებერვლის ბრძანებულებამ, — „მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, — არსებითი ცვლილებები შეიტანა მექრთამეობასთან ბრძოლის მანამდე არსებულ საკანონმდებლო ნორმების კონსტრუქციასა და სასჯელის ზომაში. ამიტომ, ამ ახალი კანონის მიღება არის თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

ზემოაღნიშნული ბრძანებულება უცვლელად იქნა შეტანილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით იგი გათვალისწინებულია 189-ე, 189<sup>1</sup>-ე და 190-ე მუხლებით. ამ ბრძანებულებით გაძლიერდა სანქცია ქრთამის აღების, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის. ხოლო იმ პირთა მიმართ, რომლებიც ქრთამს აიღებენ განსაკუთრებით და-

მამძიმებელ პირობებში, დაწესდა სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვრეტის გამოყენება.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის განვითარების საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ამ ახალი კანონის პრაქტიკაში სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებს, კერძოდ, 1962 წლის 14 მაისის დადგენილებას „მექრთამეობასთან და სახალხო დოვლათის დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, იმავე წლის 31 იელისის დადგენილებას — „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“; სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებას „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“; საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 30 მარტის დადგენილებას „რესპუბლიკაში მექრთამეობასთან ბრძოლის მდგომარეობის და ამ მიმართებით ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“; საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 5 ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1974 წლის 21 დეკემბერს მექრთამეობის სასამართლო პრაქტიკის თაობაზე მიღებულ დადგენილებებს. აგრეთვე საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილებას „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“; საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1 ოქტომბრის დადგენილებას „თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ“; საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 7 დეკემბრის დადგენილებას „სასამართლოების მიერ მექრთამეობის პასუხისმგებლობისათვის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილების — „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, — შესრულების მიმდინარეობაზე და სხვ.

**თანამდებობრივი დანაშაულის ზოგადი სისხლის-  
სამართლებრივი დახასიათება**

ა) თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა კლასიფიკაცია

საქართველოს სსრ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული ყველა დანაშაული, რომელთა ჩადენის სუბიექტი შეიძლება იყოს თანამდებობის პირი, მიღებულია დავით სამ ჯგუფად: 1) საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაული; 2) სპეციალური სახის თანამდებობრივი დანაშაული; 3) თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი სხვადასხვა სახის დანაშაული.

აღნიშნულ კლასიფიკაციას აქვს არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც, რომელიც განსაკუთრებით თავს იჩენს ამ დანაშაულებრივ ქმედობათა კვალიფიკაციის დროს, რადგან სისხლის სამართლის თეორიაში მიღებულია, რომ საერთო და სპეციალური სახის თანამდებობრივ დანაშაულთა ამსახველი ნორმების შეფარდების საკითხი უნდა გადაწყდეს ამ ნორმათა კონკურენციით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როცა თანამდებობის პირთა დანაშაულებრივი ქმედობა შეიცავს რომელიმე საერთო თანამდებობრივი დანაშაულისა და სპეციალური სახის დანაშაულის ნიშნებს, მაშინ ეს დანაშაულებრივი ქმედობა საჭიროა დაკვალიფიცირდეს ერთ-ერთი მათგანით და არა ამ მუხლების ერთობლიობით, კერძოდ კი მარტოდენ სპეციალური სახის თანამდებობრივი დანაშაულის მომცველი მუხლით. მაგალითად, როგორც ცნობილია, თანამდებობრივი დანაშაულის სპეციალური სახე — ჩვენების მიცემის იძულება (195-ე მუხ.) თავისთავად შეიცავს თანამდებობრივ დანაშაულთა თავში გათვალისწინებულ ისეთი ქმედობის ნიშნებსაც, როგორიცაა — „ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“ (186-ე მუხ.), მაგრამ ამ დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს არა ამ მუხლების ერთობლიობით, არამედ მარტოდენ ამ სპეციალური სახის დანაშაულის — ჩვენების მიცემის იძულების მუხლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორად უნდა ჩაითვალოს სასამართლო პრაქტიკაში შემჩნეული ისეთი შემთხვევები, როცა თანამდებობის პირთა ასეთ ქმედობას აკვალიფიცირებენ სპეციალური დანაშაულის ამსახველი მუხლითა და თანამდებობრივ დანაშაულთა მუხლით. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ტ. მსჯავრდადებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 160-ე მუხლითა და სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით იმისათვის, რომ იმ საწარმომ, რომლის ხელმძღვანელიც ის იყო, გამოუშვა 5469 მანეთის არასტანდარტული პროდუქცია. ამ შემთხვევაში ტ.-ს ქმედობის კვალიფიკაცია სსკ 186-ე მუხლით საჭირო აღარ იყო, რადგან სსკ 160-ე მუხლი მთლიანად მოიცავს მისი ქმედობის ნიშნებს.

დასახელებული კლასიფიკაციიდან ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეშვიდე — „თანამდებობრივი დანაშაული“-ს თავში გათვალისწინებული ისეთი დანაშაული, როგორიცაა: ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (186-ე მუხ.); ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (187-ე მუხ.); დაუდევრობა (188-ე მუხ.); მექრთამეობა — ქრთამის აღება (189-ე მუხ.); მექრთამეობაში შუამავლობა (189<sup>1</sup>-ე მუხ.); ქრთამის მიცემა (190-ე მუხ.); სამსახურებრივი სიყალბე (191-ე მუხ.).

ამ საერთო სახის თანამდებობრივ დანაშაულთა გარდა ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანამდებობრივ დანაშაულთა თავში მოთავსებულია, აგრეთვე, ისეთი შემადგენლობა, როგორიცაა: ქრთამის პროვოკაცია (უკრაინის სსრ სსკ 171-ე მუხ.), წამატება და სხვა დამახინჯება გეგმის შესრულების ანგარიშგებაში (უზბეკეთის სსრ სსკ 149<sup>1</sup>-ე მუხ., აზერბაიჯანის სსრ სსკ 172<sup>1</sup>-ე მუხ., ესტონეთის სსრ - სსკ 166<sup>1</sup>-ე მუხ.); ხელისუფლების სახელის გატეხვა (ყაზახეთის სსრ სსკ 149-ე მუხ.); თანამდებობის პირის მიერ საიღუმლო ცნობების გახმაურება (აზერბაიჯანის სსრ სსკ 173-ე მუხ., ლატვიის სსრ სსკ 167-ე მუხ., სომხეთის სსრ სსკ 189-ე მუხ., ესტონეთის სსრ სსკ 167-ე მუხ.); ბიუროკრატიზმი და გაჭიანურება გამოგონებისა და რაციონალურ წინადადებათა დანერგვისათვის (სომხეთის სსრ სსკ 188-ე მუხ.); ყაზახეთის სსრ სსკ 245-ე მუხლით კი დაუდევრობა და უმოქმედობა ერთ მუხლშია გაერთიანებული.

თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ზემოთ ჩამოთვლილ ქმედობათა შეტანა, ბიუროკრატიზმის გარდა, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია იმითაც, რომ მათი ჩადენა ყველა თანამდებობის პირს არ შეუძლია. მაგალითად, წამატება და სხვა დამახინჯება გეგმის შესრულების ანგარიშგებაში შეუძლია ჩაიდინოს მხოლოდ სპეციალურმა თანამდებობის პირმა და სხვ.

ფორმალიზმი, საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი ერთ-ერთი საშიში ქმედობაა, რომელიც უპირველესად ხელს უშლის სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, სახელმწიფო აპარატისა და მართვის სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას და ცალკეულ მოქალაქეთათვის კანონით მინიჭებულ უფლებათა განხორციელებას. იგი ასევე ერთ-ერთი ხელშემწყობი წინაპირობაა ისეთი ბინძური დანაშაულის ჩადენისა, როგორცაა მექრთამეობა, გამოძალვა, თაღლითობა და სხვ.

ისევე, როგორც სხვა საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაული, ბიუროკრატიზმი ხელყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სწორ, ნორმალურ მუშაობას, მის ავტორიტეტსა და ღირსებას. მისი ჩადენის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი. ამ ნიშნებით ბიუროკრატიზმი მიეკუთვნება საერთო სახის თანამდებობრივ დანაშაულთა რიცხვს და, ჩვენი აზრით, იგი გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსით თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ცალკე დანაშაულებრივ ქმედობად ან დაემატოს და გაერთიანდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლში, რომელიც თავისი იურიდიული ბუნებით უფრო ახლოს დგას ბიუროკრატიზმთან და ამ მუხლს ეწოდოს „თანამდებობრივი დაუდევრობა და ბიუროკრატიზმი“.

სისხლის სამართლის კოდექსით ბიუროკრატიზმის დანაშაულებრივ ქმედობად აღიარება არამც თუ ეწინააღმდეგება პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, არამედ პირდაპირ გამომდინარეობს მისგან. იგი, შეიძლება ითქვას, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლენინური პრინციპების ერთ-ერთი აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის სწორედ ასეთ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვდა ვ. ი. ლენინი დ. ი. კურსკისადმი გაგზავნილ წერილში, რომლითაც იუსტიციის სახალხო კომისარიატს ავულებდა: „მიღწეულ იქნეს დამნაშავეთა შერცხვენა პრესაშიც და სასტიკი სასჯელითაც; ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით მოსა-

მართლებს მოვთხოვოთ, რომ საქმის გაჭიანურებას უფრო სასტიკად სჯიდნენ<sup>1</sup>.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერებისა და მისი აღმოფხვრისათვის საკმარისი არაა მარტოოდენ პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა გატარება. საჭიროა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში საქმის გაჭიანურების, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი სპეციალური ნორმის შემოღება, რადგან როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის „ბიუროკრატები მარჯვენი არიან, მათგან ბევრი არამზადა უღიდესი გაიძვერაა. შიშველი ხელებით მათ ვერაფერს დააკლებ“<sup>2</sup>.

ფორმალიზმის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის დასჯადად გამოცხადება, კომპლექსური ხასიათის სხვა ქმედით ღონისძიებებთან ერთად, ხელს შეუწყობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემიდან, ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებიდან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და მეურნეობის ყველა რგოლიდან მის სამუდამოდ და საბოლოოდ აღმოფხვრას<sup>3</sup>. ამავ დროს ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად, მის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მტკიცე, თანამიმდევრული ბრძოლის წარმოება და როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის „საჭიროა ასობით ღონისძიებათა“ გატარება.

ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს მარტოოდენ საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაული, ე. ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის „თანამდებობრივი დანაშაულის“ მეშვიდე თავში მოთავსებული დელიქტები. ამიტომ ჩვენ არ შევვებით სპეციალური სახის თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი ნორმების სისხლის სამართლებრივ დახასიათებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამდებობრივ დანაშაულთა თავში შეტანილია აგრეთვე ქრთამის მიცემა (190-ე მუხ.) და მექრთამეობაში შუამავლობა (1891-ე მუხ.). მართალია, ორივე ეს დანაშაული თავისი სუბიექტური ნიშნით საერთო თანამდებობრივ დანაშაულს არ მიეკუთვნება (რადგან მათი ჩადენის სუბიექტი შეიძლება იყოს

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 552—553.

2 იქვე, გვ. 521.

3 უფრო ვრცლად იხ. შ. ფაფიაშვილი, „ფორმალიზმი და საქმის გაჭიანურება დანაშაული“, თბილისი, 1982 წ.

როგორც თანამდებობის, ისე გარკვეულ ასაკს მიღწეული ყველა შე-  
რაცხადი პირი), მაგრამ თითოეული მათგანი ისე მჭიდროდაა და-  
კავშირებული მექრთამეობის მთავარ ფიგურასთან — ქრთამის ამ-  
ლებთან (რომლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებო-  
ბის პირი), რომ კანონმდებელმა საჭიროდ მიიჩნია მათი მოთავსება  
თანამდებობრივი დანაშაულის თავში, რადგან ქრთამის მიცემა, აღე-  
ბა და მექრთამეობაში შუამავლობა საბოლოოდ ერთ მთლიანობაში  
ქმნიან რთული ერთიანი სახის დანაშაულს — მექრთამეობას.

მექრთამეობა ყოველთვის დაკავშირებულია დანაშაულებრივი  
ქმედობის ორ აქტთან: ქრთამის მიცემა-აღებასთან და, მაშასადამე,  
ამ დანაშაულის ჩამდენ ორ მხარესთან — ქრთამის მიმცემსა და  
ქრთამის ამლებთან, ზოგჯერ კი მესამე — მექრთამეობაში შუამავა-  
ლი პირის მოქმედებასთან.

ქრთამის მიცემის გარეშე არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს  
ქრთამის აღებას, რადგან იმისათვის, რომ თანამდებობის პირმა სის-  
რულეში მოიყვანოს თავისი დანაშაულებრივი განზრახვა — აიღოს  
ქრთამი, საჭიროა არსებობდეს ქრთამის მიმცემი, რომლისგანაც მან  
უნდა მიიღოს ქრთამის საგანი. ქრთამის აღება, როგორც დამთავ-  
რებული დანაშაულებრივი ქმედობა, არ შეიძლება განხორციელდეს  
ქრთამის მიმცემის მონაწილეობის გარეშე. ქრთამის ამლები თანამ-  
დებობის პირი ქრთამს იღებს ან უშუალოდ ქრთამის მიმცემისაგან,  
ან მექრთამეობაში შუამავალი პირის დახმარებით.

ამრიგად, ქრთამის მიცემა-აღება და მექრთამეობაში შუამავ-  
ლობა არის რთული, ერთიანი დანაშაულებრივი ქმედობა, რომე-  
ლიც ქმნის თვით მექრთამეობის ცნებას. იგი მოიცავს: ქრთამის  
მიცემას, მექრთამეობაში შუამავლობას და ქრთამის აღებას. ამი-  
ტომ, მათი მოთავსება თანამდებობრივ დანაშაულთა თავში სრუ-  
ლიად გამართლებულია. ვფიქრობთ, კანონმდებელი სწორედ მათ  
ამ სპეციფიკურობას ითვალისწინებდა, როცა ქრთამის მიცემასა და  
მექრთამეობაში შუამავლობას თანამდებობრივ დანაშაულთა თავში  
ათავსებდა.

ამიტომ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ კრიმინალისტების (ვ. ფ. კი-  
რიჩინკოს, მ. დ. ლისოვის, ა. სვეტლოვის და სხვ.) შეხედულებას,  
რომლებიც თეორიულად დაუსაბუთებლად მიიჩნევენ ქრთამის მი-  
ცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის მოთავსებას თანამდებო-  
ბრივი დანაშაულის თავში. მათი აზრით, ამ დანაშაულებრივ ქმედო-  
ბათა შეტანა თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ეწინააღმდეგება



თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის ცნების კანონმდებლობისეულ განმარტებას. მაგრამ, ამასთან დაკავშირებით, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ცალკეულ თავებად დაყოფასა და მათში ნორმების განლაგებას საფუძვლად უდევს მათი გვაროვნული ობიექტის ერთიანობა და არა სუბიექტისა. სწორედ დანაშაულის ხელყოფის ობიექტია ის ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშანი, რომლის საფუძველზე აგებულია საერთოდ საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის კანონმდებლობის სისტემა. ამის შესაბამისად, ცხადია, სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ თავებსა და მათ შორის „თანამდებობრივი დანაშაული“-ს თავში ცალკეული ნორმების გაერთიანების მთავარი, გადამწყვეტი საფუძველია ამ დანაშაულებრივ ქმედობათა ხელყოფის ობიექტთა ერთიანობა და არა სუბიექტი.

ამრიგად, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემაში თანამდებობრივ დანაშაულთა ცალკე თავად გამოყოფასა და მასში ცალკეული სახის დელიქტების მოთავსებას საფუძვლად უდევს ამ დანაშაულებრივ ქმედობათა ხელყოფის გვაროვნული ობიექტი და არა სუბიექტი. ამდენად, თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ქრთამის მიცემისა (190-ე მუხ.) და მექრთამეობაში შუამავლობის (1891-ე მუხ.) მოთავსება, რომელთა სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც კერძო, ისე თანამდებობის პირი, მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით გამართლებულია, რადგან მათი ხელყოფის გვაროვნული ობიექტი იგივეა, რაც ქრთამის აღებისა, კერძოდ, სახელმწიფო აპარატის სწორი, ნორმალური მუშაობა, მისი ავტორიტეტი და ღირსება.

## **ბ) თანამდებობრივი დანაშაულის ცნება**

თანამდებობრივი დანაშაულის ცნების სწორ განმარტებაზე ბევრადაა დამოკიდებული თანამდებობრივი დანაშაულის არსის სწორი გაგება და ცალკეული სახის თანამდებობრივ დანაშაულთა არსის მართებული ახსნა.

თანამდებობრივი დანაშაულის ცნების ესოდენ დიდი მნიშვნელობით უნდა აიხსნას თანამდებობრივი დანაშაულის პრობლემების დამუშავებით დაინტერესებული ყველა ავტორის ცდა — მოეცა მი. ს. სწორი განმარტება. ასე, მაგალითად, ა. ტრაინინის, ა. ესტრინის, ა. ჟიჟილენკოს, ა. გიუნტერის და სხვათა ადრინდელ შრომებში,

საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში თანამდებობრივი დანაშაული უადრესად ფართოდ იყო გაგებულნი. იგი განმარტებული იყო როგორც ყოველგვარი მოქმედება ან უმოქმედობა, რომლითაც თანამდებობის პირი, სახელმწიფო მანქანის ჯანჭიკი, ეწინააღმდეგება თავის მოვალეობას; როგორც თანამდებობის პირის ხელყოფა სახელმწიფო (საზოგადოებრივი) სამსახურის სწორად მიმდინარეობაზე, რომლის შემსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი (ა. ტრაინინი); მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა (ა. ა. ჟიეილენკო); როგორც თანამდებობის პირის სამსახურებრივი საქმიანობა (ა. გიუნტერი). ჩვენი აზრით, თანამდებობრივი დანაშაულის ცნების განმარტების მთავარი ამოსავალი ხელყოფის ობიექტში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თანამდებობრივ დანაშაულთა ცნების განმარტებაში მიეუთითოთ მარტოოდენ ხელყოფის ობიექტზე და არაფერი ვთქვათ დანაშაულის შემადგენლობის სხვა ძირითად ნიშნებზე. ვფიქრობთ, არც ისა სწორი, რომ ზოგიერთი ავტორი (მაგალითად, ნ. ს. ლეიკინა, ა. ვ. კუზნეცოვა, მ. დ. ლისოვი, ვ. ა. ვლადიმიროვი და სხვ.) ცდილობს თანამდებობრივი დანაშაულის ცნებაში შეიტანოს მითითება, რომ მას არსებითი ზიანი მოაქვს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების ან კანონით დაცული მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესებისათვის. თანამდებობრივი დანაშაულის ცნებაში ამ ნიშნებზე მითითება, ჩვენი აზრით, არასწორია, რადგან ასეთი შედეგის დადგომა თანამდებობრივ დანაშაულთა თავში გათვალისწინებულ ყველა დელიქტისათვის არაა დამახასიათებელი. მაგალითად, არსებითი ზიანის მიყენება სრულიადაც არაა დამახასიათებელი მექრთამეობისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებიდან თანამდებობრივ დანაშაულთა ცნება მოცემულია მხოლოდ ორი რესპუბლიკის — უკრაინისა და უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსში. მაგალითად, უკრაინის სსრ სსკ 164-ე მუხლით თანამდებობრივ დანაშაულად აღიარებულია თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით განპირობებულ მოვალეობათა დარღვევა, რომელმაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან მოქალაქეთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს.

ანალოგიური განმარტება მოცემულია უზბეკეთის სსრ სსკ

148-ე მუხლში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მასში „სამსახურებრივი მდგომარეობის“ ნაცვლად მითითებულია „თანამდებობრივი მდგომარეობა“.

ჩვენი აზრით, ორივე განმარტება არასრულია და გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს, რადგან, ჯერ ერთი, თანამდებობრივი (სამსახურებრივი) მდგომარეობა შეიძლება გავიგოთ ორგვარად: როგორც თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის წრისა და მისი მოქმედების სფეროს გაფართოება — თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენება, და როგორც მისი გამიჯვნა სხვა სამსახურებრივ დანაშაულთაგან. მაგალითად, ამ კონცეფციით, თუ „თანამდებობრივ მდგომარეობას“ ფართოდ გავიგებთ, მაშინ თანამდებობის პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს არა მარტო თავის თანამდებობრივ ფუნქციებში შემავალი ქმედობისათვის, არამედ მაშინაც, როცა იგი თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით, ავტორიტეტითა და ნაცნობობით გავლენას ახდენს სხვა თანამდებობის პირზე და ეს უკანასკნელი მის საპატივეცემოდ და საამებლად შეასრულებს რაიმე სახის დანაშაულებრივ ქმედობას. მაგრამ, ცხადია, ასეთი ქმედობა არ შეიძლება თანამდებობრივ დანაშაულთა რანგში ავიყვანოთ და სისხლის სამართლის კანონით დასჯადად გამოვაცხადოთ, რადგან ამით ერთობ ფართოვდება თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტთა წრე. ასეთი თანამდებობის პირი შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს სხვა თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულის წაქეზებისათვის, თუ მან ნამდვილად თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან თავისი გავლენითა და ავტორიტეტით წააქეზა მეორე თანამდებობის პირი შეესრულებინა თავის სამსახურებრივ მოვალეობაში შემავალი დანაშაულებრივი ქმედობა.

თანამდებობრივი დანაშაულის შემადგენლობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა თანამდებობის პირი ასეთ დანაშაულებრივ ქმედობას — მოქმედებას ან უმოქმედობას ასრულებს თავის თანამდებობრივ ან სამსახურებრივ ფუნქციებში შემავალ სფეროში, როცა იგი ასეთ დანაშაულებრივ ქმედობას ჩაიდენს თავის სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამდებობრივ დანაშაულთა ცნებაში „თანამდებობრივი მდგომარეობის“ მაგიერ მითითებული იქნეს „თანამდებობრივ მოვალეობათა სფეროში ჩადენილ ქმედობაზე“.

მეორე, აღნიშნული განმარტება არ არის სრული, რადგან

იგი არ მოიცავს ყველა საერთო სახის თანამდებობრივ დანაშაულს და ამ განმარტების გარეთ რჩება ისეთი თანამდებობრივი დანაშაული, როგორცაა მექრთამეობა — ქრთამის აღება (189-ე მუხ.), მექრთამეობაში შუამავლობა (189<sup>1</sup>-ე მუხ.), ქრთამის მიცემა (190-ე მუხ.) და სამსახურებრივი სიყალბე (191-ე მუხ.).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკანონმდებლო წესით იქნეს რეგლამენტირებული და სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის თანამდებობრივი დანაშაულის თავს დაემატოს თანამდებობრივი დანაშაულის ცნების ამსახველი მუხლი შემდეგი რედაქციით: თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ რ ი ვ და ხ ა შ ა უ ლ ა დ ი თ ვ ლ ე ბ ა თ ა ხ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს პ ი რ ი ს მ ი ე რ თ ა ვ ი ს ი სამსახურებრივი მოვალეობის სფეროში ჩადენილი ისეთი საზოგადოებრივად საშიში განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის სწორ, ნორმალურ საქმიანობას.

გ) თანამდებობრივი დანაშაულის იურიდიული შემადგენლობა. როგორც ცნობილია, ყოველი დანაშაულის შემადგენლობის არსის დადგენის გასაღები უნდა ვეძიოთ მისი ხელყოფის ობიექტში, რადგან, ჯერ ერთი, უმთავრესად, ხელყოფის ობიექტში მქლავნდება დანაშაულებრივი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და, მეორეც, არ არსებობს ისეთი დანაშაული, რომელიც ზიანს არ აყენებდეს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ამას ემატება ისიც, რომ საკითხი თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტის შესახებ, როგორც სწორად აღნიშნავდა ბ. უტევესკი 1948 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ზოგადი მოძღვრება თანამდებობრივ დანაშაულზე“, საინტერესოა არა მარტო თანამდებობრივი დანაშაულის იურიდიული ანალიზის, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რადგან დანაშაულის ობიექტის მიღმა იმალება მისი კლასობრივი და პოლიტიკური მიმართულება.

დანაშაულის ხელყოფის ობიექტის დადგენას, მის სწორად განსაზღვრას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის დადგენისა და სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ერთიანი, მყარი სისტემის შექმნისათვის.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის გახვითარების აღრინდელ ეტაპზე თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტად მიჩნეული იყო იდეალური საზოგადოებრივი სიკეთის დარღვევა. მაგალითად, ამ მოსაზრებას ანვითარებდა ზ. პოზნიშევი 1923 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის მეცნიერების ძირითადი საწყისების ნარკვევებში (გვ. 164). ცოტა მოგვიანებით მ. კოჟენიკოვმა, ნ. ლაგოვიერმა და ა. უილიენკომ წამოაყენეს აზრი, რომლითაც თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტად მიიჩნევდნენ მოსამსახურეთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის, სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევას. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტის შესახებ ასეთმა შეხედულებამ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ფართო აღიარება ვერ მოიპოვა და იგი თავიდანვე სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული თანამდებობრივი დანაშაულის საკითხებისადმი მიძღვნილ მ. ნ. ბლუმის, მ. მ. კისენიშკის, ვ. პ. ანპილოვოვას, ა. ბ. სახაროვის, ნ. პ. კუჩერიავის და სხვათა საღისერტაციო ნაშრომებსა და მონოგრაფიებში.

ა. ა. პიონტკოვსკიმ და მ. ისაევმა 1928—1929 წლებში გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში წამოაყენეს აზრი, რომლის მიხედვით თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტად მიჩნეული იქნა „საბჭოთა სახელმწიფო აპარატი“. მაგრამ თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტის ასეთი ზოგადი სახის განმარტებამაც ვერ მოიპოვა ფართო აღიარება, რადგან, ჯერ ერთი, მთლიანად სახელმწიფო აპარატი არ შეიძლება იყოს თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტი და მეორეც, იგი სრულიადაც ვერ ხსნიდა იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსს, რომელსაც ხელყოფს თანამდებობრივი დანაშაული სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში.

1939 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სახელმძღვანელოში ა. ტრაინინმა თანამდებობრივი დანაშაულის გვაროვნულ ობიექტად მიიჩნია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სწორი, სოციალისტური მშენებლობის ინტერესების შესაბამისი საქმიანობა. ა. სახაროვმა კი 1953 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტის საკმაოდ ვრცელ და საინტერსო განმარტებაში მთავარი ყურადღება იმაზე გადაიტანა, რომ იგი ხელყოფს „საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ხელშეუვალ ხარისხს“.

თანამდებობრივი დანაშაულის ხელყოფის ობიექტის ცნებაში ასეთი სიახლის შეტანამ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვაობა გამოიწვია და, შეიძლება ითქვას, აღიარება ვერ მოიპოვა. საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში უფრო ფართო გავრცელება პოვა შეხედულებამ, რომლითაც თანამდებობრივ დანაშაულთა გვაროვნულ ობიექტად მიჩნეულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სწორი, ნორმალური მუშაობა და მისი ავტორიტეტი.

საბჭოთა სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში გარკვეული აზრთა სხვაობა არსებობს აგრეთვე თანამდებობრივი დანაშაულის უშუალო ობიექტის შესახებ. მაგალითად, ავტორთა ერთი ნაწილი (ვ. ა. ანპილოგოვა, ე. ე. ნეკრასოვა, ხ. ბ. შეინინი, ნ. პ. კუჩერიავი, ა. ნ. სტრუჩკოვი, ა. ბ. სახაროვი, ი. ა. გელფანდი, ა. ნ. ზუბრილოვი, ს. ვ. ვოლკოვი, ს. ვ. ბაკლანოვი, ა. ფ. ოსპინიკოვი, ა. ნ. კვიწინია და სხვ.) თანამდებობრივი დანაშაულის უშუალო და გვაროვნულ ობიექტს ერთიმეორესთან აიგივებს, მეორენი კი (ბ. ს. უტევესკი, მ. დ. ლისოვი, ბ. ვ. ზღრავეომისლოვი, ვ. ფ. კირიჩენკო, ა. ვ. გალახოვა, ვ. მელნიკოვა, ა. ი. სვეტლოვი და სხვ.) თანამდებობრივი დანაშაულის უშუალო ობიექტის გაიგივებას გვაროვნულ ობიექტთან არასწორად მიიჩნევენ. ეს უკახასკენელი მოსაზრება, ჩვენი აზრით, უფრო სწორი და ლოგიკურია.

თანამდებობრივი დანაშაულის უშუალო ობიექტია ის კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობა, იმ საწარმო-დაწესებულების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სწორი, ნორმალური საქმიანობა ან ცალკეულ მოქალაქეთა კანონით დაცული ის უფლებები და ინტერესები, რომლებსაც ხელყოფს თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი ფუნქციების დარღვევით.

ობიექტური მხრივ ზოგიერთი სახის თანამდებობრივი დანაშაული, როგორც ეს თვით ამ მუხლების დისპოზიციურ ნაწილშია მითითებული, შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ თანამდებობის პირის აქტიური მოქმედებით. მაგალითად, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (187-ე მუხ.) და სამსახურებრივი სიყალბე (191-ე მუხ.), სხვა დანარჩენი სახის თანამდებობრივი დანაშაული, კერძოდ, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (186-ე მუხ.), დაუდევრობა (188-ე მუხ.) და მექრთამეობა (189-ე და 190-ე მუხლები) შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც აქტიური მოქმედებით,

ისე პასიური ქცევითაც. რაც შეეხება მექრთამეობაში შუამავლობას, იგი შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ მექრთამეობაში შუამავალი პირის აქტიური მოქმედებით.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში აზრთა სხვაობა არსებობს იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნას გაგებულნი თანამდებობის პირის საზოგადოებრივად საშიში ქმედობის (უმოქმედობის) ცნებაში. ავტორთა ერთი ჯგუფის წარმომადგენელთა (მ. დ. ლისოვი, ვ. ფ. კირიჩენკო და სხვ.) სწორი მოსაზრებით, თუ თანამდებობის პირი იღენს რაიმე სახის დანაშაულებრივ ქმედობას იმ საწარმო-დაწესებულებაში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, სადაც თვითონ არ მუშაობს, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც თანამდებობრივი დანაშაული, რადგან, მათი აზრით, იგი სხვა არა არის რა, თუ არა იმ საწარმო-დაწესებულების თანამდებობის პირის წაქეზება დანაშაულის ჩადენაში. ავტორთა მეორე ჯგუფის წარმომადგენლები (ბ. ს. უტევსკი, ა. ბ. სახაროვი, ბ. ვ. ზდრავომისლოვი, ა. ი. სვეტლოვი და სხვ.) კი ანვითარებენ აზრს, რომლითაც ცალკეულ შემთხვევაში თანამდებობრივი დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოვალეობების ფარგლებს გარეთაც, თავისი სამსახურებრივი კავშირის, სამსახურებრივი გავლენისა და ავტორიტეტის გამოყენებით.

ეს უკანასკნელი მოსაზრება, ჩვენი აზრით, სადავოა. არ შეიძლება ესოდენ უსაზღვროდ გავაფართოოთ თანამდებობის პირის მოქმედების სფერო და თანამდებობრივ დანაშაულად მივიჩნიოთ თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის გარეთ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობაც. თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი ასეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობების წრე არ შეიძლება გასცილდეს მათ სამსახურებრივ ფუნქციებს. ვფიქრობთ, ასეთივე აზრია ჩაქსოვილი საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლში, რომლის თანახმად თანამდებობრივ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს თანამდებობის პირთა მხოლოდ ისეთი საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა, რომელთა შესრულებაც მიმართულია მათ „სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ“. ამ შემთხვევაში, მართალია, კანონის ტექსტის რედაქცია მთლად მოხერხებული არ არის (სჯობდა მასში მითითებული ყოფილიყო არა „სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ“ ქმედობაზე, არამედ მის სამსახურებრივ მოვალეობათა სფეროში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობაზე). მაგრამ აქედანაც ნათლად ჩანს, რომ თანამდებობის

პირის ასეთი დანაშაულებრივი ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა) არ უნდა სცილდებოდეს მის სამსახურებრივ მოვალეობათა წრეს. ამიტომ თანამდებობრივი დანაშაულის შემადგენლობას ადგილი არ ექნება და, მაშასადამე, თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემა თანამდებობის პირი მისი სამსახურებრივი მოვალეობის, მისი სამსახურებრივი ფუნქციების გარეთ, თანამდებობრივი მდგომარეობის, მისი ავტორიტეტითა და გავლენით აღმოცენებული დანაშაულებრივი ქმედობისათვის. სასამართლო პრაქტიკაც ასეთსავე სწორ პოზიციასზე დგას. მაგრამ, ცხადია, ეს არ შეიძლება კიდევ უფრო განვრცობითად გავიგოთ და თანამდებობრივი დანაშაულის შემადგენლობა გამოვრიცხოთ იმ შემთხვევაშიც, როცა თანამდებობის პირმა თავის სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს, სამსახურებრივ მოვალეობათა ფარგლებში, ჩაიდინა ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომლის შესრულებაც მას სხვა შემთხვევაში, შეეძლო თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების გარეშეც.

ზოგიერთი სახის თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტურა მხარის აუცილებელ ნიშნად და, მაშასადამე, თანამდებობრივი დანაშაულის იურიდიული შემადგენლობის ერთ-ერთ სავალდებულო ნიშნად კანონში მითითებულია, თუ თანამდებობის პირის ასეთმა ქმედობამ რა არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამიტომ, ისეთი სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის, როგორცაა: ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (186-ე მუხ.), ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეშება (187-ე მუხ.), დაუღვევრობა (188-ე მუხ.), არ შეიძლება თანამდებობის პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს, თუ მისი ასეთი ქმედობით არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი არ მიაღწა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. თუ თანამდებობის პირმა, მართალია, შეასრულა სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ქმედობა, მაგრამ ამით არსებითი ან მნიშვნელოვანი ზიანი არ მიაღწა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, მაშინ იგი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც საზოგადოებრივად საშიში დასჯადი ქმედობა. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს



დისციპლინარულ გადაცდომას და არა თანამდებობრივ დანაშაულს.

არსებითი ზიანის ცნებაში, როგორც ზემოაღნიშნული სახის თანამდებობრივ დანაშაულთა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი, უნდა გავიგოთ არა მარტო მატერიალური ზიანის დადგომა, არამედ აწამატერიალური ხასიათის ზიანიც. ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის მიყენებულ არსებითი ზიანის ცნებაში გაგებულია არა მარტო პირდაპირი ფორმით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაკარგვა მიყენებული მატერიალური ზიანის სახით, არამედ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ცალკეული საწარმო-დაწესებულებების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის იმ სარგებლობის მიღების ხელიდან გაშვებაც, რაც მათ სხვა შემთხვევაში თანამდებობის პირის სწორი სამსახურებრივი მოქმედებით (უმოქმედებით) უნდა მიეღოთ.

თანამდებობრივი დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია არსებობდეს, აგრეთვე, მიზეზობრივი კავშირი თანამდებობის პირის მოქმედებასა (უმოქმედობასა) და დამდგარ შედეგს შორის, რადგან იგი ამ კატეგორიის დანაშაულთა ობიექტური მხარის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი თანამდებობის პირი. ამ საერთო წესიდან გამონაკლისია ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა, რომელთა სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის, ისე გარკვეულ ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის საკითხი საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა. მის სწორად გადაწყვეტას აქვს არა მარტო წმინდა თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული და პოლიტიკური მნიშვნელობაც, რადგან პარტიის ლენინური პოლიტიკის ცხოვრებაში სწორად გატარება ბევრად და მოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებენ თანამდებობის პირები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ამასთან, თავისი შედეგებით ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თანამდებობრივი დანაშაულისათვის დავსჯით მარტოდენ თანამდებობის პირებს, თუ ანალოგიურ ქმედობათა ჩამდენ არათანამდებობის პირებსაც, რადგან მათი უმართებულო დასჯა იწვევს

სასამართლო სტატისტიკის დამახინჯებასაც. ამიტომ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით მაინც არ შევჩერდეთ ამ მეტად საკირობო-ტო პრობლემაზე. მით უმეტეს, რომ ამა თუ იმ პირის თანამდებობის პირად აღიარების და, მაშასადამე, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად ცნობის საკითხი ჯერ კიდევ ერთნაირად არაა გადაწყვეტილი სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში. თუმცა იგი ყოველთვის იყო და არის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის ირგვლივ არსებობს აზრთა სხვაობა. ასევე ერთნაირად არაა გაგებული იგი სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში. უფრო მეტიც, დღემდე სადავოა საკითხი იმის შესახებ, თანამდებობის პირის ცნება ტოლფარდოვანია თუ არა თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტის ცნებისა, ან თანამდებობის პირის ცნება ერთიანი უნდა იყოს თუ არა საბჭოთა სისხლის სამართლის ყველა დარგისათვის, თუ თითოეულ მათგანს თავისი სპეციფიკის მიხედვით უნდა ჰქონდეს შემუშავებული თანამდებობის პირის განსაკუთრებული ცნება?

იურიდიულ ლიტერატურაში გატარებულია აზრი, რომლითაც ერთი და იგივე თანამდებობის პირი მიჩნეული არაა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის თანამდებობრივი დანაშაულის თავში გათვალისწინებული ყველა დანაშაულის შესაძლო სუბიექტად. ამ მოსაზრების შესაბამისად, ავტორთა ერთი ჯგუფი (ა. ა. ჟივილენკო, ა. ტრაინინი, ბ. უტევსკი, მ. ბლუმი, ვ. ანპილოგოვა და სხვ.) თანამდებობრივ დანაშაულთაგან სუბიექტის მიხედვით ცალკე გამოყოფენ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას და მათ შესაძლო სუბიექტად მიიჩნევენ არა ყველა თანამდებობის პირს, არამედ მხოლოდ იმათ, ვინც მეტ-ნაკლები მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი ან რომლებიც ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ საწარმო-დაწესებულებას. ამასთან, ისინი ავითარებენ აზრს, რომლითაც თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის ცნება თანამდებობის პირის ცნებაზე ფართოდაა მიჩნეული.

ზოგი ავტორის აზრით კი (ლ. ბერეკაშვილი, ვ. შერბინინი, ლ. მარიუპოლსკი, მ. იაკუბოვიჩი და სხვ.) ქრთამის აღების სუბიექტის ცნება სხვა სახის თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის პირთა

წრეზე ფართოა. აქედან გამომდინარე, ლ. ბერეკაშვილი გეთავაზობს ქრთამის ალების სუბიექტად ვცნოთ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მყოფი ყველა მოსამსახურე. მისი აზრით, 1922 წლის რსფსრ სსკ უფრო სწორად წყვეტდა თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტისა და მექრთამეობის სუბიექტის პრობლემას.

ბ. ს. გრიშინი 1959 წელს უურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრაეო“-ში (№ 12) გამოქვეყნებულ სტატიაში — „მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“, ასევე, მოითხოვს საკანონმდებლო წესით იქნას რეგლამენტირებული, რომ მექრთამეობისათვის შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს სახელმწიფო აპარატის ნებისმიერი მოსამსახურე, მიუხედავად იმისა, თუ რა მოვალეობას ასრულებს იგი.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტთა წრის გაფართოებას გეთავაზობს აგრეთვე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ქურდაძე უურნალ „საბჭოთა სამართალში“ (№ 6, 1979 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტთა შესახებ ასეთივე აზრია გატარებული ზემდგომი სასამართლო ორგანოების ზოგიერთ სახელმძღვანელო ახსნა-განმარტებაში. მაგალითად, „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე მიღებულ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1974 წლის 21 დეკემბრის № 2 დაგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „ქრთამის ალების სუბიექტად ჩაითვლება სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ის მუშაკებიც, რომლებსაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის და იმ სამსახურებრივ მოვალეობათა ძალით, რომელსაც ისინი ასრულებენ, შეეძლოთ მიეღოთ ზომები სხვა თანამდებობის პირთა მიერ ქრთამის მიმცემისთვის სასურველი მოქმედების ჩადენისათვის (რეფერენტები, ინსპექტორები, კონსულტანტები, საქონელმცოდნეები და სხვ.)“. თუმცა იქვე მითითებული იყო ისიც, რომ სასამართლოებმა გულდასმით უნდა გამოარკვიონ გასამრჯელოს ამდებები მოსამსახურის თანამდებობრივი მდგომარეობა; განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმებით და, რომ მოსამსახურის თანამდებობის პირად ცნობისათვის ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოად-

გენს ორგანიზაციული საგანმკარგულებო ფუნქციების შესრულება. ეს კი მეტად უცნაურად და პარადოქსულად ელერს, რადგან უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ერთ შემთხვევაში სასამართლოებისაგან მოითხოვს, რომ მათ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში მოცემული თანამდებობის პირისათვის წარდგენილი კრიტერიუმებით და მიუთითა, რომ მოსამსახურის თანამდებობის პირად ცნობისათვის ერთ-ერთ ასეთ არსებით პირობას წარმოადგენს „ორგანიზაციულ-საგანმკარგულებო ფუნქციების შესრულება“. მაგრამ იქვე მიუთითა, რომ სასამართლოებს თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტებად ჩაეთვალოთ რეფერენტები, კონსულტანტები და სხვ. ე. ი. ისეთი მოსამსახურე პირები, რომლებიც არაერთი ორგანიზაციულ-საგანმკარგულებო ფუნქციებით არ არიან აღჭურვილნი.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე აზრია გატარებული საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის № 16 დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, რომელმაც ძალადაკარგულად ცნო „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებული ადრინდელი დადგენილებები.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოების ზემოაღნიშნულ დადგენილებებში გატარებული აზრი, ვფიქრობთ, არასწორია და იგი ეწინააღმდეგება რსფსრ სსკ 170-ე მუხლის შენიშვნასა და საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში (აგრეთვე უმეტესი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში) მოცემულ თანამდებობის პირის ცნებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1 ოქტომბრის № 4 დადგენილებაში აღინიშნა, რომ „თანამდებობრივი დანაშაულის საქმეთა განხილვის დროს დანაშაულის სუბიექტის განსაზღვრისას სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლით. ამავე დროს, ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ თანამდებობრივი დანაშაულის ამსრულებელი აუცილებლად თანამდებობის პირია, რაც შეეხება თანამონაწილეს (წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი), იგი შეიძლება კერძო პირიც იყოს“.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის წრე არ შეიძლება

იმაზე მეტად გავაფართოოთ, რის შესაძლებლობასაც იძლევა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის ცნება, რადგან მას შეიძლება მოჰყვეს თანამდებობრივი დანაშაულისათვის არათანამდებობის პირთა უმართებულოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და სხვ. ვფიქრობთ, ასევე არასწორია ვილაპარაკოთ თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის ცნებისა და თანამდებობის პირის ცნების მეტნაკლებობისა და მათ ურთიერთდაპირისპირებაზე. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: განა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლში მოცემული თანამდებობის პირის ცნება საერთო არაა თანამდებობრივი დანაშაულის თავში გათვალისწინებული ყველა დელიქტისათვის? ცხადია, კი. და თუ ეს ასეა, მაშინ რატომ, რის საფუძველზე უნდა მოხდეს ქრთამის ამღები თანამდებობის პირისა და სხვა სახის თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის დიფერენცირება? განა ქრთამის ამღები სუბიექტი რითიმე განსხვავდება სხვა სახის თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტისაგან? ვფიქრობთ, რომ არა. ამიტომ, თანამდებობის პირის ცნების სწორი განსაზღვრა ნიშნავს თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის ცნების პრობლემის გადაწყვეტასაც, რადგან ისინი ერთიმეორის ტოლფარდოვანი მნიშვნელობისანი არიან. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ სასამართლო პრაქტიკაში შემჩნეული შემთხვევები, როცა პირის დანაშაულებრივ ქმედობას თანამდებობრივი დანაშაულის ერთი მუხლიდან მეორეზე გადააკვალიფიცირებენ ხოლმე იმ მოტივით, რომ იგი არ არის მოცემული თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი. მაგალითად, სასამართლოს განაჩენით, ა., რომელიც თბილისის ერთ-ერთ ავტოპროფილაქტორიუმში მუშაობდა მღებავად, მსჯავრდადებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქრთამის აღებისათვის). მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ იგი ქრთამის აღების სუბიექტად არ მიიჩნია და მისი მოქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია, რადგან თუ იგი ერთ შემთხვევაში არ იყო ქრთამის აღების სუბიექტი, მაშინ იგი არ შეიძლება ყოფილიყო სხვა სახის თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი და პასუხისგებაში არ უნდა მიეცათ სსკ 186-ე მუხლით.

სამწუხაროდ, ანალოგიურ ფაქტებს ეხვდებით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და თვით საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაშიც<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის სწორად გადაწყვეტის პრობლემა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის აღმოცენებისა და განვითარების პირველსავე ეტაპზე დადგა დღის წესრიგში და, შეიძლება ითქვას, მას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღეებიდანვე მიექცა სათანადო ყურადღება. მაგალითად, რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ გამოცემულ იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1917 წლის 19 დეკემბრის ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სარგებლობს თავისი საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული მდგომარეობით და ბოროტად იყენებს რევოლუციური ხალხის მიერ მინიჭებულ ხელისუფლებასო.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსებით (რსფსრ 1922 წლის სსკ 105-ე მუხლის შენიშვნა, საქართველოს სსრ 1922 წლის სსკ 108-ე მუხლის შენიშვნა, რსფსრ 1926 წლის სსკ 109-ე მუხლის პირველი შენიშვნა და საქართველოს სსრ 1928 წლის სსკ 114-ე მუხლის პირველი და მეორე შენიშვნა) თანამდებობის პირად ითვლებოდა სახელმწიფო საწარმო-დაწესებულების ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ამხანაგობასა და კოოპერაციულ ორგანიზაციებში მომუშავე ყველა მოსამსახურე, რომელსაც მუდმივად ან დროებით ეკავა თანამდებობა და რომლის საქმიანობაც დაკავშირებული იყო სახელმწიფოებრივი მიზნის განხორციელებასთან, ე. ი. თანამდებობრივი დანაშაული გაიგივებული იყო სამსახურებრივ დანაშაულთან. სწორედ ამიტომ იყო, რომ სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებულ ნაწილში მოთავსებულ თანამდებობრივ დანაშაულთა თავს ეწოდებოდა „თანამდებობრივი (სამსახურებრივი) დანაშაული“ და მასში შეტანილი იყო ზოგიერთი თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი მუხლებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში ადრე თანამდებობრივ დანაშაულთა სუბიექტებად აღიარებული იყო ყველა მოსამსახურე, ვისაც

---

<sup>1</sup> იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, М., 1975, № 5, с. 41—42; 1976, № 5, с. 23—24; 1977, № 2, с. 21—22, и др.

მუდმივად ან დროებით ეკავა თანამდებობა სახელმწიფო საწარმო-  
დაწესებულებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და გაერთიანე-  
ბებში, რაოდენ მცირედიც არ უნდა ყოფილიყო მისი სამსახურებ-  
რივი მოვალეობა, მისი სამსახურებრივი ფუნქციები. თვით ისიც კი,  
ვინც ასრულებდა წმინდა ტექნიკურ სამუშაოს. მაგალითად, ქალაქ-  
დების გადამწერი, მბეჭდავი-მემანქანე, შიკრიკი, დარაჯი და სხვ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1927 წლის  
15 იანვრის დადგენილების თანახმად სსკ 113-ე მუხლით სისხლის  
სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიცემულიყო აგრეთვე ცენტ-  
რალურ და ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებში მომუ-  
შავეებიც, თუ მათ ბოქმედებაში ადგილი ექნებოდა ამ მუხლით გათ-  
ვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებს. ცალკე კოოპერაციუ-  
ლი მაღაზიების თანაშრომელთათვის სსკ 113-ე მუხლის შეფარდე-  
ბა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ქმედობა გა-  
მოიწვევდა ცენტრალური ან ადგილობრივი კოოპერატივის დაწესე-  
ბულების აპარატის მოქმედების მთლად მოშლას და მათი მუშაობის  
გეგმის დარღვევას<sup>1</sup>.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1927  
წლის 15 სექტემბრის დადგენილებამ თანამდებობის პირებად ცნო  
აგრეთვე კერძო მესაკუთრეთა გემ-ხომალდების კაპიტნებიც<sup>2</sup>.

იმ დროს თანამდებობის პირებად მიჩნეული იყვნენ აგრეთვე  
დუქნის ნოქრები, მეკუჭნავეები და სხვა რიგითი მოსამსახურეები.  
მაგალითად, ერთ-ერთი კოოპერატიული დუქნის ნოქარი მ. გაბრი-  
ჭიძე სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული იქნა საქართველოს სსრ  
სსკ 108-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 116-ე მუხლის პირველი  
ნაწილით იმისათვის, რომ მან კერძო მოვაჭრეებზე ბითუმად გაყი-  
და 312 მანეთის ღირებულების საქონელი და იმავე თვეში კოოპე-  
რატივის ანგარიშის დროს მას აღმოაჩნდა 275 მანეთი და 90 კაპი-  
კი დანაკლისი<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ ადრე თანამდებობის პირებად იყვნენ აღი-  
არებული რიგითი ექიმები და მედიცინის სხვა მუშაკებიც, მაგრამ  
იმ გამონაკლისით, რომ მექრთამეობისათვის მათი პასუხისმგებლო-  
ბა დადგებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათ სამსახურებ-

1 „მოამბე“..., 1927, № 7—8, გვ. 71—73.

2 იქვე, № 21—22, გვ. 37.

3 იქვე, № 7—8, გვ. 101.

რეად ევალეობდათ უსასყიდლოდ აღმოეჩინათ სამედიცინო დახმარება, თუნდაც არა სამსახურებრივ საათებში. იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1926 წლის № 190 ცირკულარით ექიმებთან იქნა გათანაბრებული აგრეთვე ვეტერინარი ექიმები და ქრთამის აღების შემთხვევაში ისინიც ექიმების თანაბრად მიეცემოდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1931 წლის 16 აპრილის დადგენილებით თანამდებობის პირებად იყვნენ აღიარებული აგრეთვე საბჭოების აქტივისტები.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1935 წლის 27 მარტის დადგენილებით თანამდებობის პირებად მიჩნეული იქნა კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში მომუშავე აღმრიცხველი, მეკუჭნავე, დარაჯი, უფროსი მეჭოგე, უფროსი მწყემსი, ბრიგადირი; აგრეთვე წარმოება-დაწესებულების საწყობის ან მეურნეობის ყარაული, დაცვის მუშაკები, მოლარე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი შემდგომშიც მოითხოვდა თანამდებობის პირად მიგვეჩნია უკლებლივ ყველა მოსამსახურე, მათ შორის ტექნიკური პერსონალი. მაგალითად, მ. ბლუმი თავის საკანდიდატო დისერტაციაში იცავს რა ამ მოსაზრებას, წერს: შიკრიკის, მბექდავი-მემანქანის, დამლაგებლისა და აღმრიცხველის როლი დიდია არა იმიტომ, რომ ისინი უშუალოდ ახორციელებენ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებს აღრიცხვისა და კონტროლის სახით და სხვა, არამედ იმიტომ, რომ იმ რგოლში, რომლის ჰანჭიკებიც ისინი არიან, ასრულებენ ამ ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საგანმკარგულებო ფუნქციებსო. იგი იქვე ახდენს ასეთ პირთა კლასიფიკაციას და აღნიშნავს, რომ ყველა ტექნიკური მოსამსახურე არ შეიძლება იყოს ნებისმიერი თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტიო. მაგალითად, მისი აზრით, ისეთი თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი, როგორცაა ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, არ შეიძლება იყოს ყველა თანამდებობის პირი.

ზემოაღნიშნული მოსაზრება, ჩვენი აზრით, არასწორი იყო, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა თვით სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულ თანამდებობის პირის ცნების განმარტებას. ამასთან, ცხადია, არც ერთი ზემოთ დასახელებული მოსამსახურე აღჭურვილი არ არის თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელი უფლებამოვალეობებით და ამდენად არც ერთი მათგანი არ შეიძლება იყოს



თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გამართული დავა რიგით მოსამსახურეთა თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად ცნობის შესახებ ნაწილობრივ დღესაც გრძელდება და, სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს თანამდებობრივი დანაშაულისათვის რიგითი მუშა-მოსამსახურეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ფაქტებს. ზოგიერთი ავტორი (ს. ბ. შეინი, გ. ანპილოვოვა, ა. ნ. ზუბრილოვი, ი. ა. აფინოგენოვი, ი. ტურკევიჩი, ა. კუზნეცოვი და სხვ.) თანამდებობის პირებად მიიჩნევს რიგით ექიმს, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელს, ადვოკატს, რეფერენტს, კონსულტანტს, საწყობის გამგეს, აღმრიცხველს, მოლარეს, დამამზადებელს, მეტყვევს, მაღაზიის გამყიდველს, მეზუფეტეს, მზარეულსა და სხვ. ეს, ჩვენი აზრით, არასწორია, რადგან ისინი აღქურვილნი არ არიან თანამდებობის პირისთვის დამახასიათებელი უფლებამოსილებებით და მათი სამსახურებრივი საქმიანობა დაკავშირებული არაა ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებო ან ორგანიზაციულ-სამეურნეო ხასიათის ფუნქციების შესრულებასთან. მართალია მძლოლი, დარაჯი, საწყობის გამგე, მოლარე და სხვა გარკვეულად დაკავშირებულნი არიან სამეურნეო ხასიათის მოვალეობის შესრულებასთან, მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს საფუძველს, რომ ისინი თანამდებობის პირებად ვლინდნენ. მაგალითად, მოლარე ფულად ოპერაციებს ატარებს როგორც რიგითი მუშაკი, რომელსაც მთავარი ბუხჰალტრის ან მისი მოადგილის მითითების გარეშე უფლება არა აქვს შეასრულოს რაიმე ფულადი ოპერაცია, ე. ი. მის მიერ შესრულებული სამეურნეო ხასიათის ფუნქცია ატარებს წმინდა ტექნიკურ ხასიათს და იგი გვევლინება როგორც ამ ოპერაციის უბრალო ტექნიკური შემსრულებელი. ასევე უნდა ითქვას მატერიალურ ფასეულობათა პასუხისმგებელი პირი — საწყობის გამგის, დარაჯისა და სხვა მსგავსი კატეგორიის პირთა მიმართ.

სასამართლო პრაქტიკაში ასევე შეიმჩნევა ტენდენცია, როცა თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ უმაღლესი და საშუალო სკოლის მასწავლებლებს, ექიმებს, გაზეთის კორესპონდენტებსა და სხვ. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ქრთამის აღების სუბიექტად ცნო და საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ერთ-ერთი გაზეთის

კორესპონდენტები ი. და ნ., რომლებმაც სავაქრო დარგის მუშაყებს ქრთამად 3000 მანეთი გამოძალეს.

საშუალო სკოლის მასწავლებელი ა., რომელმაც გაკვეთილის მსვლელობის დროს ჯოხის დარტყმით სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაცენა მოსწავლე დ.-ს, ტყიბულის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 20 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდადებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 187-ე მუხლის მესამე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის.

ზემოაღნიშნულ პირთა თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად მიჩნევის საკითხთან დაკავშირებით ბუნებრივად იზადება კითხვა: თანამდებობრივი მდგომარეობით რა სახის ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებო, საორგანიზაციო-სამეურნეო ხასიათის ფუნქციებს ახორციელებენ ისინი და საერთოდ აქვთ თუ არა მათ თანამდებობის პირისათვის დამახასიათებელი ასეთი უფლება-მოვალეობანი? ვფიქრობთ, რომ არა.

სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როცა თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ მუშებსა და დროებით უმუშევარ პირებსაც. მაგალითად, ს., რომელიც არსად არ მუშაობდა და ეწეოდა აკრძალულ რეწვას (კუსტარული გზით დაამზადა 10 ცალი ბეჭედი და დაეწმარა ნ.-ს ერთი ცალი ბეჭედის რეალიზაციაში), თბილისის პირველი მაისის სახალხო სასამართლოს 1977 წლის 6 მაისის განაჩენით მსჯავრი დაედო სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილით, სსკ 172-ე მუხლის მეორე ნაწილითა და სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილით.

მლაზიის გამყიდველების, მზარეულების, მებუფეტეების, მეკუჭნავეების, მოლარეების, მწონაეების, პეცუტკრეების, ფერშლევის, ზოოტექნიკოსების, მანქანის მძღოლების, ოსტატების, ზეინკლების, მექანიკოსებისა და სხვა ამგვარ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი წესლებით არასწორია, რადგან თავიანთი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობებით არცერთი მათგანი არ აკმაყოფილებს საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში მოცემულ თანამდებობის პირთათვის წარდგენილ მოთხოვნილებებს და, ამდენად ისინი არ შეიძლება მიჩნეული იქნან თანამდებობის პირებად. სასამართლოების ასეთი არასწორი პრაქტიკის შედეგია ის, რომ ხელოვნურად იზრდება თანამ-

დებობრივ დანაშაულთათვის მსჯავრდადებულ პირთა რიცხვი. მაგალითად, მარტო 1977 წელს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ თანამდებობრივ დანაშაულთათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი ყველა სახის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა შორის 6,3%-ს შეადგენდა, ე. ი. ზუსტად იმდენს, რამდენსაც იმავე წელს შეადგენდა მსჯავრდადებულთა რიცხვი ერთად აღებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის ქურდობით (91-ე მუხ.), გაძარცვით (92-ე მუხ.), თაღლითობით (93-ე მუხ.), წერილმანი გატაცებით (95-ე მუხ.) და განსაკუთრებით დიდი ოდენობით (96'-ე მუხ.).

ამრიგად, ყოველგვარ სხვა გარემოებასთან ერთად სასამართლოს ასეთი არასწორი პრაქტიკა ხელს უშლის აგრეთვე სასამართლოს სწორ აღრიცხვიანობასაც.

საქართველოს სსრ სასამართლოების ასეთი პრაქტიკა არასწორია და მოითხოვს სერიოზულ დასკვნების გაკეთებას, სასამართლო პრაქტიკის დროულად გაუმჯობესებას და აგრეთვე თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომ დახვეწა-სრულყოფას.

იურიდიულ ლიტერატურაში გარკვეულ დავას იწვევს თანამდებობის პირებზე იმ პირთა ცნობა, რომელთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება დაკავშირებულია მათი პროფესიონალური ცოდნის გამოყენებასთან. კერძოდ, რეფერენტების, ადვოკატების, საშუალო და უმაღლესი სკოლების პედაგოგების, მეცნიერ მუშაკებისა და სხვ. მაგალითად, ვ. ი. სოლოვიოვის აზრით, საშუალო სკოლის მასწავლებლის მუშაობისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი განმკარგულებელი ფუნქცია, რადგან მასწავლებელი ბავშვს აწვდის არა მარტო ცოდნას, არამედ მისი აღმზრდელი და ხელმძღვანელიცაა. ი. ტურკევიჩი თანამდებობის პირად მიიჩნევს არა მარტო უმაღლესი, საშუალო და სპეციალური სასწავლებლების მასწავლებლებს, არამედ რიგით ექიმებსაც.

ანალოგიურ შეხედულებას ავითარებს ა. კ. კვიწინია თავის საკანდიდატო დისერტაციასა და 1978 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „მექრთამეობა და მასთან ბრძოლა“. მისი აზრით, სამედიცინო დაწესებულებაში მომუშავე ყველა ექიმი თანამდებობის პირია, რადგან სამედიცინო დახმარებისათვის ექიმის მიერ გასამრჯელოს მიღება წმინდა პროფესიონალური ფუნქციების შესრულების პროცესში მისი ორგანიზაციულ-საგანმკარგულებო საქმიანობის თანა-

ბარი მნიშვნელობისაა. იგი თანამდებობის პირად მიიჩნევა აგრეთვე ყველა მასწავლებელს, რადგან პედაგოგი თავისი პროფესიონალური მოვალეობით მოსწავლეთა აღზრდისა და მათი ცოდნის შემოწმებით გარკვეულ ორგანიზაციულ-საგანმკარგულებო მოვალეობასაც ასრულებს.

რიგითი ექიმისა და მომსახურების სფეროში მომუშავე არათანამდებობის პირთა აღიარება თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად არასწორია, რადგან ისინი ანვარებითი ქმედობისათვის შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი საქართველოს სსრ სსკ 169<sup>2</sup>-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამრჯელოს მიღებას. სადავო რჩება პედაგოგებისა და სხვა სფეროში მომუშავე ზოგიერთ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

ა. სვეტლოვის აზრით, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებლები არავითარი ორგანიზაციული ფუნქციებით არ არიან აღჭურვილნი. მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტებისაგან გამოცდების მიღება და მათი ცოდნის შეფასება არის მათი პროფესიონალური ფუნქციების განხორციელება და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზაციულ-საგანმკარგულებო ხასიათის ფუნქციად. აქედან გამომდინარე იგი თანამდებობის პირად მიიჩნევა მხოლოდ საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის დირექტორებს, რექტორებს, ფაკულტეტის დეკანებს, მიმღები კომისიის თავმჯდომარეებსა და წევრებს. ასეთივე აზრია გატარებული რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში და 1979 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სახელმძღვანელოში. ასევე ბ. ვ. ზდრავომისლოვი 1975 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „თანამდებობრივი დანაშაული“, თანამდებობის პირებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთ პედაგოგებს, რომლებიც ასრულებენ თანამდებობრივ ფუნქციას, კერძოდ, სასწავლო ნაწილისა და კათედრის გამგეებს, სახელმწიფო ან საკვალიფიკაციო კომისიის წევრებსა და სხვა, რაც, ჩვენი აზრით, სწორია. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პროფესიული ცოდნის გამოყენებას არ სცილდება საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მიმღები საგამოცდო კომისიის წევრის მიერ აბიტურიენტის ცოდნის შეფასება და მისთვის შესაფერისი ნიშნის დაწერაც, ამით არც ის ასრულებს რაიმე ხასიათის ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებო ხასიათის ფუნქ-

ციას. ასეთ ფუნქციას ასრულებს მხოლოდ რექტორი და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი. აბიტურიენტის ცოდნის შეფასებაში დაწერილი ობიექტური თუ არაობიექტური ნიშანი ხელს უწყობს მხოლოდ შედეგის განხორციელებას—რექტორის ბრძანებას შესაბამის ფაკულტეტზე აბიტურიენტის ჩარიცხვის შესახებ. თუ ჩვენ მიმღები საგამოცდო კომისიის წევრს ამ კრიტერიუმით მივუდგებით, მაშინ დავინახავთ, რომ იგი ამ მხრივ არაფრით არ განსხვავდება საშუალო ან უმაღლესი სასწავლებლის სხვა მასწავლებლისაგან. განა საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლის მიერ მოსწავლისა და სტუდენტის ცოდნის შეფასების გარეშე შეიძლება მოსწავლის კლასიდან კლასში ან სტუდენტის კურსიდან კურსზე გადაყვანა? ცხადია, არა. მათი კლასიდან კლასში ან კურსიდან კურსზე გადაყვანის ან თერორიული კურსის დამთავრებისა და სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების განკარგულება საფუძვლად უდევს სწორედ მათი საგამოცდო ნიშნები. უფრო მეტიც, ამ საგამოცდო ნიშნების გარეშე შეუძლებელია ასეთი განკარგულების გაკეთება. ყველა მათგანი ახორციელებს თავის სამსახურებრივ ფუნქციას. ამიტომ არ შეიძლება მათი დიფერენციაცია. არც ერთი მათგანის საქმიანობას არ ახასიათებს სახელმწიფო ხელისუფლების აქტების ან განმკარგულებელი, ორგანიზაციული, სამეურნეო-ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება. საგანმანათლებლო ფუნქცია კი, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსებისაგან განსხვავებით, ამჟამად მოქმედ საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში (და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში) მოცემულ თანამდებობის პირის ცნებაში მოხსენიებული არაა. მაგრამ, თუ მიმღები საგამოცდო კომისიის წევრს ვალიარებთ ქრთამის აღღ.სა და, მაშასადამე, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია, მაშინ ასეთად უნდა ჩაითვალოს საშუალო სკოლის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პედაგოგებიც. თუ მიმღები საგამოცდო კომისიის წევრი, ლექტორი ან საშუალო სკოლის მასწავლებელი საგამოცდო ნიშნის ან ჩათვლის დაწერაში აიღებს ქრთამს ან ჩაიდენს სიყალბეს, მან ამჟამად არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით პასუხი უნდა აგოს თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია და ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში მოცემულ თანამდებობის პირის ცნებას. ამ შეცდომების თავიდან აცილების მიზნით საჭიროდ

მიგვაჩნია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნას სპეციალური ნორმა არათანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პასუხისმგებლობის შესახებ.

ამრიგად, საშუალო სკოლის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პედაგოგების პროფესიონალური საქმიანობა, ისევე როგორც მიმღები და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრისა, სრულიადაც არაა დაკავშირებული საქართველოს სსრ სსკ 185-ე მუხლში მოცემულ თანამდებობის პირის ცნებაში ჩამოთვლილ ფუნქციებთან. ამიტომ მოსწავლის, აბიტურიენტის ან სტუდენტის ცოდნის შეფასებაში ქრთამის აღება-გამოძალვის ან სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პირები შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში იქნენ მიცემულნი არა როგორც თანამდებობის პირები, არამედ როგორც ქრთამის მიცემა-აღების წამქეზებელნი.

ეჭიმი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებაში დაკავებული თანამდებობის მიხედვით (მთავარი ეჭიმი, მისი მოადგილე, განყოფილების გამგე და სხვ.) ასრულებს ორგანიზაციულ-საგანმკარგულებო ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხასიათის მოვალეობას, თანამდებობის პირია და ქრთამის აღების ან სხვა თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პასუხს აგებს თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით, ხოლო რიგითი ეჭიმი, რომელიც თავის წმინდა პროფესიონალურ მოვალეობას იყენებს ბოროტად, არ შეიძლება იყოს თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი. მაგალითად, თუ საავადმყოფოს რიგითი ეჭიმი-ქირურგი ოპერაციის კარგად დამთავრების შემდეგ, თავისი პაციენტის ან მისი ახლობლისაგან მადლობის გადახდის ნიშნად საჩუქრის სახით მიიღებს რაიმე მატერიალური ღირებულების მქონე ნივთს, იგი სხვა არა არის რა, თუ არა მორალურად დასაგმობი და გასაკიცხი ქმედობა. ხოლო თუ იგი ასეთ მატერიალურ გამორჩენას იღებს გამოძალვის გზით, მაშინ იგი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სსკ 169<sup>2</sup>-ე მუხლით. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა საავადმყოფოს ან პოლიკლინიკის მთავარი ეჭიმი, მისი მოადგილე ან განყოფილების გამგე თავის სამსახურებრივ და პროფესიულ უფლება-მოვალეობას გამოიყენებს ბოროტად (მატერიალური გამორჩენის მიზნით ავადმყოფს მოათავსებს სამკურნალო დაწესებულებაში ან გასცემს სამუშაოდან განთავისუფლების ან სხვა რაიმე სახის ყალბ სამედიცინო ცნობას და სხვ.), მისი პასუ-

ხისმკებლობის საკითხი შეიძლება დადგეს თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით ან ამ მუხლების ერთობლიობით.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის საკითხის განხილვისას ბუნებრივად იბადება კითხვა: არის თუ არა ადვოკატი თანამდებობის პირი და შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ იგი თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად?

ადვოკატი თავისი პროფესიონალური მოვალეობით ახორციელებს მარტოოდენ წმინდა საჯარო-სამართლებრივი ხასიათის ფუნქციას, რომელიც სასამართლოში გვევლინება როგორც ერთ-ერთი მხარის ინტერესების დამცველი. იგი აღკურვითი არაა აღმასრულებელ-საგანმკარგულებო, ორგანიზაციულ-სამეურნეო ან სხვა რაიმე სახის ადმინისტრაციული უფლებამოსილებით. ამიტომ იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ თანამდებობის პირად და, მაშასადამე, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად. თუ ადვოკატი მოქალაქისაგან გამოძალვის გზით თავისი სამუშაოს შესრულებისათვის მიიღებს რაიმე სახის გამოჩენას, მაშინ მან, ჩვენი აზრით, პასუხი უნდა აგოს საქართველოს სსრ სსკ 169<sup>2</sup>-ე მუხლით. ხოლო თუ ასეთ პირს გარკვეული თანამდებობა უკავია, მაგალითად, იურიდიული კონსულტაციის გამგე, ადვოკატთა პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და სხვა, და თუ იგი ამ თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულებისას ჩაიდენს თანამდებობრივ დანაშაულთა თავში მოთავსებულ რაიმე სახის დანაშაულებრივ ქმედობას, მაშინ, ცხადია, მან პასუხი უნდა აგოს თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით, როგორც თანამდებობის პირმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტის პრობლემის გადაწყვეტისა და თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა მოხდეს თანამდებობის პირის ცნების განმარტებისა და თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ამსახველი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა. საჭიროა კანონმდებლობით იქნეს რეგლამენტირებული თანამდებობის პირის ცნების ისეთი განმარტება, რომელიც თანამდებობის პირად მიიჩნევს მხოლოდ მას, ვისი თანამდებობრივი მდგომარეობაც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებო ან ორგანიზაციულ-საკონტროლო ხასიათის ფუნქციების განხორციელებასთან. იმ პირთა საქმიანობა (ექიმი, პედაგოგი, ადვოკატი და სხვ.), რომელთა სამსახურებ-

რევი ფუნქციების შესრულება დაკავშირებულია თავიანთ წმინდა პროფესიული ცოდნის გამოყენებასთან, თუკი მათი ეს პროფესიონალური საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებული არაა ადმინისტრაციულ-საგანმკარგულებო ან ორგანიზაციულ-საკონტროლო ხასიათის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, არ შეიძლება მიჩნეულნი იქნენ თანამდებობის პირებად და, მაშასადამე, თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტებად.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3-ე მუხლის თანახმად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს და სასჯელი დაედოს „მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“. აქედან გამომდინარე, ცხადია, ისევე, როგორც ყველა სახის დანაშაულის, თანამდებობრივი დანაშაულის დროსაც პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის საკითხის სწორად გარკვევისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავისი მოქმედების ან უმოქმედობისა და დამდგარი შედეგის მიმართ, ე. ი. დანაშაულის სუბიექტური მხარის დადგენას.

თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტური მხარის შესახებ გავითქმული ყველა მოსაზრება შეიძლება დავეყთ ორ დიდ ჯგუფად. ავტორთა ერთი ჯგუფის წარმომადგენლების (ნ. ფილანოვსკის, ბ. ვ. სახაროვის, ა. ი. სვეტლოვის, მ. დ. ლისოვის, ა. ნუსუპალიევის, ნ. ფ. კუზნეცოვას, ბ. ს. ვოლკოვის, გ. კრიგერისა და სხვ.) სწორი მოსაზრებით ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაული, დაუდევრობის გარდა, შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ განზრახი ქმედობით.

მეორე ჯგუფის წარმომადგენლების (ბ. ს. უტევსკის, ა. ი. ტრანინის, ვ. დ. მენშაგინის, გ. რ. სმოლიცკის, ნ. ს. ლეიკინას, ვ. ფ. კირიჩენკოს, ა. ვ. კუზნეცოვისა და სხვ.) აზრით კი თანამდებობრივი დანაშაული ხასიათდება თანამდებობის პირის გარკვეული ფსიქიკური დამოკიდებულებით თავისი მოქმედების (უმოქმედობის) ჩადენასა და ამ მოქმედების (უმოქმედობის) შედეგთან. ამასთან, მათი აზრით, ზოგიერთი სახის თანამდებობრივი დანაშაული, კერძოდ, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება შეიძლება ჩადენილი იქნას ბრალის „ორმაგი“ ანუ „შერეული“ ფორმით. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის განსაკუთრებუ-



ლი ნაწილის ზოგიერთ სახელმძღვანელოში (მაგალითად, 1962 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში) გატარებულია აზრი, თითქოს სუბიექტური მხრივ დაუდევრობაც ხასიათდება ბრალის „ორმაგი“ ანუ „შერეული“ ფორმით, კერძოდ, ერთი მხრივ, თანამდებობის პირის გარკვეული ფსიქიკური დამოკიდებულებით თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი და, მეორე მხრივ, მისი ფსიქიკური დამოკიდებულებით დამდგარი შედეგისადმი, ე. ი. თანამდებობის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება შეიძლება იყოს განზრახვი ან გაუფრთხილებელი თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მიმართ, შედეგის მიმართ კი გაუფრთხილებელია.

ამრიგად, ამ ავტორების აზრით, თანამდებობრივი დანაშაულა შემადგენლობის იურიდიული ანალიზის დროს პირის ბრალის საკითხი ცალ-ცალკე უნდა გადაწყდეს დანაშაულებრივი ქმედობისა და დანაშაულებრივი შედეგის მიმართ, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. ზემოთ განხილული ყველა საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაული, დაუდევრობის გარდა (სსკ 188-ე მუხ.), შეიძლება ჩადენილი იქნას მხოლოდ განზრახვი ბრალით.

თანამდებობრივი დანაშაულის საქმეების სასამართლო განხილვის დროს პირის პასუხისმგებლობის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა დადგენილი იქნას აგრეთვე დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის ისეთი ნიშნები, როგორცაა მოტივი და მიზანი, რადგან მას არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრისათვის. მოტივისა და მიზნის დადგენა საჭიროა აგრეთვე გაუფრთხილებლობით ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულთა განხილვის დროსაც, კერძოდ, დაუდევრობის საქმეთა განხილვის დროსაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისინი გავლენას არ ახდენენ პირის დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაციაზე. სასამართლოს მიერ სსკ-ის განსაზღვრისას კი ისინი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლითა და თურქმენეთის სსრ სსკ 191-ე მუხლებით ანგარების მოტივს დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამ მუხლების მეორე ნაწილში ანგარების მოტივი მოხსენიებულია როგორც თანამდებობის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოება. ანგარება, როგორც დანაშაულის მოტივი, ასევე დამამძიმებელ გარე-

მოებადაა მიჩნეული საქართველოს სსრ სსკ 187-ე მუხლით (ხელი-სუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

რსფსრ (175-ე მუხ.), ბელორუსიის სსრ (178-ე მუხ.), უზბეკეთის სსრ (155-ე მუხ.), ყაზახეთის სსრ (148-ე მუხ.) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში ანგარება მოხსენიებულია არა როგორც სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის მოტივი, არამედ როგორც მისი ჩადენის მიზანი და ამ დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი. ასევე, საქართველოს სსრ სსკ 191-ე მუხლში მითითებულია სამსახურებრივი სიყალბე, თუ იგი ჩადენილია „ანგარებით ან სხვა პირადი მიზნით“. ამ შემთხვევაშიც ანგარება გვევლინება არა როგორც მოტივი, არამედ როგორც ამ დანაშაულის მიზნის დამახასიათებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, მოქმედების მოტივს შეესაბამება მიზანი — მიიღოს რაიმე სახის მატერიალური გამორჩენა ან რაიმე ვარკვეული სახის სიკეთე.

ზემოაღნიშნული თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველ მუხლებში მოტივისა და მიზნის ასეთი ტერმინოლოგიური სხვაობა მ. დ. ლისოვის აზრით, „არ ცვლის ამ ნიშნის შინაარსის მოცულობას, რადგან ანგარების მიზანში არსებითად ანგარებითი ქვენა გრძნობაა ნაგულისხმევი“ (გვ. 148—149).

ავტორის ასეთი მოსაზრება, ჩვენი აზრით, ძნელად დასაჯერებელია, რადგან „სხვა პირადი მიზნის“ ცნებაში უნდა გავიგოთ არა „ანგარებითი ქვენაგრძნობა“, არამედ სხვა პირადი ქვენაგრძნობები, ქცევის სრულიად სხვა მოტივები, როგორცაა: სიხარბე, კარიერიზმი და სხვა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ იგი შეიძლება ჩადენილი იქნას სხვა პირადი დაინტერესების მოტივითაც, მაგალთად, მიიღოს რაიმე სახის ჭილდო, განადიდოს თავისი სახელი და განამტკიცოს დაკავებული თანამდებობა, ან მიიღოს უფრო მაღალი თანამდებობა და სხვ.

**სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი  
სასჯელები თანამდებობრივი დანაშაულისათვის, მათი  
გამოყენების პრაქტიკის ანალიზი და ეფექტურობა**

**II. სასჯელის მიზნები თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში**

თანამდებობრივი დანაშაულისათვის კანონით დაგენილი სასჯელების, მათი გამოყენების პრაქტიკის ანალიზისა და ეფექტურობის საკითხის განხილვამდე რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ სასჯელის ცნებისა და მიზნების ზოგიერთ სადავო საკითხზე.

აღსანიშნავია, რომ მოძღვრება სასჯელის შესახებ ყოველთვის იყო კრიმინალისტთა კვლევის ყურადღების ცენტრში. მის შესახებ არაერთი მონოგრაფიული გამოკვლევაა შექმნილი როგორც რევოლუციამდელი პერიოდის, ისე საბჭოთა კრიმინალისტების მიერ.

ტერმინი „სასჯელი“ გვხვდება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში გამოცემულ დამნაშავეობასთან ბრძოლის ამსახველ ყველა დეკრეტსა და 1919 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებში. 1924 წელს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების მიღებით საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალი ტერმინის შემოღებას — „სოციალური დაცვის ღონისძიებას“, ხოლო „სასჯელი“-ს ცნება საერთოდ განიდევნა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და იურიდიული ლიტერატურიდან. მაგრამ, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იგი კვლავ ამოტივტივდა და გამოყენებული იქნა საბჭოთა კავშირის ცაქ-სა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 8 ივნისის დადგენილებაში „სახელმწიფოებრივი დანაშაულის (კონტრრევოლუციური და მმართველობის წესის საწინააღმდეგო, სსრ კავშირისათვის განსაკუთრებით საშიში დანაშაულის) დებულებისათვის სამშობლოს ღალატის თაობაზე მუხლების დამატების შესახებ“. სასჯელის ცნება საბოლოოდ შემოღებული იქნა 1958 წელს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველებისა და 1959—1961 წლებში სისხლის სამართლის კოდექსთა მიღების შემდეგ.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის ცნებაში გა-

გებულება კანონით დადგენილი სახელმწიფოებრივი იძულებითი ღონისძიება, რომელიც გამოყენებას პოულობს სათანადო ორგანოების მიერ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის მიმართ მისი პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის მიზნების შესახებ არსებობს აზრთა სხვაობა. ავტორთა ერთი ჯგუფი (მ. დ. შარგოროდსკი, ა. მ. რეიტბორტი, ი. ს. ნოი, გ. ა. კრიგერი, ნ. ს. ლეიკინა, ი. მ. ვასილევი, ბ. ზ. ფურცხვანიძე, ი. ი. გორელიკი, პ. ფ. ტელნოვი, გ. ბ. ვიტენბერგი და სხვ.) სასჯელის მიზნად მიიჩნევენ დამნაშავეთა გამოსწორებას და ხელახალ აღზრდას. ამასთან, ისინი დაუშვებლად მიიჩნევენ სასჯელის მიზნად დამნაშავეთა დასჯის აღიარებას. ავტორთა მეორე ჯგუფი (ი. ი. კარპეცი, ნ. ა. ბელიაევი, ე. სმირნოვი, მ. დ. ლისოვი, ბ. ს. ვოლკოვი და სხვ.) კი სასჯელის მიზნებში არ უარყოფენ დამნაშავეთა დასჯის მიზნის არსებობას და მიუთითებენ, რომ სასჯელის გამოყენებას თან სდევს არა მარტო დამნაშავეის დასჯა, არამედ მისი აღზრდაცო.

პირველი ჯგუფის წარმომადგენლების აზრით სასჯელის მიზანია: 1) მსჯავრდადებულთა გამოსწორება და ხელახალი აღზრდა; 2) მსჯავრდადებულთა მიერ ახალ დანაშაულთა ჩადენის თავიდან აცილება; 3) სხვა პირთა მიერ დანაშაულთა ჩადენის თავიდან აცილება. მაგრამ, არც იმას უარყოფენ, რომ დასჯა და ტანჯვა სასჯელის გარდაუვალი თვისებაა და, რომ სასჯელი წარმოუდგენელია ტანჯვის მიყენების გარეშე. მაგალითად, თვითონ მ. დ. შარგოროდსკის სიტყვებით რომ ვთქვათ „სასჯელი ტანჯვის მიყენების გარეშე უაზრობაა“. ამასთან ეხება რა მიზნების მიღწევის საშუალებას, იგი აქაც წინა პლანზე აყენებს „ტანჯვის მიყენებას“ და იქვე აღნიშნავს, რომ „დასჯა, ტანჯვა — სასჯელის აუცილებელი თვისებაა“<sup>1</sup>. საბჭოთა სისხლის სამართლის კურსში (ზოგადი ნაწილი, ტ. 2, გვ. 223) იგი არც იმას უარყოფს, რომ სიკვდილით დასჯა თავისი შინაარსით „დასჯა“.

ი. მ. ვასილევი ნაშრომში „სასჯელი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით“ (1970 წ.) ეხება რა საფუძვლების მე-20 მუხლის დებულებას იმის შესახებ, რომ სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკუ-

<sup>1</sup> Шаргородский М. Д. Наказание, его цели и эффективность, ЛГУ, 1973, сс. 29, 46; Советское уголовное право. Общая часть. М., 1977, с. 319;

რი ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება, წერს: სასჯელს აქვს ისეთი დასჯითი საშუალებები, რომ დამნაშავემ განიცადოს, შეიგნოს თავისი ბრალი საზოგადოების წინაშე და გამოისყიდოს იგი. სასჯელს რომ თან არ სდევდეს მსჯავრდადებულისადმი ამა თუ იმ სახის ტანჯვის მიყენება, მაშინ იგი არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლის იძულებითი საშუალება, რადგან ვერ შეძლებდა დანაშაულის ჩადენისაგან შეეკავებინა ვერც თვით დამნაშავე და ვერც სხვა პირებიო. ამასთან იქვე დაასკვნის, რომ სასჯელს უეჭველად თან სდევს მსჯავრდადებულისადმი ამა თუ იმ სახის ტანჯვის მიყენება. ამიტომ, მისი აზრით, სასჯელი ყოველთვის შეიცავს დასჯის ელემენტებს.

ი. ი. გორელიკი 1978 წელს გამოცემულ ნაშრომში „სასჯელი და მისი დანიშვნა“ ეხება რა ბელორუსიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლში მოცემულ იმავე დებულებას, აღნიშნავს: როცა მსჯავრდადებული დასჯილია თავისუფლების აღკვეთით, იგი გარკვეულად ფიზიკურ ტანჯვასაც განიცდის. ტანჯვა სასჯელის მოხდის ბუნებრივი შედეგია და სხვანაირად არც შეიძლებოდაო. მაგრამ იქვე დაასკვნის, რომ „ასეთი ტანჯვის მიყენება სასჯელის მიზანი არაა“.

ი. ს. ნოი მონოგრაფიაში „სასჯელის თეორიული საკითხები საბჭოთა სისხლის სამართალში“, ეხება რა სასჯელის მიზნებს, აღნიშნავს, რომ „დასჯა — ესაა იძულება ტანჯვის გამოწვევის მიზნით“. იგი სვამს კითხვას: მაგრამ განა დასჯის ასეთი განმარტება საფუძველს გვაძლევს წინასწარ გვაკეთოთ დასკვნა, რომ „საბჭოთა სისხლის სამართალში სასჯელის ერთ-ერთი მიზანია მსჯავრდადებულისათვის ტანჯვის მიყენება?“ და იქვე პასუხობს: არა, ასეთი დასკვნა შეცდომა იქნებოდაო. იმავე დროს, ეხება რა დასჯისა და სამაგიეროს მიზლის ცნებებს, აღნიშნავს: „სამაგიეროს მიზლვა, არამც თუ როგორც მიზანი, არამედ როგორც სასჯელის ელემენტიც, უცხოა საბჭოთა სისხლის სამართლისათვის მისი არსებობის პირველსავე დღეებიდან“<sup>1</sup>.

ი. ს. ნოი თავის ამ მოსაზრებას იმეორებს და ავითარებს აგრეთვე 1973 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „სისხლის სამართლის სასჯელის არსი და ფუნქციები საბჭოთა სახელმწიფოში“. მისი

<sup>1</sup> И. С. Ной. Вопросы теории наказания в советском уголовном праве. изд. Саратовского университета, 1962, с. 3, 33.

აზრით, ადამიანი ფიზიკურ ტანჯვას განიცდის არა მარტო მის მიმართ დახვრეტის გამოყენებისას, არამედ გარკვეულწილად თავისუფლების აღკვეთის დროს, განსაკუთრებით კი ციხეში პატიმრობის სახითო. ე. ი. ავტორი არ უარყოფს იმას, რომ სასჯელი შეიცავს ტანჯვის მიყენების ელემენტებს. და, თუ ეს ასეა, მაშინ რატომ უნდა უარყოთ ის ჰუმანარტად სწორი დებულება, რომ სასჯელი შეიცავს დასჯისა და სამაგიეროს მიზლის ელემენტებსაც, უფრო სწორად, მიზნებსაც? განა შეიძლება ვილაპარაკოთ სასჯელზე დასჯის გამოუყენებლად ანდა სასჯელით გამოწვეული ტანჯვის მიყენებაზე სამაგიეროს მიზლის გარეშე? ვფიქრობთ, რომ არა.

ა. ა. პიონტოვსკი საბჭოთა სისხლის სამართლის კურსში (ტ. 2, გვ. 37) აღნიშნავს, რომ სოციალისტური მართლშეგნება ამართლებს დამნაშავეებისადმი ტანჯვის მიყენებას მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მისი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის. იქვე (გვ. 39) ეხება რა სასჯელის მიზნებს, აღნიშნავს, რომ დასჯა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სასჯელის მიზანი, რადგან ასეთი მტკიცება იქნებოდა იმის აღიარება, რომ ჩვენთვის სასჯელი თვითმიზანიაო.

1967 წელს გამოცემულ ა. ე. ნატაშევისა და ნ. ა. სტრუჩკოვის ნაშრომში „შრომაგასწორების სამართლის თეორიის საფუძველი“ — გატარებულია აზრი, რომ დასჯის ცნება შეიძლება შეესაბამებოდეს სამაგიეროს მიზლის ცნებას. დასაჯო — ნიშნავს მიუზლო სამაგიერო ჩადენილისათვის. მაგრამ, ნ. ა. სტრუჩკოვი იქვე დასძენს, რომ დასჯა არ შეიძლება იყოს სასჯელის მიზანი და რომ დასჯაზე, როგორც მიზანზე, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ერთი აზრით: სასამართლო დამნაშავეს უფარდებს რა სასჯელს, სურს იგი დასაჯოს, მაგრამ სასჯელი თავისთავად არ ითვალისწინებს დასჯის მიზანსო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ვალიარებთ, რომ სასჯელი — ეს დასჯაა, რომელიც გამოიხატება მსჯავრდადებულისათვის მთელი რიგი უფლებების შეზღუდვაში, რომ სასჯელი ყოველთვის შეიცავს დასჯის ელემენტებს და სასჯელი უაზრობაა ტანჯვის მიყენების გარეშე, რომ დასჯა — ესაა იძულება ტანჯვის გამოწვევის მიზნით, მაშინ, ჩვენი აზრით, აღარც რჩება ადგილი იმ მოსაზრების არსებობისათვის, რომლითაც სასჯელის მიზნად მიჩნეულია მარტოდენ მსჯავრდადებულის გამოსწორება, მისი ხელახალი აღზრდა და დანაშაულის თავიდან აცილება.

ა. ფ. ტელნოვი 1982 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში (ზოგადი ნაწილი, გვ. 267), სასჯელის მიზნებთან დაკავშირებით წერს: დასჯის გარეშე სასჯელი უაზრობაა. სასჯელი თავის კეთილშობილურ მიზნებს — დამნაშავეის გამოსწორებასა და ხელახალ აღზრდას, ახალ დანაშაულთა თავიდან აცილებას აღწევს დასჯის მეშვეობით და რომ სასჯელი დასჯის გარეშე არ იქნებოდა სასჯელიო. მაგრამ იგი იქვე დაასკვნის: „დამნაშავეის დასჯა სოციალური ხარისხის მნიშვნელობით არ შეიძლება შეადგენდეს სასჯელის მიზანს“ და, რომ „იგი არის სასჯელის განუყრელი თვისება, მაგრამ არა მისი მიზანი“.

სასჯელის ცნების ზემოაღნიშნული შინაარსიდან ავტორის მიერ ასეთი დასკვნის გაკეთება, ჩვენი აზრით, არასწორი და ულოგიკოა. ასევე ნაკლებ დამაჯერებლად გვეჩვენება 1976 წელს გამოცემულ კრებულში („სასჯელის დანიშნვისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების საკითხები“) გ. ვ. ვიტენბერგის მიერ გამოთქმული აზრი, რომლის თანახმად „მტკიცება იმის შესახებ, რომ სასჯელის მიზანი (ან ერთ-ერთი მიზანთაგანი) არის დასჯა, სამაგიეროს მიზლეა, ღრმად ეწინააღმდეგება საბჭოთა სისხლის სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს და უწინარეს ყოვლისა, სასჯელისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ინსტიტუტს“. მით უმეტეს, რომ იგი, როგორც ჩვენ გვეჩვენება, ვერ იჩენს თანამიმდევრობას მსჯელობაში, როცა იქვე აღნიშნავს: დასჯა გამოიყენება მხოლოდ იმ ზომითა და მოცულობით, რომელიც აუცილებელია სამართალდამრღვევის გამოსწორების, ხელახალი აღზრდისა და ახალ დანაშაულთა თავიდან აცილებისთვისო (გვ. 12, 13).

სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში სადავოდაა მიჩნეული აგრეთვე ტერმინების „სასჯელისა“ და „დასჯის“ მნიშვნელობა. ავტორთა ერთი ნაწილი ამ ორ ცნებას შორის განსხვავებას ვერ ხედავს და მათ ერთიმეორესთან აიგივებს. მაგალითად, მ. დ. შარგოროდსკი 1977 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში (გვ. 319), ნ. ა. სტრუჩკოვი 1977 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და მისი რეალიზაცია დამნაშავეობასთან ბრძოლაში“ (გვ. 17) და ზოგიერთი სხვა ავტორი ავითარებს აზრს სასჯელისა და დასჯის ცნებათა სემანტიური მნიშვნელობის იდენტურობის შესახებ. მათი აზრით „სასჯელი არის დასჯა“. ი. ნ. ნოის აზრით კი სიტყვა „სასჯელი“ და

„დასჯა“ ფილოლოგიურ მიმართებაში სინონიმებიან. სასჯელი განსხვავდება დასჯისაგან, როგორც მთელი ნაწილისაგან იმით, რომ იძულება სასჯელის დროს არ შემოიფარგლება მხოლოდ დასჯით და მიზნად არ ისახავს ტანჯვის მიყენებას. მაგრამ, რადგან იძულება სასჯელის დროს შეიცავს დასჯასაც, მაშინ სასჯელი ტანჯვასაც აყენებს, თუმცა მისი არსი ამით არ ამოიწურებაო.

გ. ტ. ტყეშელიაძე მონოგრაფიაში „სასამართლო პრაქტიკა“ აღნიშნავს, რომ საფუძვლების 25-ე მუხლის გრამატიკული განმარტებიდან გამომდინარე, სასჯელს არა აქვს დასჯის მიზანი, ე. ი. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არავითარ საფუძველს არ იძლევა დავისათვის — დასჯა არის თუ არა სასჯელის მიზანიო. დასჯას იგი მიიჩნევს არა სასჯელის მიზნად, არამედ დამნაშავეის ქმედობისა და დანაშაულებრივი ქცევის შეფასებად. უფრო სწორად, მისი აზრით, სასჯელი თავისი შინაარსით შეფასებითი იმიტომ, რომ უარყოფითად ახასიათებს ჩადენილ დანაშაულსა და დამნაშავეს. სასჯელი არაა ასეთი შეფასების გარეშე. შეფასება არის სასჯელის იმანენტური თვისება და არა მისი მიზანიაო (გვ. 109—110).

პროფ. ალ. ვაჩიშვილი 1960 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“ დიდი ერუდიციითა და ღრმა დამაჯერებლობით წერს: „სასჯელი გამოხატავს გარკვეულ შეფასებითს მომენტს: სასჯელში ასახულია ჩადენილი ქმედობის დაგმობა, გაკიცხვა, იგი სამაგიეროს მიზღვა და უკავშირდება ბრალის ცნებას, ხოლო დაცვის ღონისძიება გულისხმობს მოქმედი პირის საშიშროებას და მიმართულია იმაზე, რომ წინასწარ იქნას აცდენილი ეს საშიშროება“. შემდეგ, ეხება რა პირველ ხანებში საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებებს, რომლებსაც ჯერ კიდევ წარსულის აშკარა დაღი აჩნდათ, კერძოდ, სასჯელის შესახებ პროფ. ყიყილენკოს მოსაზრებებს, ალ. ვაჩიშვილი ნაშრომის 244-ე გვერდზე წერს, რომ პროფ. ყიყილენკოს აზრით „სამაგიეროს მიზღვა არის მოქმედება, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩადენის პირისადმი და გამოხატავს ჩადენილის შეფასებას. სამაგიეროს მიზღვაში მოცემული შეფასება ორგვარია; იგი შეიძლება იყოს დადებითი და ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ ჩადენილის მოწონებაზე, ან უარყოფითი და ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დაწუნებას, დაგმობას, გაკიცხვას, ამის შესაბამისად დადებითი შეფასება ხორციელდება ჯილდოს სახით, ხოლო უარყოფითი შეფასება გამოიხატება სასჯელში“.



პროფ. ალ. ვაჩიშვილი ნაშრომის 242-ე გვერდზე წერს: „საბჭოთა სამართალი კატეგორიულად უარყოფს სამაგიეროს მიზღვის იდეას, რომლის თანახმად დამნაშავეს უნდა მიეზღოს სიავე, თანასწორი მის მიერ მიყენებული სიავისა“.

ა. ი. სვეტლოვი თავის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატის მე-11 გვერდზე ეხება რა შეფასებით ცნებას აღნიშნავს, რომ შეფასებითი ცნება განპირობებულია კანონის გამოყენებელი პირის სუბიექტური აზრით და, რომ შეფასებითი ცნება შეიძლება მოდიფიცირებული იქნას გარეგანი პირობების შეცვლასთან კავშირში.

საფუძვლების მე-20 და საქართველოს სსრ სსკ 22-ე მუხლში სასჯელის მიზნებთან დაკავშირებით ნათქვამია: „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოსწორებს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდადებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდადებულთა, ისე სხვა პირთა მიერ.“

სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან აღამიანის ღირსების დამცირება“.

აქედან გამომდინარე სასჯელის მიზნად უნდა ჩაითვალოს: 1) დამნაშავეთა დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის; 2) მსჯავრდადებულთა გამოსწორება და ხელახალი აღზრდა; 3) დანაშაულის თავიდან აცილება როგორც თვით მსჯავრდადებულთა (ე. წ. სპეციალური პრევენცია), ისე საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან (ე. წ. ზოგადი პრევენცია).

სასჯელის მიზნების ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო განმარტებიდან, ვფიქრობთ, არ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ცნება „სასჯელი“ და „დასჯა“ ერთიმეორის იდენტური ცნებებია.

პროფ. ალ. ვაჩიშვილი ზემოაღნიშნულ ნაშრომში (გვ. 294) აღნიშნავს, რომ „ლინგვისტიკურად „кара“ და „დასჯა“ იდენტური ცნებებია. ვღებულობთ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ აქ თითქოს ტავტოლოგიასთან გვაქვს საქმე. მაგრამ მაინც არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ კანონმდებელს „кара“ ესმის სხვანაირად“.

მართალია „სასჯელი“ (наказание) და „დასჯა“ (кара) რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში და თვით ქართულ ენაზე გამო-

ცემულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში ერთიმეორის სინონიმებადაა მიჩნეული, მაგრამ მათ შორის, ჩვენი აზრით, მაინც არის გარკვეული სხვაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონმდებელსაც არ დასჭირდებოდა ორივე ამ ტერმინის ერთი და იგივე აზრით ხმარება. სასჯელი (наказание) არის დანაშაულის ჩამდენი პირის წინააღმდეგ ზემოქმედების ღონისძიება, — ვკითხულობთ ე. ი. ოკეგოვის რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში, кара — სასჯელი, სამაგიერო, მისაგებელი. მაშასადამე მათ შორის არსებობს რაღაც გარკვეული სხვაობა და სწორედ ამიტომ კანონმდებელმაც ამჯობინა ამ ორივე ტერმინის ხმარება და მათში ერთიმეორისაგან განსხვავებული შინაარსი ჩააქსოვა, როცა მიუთითა: „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოსწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდადებულნი“.

კანონის ამ მითითებით, ჩვენი აზრით, გადაიჭრა ორი მნიშვნელოვანი პრობლემა სასჯელის ტერმინოლოგიისა და მისი მიზნების შესახებ. ამიტომ, შესაბამისად, უმჯობესია ვინმართ ორივე ტერმინი: — სასჯელი და დასჯა და მის მიხედვით ვიმსჯელოთ სასჯელის მიზნებზეც, რადგან კანონის ასეთი რედაქციით გარკვეული ნათელი მოეფინა აგრეთვე სასჯელის მიზანსაც. „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე...“ დამნაშაის აღზრდას (ხზგასმა ჩემია—შ. ფ.), ე. ი. ამ მუხლის მიხედვით სასჯელის მიზანია არა მარტო დამნაშაის დასჯა, არამედ დამნაშაის გამოსწორება და მისი აღზრდაც.

ასეთსავე აზრს ავითარებს ბ. ს. ვოლკოვი 1980 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „დამნაშაის პიროვნება და სასჯელის გამოყენება“ (გვ. 20).

სასჯელისათვის დამახასიათებელი და ყოველთვის მისი თანამდევია სამაგიეროს მიზლის ნიშნები განსაკუთრებით აშკარად შეიმჩნევა თვით სასჯელის განხორციელების საშუალებებში, რომლებიც, როგორც წესი, საზოგადოებრივად საშიში დანაშაულებრივი ქმნელობის ჩამდენი პირის მიმართ ძირითადად ტარდება ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების სახით. ფიზიკურ ზემოქმედებაში, როგორც ცნობილია, იგულისხმება დამნაშავე პირისათვის იმის საშუალებების მოსპობა, რომ მან გარკვეული დროის მონაკვეთში კვლავ ვერ შეძლოს საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენა ან საერთოდ მისთვის ამის შესაძლებლობის სამუდამოდ მოსპობა (სიკვ-

დილით დასჯის შემთხვევაში). სასჯელის ფსიქიკური ზემოქმედება კი, გულისხმობს იმას, რომ იგი გარკვეულ მორალურ გავლენას ახდენს როგორც თვით დანაშაულის ჩამდენ პირზე, ისე დანაშაულის ჩადენის მიდრეკილების მქონე სხვა პირებზეც, რომ თუ ისინი ხელს არ აიღებენ თავიანთ დანაშაულებრივ განზრახვაზე, მაშინ მათ მიმართ გამოყენებული იქნება კანონით დაწესებული მკაცრი სასჯელი.

სასჯელის მიზანში დასჯისა და სამაგიეროს მიზლის ელემენტების არ არსებობის აღიარება, ვფიქრობთ, ერთგვარი გულუბრყვილობა და მისი არსის არასწორი, არაობიექტური შეფასებაა. სასჯელის მიზანი სამაგიეროს მიზლვასაც რომ არ ითვალისწინებდეს, მაშინ თვით სასჯელის კლასიფიკაციასაც არაერთგვარი აზრი არ ექნებოდა. ამასთან, ბუნებრივად იბადება კითხვა: სასჯელის მიზანი დანაშაულის ჩამდენის დასჯისა და მისთვის სამაგიეროს მიზლის ელემენტებსაც თუ არ შეიცავს, მაშინ რით უნდა აეხსნათ ისეთი სახის სასჯელების არსებობა, როგორცაა: თავისუფლების აღკვეთა, ციხეში პატიმრობა, ქონების კონფისკაცია, ჯარიმა და ბოლოს სიკვდილით დასჯა? განა ეს სასჯელები დამნაშავეისათვის ერთგვარი სამაგიეროს მიზლის ელემენტებსაც არ შეიცავს? ნუთუ სადავოა ის, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ამ სასჯელების გამოყენება გარკვეულწილად სამაგიეროს მიზლისა და მისთვის ერთგვარი ტანჯვის მიყენების ელემენტებსაც შეიცავს? ანდა განა შეიძლება ვილაპარაკოთ მსჯავრდადებულის აღზრდაზე სასჯელის გამოყენებით, მაშინ როცა მას სასამართლომ სასჯელის უმალღესი ზომა — დახვრეტა შეუფარდა? ცხადია, არა. ამ შემთხვევაში მას, დაშინების თვალსაზრისით, გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სხვა წევრების მიმართ და არა თვით ამ მსჯავრდადებულისათვის. კაცს სიცოცხლეს ვუსპობთ და თან ვამბობთ, სასჯელის მიზანია მხოლოდ დამნაშავეის გამოსწორება, მისი ხელახალი აღზრდა და დანაშაულის თავიდან აცილებაო. დამნაშავეს სიკვდილით დასჯას ვუფარდებთ იმისათვის, რომ მან მეტად მძიმე დანაშაული ჩაიდინა და არა მისი გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის. ნუთუ ეს მისი დასჯა, მისთვის გარკვეულწილად სამაგიეროს მიზლვა არაა? და, თუ ეს ასე არაა, მაშინ სხვა—მეორე პირის მიმართაც, რომელმაც მასთან შედარებით კიდევ უფრო მსუბუქი, ნაკლებად საშიში დანაშაული ჩაიდინა, რატომ არ ვიყენებთ სასჯელის ამ უმალღეს ზომას — დახვრეტას საზოგადოების სხვა წევრების დაშინებისა და საერთოდ დანაშაულთა თავიდან აცილე-

ბისათვის? მაშინ რატომღა ვცდილობთ, რომ დანაშაულის ჩამდენი თითოეული პირი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით სამართლიანად დავსაჯოთ, რომ არ დაეუშვათ დამნაშავეს უმართებულოდ მკაცრად დასჯა?

მოცემული პრობლემის განხილვისას კიდევ მრავალი მსგავსი საკითხი იყრის თავს, რომელთა მართებულად გაშუქებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი სწორად გადაწყვეტისათვის. ამასთან, ცხადია, ყოველივე ეს საჭიროებს სწორ, თანამიმდევრულ დასაბუთებასა და გადაწყვეტას.

ზემოთ აღნიშნული ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად უადგილო არ იქნება გავიხსენოთ სიკვდილით დასჯის შესახებ გამოთქმული კ. მარქსის მოსაზრებანი ნაშრომში „სიკვდილით დასჯა“: «Наказание, как правило, оправдывалось как средство либо исправления, либо устрашения. Но какое право вы имеете наказывать меня для того, чтобы исправлять или устрашить других»<sup>1</sup>. დიახ, მართლაც და, რა უფლება გვაქვს დავსაჯოთ დამნაშავე სიკვდილით საზოგადოების სხვა წევრთა აღზრდისა და დაშინებისათვის, თუკი სასჯელის ერთ-ერთი მიზანი მისი დასჯა და გარკვეულ წილად ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზღვაც არაა? მაშ რა მიზანი აქვს მის სიკვდილით დასჯას? ეს რა, მისი მსხვერპლად შეწირვაა საზოგადოების სხვა წევრების დაშინებისათვის?

სასჯელის ამ ძირითად კითხვაზე, ვფიქრობთ, პასუხი ისევ კ. მარქსის მიერ მოცემული სასჯელის განმარტებაში უნდა ვეძიოთ. აი, რას წერს იგი: «Скажем прямо, без всяких длинных повторений: наказание есть не что иное, как средство самозащиты общества против нарушений условий его существования, каковы бы ни были эти условия»<sup>2</sup>.

თუკი სასჯელი სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოების დაცვის საშუალება, მაშინ არც ის უნდა უარეყოთ, რომ სასჯელის ერთ-ერთი მიზანია დამნაშავეთა დასჯა და რომ იგი შეიცავს სამაგიეროს მიზღვის ელემენტებსაც. დაარღვიე საზოგადოების პირობა — ჩაიდინე დანაშაული და აი, მიიღე მისი შესაბამისი სასჯელი. ასეთია სასჯელის ზემოაღნიშნული განმარტების ძირითადი არსი და პრინცი-

<sup>1</sup> Маркс К. и Энгельс Ф. соч. изд. второе, т. 8. с. 530.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 531.

პი. ამასთან, ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სასჯელის ძირითადი მიზანი იყოს დამნაშავეისათვის ჩაღვნილ დანაშაულზე სა- მაგიეროს მიზღვა და ტანჯვის მიყენება, მაგრამ არ შეიძლება სა- ერთოდ უარვყოთ სასჯელში მათი არსებობა. ამ ნიშნების გარეშე წარმოუდგენელია სასჯელის არსებობა. ამიტომ, ჩვენი აზრით, სას- ჯელში დასჯის მიზნის არსებობის უარყოფა არასწორი და ულო- გიკოა. ამასთან, იგი ეწინააღმდეგება სასჯელის ცნების საკანონმ- დებლო განმარტებას.

აღსანიშნავია, რომ სასჯელის ცნებაში დამნაშავეის დასჯისა და მისთვის სამაგიეროს მიზღვის მიზნის არსებობის საკითხი ასევე სწორადაა გაგებული საზოგადოების ფართო წრეებში. ეს განსაკუთ- რებით თავს იჩენს მაშინ, როცა დანაშაულის სიმძიმის, მისი საზო- გადოებრივი საშიშროების შესაბამისად საზოგადოება მოითხოვს მი- სი ჩამდენი პირის მკაცრად დასჯას, მისთვის სამაგიეროს მიზღვას. ეს გარემოება ხშირად ცენტრალური პრესის ფურცლებზეც პოუ- ლობს თავის ასახვას. მაგალითად, 1983 წლის 5 მარტს გაზეთ „პრავ- დაში“ გამოქვეყნდა მისი საკუთარი კორესპონდენტის ს. ტროია- ნის წერილი სათაურით „სამაგიეროს მიზღვა“, რომელშიც გადმო- ცემული იყო ქ. მელიტოპოლსკის საქალაქო საავადმყოფოს ნარკო- ლოგიური განყოფილების გამგე ვ. ი. შინკოვის მიერ პაციენტისა- გან ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადების შესახებ. წერილში ავტო- რი აყენებს კითხვას: როგორია ამისათვის სამაგიეროს მიზღვა? და ამ კითხვაზე იქვე თვითონვე იძლევა პასუხს: ვალერიან ივანოვიჩს იგი რვა წლით თავისუფლების აღკვეთად დაუჯდაო.

ასეთივე სათაურით გამოქვეყნდა წერილი 1984 წლის 2 აგ- ვისტოს გაზეთ „იზვესტიაში“ ქ. მოსკოვის №1 გასტრონომის ყო- ფილი დირექტორის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, რო- მელსაც რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქ- მეთა სასამართლო კოლეგიამ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვ- რეტა შეუფარდა.

1984 წლის 27 აგვისტოს გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე გა- მოქვეყნებულ საქინფორმის ვრცელ წერილში „რესპუბლიკის სახე- ლით“ დაწვრილებით იყო აღწერილი 1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავზე ბანდიტური თავდასხმის მონაწილეთა სასამართ- ლოს პროცესი. სასამართლომ თავდასხმის ოთხ მონაწილეს სასჯე- ლის უმაღლესი ზომა — დახვრეტა შეუფარდა. წერილში ნათქვამი იყო: „დასჯა თვითმიზანი როდია: იგი საზოგადოების სახელით

მართლმსაჯულების მიერ ჩადენილისათვის მიცემული კვალიფიკაციაა, მართლმსაჯულების მიზანია ამკვიდრებდეს სამაგიეროს მიზღვის გარდუვალობის პრინციპს. საზოგადოებრიობა ვერ იარსებებს, თუ მტკიცედ არ იქნა დატული ეს პრინციპი“ (ხაზგასმა ჩემია — შ. ფ.).

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ჩვენს რესპუბლიკაში ამას წინათ მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტები ბავშვების მოტაცებისა, როცა მთელი საზოგადოებრიობა ფეხზე დადგა, მრისხანედ გაილაშქრა ამ სამარცხვინო დანაშაულის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ და სამაგიეროს მიზღვის მიზნით მათი მკაცრად დასჯა მოითხოვა.

ამრიგად, დასჯა და სამაგიეროს მიზღვა არ შეიძლება გავიგოთ, როგორც დამნაშავეთა დასჯის თვითმიზანი. სამაგიეროს მიზღვა მუდმივად თანსდევს დასჯის განხორციელებას. უფრო მეტიც, სასჯელის გამოყენება წარმოუდგენელია დასჯის გარეშე, ხოლო დასჯა სამაგიეროს მიზღვის გარეშე. იგი დასჯის განუყრელი ნაწილია. ამიტომ უაზრობაა ვილაპარაკოთ სასჯელის მიზნებზე სასჯელის ამ დამატებითი — დასჯისა და სამაგიეროს მიზღვის გარეშე. მაშასადამე, საბჭოთა სისხლის სამართალში სასჯელის ძირითადი მიზნებია: დამნაშავეთა გამოსწორება, მათი ხელახალი აღზრდა და დანაშაულთა თავიდან აცილება. სასჯელის არაძირითადი (დამატებითი) მიზნები კი არის დამნაშავეთა დასჯა და მათთვის სამაგიეროს მიზღვა ჩადენილი დანაშაულისათვის. მაგრამ, ცხადია, სამაგიეროს მიზღვა არ შეიძლება გავიგოთ როგორც დამნაშავისადმი ბოროტების მიყენება მის მიერ ჩადენილი ბოროტების თანაბრად. როგორც აქას მიუთითებს ი. ს. ნოი თავის ზემოდასახელებულ ნაშრომში (გვ. 33).

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უფრო სწორი და მისაღები ი. ი. კარპეცის მოსაზრება, რომელიც მას იხილავს, როგორც „სასჯელის სამართლიანობას (და არა შიშველ სამაგიეროს მიზღვას)“, რომლის მიღწევა ხდება სასჯელის მიზნების შერწყმით, დანაშაულის ყველა გარემოებისა და დამნაშავე პიროვნების გათვალისწინებით.

სასჯელის გამოყენებაში სამაგიეროს მიზღვის ელემენტების არსებობაზე მიუთითებდა პროფ. ბ. ს. უტყევსკიც 1959 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში (ზოგადი ნაწილი, გვ. 260).

ი. ი. კარპეცი, 1961 წელს გამოცემულ ნაშრომში „სასჯელის რინდივიდუალიზაცია“ (გვ. 38—41), ეხება რა საფუძვლების მე-20 მუხლის შინაარსს, მართებულად დაასკვნის, რომ კანონმდებელი სრულიად არ უარყოფს სასჯელში დასჯის მიზანს. და, რომ სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ხელმძღვანელობს გარკვეული მიზნებით: სასჯელის გამოყენებით დამნაშავე დასაჯოს და გამოასწოროს კიდეც. ძნელად წარმოსადგენია სასჯელის გამოყენება დასჯის მიზნის გარეშე. და იქვე სწორად შენიშნავს, რომ საბჭოთა სახელწიფოში სასჯელი მიზნად არ ისახავს დამნაშავეს შურისძიებას. შურისძიება და დასჯა სხვადასხვა ცნებებია. ვილაპარაკოთ დასჯის მიზანზე — ეს არ ნიშნავს ვილაპარაკოთ შურისძიებაზეო. მისი აზრით სასჯელის ელემენტები: გამოსწორება, ხელახალი აღზრდა, დასჯა და დაშინება ურთიერთ დიალექტიკურ მთლიანობაში იმყოფება და საბოლოოდ მიმართულია დამნაშავეს გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისაკენ, რადგან ამის მიღწევა შეიძლება არა მართოდენ წმინდა აღმზრდელობითი ზემოქმედებით, არამედ იძულებითაც — გარკვეული ტანჯვის მიყენებითა და უფლებების აღკვეთითო.

ა. ბელიაევი ნაშრომში „სასჯელის მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები“ მართებულად შენიშნავს, რომ სასჯელი შეიძლება გამოყენებული იქნას დამნაშავეს შეშინებისათვის, გამოსწორებისათვის, ახალ დანაშაულთა ჩადენის თავიდან აცილებისა და ჩადენილი დანაშაულის სამაგიეროს მიზღვისათვისო. ამასთან, იქვე დასძენს, რომ როგორც თვით დაზარალებული, ისე საზოგადოება მთლიანად მართლზომიერად თვლის, რომ საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩამდგენმა პირმა თვითონ განიცადოს გარკვეული ტანჯვა და აღკვეთა სამაგიეროს მიზღვის სახითო.

უფრონაღ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავოში“ (1981 წლის №9) გამოქვეყნებულ სტატიაში „სასჯელი და მისი მიზნები“ ბ. ს. ნიკიფოროვი სამართლიანად წერდა: სისხლის სამართალში უბრალოდ კი არ უნდა აეუხსნათ ქურდს ან მოძალადეს, რომ ასე მოქცევა კარგი არაა, არამედ უნდა ვაიძულოთ ტანჯვით მოსინჯოს, განიცადოს, „შეიგრძნოს“ თავისი ქცევის უსწორობა. დამნაშავესათვის ყველაზე ემოციურ სფეროზე სასჯელით გამოწვეულ ტანჯვას იგი მიიჩნევს დამნაშავეში „შეგნების ხმის“ გაძლიერების იმ მნიშვნელოვან და შეუცვლელ საშუალებად, რომელიც მანამდე მასში ჩახშობილი იყო. ავტორი იქვე ეხება რა თავისუფლების აღკვეთას, აღ-

ნიშნავს, რომ სწორედ ამ უნივერსალურ საშუალებას შეუძლია აიძულოს დამნაშავე შეიგრძნოს თავისი ქცევის უსწორობა ქურდობის დროსაც, ხულიგნობის დროსაც და სპეკულაციის დროსაც. ამასთან, მისი აზრით სასჯელის საზოგადოებრივი სარგებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია ის, რომ იგი არის დარღვეული სოციალ-ფსიქოლოგიური წესრიგის აღდგენის ხერხი, მეთოდით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დავსაყ აღარ უნდა იწვევდეს ის, რომ სასჯელის ერთ-ერთი მიზანი თვით დამნაშავის დასჯა და მისთვის გარკვეულ წილად სამაგიეროს მიზღვაცაა.

აღსანიშნავია, რომ მ. დ. ლისოვი მონოგრაფიაში „სასჯელი და მისი გამოყენება თანამდებობრივი დანაშაულისათვის“ სასჯელის შუალედურ მიზნებად მიიჩნევს აგრეთვე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, თანამდებობის ბოროტად გამოყენების ან დაუდევრობის მიზეზების თავიდან აცილებას, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მართვის ორგანოებისადმი მოქალაქეთა ნდობის აღდგენას და სხვ.

მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვა ზემოაღნიშნული გარემოებების მიღწევა, ჩვენი აზრით, სასჯელის შუალედური მიზნები კი არაა, მისი დამატებითი მიზნებია. ამიტომ, ვფიქრობთ, უფრო სწორი იქნება სასჯელის ამ „შუალედური მიზნის“ ცნების მაგიერ ვიხმაროთ ტერმინი სასჯელის „არაძირითადი (დამატებითი) მიზანი“.

ამრიგად, ისევე, როგორც ყველა სახის დანაშაულისათვის, თანამდებობრივი დანაშაულისათვისაც სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის გამოყენების ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) უმთავრესი და საბოლოო მიზანია დანაშაულის თავიდან აცილება. ამ მიმართებით სისხლის სამართლის კანონით დაწესებული სასჯელის პრაქტიკული რეალიზაცია, შეიძლება ითქვას, დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანის — ჩვენს საზოგადოებაში დანაშაულებრივი ფაქტების შემცირების, მათი საბოლოო და სამუდამო აღმოფხვრის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ, ცხადია, ეს არის მისი საბოლოო მიზანი, რომლის განხორციელება წარმოუდგენელია აგრეთვე ზემოაღნიშნული სახით დამნაშავეთა დასჯის, მათთვის სამაგიეროს მიზღვის გარეშე.



## 2. სასჯელის სახეები თანამდებობრივი დანაშაულისათვის

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი ძირითადი სასჯელები:

- 1) თავისუფლების აღკვეთა;
- 2) გადასახლება;
- 3) გასახლება;
- 4) გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად;
- 5) გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- 6) ჯარიმა;
- 7) თანამდებობიდან დათხოვნა;
- 8) საზოგადოებრივი გაკიცხვა.

სამხედრო მოსამსახურეების მიმართ შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნეს სასჯელი სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნის შესახებ.

იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეწევიან მაწანწალობას ან მათხოვრობას, ანდა სხვაგვარ პარაზიტულ ცხოვრებას, შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს სასჯელი შრომა-აღმზრდელობითს პროფილაქტორიუმში გაგზავნის სახით.

ძირითადი სასჯელების გარდა დამნაშავეთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე შემდეგი სახის დამატებითი სასჯელები:

- 1) ქონების კონფისკაცია;
- 2) სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა;
- 3) მშობლის უფლების ჩამორთმევა.

ამავე მუხლის თანახმად, გასახლება, გადასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და თანამდებობიდან დათხოვნა შეიძლება გამოყენებული იქნეს არა მარტო როგორც ძირითადი, არამედ, აგრეთვე, როგორც დამატებითი სასჯელი.

საქართველოს სსრ სსკ 24-ე მუხლით, სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიებების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის, დაშვებულია აგრეთვე სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება.

აღნიშნული ძირითადი სახის სასჯელებიდან თითქმის ნა-

ხევარზე მეტი სარეალიზაციოდ კონცენტრირებულია თანამდებობრივი დანაშაულის თავში გათვალისწინებული დელიქტებისათვის.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების (სსკ 187-ე მუხ.) მარტივი სახე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილით, იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია სისტემატურად ან ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, ან რამაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი გამოიწვია, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რასაც თან ახლდა თანამდებობის პირის მიერ ძალადობა ან იარაღის გამოყენება, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედება, — იმავე მუხლის მესამე ნაწილით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან რვა წლამდე.

მარტივი სახე დაუდევრობისა (სსკ 188-ე მუხ.) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნით.

იმავე მუხლის მეორე ნაწილით კი იგივე ქმედობა, თუ მას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

ქრთამის აღების მარტივი სახე საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

იმავე მუხლის მეორე ნაწილით კი იგივე ქმედობა, ჩადენილი ისეთი თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარე-

ობა ეკავა ან ადრე ნამყოფი იყო სამართალში მექრთამეობისათვის, ან ისეთი პირის მიერ, რომელსაც არაერთხელ აუღია ქრთამი, ან რა-საც თან სდევდა ქრთამის გამოძალვა, — ისჯება თავისუფლების აღ-კვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ვა-დით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე. განსაკუთრე-ბით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღება კი ის-ჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

მექრთამეობაში შუამავლობა საქართველოს სსრ სსკ 189<sup>1</sup>-ე მუხ-ლის პირველი ნაწილით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან რვა წლამდე.

იმავე მუხლის მეორე ნაწილით კი დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი იგივე ქმედობა, კერძოდ, მექრთამეობაში შუამავლობა ჩადენილი არაერთხელ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყო-ფია სამართალში მექრთამეობისათვის, ან თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

ქრთამის მიცემის მარტივი სახე სსკ 190-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე, ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილით დამამძიმებელ გა-რემოებაში ჩადენილი ქრთამის მიცემა, კერძოდ; ქრთამის მიცემა არაერთხელ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ნამყოფია სამარ-თალში მექრთამეობისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვა-დით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამი-სოდ და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

სამსახურებრივი სიყალბე (სსკ 191-ე მუხ.) ისჯება თავისუფ-ლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაო-ებით იმავე ვადით ან თანამდებობიდან დათხოვნით.

### **3. თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის საპართლის აქონებლობით დადგენილი სასჯალის გამოყენების პრაქტიკა**

საქართველოს სსრ სასამართლოების დასჯითი პრაქტიკის შეს-წავლამ გვიჩვენა, რომ თანამდებობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სასამართლოები უფრო ხშირად იყენებენ ისეთი სახის სას-

ჯელებს, როგორცაა: თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღკვეთილად (მათ შორის მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე მოხდით, პირობით თავისუფლების აღკვეთა და გამასწორებელი სამუშაოები, პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით) და გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლოები მსჯავრდებულები პირების მიმართ ძირითადად იყენებენ თავისუფლების აღკვეთასა და იძულებით სამუშაოებს თავისუფლების აღკვეთილად. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე, 198-ე, 189<sup>1</sup>-ე, 190-ე და 191 მუხლებით გათვალისწინებული თანამდებობრივი დანაშაულისათვის ჩვენს მიერ შესწავლილ მსჯავრდებულთაგან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 28,2%-ს, პირობით თავისუფლების აღკვეთა — 20,1%-ს, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღკვეთის გარეშე 27,7%-ს, პირობითი თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით — 13,1%-ს. დანარჩენი 10,9%-ს კი უფრო მსუბუქი ხასიათის სხვადასხვა სახის სასჯელები შეეფარდა.

თუ შერჩევით აღებულ ხუთი წლის (1974—1978 წლების) მონაცემებს ცალკეული წლების მიხედვით განვიხილავთ, მაშინ ზემოთ აღნიშნული სახის სასჯელები თანამდებობრივი დანაშაულისათვის პროცენტულად შემდეგნაირად წარმოგვიდგება: 1974 წელს თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებულთაგან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 31,2%-ს, 1975 წელს — 30,2%-ს, 1976—1977 წლებში 25,5%-ს, 1978 წელს — 18,2%-ს, ე. ი. 1974 წლიდან ამ სახის სასჯელების გამოყენების პრაქტიკა თითქმის ყოველწლიურად მცირდებოდა და უკვე 1978 წელს 1974 წელთან შედარებით მათი რიცხვი 13%-ით შემცირდა. პირობით თავისუფლების აღკვეთა და გამასწორებელი სამუშაოები 1974 წელს შეეფარდა თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა 26,3%-ს, 1975 წელს — 15,2%-ს, 1976 წელს — 19,7%-ს, 1977 წელს — 21,4%-ს, 1978 წელს — 21,5%-ს, ე. ი. 1975 წელს პირობით თავისუფლების აღკვეთისა და გამასწორებელი სამუშაოების გამოყენების პრაქტიკა წინა წელთან შედარებით 11,1%-ით შემცირდა. შემდეგ მისი გამოყენების ფაქტები თანდათან მატულობს და უკვე 1978 წელს ამ სახის სასჯელები 1975 წელთან შედარებით 6,3%-ით შემცირდა. გა-

მასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად 1974 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 27,2%-ს, 1975 წელს — 30,7%-ს, 1976 წელს — 31,5%-ს, 1977 წელს — 25,7%-ს, 1978 წელს — 21,3%-ს.

პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით 1974 წელს შეეფარდა 11%-ს, 1976 წელს — 13,6%-ს, 1978 წელს — 18,1%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით 1974 წელთან შედარებით 7,1%-ით მეტ პირს შეეფარდა. დანარჩენი სხვა სახის სასჯელები 1974 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 4,5%; 1975 წელს — 12,7%-ს, 1977 წელს — 14,2%-ს, 1978 წელს — 20,2%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს დანარჩენი სხვა სახის სასჯელები მსჯავრდადებულთაგან 15,7%-ით მეტს შეეფარდა.

საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ 1974-1978 წლებში თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 28,2%-ს, პირობით თავისუფლების აღკვეთა და გამასწორებელი სამუშაოები — 16,3%-ს, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღკვეთის გარეშე — 27,6%-ს, პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით — 13,1%-ს, სხვა კიდევ უფრო მსუბუქი სასჯელები კი (გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა ან გარკვეული საქმიანობის აკრძალვა და სხვ.) შეეფარდა მსჯავრდადებულთა 14,8%-ს.

სასამართლო პრაქტიკის ზემოთ აღნიშნული მონაცემები ცალკეული წლების მიხედვით არასტაბილურია. სასამართლოები ზოგჯერ უფრო ფართოდ იყენებენ გამასწორებელ სამუშაოებს თავისუფლების აღუკვეთლად, ზოგჯერ პირიქით — პირობით თავისუფლების აღკვეთას შრომაში სავალდებულო ჩაბმით. მაგალითად, 1975-1976 წლებში თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების შეფარდების პრაქტიკა 1974 წელთან შედარებით თითქმის 4 %-ით გაიზარდა; 1978 წელს კი 1976 წლის მონაცემებთან შედარებით თითქმის 10 %-ით შემცირდა. პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით 1974 წლის მონაცემებთან შედარებით 1978 წელს 7,1%-ით გაიზარდა. ასევე გაიზარდა სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელების გამოყენების პრაქტიკა, კერძოდ, იგი 1974 წლის მონაცემებთან შედარებით 1978 წელს

15,7%-ით იქნა გაზრდილი. რაც შეეხება უფრო ძვირად სახის სასაქელების — თავისუფლების აღკვეთის, აგრეთვე პირობით თავისუფლების აღკვეთისა და გამასწორებელი სამუშაოების გამოყენების პრაქტიკას, იგი თითქმის ყოველწლიურად მცირდება. მაგალითად, 1978 წელს მსჯავრდადებულთათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემთხვევები 1974 წელთან შედარებით 6,5%-ით შემცირდა. იმავე წელთან შედარებით პირობით თავისუფლების აღკვეთისა და გამასწორებელი სამუშაოების გამოყენების პრაქტიკა 1978 წელს 11,8%-ით შემცირდა.

ეს მონაცემები, ცხადია, მეტყველებს იმაზე, რომ თანამდებობრივი დანაშაულისათვის სასამართლოები მსჯავრდადებულთა მიმართ არც თუ ისე ხშირად იყენებენ თავისუფლების აღკვეთას, განსაკუთრებით კი, როგორც ქვემოთ დაინახავთ, მატერიალური სახის თანამდებობრივი დანაშაულებისათვის. ამაში უფრო ნათლად დავრწმუნდებით თუ გავითვალისწინებთ თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევების საერთო ხვედრით წონას სასამართლოების მიერ გამოყენებულ სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელთა პროცენტულ შეფარდებაში. მაგალითად, 1978 წელს მსჯავრდადებულთა მიმართ თანამდებობრივი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული ყველა სხვა მსუბუქი სახის სასჯელთა გამოყენება 75,1%-ით აღემატებოდა თავისუფლების აღკვეთის სასჯელის შეფარდების შემთხვევებს. რაც ცხადია, ჩვენი სასამართლოებისათვის დამახასიათებელი ჰუმანურობის ნათელი გამოხატულებაა.

რაც შეეხება ცალკეული სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა მიმართ ზემოთ აღნიშნული სახის სასჯელების გამოყენების პრაქტიკას პროცენტებში, ჩვენს მიერ შერჩევით აღებული ხუთი წლის მონაცემებით (1974-1978 წწ.), შემდეგნაირად გვევლინება:

თავისუფლების აღკვეთა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის (სსკ 186-ე მუხ.) 1974 წელს შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 28,4%-ს, 1975 წელს — 28,1%-ს, 1976 წელს — 23,2%-ს, 1977 წელს — 20,7%-ს, 1978 წელს — 20,6%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელთან შედარებით მოცემული სახის დანაშაულისათვის 1974 წელს 7,8%-ით მეტ მსჯავრდადებულს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ან სამ-

სახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის (სსკ 187-ე მუხლის II და III ნაწ.) 1974 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა 71,4%-ს, 1975 წელს — 61%-ს, 1976 წელს — 45%-ს, 1977 წელს — 18,3%-ს, 1978 წელს — 42,9%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელთან შედარებით 1974 წელს თავისუფლების აღკვეთა 8,5%-ით ნაკლებ მსჯავრდებულს შეეფარდა.

დაუდევრობისათვის მსჯავრდებულთაგან 1974-1975 წლებში თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდებულთა 10,6%-ს, 1976 წელს — 12,3%-ს, 1977 წელს — მსჯავრდებულთა 12,1%-ს, 1978 წელს — 11,2%-ს.

მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის (სსკ 189-ე მუხ. I ნაწ.) 1974 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდებულთა 95%-ს, 1975 წელს — 86,7%-ს, 1976 წელს — 83,3%-ს, 1977 წელს — 96,2%-ს, 1978 წელს — 72,2%-ს.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის (სსკ 189-ე მუხლის II ნაწ.) ყველა ზემოაღნიშნულ წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდებულთა 100%.

ქრთამის მიცემისათვის (სსკ 190-ე მუხ.) მსჯავრდებულთაგან 1974 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 73%-ს, 1975 წელს — 65,2%-ს, 1976 წელს — 65,6%-ს, 1977 წელს — 60,3%-ს, 1978 წელს — 64,1%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს მოცემული სახის დანაშაულისათვის 1974 წელთან შედარებით 8,9%-ით ნაკლებ მსჯავრდებულს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

მექრთამეობაში შუამავლობისათვის (სსკ 189<sup>1</sup>-ე მუხ.) 1974 და 1977 წლებში თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა ყველა მსჯავრდებულს. 1975 წელს მსჯავრდებულთა 80%-ს, 1976 წელს — 66,6%-ს, 1978 წელს — 50%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს 1974 წელთან შედარებით 50%-ით შემცირდა ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდებულ პირთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის შეფარდების გამოყენების პრაქტიკა.

მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლება-მოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის (სსკ 187-ე მუხ. 1 ნაწ. სსკ 191-ე მუხ.) მსჯავრდებულთაგან 1974 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 20,6%-ს, 1975 წელს — 20,8%-ს, 1976 წელს — 4,8%-ს, 1977 წელს — 11,5%-ს, 1978 წელს — 4,3%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს 1974 წელთან შედარებით მო-

ცემული სახის დანაშაულთათვისაც საგრძნობლად (16,3%) შემცირდა მსჯავრდადებულთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევები.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის (სსკ 186-ე მუხ.) მსჯავრდადებულთაგან გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად 1974 წელს შეეფარდა 24,2%-ს, 1975 წელს — 28,6%-ს, 1976 წელს — 27,4%-ს, 1977 წელს — 22,6%-ს, 1978 წელს — 19,2%-ს, ე. ი. 1974 წელთან შედარებით ამ უკანასკნელ წელს გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად მოცემული სახის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან 5%-ით ნაკლებს შეეფარდა.

დაუდევრობისათვის (სსკ 188-ე მუხ.) იმავე სახის სასჯელი 1974 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 44%-ს, 1975 წელს — 41,9%-ს, 1976 წელს — 44,9%-ს, 1977 წელს — 38,2%-ს, 1978 წელს — 33,3%-ს, ე. ი. მოცემული კატეგორიის დანაშაულისათვის ამ უკანასკნელ წელს გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად 1974 წელთან შედარებით 11,3%-ით ნაკლებ მსჯავრდადებულს შეეფარდა.

გამასწორებელ სამუშაოებს თავისუფლების აღუკვეთელად სასამართლოები ასევე ფართოდ იყენებენ მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა (სსკ 187-ე მუხ. I ნაწ.) და სამსახურებრივი სიყალბისათვის (სსკ 191-ე მუხ.). მაგალითად, 1974 წელს ამ კატეგორიის დანაშაულთათვის მსჯავრდადებულთაგან მოცემული სახის სასჯელი შეეფარდა 25%-ს, 1975 წელს — 45,3%-ს, 1976 წელს — 47,6%-ს, 1977 წელს — 38,5%-ს, 1978 წელს — 26,1%-ს, ე. ი. მოცემული სახის დანაშაულთათვის ზემოაღნიშნული სახის სასჯელების გამოყენების პრაქტიკა ცვალებადია, იგი პერიოდულად იცვლება და აშკარად შეიმჩნევა მისი გამოყენების შემთხვევების ზრდა.

დანარჩენი სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის გამასწორებელ სამუშაოებს თავისუფლების აღუკვეთელად უფრო იშვიათად იყენებენ. მაგალითად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის (სსკ 187-ე მუხ. II და III ნაწ.) ზემოაღნიშნული სახის სასჯელი გამოყენებული იქნა მხოლოდ 1975 წელს, ისიც მსჯავრდადებულთა 5,5%-ის მიმართ. მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის (სსკ 189-ე მუხ. I ნაწ.) ამ სახის სასჯელი გამოყენებული იქნა



მხოლოდ 1975 წელს მსჯავრდადებულთა 2,2%-ის მიმართ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის კი იგი არც ერთი მსჯავრდადებულის მიმართ არ იქნა გამოყენებული. ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულთაგან 1974 წელს ამ სახის სასჯელი შეეფარდა 2%-ს, 1975 წელს — 13,1%-ს, 1976 წელს — 5,2%-ს. მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთაგან ზემოაღნიშნული სახის სასჯელი 1976 წელს შეეფარდა 11,2%-ს, 1978 წელს — 50%-ს. დანარჩენ წლებში კი ამ სახის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან იგი არც ერთი პირის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული.

ზოგიერთი სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა მიმართ სასამართლოები საკმაოდ ფართოდ იყენებენ ისეთი სახის სასჯელებსაც, როგორცაა: პირობით თავისუფლების აღკვეთა და გამასწორებელი სამუშაოები და აგრეთვე პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით. მაგალითად, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის პირობით თავისუფლების აღკვეთა და გამასწორებელი სამუშაოები 1974 წელს შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 22,3%-ს, 1975 წელს — 15,5%-ს, 1976 წელს — 21%-ს, 1977 წელს — 23,6%-ს, 1978 წელს — 16,2%-ს. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის მსჯავრდადებულთაგან 1975 წელს იგი შეეფარდა 5,6%-ს, 1976 წელს — 25%-ს, 1977 წელს — 54,5%-ს, 1974 და 1978 წლებში კი არც ერთ მსჯავრდადებულს. დაუდევრობისათვის მსჯავრდადებულთაგან იგი 1974 წელს შეეფარდა 17,3%-ს, 1975 და 1976 წლებში 20,8%-ს, 1977 წელს — 21,2%-ს, 1978 წელს — 15,3%-ს, მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის ზემოაღნიშნული სასჯელი მსჯავრდადებულთა მიმართ გამოყენებული იქნა მხოლოდ 1976 და 1978 წლებში, ისიც მსჯავრდადებულთა 5,5%-ის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის კი არც ერთი მსჯავრდადებულის მიმართ. ქრთამის მიცემისათვის ზემოაღნიშნული სასჯელი 1974 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 13%-ს, 1975 წელს — 5,8%-ს, 1976 წელს — 16,4%-ს, 1977 წელს — 14,2%-ს, 1978 წელს — 10,1%-ს, მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთაგან კი არცერთი პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული. მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსი-

ლების გადამეტებისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის მსჯავრდადებულთაგან 1974 წელს იგი შეეფარდა 17,6%-ს, 1975 წელს — 13,2%-ს, 1976 წელს — 21,4%-ს, 1977 წელს — 26,9%-ს, 1978 წელს — 19,5%-ს.

რაც შეეხება პირობით თავისუფლების აღკვეთას შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის (186-ე მუხ.) 1974 წელს იგი შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 15,2%-ს, 1975 წელს — 14,7%-ს, 1976 წელს — 19,7%-ს, 1977 წელს — 22,3%-ს, 1978 წელს — 29,2%-ს.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის (187-ე მუხ. II და III ნაწ.) თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით 1974 წელს შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა 12,6%-ს, 1975 წელს — 16,8%-ს, 1976 წელს — 30%-ს, 1977 წელს — 27,2%-ს, 1978 წელს — 57,1%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს სასჯელის ეს სახე 1974 წელთან შედარებით გამოყენებული იქნა 44,5%-ით მეტი მსჯავრდადებულის მიმართ.

დაუდევრობისათვის (188-ე მუხ.) მსჯავრდადებულ პირთაგან 1974 წელს იგივე სასჯელი შეეფარდა 8,3%-ს, 1975 წელს — 10,3%-ს, 1976 წელს — 9,9%-ს, 1977 წელს — 4,2%-ს, 1978 წელს 11,7%-ს.

მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის (189-ე მუხ. I ნაწ.) მსჯავრდადებულთაგან იგივე სახის სასჯელი 1975 წელს შეეფარდა 4,4%-ს, 1976 და 1978 წლებში — 5,6%-ს. დანარჩენ წლებში ამ კატეგორიის დანაშაულისათვის იგი გამოყენებული არ ყოფილა.

ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულთაგან ზემოხსენებული სახის სასჯელი 1974 წელს შეეფარდა 11%-ს, 1975 წელს — 8,7%-ს, 1976 წელს — 7,2%-ს, 1977 წელს — 22,2%-ს, 1978 წელს — 15,5%-ს, ე. ი. მისი გამოყენების პრაქტიკა 1974 წელთან შედარებით 1977 წელს ორჯერ გაიზარდა.

მეჭრთამეობაში უშუამავლობისათვის სასჯელის ეს სახე მხოლოდ 1976 წელს იქნა გამოყენებული მსჯავრდადებულთა 22,2%-ის მიმართ. დანარჩენ წლებში კი მის გამოყენებას ამ სახის დანაშაულისათვის საერთოდ ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი სიყალ-

ბისათვის მსჯავრდადებულ პირთა მიმართ ზემოაღნიშნული სახის სასჯელის გამოყენების პრაქტიკას, იგი ასეთნაირად გვევლინება: 1974 წელს იგი შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა 8,8%-ს, 1975 წელს — 9,4%-ს, 1976 წელს — არცერთს, 1977 წელს — 1,9%-ს, 1978 წელს — 4,3%-ს. ამ უკანასკნელ წელს კიდევ უფრო ფართოდ იქნა გამოყენებული სხვადასხვა სახის მსუბუქი სასჯელები (45,8%).

ამრიგად, ზემოაღნიშნული წლების მონაცემებით, თანამდებობრივი დანაშაულისათვის კანონით დადგენილი ძირითადი სასჯელის— თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პრაქტიკა თითქმის ყოველწლიურად მცირდებოდა არა მარტო მატერიალური შემადგენლობის სახის დანაშაულისათვის, არამედ ისეთი საშიში ფორმალური შემადგენლობის დანაშაულისათვისაც, როგორცაა: მექრთამეობა (ქრთამის მიცემა, ქრთამის აღება, მექრთამეობაში შუამავლობა) და სამსახურებრივი სიყალბე. ყოველივე ეს კი, ჩვენი აზრით, გარკვეულ გავლენას ახდენს თავისუფლების აღკვეთის სასჯელის ეფექტურობაზე.

სასამართლოები თანამდებობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ მეტად იშვიათად იყენებენ თავისუფლების აღკვეთას ციხეში პატიმრობით. მაგალითად, 1974-1978 წლების მანძილზე, ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან თავისუფლების აღკვეთა ციხეში პატიმრობით შეეფარდა მხოლოდ 0,3%-ს. მისი გამოყენების შემთხვევები უფრო ქარბობდა 1974 წელს, მომდევნო წლებში კი მინიმალურად შემცირდა. მაგალითად, 1974 წელთან შედარებით 1977 წელს იგი შემცირდა 10-ჯერ, 1978 წელს კი 9-ჯერ.

სასამართლო პრაქტიკაში ასევე იშვიათად იყენებენ მსჯავრდადებულთა აღზრდისა და მათზე ზემოქმედების ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა მსჯავრდადებულთა ხელახლა აღსაზრდელად საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებზე გადაცემა. მაგალითად, 1974 წელს იგი გამოყენებულ იქნა თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 0,4%-ის მიმართ, 1975 წელს — 8,3%-ის, 1976-1977 წლებში — 1,4%-ის, 1978 წელს კი 2,9%-ის მიმართ. როგორც ვხედავთ, სასამართლო პრაქტიკა აქაც არასტაბილურია.

თანამდებობრივი დანაშაულისათვის კიდევ უფრო იშვიათად იყენებენ ისეთ აღმზრდელობით ფორმას, როგორცაა საზოგადო-

ებრივი გაკიცხვა. სასამართლოების მიერ სასჯელის ეს ღონისძიება გამოყენებულ იქნა მხოლოდ 1974 წელს და ისიც თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 0,1%-ის მიმართ. რაც შეეხება ისეთ ღონისძიებას, როგორცაა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღების, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შეამავლობისათვის კანონით დადგენილი დამატებითი სასჯელის— გადასახლების გამოყენება, 1970-1980 წლების მანძილზე სასამართლო პრაქტიკაში არ ყოფილა მისი გამოყენების არც ერთი შემთხვევა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის კანონით დადგენილი სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვრეტის გამოყენებას საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში 1962 წლიდან 1980 წლამდე საერთოდ ადგილი არ ჰქონია.

სასამართლო პრაქტიკაში ნაკლებ რეალიზაციას პოულობს აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსით მექრთამეობისათვის დადგენილი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზომა. მაგალითად, საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკის მონაცემებით 1974-1978 წლების განმავლობაში მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან თავისუფლების აღკვეთა 10 წლიდან 15 წლის ჩათვლით შეეფარდა მხოლოდ 1,1%-ს. საერთოდ კი 1970-1980 წლებში მსჯავრდადებულთა შორის იმ პირთა რიცხვი, რომელთა მიმართ გამოყენებული იქნა თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტ წლამდე, პროცენტულად ყველაზე მეტი მოდის 1972-1973 წლებში. შემდეგ კი მათი რიცხვი თანდათანობით მცირდება, თუმცა 1980 წელს მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ ასეთ პირთა რიცხვი ერთგვარად გაიზარდა და თითქმის მიუახლოვდა 1970 წლის სასამართლო პრაქტიკის მონაცემებს. მაგრამ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ამ პროცენტულ შეფარდებაში კიდევ უფრო უმნიშვნელოა იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც თორმეტ წელზე მეტი ვადით შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა. 1970-1980 წლებში თავისუფლების აღკვეთა თორმეტი წლის ზემოთ სულ გამოყენებული იქნა რამდენიმე პირის მიმართ.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თანამდებობრივი დანაშაულისათვის სასამართლოები ასევე იშვიათად იყენებენ სასჯელის ისეთ დამატებით ღონისძიებებს, როგორცაა: ქონების კონფისკაცია, ჯარიმა, გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმე-

ეს ან გარკვეული საქმიანობის აკრძალვა. მაგალითად, ჯარიმა, როგორც სასჯელის დამატებითი სახე, თანამდებობრივი დანაშაულისათვის საქართველოს სასამართლოების მიერ 1970-1980 წლების განმავლობაში გამოყენებული იქნა მხოლოდ ორი პირის მიმართ. რაც შეეხება ქონების კონფისკაციას, როგორც მექრთამეობისათვის კანონით დადგენილ სასჯელის დამატებით სახეს, ჩვენს მიერ შერჩევით აღებული ზემოთ აღნიშნული ხუთი წლის განმავლობაში გამოყენებული იქნა მხოლოდ მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა 24,5%-ს მიმართ. გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა ან გარკვეული საქმიანობის აკრძალვა კი იმავე პერიოდის მონაკვეთში სასამართლოების მიერ თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა მხოლოდ 8,6%-ს შეეფარდა.

მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან ქონების კონფისკაცია, როგორც სასჯელის დამატებითი ღონისძიება, 1974 წელს შეეფარდა 33,3%-ს, 1978 წელს — 14,2%-ს, 1979 წელს ქონების კონფისკაცია სულ რამოდენიმე პირის მიმართ იქნა გამოყენებული. 1980 წელს კი მისი გამოყენების ფაქტები 1979 წელთან შედარებით 55,6%-ით გაიზარდა.

მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის ქონების კონფისკაცია 1970 წელს გამოყენებული იქნა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 40%-ის მიმართ, ხოლო 1977 წელს იგი არც ერთი მსჯავრდადებულის მიმართ არ გამოყენებიათ. 1979 წელს გამოყენებული იქნა 36,8%-ის მიმართ, 1980 წელს კი 53,6%-ს მიაღწია.

საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით ქრთამის აღებისათვის, ე. ი. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთაგან 1970 წელს ქონების კონფისკაცია, როგორც დამატებითი სასჯელი, შეეფარდა მხოლოდ 85,7%-ს, მომდევნო წელს მათი რიცხვი მცირეოდენ გაიზარდა და 86,4%-ს მიაღწია. 1972 წელს იგი შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა 91,8%-ს, 1980 წელს კი 80,6%-ს, ე. ი. ქონების კონფისკაციის გამოყენების უკვლავ ნაკლებ შემთხვევებს აღვილი ჰქონდა 1978 წელს (6,6%), უკვლავ მეტს კი 1974 წელს (90,9%).

მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა მიმართ ქონების კონფისკაციის გამოყენების შემთხვევები 1974—1978 წლებში საშუალოდ შეადგენდა 24,5%-ს. იმავე მუხლის მეორე ნაწილით მსჯავრდადებულ პირთა მიმართ ქონების კონფისკაციის როგორც სასჯელის დამატებითი ღონისძიების გამოყენების შემთხვე-

ვებიც იკლებს. მაგალითად, 1979 წელს მისი გამოყენების ფაქტები 1974 წელთან შედარებით 32,6%-ით შემცირდა.

სასამართლო პრაქტიკაში ასევე საგრძნობლად შემცირდა იმავე სახის დამატებითი სასჯელის გამოყენების ფაქტები მექრთამობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულ პირთა მიმართაც. მაგალითად, თუ 1976 წელს სსკ 189<sup>1</sup>-ე მუხლით მსჯავრდადებულთა მიმართ ქონების კონფისკაციის გამოყენების შემთხვევები 1974 წლის მონაცემებთან შედარებით 31%-ით შემცირდა. 1977-1978 წლებში ქონების კონფისკაცია იმავე მუხლით მსჯავრდადებული არც ერთი პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული.

სასამართლოების მიერ ასევე არასტაბილურია ისეთი დამატებითი სახის სასჯელების გამოყენება, როგორცაა გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა ან გარკვეული საქმიანობის აკრძალვა. და, აქაც შეიმჩნევა ერთგვარი ტენდენცია სასამართლოების მიერ ამ სახის სასჯელის გამოყენების შემთხვევების შემცირებისა. მაგალითად, 1978 წ. ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის (სსკ 186-ე მუხ.) მსჯავრდადებულ პირთა მიმართ მისი გამოყენების შემთხვევები 1974 წელთან შედარებით 10%-ით შემცირდა. 1977 წელს კი იგი საერთოდ არც ერთი მსჯავრდადებულის მიმართ არ იქნა გამოყენებული. საერთოდ კი გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის ან გარკვეული საქმიანობის აკრძალვის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა 1974-1978 წლების მიხედვით პროცენტებში შემდეგი სახით გვევლინება: ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის მსჯავრდადებულისაგან გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა ან გარკვეული საქმიანობის აკრძალვა 1974 წელს შეეფარდა 24,6%-ს, 1975 წელს — 15,6%-ს, 1976 წელს — 1,1%-ს, 1978 წელს — 14%-ს. დაუდევრობისათვის (სსკ 188-ე მუხ.) თანამდებობიდან დათხოვნა 1974 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 13,4%-ს, 1975 წელს — 4,1%-ს, 1976 წელს — 8,5%-ს, 1978 წელს — 9,5%-ს, 1977 წელს კი იგი არც ერთი მსჯავრდადებულის მიმართ არ იყო გამოყენებული. მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი მოვალეობის უფლებამოსილების გადაშტებისა და (სსკ 187-ე მუხ. I ნაწ.) და სამსახურებრივი სიყალბისათვის მსჯავრდადებულთაგან 1974 წელს თანამდებობიდან დათხოვნა შეეფარდა მსჯავრდადებულთა 7,4%-ს, 1975 წელს — 3,8%-ს, 1978 წელს — 6,5%-ს, 1976 და

1977 წლებში კი იგი არც ერთი მსჯავრდადებულის მიმართ არ იქნა გამოყენებული.

გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა ან გარკვეული საქმიანობის აკრძალვა ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის მქონე მსჯავრდადებულთაგან 1974 წელს 53,9%-ს შეეფარდა, 1978 წელს კი 38,5%-ს. მართალია, ეს გარემოება ერთი მხრივ გამოწვეულია იმით, რომ სასამართლოები უკანასკნელ პერიოდში ერთობ გაფართოებით იყენებენ პირობით თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკას, მაგრამ, იგი მაინც უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს თვით თავისუფლების აღკვეთის მქონე მსჯავრდადებულთა შორისაც.

ამრიგად, თანამდებობრივი დანაშაულისათვის ძირითადი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთასთან ერთად სასამართლოები არც თუ ისე ხშირად იყენებენ მსჯავრდადებულთა მიმართ ქონების კონფისკაციასა და გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევას ან გარკვეული საქმიანობის აკრძალვას. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ტენდენცია მარტო ჩვენი რესპუბლიკის სასამართლოებისათვის არაა დამახასიათებელი. მაგალითად, გ. კახინი და ი. კასატკინი 1981 წელს უკრანულ „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტი“ (№ 2, გვ. 23) გამოქვეყნებულ სტატიაში „სასამართლოების მიერ დამატებითი სასჯელების დანიშვნის პრაქტიკა“, მიუთითებენ, რომ მთლიანად სსრ კავშირში მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან ქონების კონფისკაცია 1978 წელს შეეფარდათ 29,6%-ს, 1979 წელს კი 46,3%-ს.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენში (1981 წ. № 3) გამოქვეყნებულ სასამართლოების მიერ დამატებითი სასჯელების გამოყენების პრაქტიკის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ 1979 წელს მთლიანად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სასამართლოების მიერ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა შეეფარდა მხოლოდ 17,6%-ს და ეს მონაცემები ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში კიდევ უფრო მცირეა. ნათქვამის დასასაბუთებლად იქვე მითითებულია, რომ ბელორუსიის რესპუბლიკაში ასეთ მსჯავრდადებულთა რიცხვმა შეადგინა 9,1%, უზბეკეთში — 7,4%, ყაზახეთში კი მხოლოდ 3,2% პროცენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის

23 სექტემბრის № 16 დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, პირდაპირ მითითებულია, რომ სასამართლოებმა განუზრვლად უნდა დაიცვან კანონის მოთხოვნა დამატებითი სასჯელის სახით ქონების კონფისკაციის შეფარდების შესახებ ქრთამის აღებისა და მექრთამეობაში კვალიფიციური შუამავლობისათვის. ამასთან, პლენუმმა ქონების კონფისკაციის გამოუყენებლობა დასაშვებად ჩათვალა მხოლოდ იმ საფუძველით, რომელიც აღნიშნულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების, 37-ე მუხლში. პლენუმზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების 26-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოებმა უნდა განიხილონ მსჯავრდადებულისათვის ისეთი დამატებითი სასჯელის ზომის შეფარდების საკითხი, როგორცაა გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

სხვა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა მიმართ დამატებითი სასჯელების გამოყენების საჭიროების შესახებ, ჭერ კიდევ ადრე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1975 წლის 14 მარტის № 1 დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „თანამდებობრივად და მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისათვის სასჯელის დანიშვნისას, იმ პირების მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს თავიანთი თანამდებობრივი მოვალეობის გამოყენებით, სასამართლოებმა უნდა განიხილონ საკითხი დამატებითი სასჯელების გამოყენების შესახებ, განსაზღვრული თანამდებობის დაკავების ან განსაზღვრული საქმიანობის უფლების აკრძალვის შესახებ“.

სასამართლოების მიერ დამატებითი სასჯელის — გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის გამოყენების შემთხვევების შესახებ აღინიშნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1 ოქტომბრის № 4 დადგენილებაში, რომლის მე-6 პუნქტში პირდაპირ მითითებული იყო, რომ „თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა მიმართ საქართველოს სსრ სსკ 29-ე მუხლის საფუძველზე ყოველ აუცილებელ შემთხვევაში გამოყენებული იქნეს დამატებითი სასჯელი გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით“.

ამავე საკითხებზე ყურადღება გაამახვილა აგრეთვე საქართვე-



დღოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1978 წლის 13 ივლისის დადგენილებაში, რომლის მე-9 პუნქტში აღნიშნულია, რომ სასამართლოებმა სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმონ „ისეთი დამატებითი სასჯელების დანიშვნას, როგორც არის ქონების კონფისკაცია და გარკვეული თანამდებობის დაკავებისა და გარკვეული საქმიანობის აკრძალვა. თუ გამოსაყენებელი სისხლის სამართლის კანონი მოითხოვს დამატებითი სასჯელის აუცილებელ შეფარდებას და სასამართლო გადაწყვეტს არ გამოიყენოს, იგი მოვალეა განაჩენში ჯეროვნად დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება“. ასევე, 1980 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო სპეციალური დადგენილება „სასამართლოების მიერ დამატებითი სასჯელების დანიშვნის სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, რომლითაც სასამართლოებს მიეცათ სახელმძღვანელო მითითება, რომ უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ დამატებითი სასჯელების დანიშვნის პრაქტიკასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომების აღმოფხვრასა და გამოსწორებას.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენში (1981 წელი, № 3), სადაც მოცემულია დამატებითი სასჯელების დანიშვნის სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, აღნიშნულია, რომ ზოგიერთი სასამართლო ჯერ კიდევ ვერ აფასებს დამატებითი სასჯელების მნიშვნელობას მსჯავრდადებულთა გამოსწორების, მათი ხელახალი აღზრდისა და ახალ დანაშაულთა ჩადენის თავიდან აცილების საქმეში.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1979 წლის 7 დეკემბრის დადგენილებაში „საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკაზე“ ნათქვამი იყო, რომ სასამართლოებმა საფუძვლების 26-ე მუხლის შესაბამისად უნდა იმსჯელონ დამნაშავისათვის დამატებითი სასჯელის — გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის გამოყენების საკითხის შესახებაც.

ამრიგად, ზემდგომი სასამართლო ორგანოები თავიანთ სახელმძღვანელო ახსნა-განმარტებებსა და მითითებებში უაღრესად დიდ ყურადღებას უთმობენ თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა მიმართ დამატებითი სასჯელების სწორად და აუცილებლად გამოყენების საკითხებს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ,

ქვემდგომი სასამართლო ორგანოები ამ მნიშვნელოვან მოთხოვნათა პრაქტიკულ რეალიზაციას რატომღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებული პირების მიმართ ზემოაღნიშნული სახის დამატებითი სასჯელების გამოყენების ფაქტები მეტად უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს. ეს გარემოება შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ სასამართლოები უკანასკნელ წლებში მსჯავრდადებულთა მიმართ ძირითად სასჯელად საკმაოდ ფართოდ იყენებენ პირობით თავისუფლების აღკვეთას, ასეთ დროს კი პირს დამატებით სასჯელად გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა არ შეიძლება შეეფარდოს.

ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ხაბაროვსკის ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება დანჩენკოს საქმეზე, რომელშიც ნათქვამია: „პირობითი მსჯავრდადების დროს არ შეიძლება დანიშნული იქნას დამატებითი სასჯელი — გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა“. იქვე აღნიშნულია ისიც, რომ რსფსრ სსკ 30-ე და 44-ე მუხლების თანახმად პირობითი მსჯავრდადების დროს დამატებითი სასჯელი, ჯარიმის გარდა (ისიც თუ სსკ შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულია დამატებითი სასჯელის სახედ), არ შეიძლება შეეფარდოს<sup>1</sup>.

თანამდებობრივ დანაშაულთაგან სასამართლოები თავისუფლების აღკვეთას შედარებით ფართოდ იყენებენ მეჭრთამეობის ჩამდენი პირების მიმართ. და, ეს ბუხებრავიცაა, რადგან ამ დანაშაულებრივი ქმედობისათვის კანონით ძირითად სასჯელად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა. განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის კი სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკის მონაცემებით ამ სახის დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდადებული პირების მიმართ თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პრაქტიკაც არასტაბილურია და მისი გამოყენების ფაქტები 1970 წლიდან თითქმის ყოველწლიურად მცირდება. ასე მაგალითად, 1970 წელს მეჭრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 96,2%; 1980 წელს 79,8%-ს.

საქართველოს სსრ სსკ 190-ე მუხლით ქრთამის მიცემისათვის

<sup>1</sup> იხ. Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1979, № 6, стр. 15.

მსჯავრდადებულთაგან 1970 წელს სასამართლოების მიერ მხოლოდ 94,4%-ს შეეფარდა კანონით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა, 1979 წელს კი 55,3%, ე. ი. დანარჩენ მსჯავრდადებულთა 44,7%-ს შეეფარდა არა თავისუფლების აღკვეთა, არამედ სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელი.

ეს მონაცემები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლოებმა 1979 წელს საქართველოს სსრ სსკ 190-ე მუხლით მსჯავრდადებულ პირთა მიმართ საკმაოდ ფართოდ გამოიყენეს სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე კანონით დადგენილი თავისუფლების აღკვეთაა. ამ წელს, 1970 წელთან შედარებით მსჯავრდადებულთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ფაქტები 39,1%-ით შემცირდა.

თითოეული სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკა პროცენტებში შემდეგნაირად გვევლინება: ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის 1980 წელს 1970 წლის მონაცემებთან შედარებით თავისუფლების აღკვეთა 10,1%-ით ნაკლებ მსჯავრდადებულს შეეფარდა. დაუდევრობისათვის (სსკ 188-ე მუხ.) 1980 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 12,4%-ს, ე. ი. თითქმის იმდენს, რამდენსაც 1970 წელს. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის (სსკ 187-ე მუხლის II და III ნაწილით) 1980 წელს 40,5%-ით ნაკლებ მსჯავრდადებულს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, ვიდრე 1970 წელს. მარტივი სახის იმავე დანაშაულის (სსკ 187-ე მუხ. I ნაწილით) და სამსახურებრივი სიყალბისათვის (სსკ 191-ე მუხ.) 1980 წელს თავისუფლების აღკვეთა 1970 წელთან შედარებით 20,5%-ით მეტ მსჯავრდადებულს შეეფარდა. საერთოდ კი ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირებს თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით 1980 წელს მსჯავრდადებულთა 32,2%-ს შეეფარდა, რაც 4,5%-ით ნაკლებია 1970 წლის მონაცემებთან შედარებით.

საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სასამართლოები არც თუ ისე ხშირად იყენებენ სასჯელის ამ ძირითად სახეს — თავისუფლების აღკვეთას თანამდებობრივი დანაშაულისათვის და, რომ აშკარად შეიმჩნევა მისი გამოყენების შემცირების ტენდენცია. მაგალითად, 1970 წელს ყველა სახის მექრთამეობისათვის (ქრთამის მიცემა-აღება, მექრთამეობა-

ში შუამავლობა) თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული იქნა მხოლოდ მსჯავრდადებულთა 96,2%-ის მიმართ. 1980 წელს კი მათი რიცხვი შეადგენდა 79,8%-ს. ხოლო 1978 წელს იმ პირთა რიცხვი, რომელთა მიმართაც სასამართლოების მიერ გამოყენებული იქნა თავისუფლების აღკვეთა მოცემული კატეგორიის დანაშაულისათვის არ აღემატებოდა 70,5 პროცენტს, ე. ი. ამ წელს 1970 წელთან შედარებით 26,2%-ით ნაკლები მსჯავრდადებულის მიმართ იქნა გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსრ სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ 191-ე მუხლით 1970-1980 წლებში თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 8 პროცენტს; 186-ე მუხლით — 25,3%; 188-ე მუხლით — 12,9%; — 189-ე მუხლის პირველი ნაწილით 86,9%; იმავე მუხლის II ნაწილით — 99,1%; 189<sup>1</sup>-ე მუხლით — 78,5%; 190-ე მუხლით — 89,9%.

სასამართლოები ზოგჯერ კანონით დადგენილი სასჯელის სხვა კიდევ უფრო მსუბუქი ხასიათის აღმზრდელობით ღონისძიებებს იყენებენ აგრეთვე მარტივი სახის ქრთამის აღებისა (სსკ 189-ე მუხ. I ნაწ.) და მექრთამეობაში შუამავლობისათვის (სსკ 189<sup>1</sup>-ე მუხ.) მსჯავრდადებულ პირთა მიმართ. ასე მაგალითად, 1970 წელს საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდადებულთაგან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა ყველას; 1971 წელს — 98,2%-ს; 1979 წელს — 89,4%-ს, ე. ი. ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება 1970 წელთან შედარებით 1978 წელს 27,8%-ით შემცირდა. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილია ქრთამის აღებისათვის კი 1971 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 96,4%-ს, 1972, 1978 და 1979 წლებში კი ყველა მსჯავრდადებულს.

მექრთამეობაში შუამავლობისათვის თავისუფლების აღკვეთა 1972 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 61,1%-ს, 1978 წელს — 50%-ს, 1970, 1971, 1980 წლებში იგი ყველა მსჯავრდადებულს შეეფარდა. 1979 წელს კი საერთოდ ამ დანაშაულისათვის არც ერთი პირი არ იქნა მსჯავრდადებული.

ამრიგად, მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულ პირთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის შეფარდების ფაქტები 1970-1971 წლების მონაცემებთან შედარებით 1978 წელს სასამართლო პრაქტიკაში 50%-ით შემცირდა.

თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელის ძირითად სახეს, სასამართლოები კიდევ უფრო იშვიათად იყენებენ საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. მაგალითად, ამ სახის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან 1970 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 25,3%-ს, 1974 წელს — 20,8%-ს, 1979 წელს — 27,1%-ს, 1980 წელს — —19%-ს, ე. ი. 1970 წელთან შედარებით 1980 წელს 6,3%-ით ნაკლებს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

ამრიგად, სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ეს უმნიშვნელო პროცენტიც ყოველწლიურად კლებულობს. ეს გარემოება თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთამ თითქმის დაკარგა თავისი ეფექტურობა და წინა პლანზე წამოიწია სასჯელის ისეთმა შედარებით მსუბუქმა სახემ, როგორიცაა პირობით თავისუფლების აღკვეთა და გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღკვეთილად. მაგალითად, 1974 წელს სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა 63,3%-ს შეეფარდა პირობით თავისუფლების აღკვეთა და გამასწორებელი სამუშაოები, 1978 წელს 61,6%-ს. დანარჩენი პირების მიმართ კი გამოყენებული იქნა კიდევ უფრო მსუბუქი სახის სასჯელები ან საერთოდ განთავისუფლებული იქნა ამნისტიით ან განაჩენით.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოები, არცთუ ისე იშვიათად იყენებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით დადგენილ თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ ვადაზე დაბალ სასჯელებს. მაგალითად, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან თხუთმეტ წლამდე, 1970 წელს ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ იმ პირთა რიცხვი, რომელთა მიმართაც გამოყენებულ იქნა თავისუფლების აღკვეთა კანონით დადგენილ მინიმალურზე ნაკლები, შეადგენდა 46,4%-ს, 1972 წელს — 8,2%, 1979 წელს — 25%, ე. ი. 1970 წელთან შედარებით მისი გამოყენების შემთხვევები 21,4%-ით შემცირდა. 1980 წელს ამ დანაშაულისათვის არც

ერთი მსჯავრდადებული არ ყოფილა დასჯილი კანონით დადგენილ მინიმალურზე დაბალი სასჯელით, რაც უდაოდ ამ მიმართებით სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებაზე მეტყველებს. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო პრაქტიკაში მაინც გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირებს სასამართლოები საერთოდ არ უფარდებენ თავისუფლების აღკვეთას.

მაგალითად, 1970 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან 3,8% საერთოდ არ შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა; 1972 წელს — 4,3%, 1979 წელს — 31,4%, 1980 წელს კი 11,8%, ე. ი. 1970 წელთან შედარებით 1979 წელს იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულნი იყვნენ და თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდათ 27,6%-ით გაიზარდა. სასამართლოები ასეთი შეღავათების გავრცელებას უფრო ხშირად მიმართავენ ქრთამის მიმცემ პირთა მიმართ. მაგალითად, მარტო 1979 წელს ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულ პირთა 44,7%-ს არ შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა.

თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის სასჯელის ვადებიდან სასამართლოები მსჯავრდადებულთა მიმართ უფრო ხშირად იყენებენ თავისუფლების აღკვეთას ორიდან ოთხ წლამდე. უფრო იშვიათად კი თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ და მაქსიმალურ ვადებს. მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაულისათვის 1974-1978 წლებში თავისუფლების აღკვეთის მქონე მსჯავრდადებულთაგან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე შეეფარდა მხოლოდ 5,1%-ს, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა — 11,2%-ს; ორი წლიდან ოთხ წლამდე — 25,2%-ს; რვა წლიდან თერთმეტ წლამდე კი — 4,2%-ს.

ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან სხვადასხვა ვადებით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პრაქტიკა შედარებით უფრო მყარია თავისუფლების აღკვეთა ერთიდან ათ წლამდე. მაგრამ ცალკეული წლების მიხედვით აქაც შეიმჩნევა არასტაბილურობა. მაგალითად, ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პრაქტიკამ განსაკუთრებით იმატა 1976 წელს და 1974 წლის მონაცემებს 9,7-ით გადააჭარბა. 1977 წელს ამ მსჯავრდადებულთა რაოდენობა თითქმის გაუთანაბრდა 1974 წელს მსჯავრდადებულთა რიცხვს. 1975 წელს წი-

ნა წელთან შედარებით 5,8%-ით მეტი პირი იქნა დასჯილი სამი წლიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთით. 1977 წელს კი იმავე სახის სასჯელით მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა 1975 წელთან შედარებით 7,1%-ით შემცირდა. ხოლო ხუთიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთის შემთხვევები 1976 წელთან შედარებით 1978 წელს 11,6 %-ით გაიზარდა. 1978 წელს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით 5%-ით ნაკლები პირი იქნა მსჯავრდებული, ვიდრე 1975 წელს. უფრო მყარია სასამართლო პრაქტიკა მსჯავრდებულთათვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების მიხედვით, რომლის რიცხვითი რაოდენობა 1974 წელთან შედარებით 1977 წელს მხოლოდ 2%-ით გაიზარდა, 1978 წელს კი წინა წელთან შედარებით 1,4 %-ით შემცირდა.

რაც შეეხება ცალკეული სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთის სასამართლო პრაქტიკას, იგი შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ:

ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას სასამართლოები ძირითადად იყენებენ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების (სსკ 186-ე მუხ.), დაუდევრობის (სსკ 188-ე მუხ.), მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა (სსკ 187-ე მუხ. I ნაწ.) და სამსახურებრივი სიყალბისთვის (სსკ 191-ე მუხ.). მაგალითად, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა 1970 წელს შეეფარდა ამ სახის დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა 11,5%-ს, 1974 წელს — 7,9%, 1978 წელს — 1,8%-ს, 1979 წელს — 0,7%-ს. დაუდევრობისათვის 1971 წელს იგივე სასჯელი შეეფარდა მსჯავრდებულთა 7,2%-ს, 1974 წელს — 16,7%-ს; 1978 წელს — 3,8%-ს, 1979 წელს — 0,4%-ს. მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის 1974 წელს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდებულთა 28,6 %-ს; 1978 წელს — 50%-ს.

ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სსკ 186-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულისათვის 1970 წელს შეეფარდა მსჯავრდებულთა 13,3%-ს, 1974 წელს — 17,9%-ს; 1978 წელს — 16,2%-ს; 1979 წელს — 1%-ს; 187-ე მუხლის II და III ნაწილით მსჯავრდებულთაგან ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეე-

ფარდა მხოლოდ 1975 წელს, ისიც მსჯავრდადებულთა 9,1%-ს. 188-ე მუხლით ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა 1970 წელს შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 3,8%-ს, 1974 წელს — 21,4%-ს, 1978 წელს — 26,9%-ს; 1979 წელს — 3,6%-ს. მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული იქნა მხოლოდ 1970 წელს (6,7%), 1972 წელს (1,6%), აგრეთვე 1974 და 1975 წლებში, ისიც მსჯავრდადებულთა 3,6%-ის მიმართ. ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან 1970 წელს შეეფარდა 26,5%, 1974 წელს — 2,7%-ს, 1978 წელს — 6%-ს, 1979 წელს — 2,1%-ს. მექრთამეობაში შუამავლობისათვის თავისუფლების აღკვეთა 1970 წელს შეეფარდა 37,5%-ს, 1974 წელს 10,5%-ს, 1976 წელს—16,7%-ს. 1973, 1977, 1978 და 1979 წლებში კი იგი არც ერთი პირის მიმართ არ იყო გამოყენებული. 187-ე მუხლის I ნაწილით და 191-ე მუხლით 1974 წელს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდადებულთა 7,1%-ს; 1976 წელს — 50%-ს; 1978 წელს კი არც ერთი მსჯავრდადებულის მიმართ არ იქნა იგი გამოყენებული.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ერთიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა 1970 წელს შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 4,7%-ს, 1974 წელს — 28,5%-ს, 1978 წელს — 41%-ს, 1979 წელს — 5%-ს. დაუდევრობისათვის ერთიდან სამ წლამდე ჩათვლით თავისუფლების აღკვეთა 1972 წელს შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 1,2%-ს, 1974 წელს — 40,4%-ს, 1978 წელს — 34,6%-ს, 1979 წელს — 2%-ს. მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის (სსკ 189-ე მუხ. I ნაწ.) თავისუფლების აღკვეთა იმავე ვადით 1970 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 46,7%-ს, 1976 წელს — 26,7%-ს; 1978 წელს — 7,7%-ს; 1979 წელს — 31,6%-ს. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სასამართლოები ამავე ვადით თავისუფლების აღკვეთით სჯიან დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისთვისაც. მაგალითად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის 1970 წელს დასჯილი იქნა მსჯავრდადებულთა 3,6%, 1976 წელს — 3,8%, 1977 წელს — 4,8%. ასევე, ქრთამის მიცემისათვის 1970 წელს თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე შეეფარდა მსჯავრდადებულთა 43,3%-ს, 1974 წელს — 6,8%-ს; 1976 წელს — 6,8%-ს; 1978



წელს — 4%-ს, 1979 წელს — 10,6%-ს. მექრთამეობაში შუამავლობისათვის იგივე სასჯელი 1970 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 50%-ს, 1974 წელს — 10,6%-ს, 1976 წელს — 6,8%-ს; 1977, 1978, 1979 წელს არც ერთს. 187-ე მუხლის I ნაწილითა და 191-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის 1974 წელს ზემოთ აღნიშნული სახის სასჯელი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 64,2%-ს; 1975 წელს — 36,3%-ს, 1976 წელს — არც ერთს; 1977 წელს — 66,6%-ს; 1978 წელს — 50%-ს.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების (186-ე მუხ.) ჩადენისათვის 1974 წელს თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან სამ წლამდე შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 28,8%-ს, 1975 წელს — 29,5%-ს, 1976 წელს — 21,7%-ს, 1977 წელს — 24,6%-ს, 1978 წელს — 14,2%-ს. ამ უკანასკნელ წელს 1974 წელთან შედარებით იგი 14,6%-ით ნაკლები მსჯავრდადებულის მიმართ იქნა გამოყენებული.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით ჩადენილი დანაშაულისათვის იგივე სასჯელი 1974 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 60%-ს, 1975 წელს — 9,1%-ს, 1976 წელს — 22,2%-ს, 1977 წელს — 100%-ს, 1978 წელს — 33,3%-ს, ე. ი. მისი გამოყენების პრაქტიკა 1974 წელთან შედარებით ამ დანაშაულისათვისაც საგრძნობლად შემცირდა (26,7%).

დაუდევრობისათვის მსჯავრდადებულთაგან თავისუფლების აღკვეთა ორიდან სამ წლამდე 1974 წელს შეეფარდა 40,4%-ს, 1975 წელს — 16,7%; 1976 წელს — 22,2%-ს, 1977 წელს — 33,3%-ს, 1978 წელს — 19,2%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს მისი გამოყენების შემთხვევები 1974 წელთან შედარებით 21,2%-ით იქნა შემცირებული.

მექრთამეობისათვის, კერძოდ, მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის თავისუფლების აღკვეთა ორიდან სამ წლამდე 1974 წელს შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 28,9%-ს, 1975 წელს — 30,8%-ს, 1976 წელს — 13,3%-ს, 1977 წელს — 44%-ს, 1978 წელს — 30,8%-ს, ე. ი. 1974 წელთან შედარებით მისი გამოყენების პრაქტიკა 1978 წელს 1,9%-ით გაიზარდა. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის 1974 წელს იგივე სასჯელი შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 3%-ს, 1975 წელს 3,8%-ს, 1976 წელს — 8,3%-ს, 1977 წელს — 4,8%-ს,

1978 წელს — არც ერთს. ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულთაგან 1974 წელს იგი შეეფარდა 35,6%-ს, 1975 წელს — 35,5%-ს, 1976 წელს — 50%-ს, 1977 წელს — 39,4%-ს, 1978 წელს — 26%-ს. მექრთამეობაში შუამავლობისათვის 1974 წელს იგივე სასჯელი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 10,6%-ს, 1975 წელს — 25%-ს, 1976 წელს — 16,7%-ს, 1977 წელს — 50%-ს, 1978 წელს — 100%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს სასჯელის ამ სახის გამოყენების შემთხვევები 1974 წელთან შედარებით მაქსიმალურად გაიზარდა და იგი ყველა პირის მიმართ იქნა გამოყენებული, რაც ამ დანაშაულთან ბრძოლის ერთგვარი შენელებითაც შეიძლება აიხსნას.

თავისუფლების აღკვეთა სამიდან ხუთ წლამდე ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის 1970-1971 წლებში არც ერთი მსჯავრდადებულის მიმართ არ იყო გამოყენებული. 1972 წელს იგი შეეფარდა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 4,4%-ს, 1974 წელს — 16,5%-ს; 1978 წელს — 17,9%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს მისი გამოყენების პრაქტიკა 1974 წელთან შედარებით 1,4%-ით გაიზარდა. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის მსჯავრდადებულთაგან იგივე სასჯელი შეეფარდა: 1970 წელს — 9,1%-ს, 1974 წელს — 40%-ს, 1975 წელს — 63,6%-ს, 1976 წელს — 33,3%-ს, 1977 წელს — არც ერთს, 1978 წელს — 28,6%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს მისი გამოყენების პრაქტიკა საგრძნობლად გაიზარდა, რაც, ჩვენი აზრით, ამ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერებით შეიძლება აიხსნას.

მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის იგივე სასჯელი 1974 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 28,3%-ს; 1978 წელს — 30,8%-ს. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის 1974 წელს ეს სასჯელი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 12%-ს, 1978 წელს — 6,7%-ს. ქრთამის მიცემისათვის 1974 წელს იგი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 36,9%-ს, 1978 წელს — 36%-ს. მექრთამეობაში შუამავლობისათვის 1974 წელს იგივე სასჯელი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 36,8%-ს, 1977 წელს — 50%-ს; 1978 წელს — არც ერთს.

მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან რვა წლამდე 1971 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 19,3%-ს, 1974 წელს — 23,9%-ს, 1978 წელს — 23%-ს; 1979 წელს — 15,8%-ს. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის

აღებისათვის 1971 წელს იგივე სასჯელი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 33,3%-ს, 1974 წელს — 54,5%-ს, 1978 წელს — 73,3%-ს, ე. ი. ამ უკანასკნელ წელს 1974 წლის მონაცემებთან შედარებით მისი გამოყენების პრაქტიკა 18,8%-ით გაიზარდა, რაც, ჩვენი აზრით, სასამართლოების მიერ ამ კატეგორიის დანაშაულთან ბრძოლის ერთგვარი გაძლიერებით უნდა აიხსნას, თუმცა მომდევნო 1979 წელს მისი გამოყენების პრაქტიკა წინა წელთან შედარებით კვლავ საგრძნობლად (48,3%-ით) შემცირდა.

ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულთაგან თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან რვა წლამდე 1974 წელს შეეფარდა ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 15,3%-ს, 1977 წელს — 18,4%: მექრთამეობაში შუამავლობისათვის 1974 წელს იგივე სასჯელი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 31,5%-ს; 1975 წელს — 12,5%-ს, 1976, 1977, 1978 წლებში კი არც ერთს.

რვიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა მარტივი სახის ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთაგან 1974 წელს შეეფარდა 15,1%-ს, 1978 წელს — 7,7%-ს, 1975, 1976 და 1977 წლებში კი იგი ამ დანაშაულის ჩამდენი არც ერთი პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის იგივე სასჯელი 1974 წელს შეეფარდა მსჯავრდადებულთა 24,5%-ს, 1978 წელს — 20%-ს. ქრთამის მიცემისათვის 1974 წელს იგივე სასჯელი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 2,7%-ს; 1978 წელს — 8%-ს; მექრთამეობაში შუამავლობისათვის 1976 წელს იგივე სასჯელი გამოყენებული იქნა მსჯავრდადებულთა 16,7%-ის მიმართ. მომდევნო 1977-1978 წლებში კი იგი არც ერთი მსჯავრდადებულის მიმართ არ იყო გამოყენებული.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის ათიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა 1970 წელს არც ერთი მსჯავრდადებულის მიმართ არ იყო გამოყენებული. 1974 წელს კი იგი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 6%-ს, 1976 წელს — 8,3%-ს, 1977 წელს — 4,8%-ს, 1979 წელს — 8,3%-ს, 1975 და 1978 წლებში კი იგი არცერთი პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული. რაც შეეხება ქრთამის მიცემას, ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან იგივე სასჯელი 1976 წელს შეეფარდა 2,3%-ს, 1978 წელს — 6%-ს.

ამრიგად, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სასამართლოები ერთ წლამდე და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას უფრო მეტად

იყენებენ დანაშაულებრივი დაუდევრობის (სსკ 188-ე მუხ.), მარტივი სახის ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების (სსკ 187-ე მუხ. I ნაწილით) და სამსახურებრივი სიყალბის (სსკ 191-ე მუხ.) ჩამდენ პირთა მიმართ. ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას, იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებენ აგრეთვე მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა მიმართაც. თანამდებობრივი დანაშაულისათვის სასამართლოები უფრო მასიურად იყენებენ თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ წლამდე, ორიდან ოთხ წლამდე და ოთხიდან ექვს წლამდე. უფრო მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა თავის გამოყენებას პოულობს მხოლოდ მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა მიმართ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი წლითა და ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პრაქტიკაც არასტაბილურია. მაგალითად, თუ სასამართლოები ზემოაღნიშნული მუხლებით ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას 1974-1975 წლებში უფრო ფართოდ იყენებდნენ, მომდევნო წლების სასამართლო პრაქტიკაში მისი გამოყენება საგრძნობლად შემცირდა. თუ 1975 წელს სსკ 188-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის მქონე მსჯავრდადებულთა 27,7%-ს, 1978 წელს მსჯავრდადებულთა ეს რიცხვი 23,9%-ით შემცირდა. ასევე, თუ 1975 წელს სსკ იმავე მუხლით თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით შეეფარდა დაუდევრობისათვის მსჯავრდადებულ პირთა 30,5%-ს, მომდევნო 1976 წელს ამავე დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან იგივე სასჯელი არც ერთი პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული. ასევე, თუ 1977 წელს სსკ 187-ე მუხლის I ნაწილითა და სსკ 191-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე შეეფარდა მსჯავრდადებულთა 16,7%-ს, ამდენივე პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, 1978 წელს იმავე დანაშაულისათვის ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 50%-ს, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა კი არც ერთი პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ასევე ცვალებადია მსჯავრდადებულთათვის ერთიდან ორი წლის ჩათვლით, ორიდან სამი წლის ჩათვლით, სამიდან ხუთი წლის ჩათვლით, ხუთიდან რვა წლის ჩათვლით და რვიდან ათი წლის ჩათვლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პრაქტიკა. მაგალითად, სსკ 187-ე მუხლის II და III ნაწილით 1975 წელს თავისუფლების აღკვეთა ორიდან ოთხ წლამდე

შეფარდა 9,1%-ს. მომდევნო 1977 წელს კი იგი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 100%-ს, ე. ი. 90,9%-ით მეტს. სამიდან ექვს წლამდე შეფარდების პრაქტიკა კი 1975 და 1977 წლებში მაქსიმალურად შემცირდა და, თუ 1975 წელს იმავე სახის დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდადებულთა 63,6%-ს, 1977 წელს ასეთივე ვადით თავისუფლების აღკვეთა არც ერთი პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული, 1978 წელს კი 66,6%-ს მიაღწია. ასეთივე ცვალებადია თავისუფლების აღკვეთის ვადების გამოყენება სხვა სახის თანამდებობრივი დანაშაულისთვისაც. მაგალითად; თუ მექრთამეობაში შუამავლობისათვის 1974 წელს თავისუფლების აღკვეთა ერთიდან სამ წლამდე შეეფარდა მსჯავრდადებულთა 10,5%-ს, 1978 წელს 100%-ს, ე. ი. 1974 წელთან შედარებით მისი გამოყენების შემთხვევები 89,5%-ით გაიზარდა.

ასევე ცვალებადია მაღალი სასჯელების გამოყენების პრაქტიკა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის. მაგალითად, თუ 1977 წელს სსკ 189-ე მუხლის მეორე ნაწილით ხუთიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდადებულთა 52,3%-ს, 1978 წელს იგი შეეფარდა მსჯავრდადებულთა 73,3%-ს, ე. ი. მისი გამოყენების შემთხვევები წინა წელთან შედარებით 21%-ით გაიზარდა. ასევე იმავე სახის დანაშაულისათვის 1978 წელს წინა 1976 წელთან შედარებით 17,7%-ით გაიზარდა რვიდან თერთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პრაქტიკა.

საკმაოდ ცვალებადია თავისუფლების აღკვეთის შეფარდების დინამიკაც ათიდან თხუთმეტი წლის ჩათვლით. მაგალითად, თუ 1974 წელს მექრთამეობისათვის თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტი წლის ჩათვლით თავისუფლების აღკვეთის მქონე პირთაგან 5%-ს შეეფარდა, რაც იმავე დროს შეადგენს ამ დანაშაულებრივი ქმედობისათვის მსჯავრდადებულ პირთა 1,1%-ს, მომდევნო 1975 წელს იგი არც ერთი პირის მიმართ არ იქნა გამოყენებული. 1976 წელს კი იგი შეეფარდა მექრთამეობისათვის თავისუფლების აღკვეთის მქონე პირთა 2,6%-ს. 1977 წელს იმავე სახის დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის მქონე პირთაგან მხოლოდ 1,2% შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ათიდან თხუთმეტი წლის ჩათვლით. 1978 წელს კი იგივე სახის სასჯელი 2,6%-ით მეტი მსჯავრდადებულის მიმართ იქნა გამოყენებული.

საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი საშუ-

ალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სასჯელების პრაქტიკული რეალიზაციისა და მათი ეფექტურობის შესახებ. ამასთან იგი საშუალებას გვაძლევს თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესების მიზნით გავაკეთოთ სწორი დასკვნები და დავსახოთ სათანადო გზები ამ ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების, ამ კატეგორიის დანაშაულთა ფაქტების მინიმალურად შემცირების, თავიდან აცილებისა და სასჯელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემიდან მათი საბოლოო და სამუდამოდ აღმოფხვრისათვის.

#### **4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის ეფექტურობა თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში**

თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი ზემოთ აღნიშნული სასჯელების გამოყენების სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დროს ბუნებრივად იზალება კითხვა მათი ეფექტურობის შესახებ. მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავადგინოთ: რა უნდა იქნას გაგებული სასჯელის ეფექტურობის ცნებაში.

სასჯელის ეფექტურობის ცნება ჭერ კიდევ ერთნაირად არაა გაგებული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში და მის შესახებ არსებობს აზრთა სხვაობა. მაგალითად, ა. მ. იაკოვლევის, ი. ვ. შმაროვისა და ა. ე. ნატაშევის აზრით, სასჯელის ეფექტურობა გულისხმობს საზოგადოების უშიშროების რეალურ უზრუნველყოფას, სასჯელის მიზნების რეალურ განხორციელებას. ე. დ. შარგოროდსკი კი მონოგრაფიაში „სასჯელი, მისი მიზნები და ეფექტურობა“ (გვ. 45, 62) ავითარებს აზრს, რომ სასჯელის ეფექტურობა პირველ რიგში უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება იგი საზოგადოების ობიექტურ, პროგრესულ, კანონზომიერ განვითარებას. ამასთან იგი სასჯელის, როგორც თანაშაულის თავიდან აცილების ძირითადი მიზნის მიღწევის რეალურ კრიტერიუმად მიიჩნევს საერთო და ცალკეული სახის დანაშაულთა დინამიკას.

სასჯელის ეფექტურობა, ჩვენი აზრით, მის პრაქტიკულ გამო-

ყენებაში, მისი მიზნების მიღწევაში უნდა ვეძიოთ. კანონით დადგენილი სასჯელის ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად რეალურ, პრაქტიკულ გამოყენებას პოულობს იგი და როგორია მისი შედეგები დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით. ამასთან, სადავო არაა ისიც, რომ კანონით დადგენილი ერთი და იგივე სასჯელი ერთი და იმავე სახის დანაშაულისათვის ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს მეტად ეფექტური, თუ იგი პრაქტიკაში სწორად და ობიექტურად გამოიყენება, მეორე შემთხვევაში კი მან შეიძლება უარყოფითი გავლენაც მოახდინოს როგორც თვით მსჯავრდადებულის აღზრდაზე, ისე საზოგადოების დანარჩენ წევრებზე, თუკი იგი არასწორად და არა ობიექტურად შეეფარდება დამნაშავეს. სასჯელი ასეთ უარყოფით გავლენას ახდენს ისეთ შემთხვევაში, როცა სასამართლო დამნაშავე პირს დაუსაბუთებლად, არასწორად უფარდებს კანონით დადგენილ სასჯელის მინიმუმს ან კიდევ უფრო მასზე ნაკლებ სასჯელს, ე. ი. როცა ადგილი აქვს საქმეზე ლიბერალური განაჩენის გამოტანას და დაცული არაა სასჯელების რედივიდუალიზაციის პრინციპები.

მაგალითად, 1979 წლის 11 ივნისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა წერილი იმის შესახებ, რომ სასტუმრო „ტრუსკავეცის“ მთავარი ადმინისტრატორი ლიუდმილა შელეპოვა, რომელიც სასტუმროს თავისუფალი ნომრების გაცემაში ქრთამად იღებდა სხვადასხვა სახის ძვირფას ნივთებს, პროდუქტებს (შავ და წითელ ხიზილალას), სამარკო კონიაკებს და სხვ. ქ. ტრუსკავეცის სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული იქნა არაერთხელ ქრთამის აღებისათვის და სასჯელად შეეფარდა ერთი წლით იძულებითი მუშაობა. ბოროტი დამნაშავის ესოდენ მსუბუქად დასჯას და თანაც ცენტრალურ პრესაში ამის გამოქვეყნებას საეჭვოა, რაიმე აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდეს.

სწორედ ასეთი ნაკლებ ეფექტური ხდება სასჯელი, როცა სასამართლოები მექრთამეობაში მხილებულ პირთა მიმართ ფართოდ იყენებენ სანქციის მინიმუმს და დამნაშავეებს სრულიად დაუსაბუთებლად, კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ სასჯელებს უფარდებენ. ასე, მაგალითად, სამტრედიის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საპასპორტო მაგიდის ყოფილ შტატგარეშე თანამშრომელს ს.-ს, რომელმაც პასპორტის ვადის გასაგრძელებლად საპასპორტო მაგიდის უფროსისათვის ათი მანეთის ქრთამის მიცემაში წააქეზა ბ., ამ მიზნით გამოართვა მას ათი მანეთი და თვითონ მი-

ითვისა, სასამართლომ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მაშინ როდესაც იმავე სასამართლომ თ.-ს, რომელმაც ორი მოქალაქე წააქეზა 30 000 მანეთის ქრთამის მიცემაში და შეპირდა, რომ იგი დაუკავშირდებოდა შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკებს და უზრუნველყოფდა მათ მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას, ფაქტიურად კი იგი მთლიანად თვითონ მიითვისა, სასამართლომ შეუფარდა მხოლოდ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლენტეხის რაიონის სახალხო სასამართლომ იმავე რაიონის ავტოფარების ყოფილ უფროს ბ-ს მსჯავრი დასდო იმისათვის, რომ მან იმავე ავტოფარების მძღოლ ჯ.-ს ქრთამის სახით გამოართვა რვაასი მანეთი და შეპირდა რომ მას ახლად მიღებულ ტაქსზე გააფორმებდა ცვლის გარეშე. სასამართლომ ამ დანაშაულისათვის ბ-ს, საქართველოს სსრ 189-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე კოდექსის 45-ე მუხლის გამოყენებით მიუსაჯა მხოლოდ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

უფრო მეტიც, როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, სასამართლოს მიერ მექრთამეობაში მხილებულ პირებს ზოგჯერ თავისუფლების აღკვეთასაც არ უფარდებენ. მაგალითად, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1972 წელს მექრთამეობაში მხილებულ პირთაგან სასამართლოებმა თავისუფლების აღკვეთა არ შეუფარდა მსჯავრდადებულთა 3,8%-ს, 1971 წელს — 5,8%-ს, 1972 წელს — 4,3%-ს. 1973 წელს — 27%-ს, 1979 წელს — 31,4%-ს, 1980 წელს — 11,8%-ს.

სასამართლოები ასეთ ღმობიერებას განსაკუთრებით ქრთამის მიცემთა მიმართ იჩენენ. მაგალითად, მარტო 1979 წელს ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულთა 44,7%-ს არ შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა. ამ პირთა მიმართ გამოყენებული იქნა სხვა კიდევ უფრო მსუბუქი სახის სასჯელები. საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ დამნაშავეთა დასჯის ასეთი პრაქტიკა, ჩვენი აზრით, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს და ასეთი სახის სასჯელების გამოყენებას, ძნელად დასაჯერებელია, რაიმე ეფექტური მნიშვნელობა ჰქონდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა: „კანონები მკაცრი გვაქვს და ამდენადვე მკაცრად უნდა ვიცავდეთ მათ. თორემ წყალში გადაგვეყრება



წესრიგის, ორგანიზებულობის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის მთელი მეცადინეობა“<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის № 16 დადგენილება „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, რომელშიც პირდაპირ მითითებულია, რომ სასამართლოები სასჯელის დანიშვნის დროს ზოგჯერ გაუმართლებელ შემწყყნარებლობას იჩენენ ქრთამის მიმცემთა მიმართ, რეაგირების გარეშე ტოვებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მათი უსაფუძვლო განთავისუფლების ფაქტებს. დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ „მექრთამეობის საქმეთა განხილვის დროს სასამართლოებმა მკაცრად უნდა დაიცვან კანონის მოთხოვნა სასჯელის ინდივიდუალიზაციის თაობაზე და გამორიცხონ ქრთამის აღებაში, ქრთამის მიცემაში, აგრეთვე შუამავლობაში დამნაშავე პირებისათვის როგორც დაუსაბუთებლად მსუბუქი, ისე ჩადენის შეუსაბამო მკაცრი სასჯელის ზომების დანიშვნის შემთხვევები“.

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმთა დადგენილებებში არაერთხელ აღინიშნა, რომ საჭიროა სასჯელის განსაზღვრისას სასამართლოებმა განუხრებლად დაიცვან კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სოციალისტური მართლშეგნებით, მხედველობაში მიიღოს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, დამნაშავეს პიროვნება და საქმის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. სასამართლო ერთნაირად არ უნდა მიუდგეს მორალურად გახრწნილ ბოროტ დამნაშავეებსა და იმ პირებს, რომლებმაც დანაშაული შემთხვევით ჩაიდინესო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1 ოქტომბრის № 4 დადგენილებაში „თანამდებობრივი დანაშაულის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხის გამო“ (საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლები) აღინიშნა, რომ თანამდებობრივი დანაშაულისათვის სასჯელების და-

---

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1984 წლის 10 აპრილი. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984, გვ. 13.

ნიშნის დროს სასამართლოებმა მტკიცედ უნდა დაიცვან სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპები, გაითვალისწინონ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, დამნაშავის პიროვნება და გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ და ამძიმებენ პასუხისმგებლობას. და, რომ სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილითა და სსკ 187-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულისათვის ისეთი სასჯელების დანაშენა, რაც დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდადებულის პიროვნების გათვალისწინებით აშკარად უსამართლოა.

მექრთამეობის ჩამდენი დამნაშავე პიროვნების შეფასებისას უმადლესი სასამართლოს პლენუმების მიერ რეკომენდებულია სასამართლოებმა მხედველობაში მიიღონ დამნაშავე პირის სოციალურ-ფსქოლოგიური თვისებები დანაშაულის ჩადენის მომენტი-სათვის, კერძოდ, მისი ასაკი, ზნეობრივი ფორმირების პირობები ოჯახსა და სკოლაში, მისი განათლება და ცოდნის დონე, შეხედულებები, კვალიფიკაცია, მუშაობის სტაჟი და სამუშაოს ხასიათი, მისი საზოგადოებრივი საქმიანობა, დამოკიდებულება ოჯახისადმი, ინტერესთა სფერო და სხვა. რეკომენდებულია აგრეთვე სასამართლომ მხედველობაში მიიღოს მექრთამეობაში მხილებული პირის დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულისადმი და მისი ყოფაქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

მოცემული საკითხის განხილვისას იბადება კითხვა: არის თუ არა ეფექტური თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელები — დახვრეტა, თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა და გადასახლება? ვფიქრობთ, რომ არა. სასჯელის რომელ ეფექტურობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა იგი არარეალურია და სასამართლო პრაქტიკაშიც გამოყენებას ვერ პოულობს? სასჯელი უნდა იყოს რეალური და არა ფორმალური. ეს სასჯელები პრაქტიკაში გამოყენებას ვერ პოულობს არა იმიტომ, რომ ჩვენს სინამდვილეში ადგილი არა აქვს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მექრთამეობის შემთხვევებს ან განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღების ფაქტებს. ცხადია, არა. მის გამოყენებას ადგილი არა აქვს იმიტომ, რომ სასამართლოები მიზანშეუწონლად მიიჩნევენ მექრთამეობისათვის სასჯელის უმადლესი ზომის — დახვრეტის შეფარდებას და აგრეთვე დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის მიცე-

მა-აღებისა და მექრთამეობაში შეუძლებლობისათვის კანონით დადგენილი ისეთი დამატებითი სასჯელის გამოყენებას, როგორცაა გადასახლება. ამავე გარემოებით უნდა აიხსნას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მექრთამეობისათვის კანონით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზომის გამოუყენებლობა. ამასთან, ვფიქრობთ, უხერხულიცაა კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში ანგარებითი დანაშაულისათვის და მათ შორის მექრთამეობისათვის სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვერტის არსებობა.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვაობა. მაგალითად, პროფ. ბ. ზ. ფურცხვანიძე 1981 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნებულ საინტერესო ნაშრომში „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის საკითხი“ საპიროდ მიიჩნევს „საბჭოთა კავშირში აიკრძალოს მშვიდობიან დროს სისხლის სამართლის სასჯელის ისეთი მძაფრი ღონისძიების გამოყენება უკლებლივ ყოველი სახის დანაშაულისათვის, როგორც არის სიკვდილით დასჯა“, ამასთან, იქვე გვთავაზობს ამ სასჯელის მაგიერ გაიზარდოს თავისუფლების აღკვეთის ვადა და იგი განისაზღვროს ოცდახუთი წლით (გვ. 62-63).

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ხეცურიანი 1979 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ (№ 6) გამოქვეყნებულ წერილში „საბჭოთა კანონმდებლობა სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების შესახებ“ მართებულად აღნიშნავს, რომ ქონებრივი დანაშაულისათვის და მათ შორის ქრთამის აღებისათვის არ უნდა იყოს დაწესებული სიკვდილით დასჯა, რადგან მას სასამართლოები ფაქტობრივად არც იყენებენო (გვ. 39). ამასთან, იმავე წელს ჟურნალის მე-3-ე ნომერში გამოქვეყნებულ ნაშრომში „სიკვდილით დასჯის გამოყენების ისტორიიდან“ მართებულად აყენებს კითხვას: „თუკი სიკვდილით დასჯის აღსრულებას, რაც მთელი საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა, არასდროს არ მოუტახია ის შედეგები, რომლებსაც მისგან მოელოდნენ, მაშინ რაღასღა უნდა მოველოდეთ მისი ფარული, გასაიდუმლოებული აღსრულებისაგან?“ (გვ. 29). მისი აზრით „დანაშაულის ჩადენაში ბრალი მიუძღვის არა მარტო დამნაშავეს, არამედ საზოგადოებასაც. ამიტომ, საზოგადოებამ მძიმე დანაშაულის ჩამდენს სიკვდილით დასჯის განაჩენი კი არ უნდა გამოუტანოს, არამედ საპიროა იზრუნოს მისი გამოსწორებისათვის“. და, რომ „სასჯელის ზომა უნდა იწვევდეს საზოგადოების კმაყოფი-

ლებას“. ამასთან ავტორი გეთავაზობს, რომ სიკვდილით დასჯა შეიცვალოს „სამუდამო პატიმრობით“. იმავე დროს, იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს სასამართლოსათვის იმის უფლების დატოვებას, რომ მან „განაჩენის გამოტანისას განსაზღვროს ვადა, რომლის გასვლის შემდეგ შეიძლება დაისევას მისი განთავისუფლების საკითხი. ეს ვადა, ამავე დროს, 15 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს“ (გვ. 30-31).

ჯ. ხეცურიანის მოსაზრება, განსაკუთრებით ის, რომ იგი სიკვდილით დასჯის გაუქმებას მოითხოვს, ჩვენი აზრით, სწორი და პროგრესულია. მაგრამ ვერ გავიზიარებთ მის მოსაზრებას „სამუდამო პატიმრობის“ შემოღების შესახებ, რადგან ამით სასჯელი საერთოდ დაკარგავდა თავის ერთ-ერთ მთავარ მიზანს დამნაშავეის გამოსწორებისა და მისი ხელახალი აღზრდის შესახებ. ვფიქრობთ, უფრო სწორი და ლოგიკურია იმ კრიმინალისტების შეხედულება (ბ. ვ. ზრდავომისლოვი, ვ. ფ. კირიჩენკო, მ. დ. ლისოვი, ა. ფ. ოსპინიკოვი, ა. კ. კვიწინია და სხვ.), რომლებიც მოითხოვენ მექრთამეობისათვის არა მარტო სიკვდილით დასჯის გაუქმებას, არამედ კანონით დადგენილი თავსუფლების აღკვეთის ვადების გადასინჯვა-შემცირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მექრთამეობასთან ბრძოლის სასამართლო პრაქტიკაში სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვერტის (როგორც ძირითადი, მაგრამ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახე)<sup>1</sup> და გადასახლების (როგორც დამატებითი სასჯელის სახის) რეალიზაცია პრაქტიკაში საერთოდ არ ხდება და ამით მათი ეფექტურობა სხვების დაშინების თვალსაზრისითაც ნაკლებ მნიშვნელოვანია, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით თანამდებობრივი დანაშაულისათვის მათი არსებობა. ამასთან, ვფიქრობთ, უფრო სწორი იქნებოდა, რომ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მექრთამეობისათვის სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა არ აღემატებოდეს თორმეტ წელს. მით უმეტეს, როგორც სასჯელზე დაკვირვების ისტორიული განვითარება გვიჩვენებს, მარტოდენ მკაცრი სასჯელის გამოყენების მუქარა საკმარისი არაა დანაშაულთა აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ

---

<sup>1</sup> საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკაში ქრთამის აღებისათვის უმაღლესი ზომა — დახვერტა, მისი არსებობიდან (1962 წლის 20 თებერვლიდან) დღემდე გამოყენებული იქნა მხოლოდ ერთი პირის მიმართ 1981 წელს.

სპარსეთის მეფე კამბიზამ ჩვენ წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში, სხვების დაშინების მიზნით გაუგონარი სისასტიკე გამოიჩინა მექრათა-იმეობაში მხილებული მოსამართლის მიმართ. ბრძანა, იგი სიკვდილით დაესჯათ, გაეტყავებინათ და მისი ტყავი მოსამართლის იმ სკამზე გადაეკრათ, სადაც ახალი მოსამართლე უნდა დამჯდარიყო. მაგრამ მექრათამეობა თვით ასეთი შემზარავი სახის დასჯის გამოყენებამაც ვერ აღკვეთა.

სასჯელის სიმკაცრით დამნაშავეთა დაშინების მნიშვნელობის შესახებ საინტერესო მოსაზრებებს ვხვდებით რევოლუციამდელი კრიმინალისტების შრომებშიც. მაგალითად, ა. ფ. ბერნერი 1866 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად ასაბუთებს რა მკაცრი სასჯელების — სიკვდილით დასჯის ნაკლებ ეფექტურობას, მართებულად დასკვნის: სასჯელს დაშინების ძალას მატებს არა მისი ბარბაროსული სიმკაცრე, არამედ მისი გარდუვალობის შეგნებაო (გვ. 560-561). ა. ა. პიონტოვსკი 1908 წელს გამოცემულ ნაშრომში „სიკვდილით დასჯა ევროპაში“ აღნიშნავს, რომ დამნაშავეთა დაშინება სიკვდილით დასჯის გამოყენებით არ შეიძლება, რადგან მათთვის ასეთი დასჯა სხვა არა არის. რა, თუ არა მოწამებრივი გვირგვინი, რომელიც მათ კი არ თრგუნავთ, არამედ აღაგზნებთო. ამის დასასაბუთებლად ავტორს მოჰყავს მონაცემები, რომლითაც ირკვევა, რომ სიკვდილით დასჯილი 511 მსჯავრდადებულისგან მხოლოდ 11 აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ადრე არ დასწრებოდა დამნაშავეთა საჯაროდ სიკვდილით დასჯას.

დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების მიზნით სიკვდილით დასჯის არსებობის მიზანშეუწონლობის შესახებ ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრების დასასაბუთებლად კვლავ მოვიშველიებთ მარქსიზმის კლასიკოსების ცნობილ ნაშრომებს. მაგალითად, კ. მარქსი ეხება რა სიკვდილით დასჯის მიზანშეუწონილობის საკითხის გარკვევას, ცხრილის სახით მოჰყავს სტატისტიკური მონაცემები, რომლის საფუძველზე ადგენს, რომ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას ყოველთვის თან მოსდევს არა მარტო თვითმკვლევლობები, არამედ კიდევ უფრო მხეცური მკვლევლობების ჩადენაც. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ «Эта таблица показывает, что «не только самоубийства, но и самые зверские убийства совершаются тот час же вслед за казнью преступников». «...весьма трудно, а, может быть, вообще невозможно, найти прин-

ცილ, посредством которого можно было бы обосновать справедливость или целесообразность смертной казни в обществе, кичащемся своей цивилизацией». და, რომ «...еще история и такая наука как статистика с исчерпывающей очевидностью доказывают, что со времени Каина мир никогда не удавалось ни исправить, ни устроить наказанием. Как раз наоборот!»<sup>1</sup>.

სასჯელზე სწორედ ასეთ შეხედულებათა ისტორიული განვითარება დაუდო საფუძვლად პროლეტარიატის დიდმა ზეღადმა ვ. ი. ლენინმა 1901 წელს დაწერილ ნაშრომში „შემთხვევითი შენიშვნები“ ჩამოყალიბებულ ცნობილ დებულებას: „დიდი ხანია ნათქვამია, რომ გამაფრთხილებელი მნიშვნელობა სასჯელისა შეპირობებულია სრულიადაც არა მისი სისასტიკით, არამედ მისი აუცილებლობით. მოკვარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ დანაშაული სასტიკად დაისჯოს, არამედ იმას, რომ დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გამოუმჯდავნებელი“<sup>2</sup>.

მართებულად შენიშნავს პროფ. მ. დ. შარგოროდსკი 1979 წელს გამოცემულ საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელონა (ზოგადი ნაწილი, გვ. 319) და ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში, რომ სასჯელის არავითარ შიშს არ შეუძლია ხანგრძლივი დროით შეაჩეროს იმ მოქმედებათა ჩადენა, რომლებიც გამომდინარეობენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ბუნებიდან, რომ რეპრესიის ეფექტურობა განისაზღვრება არა მისი სიმკაცრით, არამედ გარდაუვალობით. და, რომ კანონით რაოდენ მკაცრი სასჯელიც არ უნდა იყოს დადგენილი, მისი ეფექტურობა მეტად უმნიშვნელო იქნება, თუ იგი ფაქტობრივად გავრცელდება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენ პირთა უმნიშვნელო პროცენტზე.

ამრიგად, ლენინური მოძღვრება წინა პლანზე წამოწევს არა სასჯელის სიმკაცრეს, არამედ მის გარდაუვალობას. ჩვენც სწორედ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამა თუ იმ სახის დანაშაულისათვის და მათ შორის თანამდებობრივი დანაშაულისათვის სასჯელის დადგენისას.

საქართველოს სსრ სასამართლოების დასჯითი პრაქტიკის შესწავლამ ასევე ნათლად გვიჩვენა, რომ მექრთამეობისათვის მსჯავრ-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, издание второе, т. 8, М., 1957, стр. 530.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 4, გვ. 490.

დადებულ პირთა მიმართ 12-დან 15 წლის ჩათვლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებრივ შემთხვევებშიც მეტად უმნიშვნელოა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გარკვეულ გადასინჯვას საჭიროებს მექრთამეობისათვის კანონით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის ვადები შემცირების თვალსაზრისით. მაგრამ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და გამკაცრდეს თვით სასჯელების მოხდის პირობები. კერძოდ, საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ დაუპბრუნდეთ ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას, რომ სასჯელი მექრთამეობისათვის უნდა იყოს „ს უ ლ მ ც ი რ ე ა თ ი წ ლ ი თ საზ-ყრობილე და, გარდა ამისა, ათი წლის იაულებიანი მუშაობა“. აქედან გამომდინარე, უფრო სწორად და გონივრულად გვეჩვენება, რომ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის დადგინდეს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს თორმეტი წლისა და მის შესაბამისად მოხდეს მექრთამეობის ცალკეული დელიქტებისათვის დადგენილი სასჯელების სათანადო დიფერენცირება.

საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა დასჯის პრაქტიკა არათანმიმდევრულია. ამ გარემოებას, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონით რეგლამენტირებული სანქციების სიჭრელე. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 186-ე (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების) და 187-ე (ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების) მუხლების პირველი ნაწილით მოცემული სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის პირს შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან თანამდებობიდან დათხოვნა. ასეთივე სანქცია გათვალისწინებულია სამსახურებრივი სიყალბისათვის (სსკ 191-ე მუხ.). 188-ე მუხლის (დაუდევრობა) პირველი ნაწილით კი პირს შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით ან თანამდებობიდან დათხოვნა. ე. ი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლებით სასამართლოს აქვს ფართო ალტერნატივის უფლება. კერძოდ მას შეუძლია ერთი და იგივე დანაშაულებრივი ქმედობისათვის მსჯავრდადებულს ძირითად სასჯელად შეუფარდოს თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ან ერთ წლამდე (სსკ 188-ე მუხ. I ნაწ.) ან გამასწორებელი

სამუშაოები ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნა. რაც, ჩვენი აზრით, არასწორი და ნაკლებ ეფექტურია.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის სასამართლო პრაქტიკის მონაცემები იმასაც გვაფიქრებინებს, რომ საქირთვ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებული ძირითადი სასჯელების გადასინჯვა. კერძოდ, პირველ რიგში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მუხლებში მითითებულ სასჯელთა ძირითადი სახეებიდან ადმინისტრაციული ხასიათის სასჯელის — თანამდებობიდან დათხოვნის — ამოღება და სანქციის გაზრდა თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით. ამასთან საქირთვ მკვეთრი ზღვარის გავლება თანამდებობრივი გადაცდომისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასა და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობათა შორის.

მეორე, სისხლის სამართლის კანონმდებლობით თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით საქირთვ მიგვაჩნია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში თავისუფლების აღკვეთის, როგორც ძირითადი სასჯელის, ზღვრად მითითებული იქნეს არა მარტო მაქსიმალური სიდიდე და მისგან ქვემოთ (ერთ წლამდე ან ორ წლამდე), როგორც ეს ზემოაღნიშნულ მუხლებშია მითითებული, არამედ განსაზღვრული მინიმალური ვადიდან ზემოთ — ერთიდან სამ წლამდე, ორიდან ხუთ წლამდე, სამიდან შვიდ წლამდე და ა. შ. ამასთან, ვეჭვობთ ეფექტური იყოს კანონით დაწესებული ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით ისეთი საშიში დანაშაულისათვის, როგორცაა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (186-ე მუხ.), ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (187-ე მუხ.), დაუდევრობა (188-ე მუხ.) და სამსახურებრივი სიყალბე (191-ე მუხ.). უცნაურად გვეჩვენება ისიც, რომ საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით ზემოაღნიშნული სახის თანამდებობრივი დანაშაულებრივი ქმედობის ამსახველი მუხლები თავიანთი სანქციებით თითქმის გათანაბრებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმან გატაცებასთან (95-ე მუხ.), რაც პრაქტიკაში ერთგვარ შეუსაბამობასაც იწვევს. მაგალითად, ერთ-ერთი ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის კომენდანტ თ., რომელიც იმავე დროს იყო მატერიალური პასუხისმგებელი პირი, სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი 5934 მანეთის დანაკლისისათვის და მას საქარ-



თველოს სსრ სსკ 188-ე მუხლის მეორე ნაწილით სასჯელად შეეფარდა ერთი წლით გამასწორებელი სამუშაოები ადგილზე მოხდით<sup>1</sup>.

ასევე, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ჯ. დამნაშავედ იქნა ცნობილი მასზე, რომ მან არაჯერონად შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი — ადამიანის სიკედილი. სასამართლომ 1979 წლის 22 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლის მეორე ნაწილით ჯ.-ს შეუფარდა ერთი წლით გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად გამომუშავეებიდან 20%-ის დაკავებით სასჯელის მოხდის საერთო წესით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1979 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით განაჩენი უცვლელად დატოვა.

ესოდენ საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის ასეთი ლიბერალური, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელო სასჯელის გამოტანას, ძნელად დასაჯერებელია, ჰქონდეს რაიმე გამაფრთხილებელი მნიშვნელობა ან ეფექტურობა.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თანამდებობრივი დანაშაულისათვის სასჯელად ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესაძლებლობა და მისი გათვალისწინება სსკ ზემოაღნიშნული მუხლებით, ჩვენი აზრით, ნაკლებ ეფექტურია, თუნდაც იმიტომ, რომ მას სასამართლოები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტად იშვიათად იყენებენ, და, თანაც ნაკლებ დამაჯერებელია, რომ სასჯელის მოხდის ადგილებში მსჯავრდადებულის სამი ან ექვსი თვით მოთავსებას (საზოგადოებისაგან მის იზოლირებას) რაიმე აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, ეფექტობთ, უფრო სწორი იქნება, თუ სისხლის სამართლის კოდექსით, როგორც საერთოდ, ისე თანამდებობრივი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა დაწესებული იქნება ვადით არა ნაკლები ერთი წლისა. მაგრამ სანამ არსებობს კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზემოაღნიშნული სახე (თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე), მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სასამართლომ იგი არ გამოიყენოს და მსჯავრდადებულს შეუფარდოს სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელი.

მესამე, საჭიროა გარკვეული დიფერენცირება მოხდეს და-

<sup>1</sup> მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს პრაქტიკიდან, საქმე № 9487.

მაჰძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მექრთამეობისათვის არსებულ სასჯელებში. კერძოდ, დამაჰძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მექრთამეობისათვის კანონით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ წელს. მით უმეტეს, რომ დამაჰძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მექრთამეობისათვის თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, როგორც აღვნიშნეთ, სააჰმარ-თლო პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება და ამდენად იგი ნაკლებ ეფექტურია. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაუქმედეს განსაკუთრებით დამაჰძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის დადგენილი სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა და მის მაგიერ დაწესდეს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს თორმეტი წლისა.

მ ე თ ხ ე, მექრთამეობის ამსახველი მუხლების დისპოზიციურ ნაწილში გარკვეული ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, კერძოდ, რიგით მოსამსახურე პირთა მიერ ქრთამის აღების ან წვრილმანი მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის დაწესებასთან დაკავშირებით, თუ იგი მომავალში რეგლამენტირებული იქნება კანონით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ დანაშაულებრივი ქმედობისათვის სასჯელის შემოღება — თავისუფლების აღკვეთა ერთიდან ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით.

მ ე ხ უ თ ე, მექრთამეობასთან და მატერიალური შემადგენლობის თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია სასჯელის დამატებით ღონისძიებად ფართოდ იქნეს გამოყენებული ჯარიმა და ამის შესახებ აღინიშნოს თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველ მუხლებში. ამასთან ჯარიმა ერთხელ ან ორჯერ უნდა აღემატებოდეს თანამდებობრივი დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობას. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჯარიმის გამოყენება მარტივი სახის მექრთამეობისთვისაც, კერძოდ, საქართველოს სსრ სსკ 189-ე და 190-ე მუხლების პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედობისათვის, ე. ი. ისეთი სახის მექრთამეობისათვის, რომელთა ჩადენისათვის კანონით დადგენილია მარტოოდენ თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციის გარეშე. ჯარიმის ოდენობა მექრთამეობის დროსაც შეიძლება ერთხელ ან ორჯერ აღემატებოდეს ქრთამის მიცემა-აღების საგნის ფულად ერთეულში გამოხატულ ღირებულებას. ძირითად სასჯელთან ერთად დასჯის ასეთი ღონისძიების გატარება, ვფიქრობთ, არა ნაკლებ ეფექტური იქნება, ვიდრე თუნდაც ხანგრ-

ძლივი ვადით მარტოდენ თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაოების შეფარდება.

მეექვსე, იმისათვის, რომ თავისუფლების აღკვეთამ, როგორც სასჯელის ძირითადმა სახემ, თავისი დანიშნულება გაამართლოს, თანამდებობრივი დანაშაულისათვის თავისუფლებააღკვეთილმა პირებმა, მიზანშეწონილია, სასჯელები მოიხადონ არა საერთო რეჟიმის ან მკაცრი რეჟიმის კოლონიებში, სადაც სხვა სახის დანაშაულისათვის (ქურდობის, გაუპატიურების, ხულიგნობის, მკვლელობის და სხვ.) მსჯავრდადებული პირებიც იხდიან, არამედ ცალკე — მათთვის სპეციალურად შექმნილ კოლონიებში. ასეთი შრომა-გასწორების კოლონიების შექმნა, ჩვენი აზრი, მეტად საჭირო და აუცილებელია.

ამრიგად, გარკვეულ დაზუსტებასა და დახვეწას საჭიროებს არა მარტო თანამდებობრივი დანაშაულის ამსახველი ზემოაღნიშნული მუხლების დისპოზიციური ნაწილი, არამედ მათი სანქციები, თვით ამ მუხლებით დადგენილ სასჯელთა სახეები და მათი გამოყენების შესაძლებლობის საზღვრებიც, რათა კანონით დადგენილი სასჯელი ნამდვილად იყოს რეალური, ეფექტური და გაამართლოს თავისი მთავარი, ძირითადი მიზნები — დამნაშავეთა გამოსწორება, მათი ხელახალი აღზრდა, დანაშაულის თავიდან აცილება და აღმოფხვრა, მოქალაქეთა აღზრდა სოციალისტური კანონებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილება

„ადამიანში, ქვეყნად რომ ჩნდება, არ არის არც ნამდვილი ბოროტება, არც ნამდვილი სიკეთე. არის მხოლოდ შესაძლებლობა და უნარი როგორც ერთისა, ისე მეორისა, რაც მასში ვითარდება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელშიც ის ცხოვრობს და დამოკიდებულია იმ აღზრდაზე, ოჯახსა და საზოგადოებაში რომ იღებს“.

რ. ოუენი

ცნობილი ინგლისელი სოციოლოგის ამ სიტყვებში უაღრესად ნათლადაა ჩამოყალიბებული ის გარემო ვითარება, რომელშიც უნდა ვეძიოთ დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები. ამ დებულების სისწორე, მისი სიცოცხლისუნარიანობა მთელი სიცხადითაა დადასტურებული დაკვირვების მრავალწლიანი პრაქტიკით. ამასთან ეს დებულება ყოველგვარ საფუძველს აცლის ბურჟუაზიული კრიმინოლოგების შეხედულებას, რომლითაც დამნაშავეობის არსებობის მთავარ მიზეზად მიჩნეულია ადამიანში მემკვიდრეობით გადაცემული ბიოლოგიური თვისებები. იგი ადასტურებს, რომ დანაშაული არის სოციალური მოვლენა და არა საზოგადოების მუდმივი თანამგზავრი.

დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის გზები უნდა ვეძიოთ არა პიროვნების ბიოლოგიურ თვისებებში, როგორც ამას ამტკიცებენ ბურჟუაზიული კრიმინოლოგები, არამედ იმ სოციალურ გარემო პირობებსა და ვითარებაში, რომელშიც უშუალოდ ყალიბდება პიროვნება. სწორედ ადამიანის ფორმირების პროცესში დაშვებული შეცდომების შედეგად ხდება მასში იმ ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების ჩასახვაც, რომლებიც მისთვის საჭირო ხელსაყრელ პირობებში მძლავრად იჩენს თავს და არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს. აქედან გამომდინარე დანაშაულთა აღმოფხვრისა და თავიდან აცილების ერთ-ერთ უმთავრეს ბაზად უნდა მივიჩნიოთ იმ გარემო პირობების გაუმჯობესება და სრულყოფა, რომელშიც ხდება ადამიანის, როგორც პიროვნების ფორმირება. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კრიმინოლოგებმა სწორედ ამ გარემოებებზე გაამახვილეს ყურადღება.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ნ. კულდრიავცევი წიგნში „დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი“ აღნიშნავს, რომ რაოდენ წინააღმდეგობრივიც არ უნდა იყოს პიროვნების ფორმირების პროცესი, თუ იგი პოზიციური მიმართულებით მთავრდება, მისი შედეგებიც კეთილსასურველი იქნება, ხოლო თუ პიროვნების ფორმირება ხდება არაკეთილსასურველი მიმართულებით, მაშინ შედეგებიც პირუკუ — არასასურველი იქნება, რადგან ასეთ დროს გარემო სინამდვილესა და პიროვნების თვისებებს შორის აღმოცენდება ერთგვარი შეუსაბამობა, რის გამოც იგი ვეღარ ახდენს თავის ადაპტირებას იმ გარემო პირობებსა და სოციალურ წრეებში, რომელშიც მან უნდა იშრომოს, იცხოვროს და ადამიანებთან იყოს ურთიერთობაში (გვ. 20-21). პიროვნების თვისებების ჩამოყალიბების წყაროდ ავტორი მიიჩნევს თვითონ პიროვნებას მთელი თავისი ცვალებადი თვისებებით, შემდეგ პატარა ჯგუფებს — ოჯახს, სკოლას, იმ კოლექტივს, რომელშიც უშუალოდ ხდება პიროვნების ფორმირება და იმ საზოგადოებას, რომელიც ახდენს პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, კულტურულ-აღმზრდელობით და სხვა სახის ზემოქმედებას საერთოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ამასთან. იგი დანაშაულის ჩადენის მექანიზმში განასხვავებს სამ ძირითად ეტაპს. პირველს მიაკუთვნებს პიროვნებაში ანტისაზოგადოებრივი დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის აღმოცენებას; მეორეს — პიროვნებაში ანტისაზოგადოებრივი ორიენტაციის აღმოცენებას და მესამეს — დამნაშავის პასუხისგებაში მიცემასა და დასჯას (გვ. 238-239). ამის შასაბამისად მოითხოვს იგი დანაშაულის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების გატარებას. აქედან ყველაზე ეფექტურ ღონისძიებად მიიჩნევს პირველსავე ეტაპზე პიროვნებაში დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის აღმოფხვრას, შემდეგ აღმოცენებული ანტისაზოგადოებრივი ორიენტაციის აღმოფხვრას და მესამე — სასჯელის გამოყენებით დამნაშავის აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით.

აღსანიშნავია, რომ ვ. ნ. კულდრიავცევმა ეს აზრი გამოთქვა აგრეთვე 1976 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „სამართალდარღვევის მიზეზები“ (გვ. 89-91).

ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად აღმოფხვრა ყოველგვარი სახის დანაშაულთა აღმოცენების იმ საფუძველთა საფუძველი, რომელსაც ვ. ი. ლენინი მიაკუთვნებდა კაპიტალისტურ მონობას, კაპიტალისტური ექსპლოატაციის უამრავ საშინელებას, სიველურეს,

უმსგავსოებასა და საზიზღრობას<sup>1</sup>. მაგრამ, ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენს სინამდვილეში აღარ არსებობდეს დამნაშავეობის აღმოცენების მიზეზები და მათი ჩადენის ხელშემწყობი გარემო პირობები.

დანაშაულს, როგორც სოციალურ მოვლენას აქვს თავისი აღმოცენებისა და განვითარების გარკვეული ნიადაგი და პირობები, რომლებიც არ შეიძლება მივიჩნიოთ მთლიანად ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებლად. ისინი განსაკუთრებით იჩენენ თავს საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ეტაპზე შექმნილი ეკონომიკური და სხვა ხასიათის სიძნელეების აღმოცენებისა. დანაშაულის განვითარებასა და ჩადენას ხელს უწყობს პიროვნების მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა, მასში არასწორი მსოფლმხედველობის, არასწორი წარმოდგენების, სურვილებისა და მისწრაფებების აღმოცენება და მის მიერ თავისი ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის არასწორი გზების არჩევა. მაგალითად, დ.-მ მიზნად დაისახა რა მსუბუქი ავტომანქანის შექმნა, გადაწყვიტა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოეყენებინა უკანონო შემოსავლის წყაროდ. იგი მოქალაქეებისაგან მათთვის საჭირო კანონიერი ცნობების გაცემაში იღებდა 10—15 მანეთს. ზოგჯერ იძლეოდა არასწორ — ყალბ ცნობებსაც, რაშიც დაინტერესებული პირებისაგან იღებდა 100—200 მანეთს. ასეთი გზით მან ერთი წლის განმავლობაში რიგგარეშე შეიძინა საკმარად ძვირად ღირებული მსუბუქი ავტომანქანა (06 მარკის „ვიგული“). მსჯავრდადებულმა გ.-მ კი თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად კიდევ უფრო მძიმე დანაშაულებრივი გზა — მოქალაქეთა შეიარაღებული ძარცვა აირჩია.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში დანაშაულის ჩადენა განპირობებული არ იყო ამ პირთა არსებობისათვის არასათანადო სოციალური პირობებით, თავიანთი დამატებითი სურვილების დაკმაყოფილებისას თავი იჩინა მათი პიროვნების ფორმირების პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა, რამაც ისინი დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანა.

სახელმწიფო დემოკრატიისა და საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელი მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუზრეელი ზრდა, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატური გაუმჯობესება, ქალაქისა და სოფლის ურთიერთდაახლოება,

<sup>1</sup> იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 575.

შათი საყოფაცხოვრებო პირობების სხვაობაში მკვეთრი ზღვარის წაშლა და სხვა მთელ რიგ ეკონომიკურ და სოციალურ გარემო პირობებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, საზოგადოებისა და პარონების ინტერესების ურთიერთ სწორად შეხამება, ადამიანის პარმონიული განვითარებისათვის საჭირო მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საუკეთესო საწინდარია ყოველგვარი სახის დანაშაულთა გამომწვევი მიზეზებისა და მათი ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის.

დანაშაულის პროფილაქტიკა, მისი თავიდან აცილება და აღმოფხვრა ყოველთვის იყო და არის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საგანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც 1979 წლის 6 მაისს გამოქვეყნდა, აღნიშნული იყო, რომ საჭიროა სისტემატურად, გამიზნულად და შეურიგებლად ვიბრძოლოთ პროპაგანდისა და აღზრდის მთელი საშუალებებით, რათა აღმოვფხვრათ ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი, სოციალიზმისადმი მტრული მახინჯი გადმონაშთები — „მომხვეჭელობა, შექრთამეობა, მისწრაფება, რაც შეიძლება მეტი წაჰკლიჯო საზოგადოებას, სანაცვლოდ კი არაფერი მისცე, უყაირათობა და მფლანგველობა, ლოთობა და ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი და ადამიანებისადმი უსულგულო დამოკიდებულება, შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები“. ამ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებლად „გამოვიყენოთ შეგონებაც და კანონის მკაცრი ძალაც“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება ავალებს თითოეულ ჩვენთაგანს, ყველა კომუნისტსა და კომკავშირელს, იდეოლოგიური დარგის ყველა მუშაკს, რომ უფრო ფართოდ გავშალოთ პროპაგანდისტული მუშაობა, რათა ნათელყოთ კომუნისტური იდეოლოგიის უპირატესობა ყველა სხვა იდეოლოგიასთან შედარებით, ჩაუუნერგოთ ჩვენს შომაველ თაობას მტკიცე რწმენა ხვალინდელი დღისა, უკეთესი მერმისისა, რწმენა პატიოსანი შრომისა და მართალი სიტყვის დაფასებისა. საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა გამოვეცხადოთ ყოველგვარი სახის ნეგატიურ მოვლენებს — დამნაშავეობას, მლიქვნელობას, კუთხურობას, პროტექციონიზმს, ფორმალიზმს, საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს. საჭიროა ყოველმხრივ დავიცვათ, განვამტკიცოთ და ავამაღლოთ შრომის სა-

ხელმწიფოებრივი დისციპლინა და სოციალისტური კანონიერება— 1979 წლის 11 სექტემბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მიმდინარე მუშაობის შესახებ“, მოუწოდა ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამართალდამცავ, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს „შექმნან შეუირიგებლობის ატმოსფერო სახალხო დოვლათის დამტაცებლებისადმი, ბოროტი ხულიგნებისადმი, მექრთამეებისადმი“, მტკიცედ იბრძოლონ „დატაცების, მექრთამეობის, უყაირათობის, სხვადასხვაგვარი ბოროტმოქმედების წარმომშობის მიზეზების აღმოფხვრისათვის“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს საბჭოთა მილიციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე აღნიშნა: რომ საჭიროა „მეცნიერულად მიუზღვეთ სოციალისტური მართლწესრიგის უზრუნველყოფის გადაწყვეტას“, აუცილებელია შემუშავდეს „სამართალდარღვევათა, თავიდან აცილების კონკრეტული მეცნიერული რეკომენდაციები“<sup>1</sup>.

1983 წლის 17 სექტემბერს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა ოესპუბლიკურ კრებაზე ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას და, რომ „ახლა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორ გააზრებულ პროფილაქტიკურ მუშაობას“.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულთა პროფილაქტიკის, მათი თავიდან აცილების საკითხებს გარკვეულ ყურადღებას უთმობენ თავიანთ მუშაობაში რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობა და სამართალდამცველი ორგანოები. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, ჯერ კიდევ 1976 წლის 3 დეკემბერს მიიღო მეტად თვითკრიტიკული სპეციალური დადგენილება „დანაშაულის ასაცილებლად სასამართლოს საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“. ამ დადგენილების შესაავალ ნაწილში მართებულად აღინიშნა, რომ

<sup>1</sup> „კომუნისტი“, 1981 წ. 28 ივნისი.



სასამართლოები ყოველთვის სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ იკვლევენ საქმის გარემოებებს, არ იჩენენ აუცილებელ მომთხოვნელობას წინასწარი გამოძიების ხარისხისადმი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების გამოვლენას. პლენუმმა დაადგინა, რომ სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათი საქმიანობის სრულყოფას დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად. მტკიცედ დაიცვან კანონის ის მოთხოვნა, რომელიც დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების გამოვლინებასა და მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების მიღებას გვავალებს. პლენუმმა რეკომენდაცია მისცა სასამართლოებს „სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას უფრო ფართოდ გამოიკვლიონ დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და პირობები, აგრეთვე მათ აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების ხარისხი და ეფექტურობა“.

სასამართლო ორგანოების მიერ დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და თავიდან აცილების გამოკვლევას გარკვეული ყურადღება დაეთმო აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1 ოქტომბრის №4 დადგენილებაში „თანამდებობრივი დანაშაულის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხის გამო (საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლები)“, რომლის მე-7-ე პუნქტში ნათქვამია: „ამ დანაშაულის პროფილაქტიკისა და მისი აცილების მიზნით სასამართლოებმა თანამდებობრივი დანაშაულის ყველა საქმეზე აუცილებელია გამოარკვიონ ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას და სათანადო ზომების მისაღებად გამოიტანონ კერძო განჩინებები“. იმავე დადგენილების მე-8-ე პუნქტში პლენუმმა მართებულად მიუთითა სასამართლოებს, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რომ პროტექციონიზმში, მამებლობა, ბიუროკრატიზმი, მშრომელთა კანონიერი მოთხოვნილებისადმი უსულგულობა და უყურადღებობა ხშირად წარმოადგენს თანამდებობრივ დანაშაულთა ხელის შემწყობ პირობას და არც ერთი შემთხვევა არ დატოვონ რეაგირების გარეშე.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ ნათქვამია, რომ „რიგ შემთხვევებში სასამართლოები სრულად არ ააშკარაებენ იმ მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ მექრთამეობის ჩადენას, არ იღებენ კა-

ნონით გათვალისწინებულ ზომებს მათ აღმოსაფხვრელად“. ამასთან პლენუმმა რჩევა მისცა სასამართლოებს, თავიანთ გამსვლელ სესიებზე განიხილონ მექრთამეობის საქმეები. განხილვაში მონაწილეობის მისაღებად ფართოდ ჩააბან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რადგან ასეთი სახით ჩატარებულ სასამართლო პროცესებს შეუძლია დიდი გამაფრთხილებელ-აღმზრდელობითი ზემოქმედობა მოახდინოს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა მოითხოვენ თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ მტკიცე, თანმიმდევრული ბრძოლის წარმოებას და ამ ბრძოლაში მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ჩაბმას. ისინი მოითხოვენ, რომ ყველა პარტიულმა, საბჭოთა, სამართალდამცავმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ შექმნას ისეთი ატმოსფერო, რომელშიც შესაძლებელი იქნება ამ ბოროტებათა წინააღმდეგ მტკიცე, თანამიმდევრული, დაუნდობელი და უკომპრომისო ბრძოლის წარმოება.

თანამდებობრივი დანაშაულის აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლას სისხლის სამართლის კანონმდებლობით. მისი როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა სამოცდაათიანი წლების შემდგომ პერიოდში, როცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები მოხდა, როცა სისხლის სამართლის კანონი მთელი სიმძლავრით აღიმართა თვით ეგრეთ წოდებულ „ყოვლისშემძლეთა“ წინააღმდეგაც, როცა კომპეტენტური ორგანოების გააქტიურებისა და საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებით მრავალი თანამდებობის პირის ბნელით მოცულ საქმეს აეხადა ფარდა და დანაშაულში მხილებულნი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯნენ. ამის შედეგად უფრო დაიხვეწა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემა და გადახალისდა მისი ხელმძღვანელი კადრები. თანამდებობის პირთა უდიდესი უმრავლესობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად ემსახურება ხალხს, სახელმწიფოსა და პარტიას. მაგრამ, ცხადია, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს საზოგადოებაში ადგილი აღარ ჰქონდეს ცალკეულ პირთა მიერ თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელ წლებში თანამდებობრივ დანაშაულთაგან ისეთმა საშიშმა ბინძურმა დანაშაულმა, როგორიცაა მექრთამეო-

ბა, კიდევ უფრო შენიღბული, ლატენტური სახე მიიღო, რითაც კიდევ უფრო გართულდა მისი გამოვლინება და გახსნა. თუმცა, მიუხედავად ამისა, სამართალდამცავმა ორგანოებმა უკანასკნელ წლებში კვლავ გამოავლინეს მექრთამეობის ფაქტები რესპუბლიკის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ორგანოში, ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მაგალითად, მექრთამეობის აღმავფოთებელი ფაქტები გამოვლინდა ზოგიერთ საქალაქო და რაიონულ აღმასკომებში, სამინისტროებსა და თვით თბილისის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებშიც, სადაც ლექტორები, როგორც გამოძიებით დადგინდა, ქრთამს იღებდნენ არა მარტო მისაღები გამოცდებისას აბიტურიენტთა მშობლებისა და ახლობლებისაგან, არამედ თვით სტუდენტებისგანაც საკურსო და სახელმწიფო გამოცდების დროს.

თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის სწორად წარმართვის მიზნით საჭიროა ამ ბოროტებათა გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლა. ეს კი წარმოუდგენელია სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-გაანალიზებისა და თანამდებობრივი დანაშაულის ზოგიერთი კრიმინოლოგიურ გამოკვლევის გარეშე. ამიტომ, თანამდებობრივი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების, მისი ხელშემწყობი პირობებისა და თავიდან აცილების საკითხების უშუალო განხილვამდე საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოვახდინოთ ამ კატეგორიის დანაშაულთა კრიმინოლოგიური დახასიათება.

## 1. თანამდებობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათება

თანამდებობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიურ გამოკვლევას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამ კატეგორიის დანაშაულთან ბრძოლის სწორად წარმართვისათვის. იგი საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ თანამდებობრივ დანაშაულთა სტრუქტურაზე, მის დინამიკაზე, თანამედროვე მდგომარეობაზე, თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა სოციალურ მდგომარეობაზე და ამის საფუძველზე დავსახოთ ამ ბოროტებასთან ბრძოლის გაუმჯობესების, მისი თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის გზები.

თანამდებობრივი დანაშაულის სტრუქტურის, დინამიკისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ დროის

გარკვეულ მონაკვეთში რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური ან საკავშირო მასშტაბით ცალკეული სახის თანამდებობრივი დანაშაულის დინამიკის მიხედვით სხვა სახის თანამდებობრივ დანაშაულთან შეფარდებაში ან სხვა ერთგვაროვან დანაშაულთან თანამდებობრივი დანაშაულის ხვედრითი წონის შეფარდებით. მოცემულ ნაშრომში თანამდებობრივი დანაშაულის სტრუქტურა, დინამიკა და თანამედროვე მდგომარეობა ძირითადად გამოკვეთილი გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით.

**ა) თანამდებობრივი დანაშაულის სტრუქტურა, დინამიკა და მდგომარეობა საქართველოს სსრ სასამართლოების 1970-1980 წლების პრაქტიკის მიხედვით**

თანამდებობრივი დანაშაულის დინამიკასა და მის მდგომარეობაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ წინასწარი გამოძიების ორგანოებიდან სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილ საქმეთა რაოდენობისა და სასამართლოების მიერ ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვითი რაოდენობის მიხედვით. მაგრამ, ცხადია, იგი მაინც ზუსტი არ იქნება და არ მოგვცემს თანამდებობრივი დანაშაულის მდგომარეობის პრაქტიკულად არსებულ რეალურ სურათს, რადგან ამ კატეგორიის დანაშაულთა უდიდესი უმრავლესობა ატარებს ლატენტურ ხასიათს, რომელთა გამოვლინება ხდება არა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში ან იმავე წელს, არამედ დანაშაულის ჩადენიდან ერთი ან რამდენიმე წლის შემდეგ. ამასთან, თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია საერთოდ დამნაშავეობასთან ბრძოლის პოლიტიკის საკითხებთან და მისი შედეგები ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარმოებს ბრძოლა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემის გაუმჯობესების, მისი სიმტკიცის, სიწმინდის და სოციალისტური კანონიერების დაცვა-განმტკიცებისათვის. მაგალითად, როგორც კი ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა მომხვეჭელობის, სამსახურებრივ მდგომარეობათა ბოროტად გამოყენების, მექრთამეობის და ჩვენი საზოგადოების სხვა მანკიერი ვადმონაშთებისა და ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, იგი აშკარად დაეტყო სასამართლო პრაქტიკასაც.

ჩვენს რესპუბლიკაში მექრთამეობასთან ბრძოლის გაძლიერე-

ბამ გამოიწვია ის კანონზომიერი შედეგი, რომ საქართველოში მექრთამეობისთვის მსჯავრდადებულთა ხვედრითი წონა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო პრაქტიკის მონაცემებთან შედარებით საკმაოდ გაიზარდა და ბევრად გადააჭარბა კიდევ მათ. მაგალითად, თუ მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა რაოდენობის განსასაზღვრელად ყველა მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობისათვის ერთიან თანაბარ რიცხვით რაოდენობას ავიღებთ, მაშინ, ცალკეული წლების მიხედვით ეს მონაცემები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: საქართველოში 1970-1971 წლებში მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა ორჯერ აღემატებოდა რსფსრ, აზერბაიჯანის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკების მონაცემებს; 1972 წელს საქართველოში რვაჯერ მეტი პირი იქნა მექრთამეობისთვის მსჯავრდადებული, ვიდრე რსფსრ, უკრაინის, ყაზახეთის, ლიტვის და მოლდავეთის რესპუბლიკებში ცალ-ცალკე; ოთხჯერ მეტი ვიდრე ბელორუსიის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის რესპუბლიკებში; თითქმის სამჯერ მეტი ვიდრე ტაჯიკეთისა და სომხეთის რესპუბლიკებში. 1973 წელს — შვიდჯერ მეტი, ვიდრე რსფსრ, ყაზახეთის, ლიტვიისა და მოლდავეთის რესპუბლიკებში. ამავე წლის მონაცემები, ასევე სამჯერ აღემატებოდა უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის რესპუბლიკების მონაცემებს. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის 1974 წლის მონაცემები გაუთანაბრდა საქართველოს სასამართლოების 1970 წლის მაჩვენებლებს. 1976-1978 წლებში კი მსჯავრდადებულთა რაოდენობის ასეთი მაჩვენებელი 1971 წლის მონაცემებთან შედარებით ორჯერ შემცირდა და თითქმის გაუთანაბრდა უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, მოლდავეთის, ლიტვის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის რესპუბლიკების მაჩვენებლებს ცალ-ცალკე. 1979 წლის მონაცემებით მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით კვლავ ერთი ერთეულით შემცირდა. 1980 წლის მონაცემებით კი მსჯავრდადებულთა რაოდენობა მთლიანად გაუთანაბრდა 1976-1978 წლების მონაცემებს.

აღსანიშნავია, რომ 1971 წელს მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა რიცხვი, საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის შეადგენდა 32,6%-ს, 1979 წელს კი 11,2%-ს, ე. ი. 1971 წელთან შედარებით მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა საერთო რიცხვი 1979 წელს 21,4%-ით

შემცირდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ წელს 1971 წელთან შედარებით ქრთამის ალებისათვის 73,2%-ით ნაკლები პირი იქნა მსჯავრდადებული; ქრთამის მიცემისათვის — 24,2%-ით ნაკლები; მექრთამეობაში შუამავლობისათვის კი არც ერთი პირი არ იქნა მსჯავრდადებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა შორის 1971 წელს ქრთამის ალებისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა შეადგენდა 64,4%-ს; მექრთამეობაში შუამავლობისათვის — 31,0%-ს; ქრთამის მიცემისათვის 32,5%-ს. 1979 წელს კი პროცენტულად ქრთამის ალებისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა, მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა შორის, შეადგენდა 39,7%-ს; ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა კი 60,3%-ს.

ზემოთ აღნიშნული მონაცემები იმაზეც მიუთითებენ, რომ მექრთამეობამ კიდევ უფრო შენიღბული, ლატენტური სახე მიიღო; რომ მექრთამეობის ჩამდენი პირები ყოველმხრივ ცდილობენ მათ მიერ ქრთამის მიცემა-ალების შესახებ რაც შეიძლება ნაკლები პირები იყვნენ ინფორმირებულნი. ამ მიზნით ისინი ამჯობინებენ უშუალოდ თვითონ აწარმოონ მოლაპარაკება ქრთამის მიცემა-ალების შესახებ ყოველგვარი შუამავლის გარეშე, რაც კიდევ უფრო ართულებს ამ საშიში დანაშაულის გახსნას.

სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილი თანამდებობრივი დანაშაულის საქმეების დინამიკა ცალკეული წლების მიხედვით საერთოდ არასტაბილურია და იგი ყოველწლიურად იცვლება — მცირდება ან მატულობს. შედარებით უფრო მყარი და თანამიმდევრულია მექრთამეობის ფაქტებთან დაკავშირებით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა, მაგრამ ისინიც 1973 წლიდან 1978 წლამდე ყოველწლიურად მცირდებოდა. 1978 წლიდან კი შეიმჩნევა მათი ერთგვარი ზრდა. მაგალითად, 1978 წელს წინა 1977 წელთან შედარებით სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილი მექრთამეობის საქმეების რაოდენობა 15,2%-ით გაიზარდა, 1980 წელს კი იმავე 1977 წელთან შედარებით 18,2%-ით.

კიდევ უფრო ცვალებადია სხვა დანარჩენი სახის თანამდებობრივი დანაშაულის შესახებ წარმოებული საქმეების რაოდენობის დინამიკა. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილ საქმეთა რაოდენობა 1972 წელს წინა 1971 წელთან შედარებით 33,2%-ით გაიზარდა.

გარკვეული მატება შეიმჩნევა აგრეთვე მომდევნო 1973 წელს (6,2%). რაც შეეხება მომდევნო 1976-1980 წლებს, ამ პერიოდში მათი რიცხვითი რაოდენობა ყოველწლიურად კლებულობდა და უკვე სასამართლოებში გადაგზავნილი საქმეების რაოდენობა 1975 წლის მონაცემებთან შედარებით 1980 წელს 58,9%-ით შემცირდა.

საქართველოს სსრ სასამართლოებში 1971-1980 წლებში განსახილველად გადაგზავნილ ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულის საქმეებიდან 25%-ს შეადგენდა მექრთამეობის ფაქტებზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმე. დანარჩენი 75% კი ეხებოდა საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე 188-ე, და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულს.

საქართველოს სსრ სასამართლოებში 1971-1980 წლებში განსახილველად გადაგზავნილი მექრთამეობისა და სხვა დანარჩენი სახის თანამდებობრივი დანაშაულის საქმეების რიცხვობრივი რაოდენობის ურთიერთშეფარდების დინამიკაც ცვალებადია ცალკეული წლების მონაცემების მიხედვით. კერძოდ, 1971 წელს სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილი თანამდებობრივი დანაშაულის საქმეებიდან 39,3%-ს შეადგენდა მექრთამეობის საქმეები, 1974 წელს — 28%, 1979 წელს — 18,3%, 1980 წელს — 25,8%

ცალკეული წლების ამ მონაცემების ურთიერთშეფარდების დინამიკის მიხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მექრთამეობასთან ბრძოლა 1971 წელს უკეთ წარმოებდა, ვიდრე მომდევნო წლებში, რადგან ამ კატეგორიის საქმეების რაოდენობის ხვედრითი წონა ყველა სხვა სახის თანამდებობრივ დანაშაულთა შორის საკმაოდ დიდია (39,3%), მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. ასეთი პროცენტული შეფარდების სიდიდე ჯერ ერთი იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენ იგი აღებული გვაქვს იმ წელს ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულის საქმეების საერთო რიცხვით რაოდენობასთან შეფარდებაში. მეორეც, იმ დროისათვის სუსტად წარმოებდა ბრძოლა არა მარტო მექრთამეობის წინააღმდეგ, არამედ დანარჩენი კატეგორიის თანამდებობრივ დანაშაულთა წინააღმდეგაც, რომ იმ დროისათვის სასამართლო იშვიათობას წარმოადგენდა აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეები მატერიალური შემადგენლობის სახის თანამდებობრივი დანაშაულისა და სამსახურებრივი სიყალბის (სსკ 191-ე მუხ.) შესახებ. მაგალითად, ამ კატეგორიის დანაშაულთა საქმეების რიცხვითი რაოდენობა 1972 წელს წინა 1971 წელთან შედარებით 23,3%-ით გაიზარდა, მექრთამეობის საქმეებისა კი 5,6%-ით. ცნა-

დია, ამ გარემოებამ გარკვეული გავლენა მოახდინა მექრთამეობის საქმეების რაოდენობის პროცენტულ შეფარდებაზე ყველა სხვა დანარჩენი კატეგორიის თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეების რაოდენობასთან.

ასევე ცვალებადია სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილ იმ საქმეთა რაოდენობაც, რომლებზეც გამოტანილი იქნა განაჩენი. მაგალითად, 1971 წელს სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილ თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეებიდან სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით დამთავრდა მხოლოდ საქმეების 77,3%, 1974 წელს — 92,4, 1978 წელს — 74,2%, 1980 წელს — 75,6%.

თუ განსახილველ თანამდებობრივ დანაშაულთაგან მექრთამეობის საქმეებს ცალკე გამოვყოფთ, მაშინ დაეინახავთ, რომ 1970-1980 წლებში სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილი მექრთამეობის საქმეებიდან მხოლოდ 76% დამთავრდა განაჩენის გამოტანით.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ თანამდებობრივ დანაშაულთაგან კი იმ საქმეების რაოდენობა, რომლებიც განსახილველად გადაგზავნილი იყო სასამართლოებში და რომლებზეც გამოტანილი იქნა განაჩენი, ცალკეული წლების მონაცემების მიხედვით შემდეგნაირად ხასიათდება: 1971 წელს — 83,9%, 1974 წელს — 99,3%, 1978 წელს — 73,5%, 1980 წელს — 73,9%.

სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილი საქმეებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 1974 წელს, როცა ამ კატეგორიის საქმეების უდიდესი უმრავლესობის განხილვა სასამართლოებში მთავრდებოდა განაჩენის გამოტანით (99,3%).

საქართველოს სსრ სასამართლოებში განსახილველად გადაგზავნილი თანამდებობრივი დანაშაულის საქმეების რიცხვითი რაოდენობის შესაბამისად ცვალებადია აგრეთვე თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა დინამიკაც. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკის მონაცემების შესწავლით დადგინდა, რომ 1972 წელს წინა წელთან შედარებით სასამართლოებში 22,4%-ით მეტი თანამდებობრივ დანაშაულზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმე იქნა განსახილველად გადაგზავნილი. წინა წელთან შედარებით ამავე წელს სასამართლოებში განაჩენის გამოტანით დამთავრდა განხილულ საქმეთა 25,3%-ით მეტი და 20,5%-ით მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული



თანამდებობრივი დანაშაულისათვის, ეს მატება აშკარად შეეტყო არა მარტო მატერიალური შემადგენლობის სახით თანამდებობრივი დანაშაულის ფაქტებზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმეებს, არამედ მექრთამეობის საქმეებსაც. მაგალითად, 1971 წელს მექრთამეობისათვის 22,4%-ით მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული, ვიდრე 1970 წელს. 1974 წელს 23,1%-ით მეტი და 25%-ით ნაკლები ვიდრე წინა — 1973 წელს; 1979 წელს 50%-ით ნაკლები პირი იქნა მსჯავრდადებული, ე. ი. ზუსტად იმის ნახევარი, რაც 1970 წელს. 1980 წელს კი კვლავ იმატა მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობამ და გადააჭარბა კიდევ 1976-1979 წლების მონაცემებს.

ამრიგად, მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვმა 1970 წლის მონაცემებს მხოლოდ 1971-1974 წლებში გადააჭარბა. შემდგომ წლებში კი ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვმა 1970 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად იკლო. განსაკუთრებით იგი დაეტყო 1979 წლის მონაცემებს, როცა მექრთამეობისთვის მსჯავრდადებულთა რიცხვი 1970 წელთან შედარებით ორჯერ, 1972 წელთან შედარებით კი სამჯერ შემცირდა.

ასევე ცვალებადია საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებული თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა დინამიკაც. ამ კატეგორიის დანაშაულისათვის შერჩევით აღებული მომდევნო წლების მონაცემების შედარება წინა წლებში მსჯავრდადებულ პირთა რაოდენობასთან შემდგენაირად გვევლინება: 1971 წელს წინა წელთან შედარებით 9,5%-ით ნაკლები პირი იქნა მსჯავრდადებული; 1974 წელს ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი კვლავ საგრძნობლად გაიზარდა და თითქმის გადააჭარბა კიდევ ყველა წლების მონაცემებს. 1978 წელს წინა წელთან შედარებით მსჯავრდადებულთა რიცხვი კვლავ 15%-ით შემცირდა, 1970 წელთან შედარებით კი 31,9%-ით. 1980 წელს 1979 წელთან შედარებით ამ კატეგორიის დანაშაულისთვის მსჯავრდადებულთა რიცხვი კვლავ 18,5%-ით შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ 1970 წელთან შედარებით 1980 წელს 38,1%-ით ნაკლები პირი იქნა მსჯავრდადებული.

თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა ზვედრითი წონა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა სახის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის საკმაოდ მნიშვნელოვანია. 1970-1980 წლებში მან საშუალოდ 6,8% შეადგინა.

თანამდებობრივ დანაშაულთა ხვედრითი წონა ყველა სხვა სახის დანაშაულთა შორის ცალკეული წლების მიხედვით ცვალებადია. განსაკუთრებით გაიზარდა იგი 1972 წელს (8,6%), მომდევნო წლებში კი მისმა პროცენტულმა შეფარდებამ თანდათანობით იკლო და უკვე 1980 წელს 4,9%-ს მიაღწია.

თანამდებობრივ დანაშაულთა ცალკეული სახეების დინამიკა არაპროპორციულია და ისინი პროცენტული შეფარდებით ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. ცვალებადია მათი დინამიკაც 1970-1980 წლებში თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა საერთო მასასთან შეფარდებაში.

თუ ზემოაღნიშნული წლების მონაცემებს განვიხილავთ მატერიალური და ფორმალური შემადგენლობის თანამდებობრივი დანაშაულის მიხედვით, მაშინ აღმოჩნდება, რომ საშუალოდ მატერიალური შემადგენლობის სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა ნახევარზე მეტი (55%) სასამართლოების მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), 188-ე მუხლით (დაუდევრობა) — 42,8%, 187-ე მუხლით (ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) — 2,1%. ფორმალური შემადგენლობის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან კი იმავე თერთმეტი წლის მონაცემებით სსკ 189-ე, 189<sup>1</sup>-ე და 190-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ქრთამის აღება, მექრთამეობაში შუამავლობა და ქრთამის მიცემა) მსჯავრდადებული იყო 76,2%, დანარჩენი 23,8% კი სსკ 191-ე მუხლით (სამსახურებრივი სიყალბე).

რაც შეეხება ცალკეული სახის თანამდებობრივი დანაშაულის დინამიკას, ზემოაღნიშნული კონკრეტული წლების მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტია ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (186-ე მუხ.) — 42,2%, შემდეგ მოდის დაუდევრობა (188-ე მუხ.) — 32,9%, მექრთამეობა — ქრთამის აღება (189-ე მუხ.), ქრთამის მიცემა (190-ე მუხ.) და მექრთამეობაში შუამავლობა (189<sup>1</sup>-ე მუხ.) — რიგით მესამე ადგილზეა და შეადგენს 17,8%-ს. დანარჩენი სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის (187-ე და 191-ე მუხ.) კი მსჯავრდადებულთა რაოდენობა შეადგენს 7,3%-ს.

თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან უფ-

როს ნაკლებია იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც სასამართლოების მიერ შესჯავრი დაედოთ ქრთამის მიცემისათვის (190-ე მუხ.) — 8,8%; ქრთამის აღებისათვის (189-ე მუხ.) — 8% და სამსახურებრივი სიყალბისათვის (191-ე მუხ.) — 5,4%. კიდევ უფრო უმნიშვნელო აღმოჩნდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მსჯავრდადებულნი იყვნენ ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის — 1,7% და მექრთამეობაში შუამავლობისათვის — 1%.

საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა 1970 წელს შეადგენდა 46,4%-ს, 1971-1972 წლებში საშუალოდ — 41,2%-ს, 1974-1976 და 1979 წლებში — 43%-ს, 1977-1978 და 1980 წლებში კი 40,5%-ს.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის 1970 წელს შეადგენდა 1,4%-ს, 1971-1973 წლებში — 1,3%-ს, 1974, 1975 და 1977 წლებში მათი რიცხვი საშუალოდ 1,4%-ს, 1976, 1978, 1979 და 1980 წლებში კი 2,7%-ს არ აღემატებოდა. აქედან ყველაზე დიდი პროცენტული შეფარდება მოდის 1980 წელს (3,9%).

დაუდევრობისათვის მსჯავრდადებულთა ხვედრითი წონა 1970 წელს შეადგენდა 32,5%-ს, 1971 წელს — 31,3%-ს, 1972 წელს — 29%-ს, 1973 წელს — 28,4%-ს. დანარჩენ წლებში კი მისი ხვედრითი წონა საშუალოდ 35%-ს არ აღემატებოდა. აქედან ყველაზე მეტი პროცენტული შეფარდება მოდის 1977 წლის პრაქტიკის მონაცემებზე (36,2%).

ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა 1970 წელს შეადგენდა 6%-ს, 1971-1973 წლებში მათი რიცხვი ორჯერ და მეტად გაიზარდა. 1974, 1975, 1977 და 1978 წლების მონაცემები მთლიანად გაუთანაბრდა 1970 წლის მონაცემებს, 1980 წელს 3,5%-ით გაიზარდა, 1976 წელს კი იმავე 1970 წელთან შედარებით 50%-ით შემცირდა.

მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა ყველა საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის 1970 წელს შეადგენდა 0,8%-ს, 1971-1974 წლებში თითქმის ორჯერ გაიზარდა, მომდევნო წლებში კი მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და 1977-1978 წლებში შეად-

გენა 0,3%, 1979 წელს ამ დანაშაულისათვის არცერთი პირი არ იქნა დასჯილი. 1980 წელს კი მათი რიცხვი 1977 და 1978 წლებთან მონაცემებთან შედარებით სამჯერ გაიზარდა.

ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობა 1970 წელს შეადგენდა 9,2%-ს, 1971 და 1979 წლებში 3%-ით შემცირდა, 1972 და 1978 წლებში კი 1970 წლის მონაცემებთან შედარებით ორი პროცენტით გაიზარდა. 1974, 1976, 1977 და 1980 წლებში მათი რიცხვი საშუალოდ 8,3%-ს შეადგენდა.

სამსახურებრივი სიყალბისათვის მსჯავრდადებულთა ხვედრითი წონა ყველა სხვა საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის 1970 წელს შეადგენდა 3,7%-ს, 1971 წელს — 5,3%-ს, 1972 წელს — 4,5%-ს, 1973 წელს — 6,6%-ს, 1974-1975 და 1978 წლებში — 5,5%-ს, 1977 წელს — 6,4%-ს, 1970 წელთან შედარებით მათი რიცხვი 1979 წელს ორჯერ გაიზარდა. 1980 წლის მონაცემები კი მთლიანად გაუთანაბრდა 1970 წელს მსჯავრდადებულ პირთა პროცენტულ რაოდენობას.

თუ 1970-1980 წლების მონაცემების მიხედვით თანამდებობრივი დანაშაულის ცალკეული სახეებისათვის მსჯავრდადებულთა დინამიკას ერთიმეორისაგან იზოლირებულად განვიხილავთ, მაშინ მივიღებთ, რომ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის (სსკ 186-ე მუხ.) ყველაზე მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული 1970 წელს და იგი შეადგენდა ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 46,4%-ს, 1974 წელს — 42,4%-ს, 1979 წელს 43,4%-ს. ყველაზე ნაკლები იყო 1980 წელს — 40,2%. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პროცენტული მონაცემები აღებულია ერთსა და იმავე წელს სხვა სახის თანამდებობრივ დანაშაულთან შეფარდებით, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც მისი პროცენტული რაოდენობა შემცირდა, გაიზარდა სხვა სახის თანამდებობრივ დანაშაულთა პროცენტული რაოდენობა. ამიტომ მისი განხილვა-შეფასება უნდა მოხდეს ერთ მთლიანობაში. თუ მას იზოლირებულად განვიხილავთ, მაშინ ვერ მივიღებთ თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ნამდვილ სურათს.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის 1971 წელთან შედარებით 1973 წელს 25%-ით მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული. 1974 წელთან შედარებით 1975 წელს ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი 50%-ით გაიზარდა.

და. 1976 წელს წინა წელთან შედარებით 18,2%-ით მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1971 წელთან შედარებით 1976 წელს მსჯავრდადებულთა რიცხვი ამ კატეგორიის დანაშაულისათვის 83,3%-ით გაიზარდა. 1977-1978 და 1980 წლებში მსჯავრდადებულთა რიცხვითი რაოდენობა მთლიანად გაუთანაბრდა 1970 წლის მონაცემებს. 1979 წლისა კი 1972 და 1973 წლების რიცხვობრივ მონაცემებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1970 წელთან შედარებით 1979 წელს მხოლოდ 7,1%-ით მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული, 1971 წელს კი წინა 1970 წელთან შედარებით 14,2%-ით ნაკლები.

დაუდევრობა (სსკ 188-ე მუხ.) თანამდებობრივ დანაშაულთა შორის საკმაოდ გავრცელებული სახეა. იგი, როგორც აღვნიშნეთ, მატერიალური სახის თანამდებობრივ დანაშაულთა 42,8%-ს შეადგენს. დაუდევრობისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი 1971 წელს წინა წელთან შედარებით 7,8%-ით შემცირდა. წინა წელთან შედარებით 1972 წელს მსჯავრდადებულთა რიცხვი კვლავ 15,6%-ით გაიზარდა, 1970 წელთან შედარებით კი 7,5%-ით. 1974 წელს იმავე 1971 წლის რიცხვობრივ მონაცემებთან შედარებით 34,8%-ით გაიზარდა. 1975 წელს წინა წელთან შედარებით მათი რიცხვი კვლავ 13,7%-ით შემცირდა, 1979 წელს 1974 წლის მონაცემებთან შედარებით — 37,7%-ით, 1978 წელს კი 1970 წელთან შედარებით 26,9%-ით. იმავე 1970 წელთან შედარებით 1980 წელს კიდევ უფრო მეტად — 34,2%-ით შემცირდა, ე. ი. დაუდევრობისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი 1971 წლიდან 1975 წლამდე სისტემატურად იზრდებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1973 წელს, როცა წინა წელთან შედარებით მსჯავრდადებულთა რიცხვი 19 ერთეულით შემცირდა. 1975 წლიდან კი იგი თითქმის ყოველწლიურად მცირდება, მაგრამ 1979 წელს წინა წელთან შედარებით 7,8%-ით გაიზარდა, მომდევნო 1980 წელს კი მათი რიცხვი წინა წელთან შედარებით კვლავ 16,5%-ით შემცირდა.

მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა მთელი მასიდან 1970-1980 წლებში ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებული იქნა 44,8%, დანარჩენი 55,2% კი ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის. მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთაგან მეტად უმნიშვნელო პროცენტი მოდის მექრთამეობაში შუამავლებზე. უდიდეს უმრავლესობას — თითქმის მსჯავრდადებულთა ნახევარზე მეტს შეადგენდნენ პირები, რომლებიც მსჯავრდადებულნი იყვნენ

ქრთამის მიცემისათვის. ეს გასაგებია, რადგან თანამდებობის პირი ყოველთვის არ იღებს შეთავაზებულ ქრთამის საგანს. ეს გარემოება კი იწვევს მართოდენ მექრთამეობის ერთ-ერთი მხარის — ქრთამის მიმცემის პასუხისგებაში მიცემას ქრთამის მიცემის მცდელობისათვის. ამას ემატება ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ქრთამის მიცემის წაქეზებისათვის ისჯება მექრთამეობაში მოსაწილე ის პირიც, რომელმაც გარკვეულად შეუწყო ხელი — წააქეზა ან უბიძგა ქრთამის მიმცემს, რომ მას გადაეცა ქრთამის საგანი თანამდებობის პირისათვის.

1973 წლიდან აშკარად შეიმჩნევა მექრთამეობისა და საერთოდ ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა რიცხვითი რაოდენობის შემცირება. მაგალითად, 1972 წელს შედარებით 1978 წელს ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის საქართველოს სასამართლოების მიერ 42,9%-ით ნაკლები პირი იქნა მსჯავრდადებული. 1979 წელს — 40,3%-ით, 1980 წელს კი 46,6%-ით ნაკლები.

ზემოაღნიშნული მონაცემები, ცხადია, იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად დამნაშავეობასთან ბრძოლის კომპეტენტურმა ორგანოებმა, განსაკუთრებით პირველ ხანებში, რადიკალურად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა და მრავალი თანამდებობის პირის ბნელით მოცული დანაშაულებრივი საქმიანობა დღის სინათლეზე გამოიტანეს. ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ გაიწმინდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემა ბოროტი დამნაშავეებისაგან, შედარებით გაუმჯობესდა ამ ორგანოების დაკომპლექტება მორალურად სპეტაკი, კომპეტენტური პირებით და საგრძნობლად ამალდა ამ თანამდებობის პირთა მორალურ-პოლიტიკური დონე. მაგრამ, ცხადია, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც ერთიმეორეს ეჯიბრებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების — მთელი ჩვენი ხალხის კუთვნილი დოვლათის დატაცებაში. ზოგიერთმა თანამდებობის პირმა ჯერ კიდევ ყარ გააკეთა სათანადო დასკვნა და ბოროტად იყენებს დაკავებულ თანამდებობას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გახმაურებული ერთ-ერთი დიდი დაწესებულების მთავარი ბუღალტრის ბნელით მოცული დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელსაც ჩხრეკის დროს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი აღმოაჩნდა. ერთ-ერთი რაიონ-

ნის მთავარ ავტოინსპექტორს თ.-ს კი დაკავებისას თავის სამუშაო ოთახში დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 126 ათასი მანეთი ჩამოერთვა. მასვე აღმოაჩნდა და ჩამოერთვა სხვა პირზე გაფორმებული ავტომანქანა გაზ-24 „ვოლგა“: აღსანიშნავია აგრეთვე სხვა თანამდებობის პირთა დანაშაულებრივი ქმედობები, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას — სისტემატურად იღებდნენ ქრთამს სხვადასხვა მოქალაქეებისა და თავიანთი ქვემდგომი თანამდებობის პირებისაგან.

## **ბ) თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა საერთო დახასიათება**

საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებული თანამდებობრივი დანაშაულისათვის არც თუ ისე იშვიათად სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ არათანამდებობის პირებს და თვით შრომის უნარიან ისეთ პირებსაც, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში არსად არ მუშაობდნენ, აგრეთვე, დიასახლისებს, პენსიონერებს და თვით შრომის უუნარო პირებსაც კი. მაგალითად, საქართველოს სსრ სამართლოების მიერ 1971-1980 წლებში ამ კატეგორიის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა საერთო მასიდან 14,4% იყვნენ მუშები, 5,8% კოლმეურნეები, 0,9% შრომისუნარიანი ისეთი პირები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში არც მუშაობდნენ და არც სწავლობდნენ, 0,4% — დიასახლისები, პენსიონერები და შრომის უუნარო პირები, მსჯავრდებულთა 77,9% კი იყვნენ ყოფილი მოსამსახურები.

ამ კატეგორიის თანამდებობრივი დანაშაულისათვის კოლმეურნეთა მსჯავრდადების ფაქტები 1972 წლიდან თითქმის ყოველწლიურად მცირდებოდა და უკვე 1979 წელს მსჯავრდებულთა შორის მათი ხვედრითი წონა 6,3%-ით შემცირდა. 1980 წლისათვის მათი რიცხვი ორჯერზე მეტად შემცირდა, რაც, ცხადია, ამ მიმართებით სასამართლო პრაქტიკის ერთგვარ გაუმჯობესებაზე შეტყუვლებს.

ამავე კატეგორიის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა შორის ქალთა ხვედრითი წონა 1971 წლიდან თითქმის ყოველწლიურად მატულობდა. 1975-1976 წლებში კი საგრანობლად შემცირდა, მაგრამ მომდევნო წლებში კვლავ იმატა და

თითქმის მთლიანად გაუთანაბრდა 1974 წლის მონაცემებს, როდესაც თითქმის ორჯერ მეტი ქალი იყო მსჯავრდადებული, ვიდრე 1971 წელს. ამ უკანასკნელ წელთან შედარებით 1979 წელს 27,5%-ით მეტი ქალი იყო მსჯავრდადებული, ხოლო 1980 წელს 18-ჯერ ნაკლები, თუმცა პროცენტული შეფარდებით მსჯავრდადებულთა შორის ქალთა ხვედრითი წონა 1971 წლის მონაცემებთან შედარებით 5,4%-ით გაიზარდა.

საქართველოს სსრ სასამართლოების მონაცემებით 1970-1980 წლებში მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა 15,9% ქალი იყო. მათი უმეტესობა — 73,6% დასჯილი იყო ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის, დანარჩენი 26,4% კი ქრთამის აღებისათვის.

ცალკეული წლების მიხედვით ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა შორის რაოდენობრივად ყველაზე მეტი ქალი აღმოჩნდა 1972-1973 წლებში. პროცენტული შეფარდებით — 1980 წელს, ყველაზე ნაკლები 1979 წელს, ხოლო 1978 წელს არც ერთი. ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის ყველაზე მეტი ქალი იქნა მსჯავრდადებული 1972-1974 წლებში, ყველაზე ნაკლები — 1979 წელს.

ქრთამის აღებისათვის 1971 წელთან შედარებით 1972-1973 წლებში თითქმის სამჯერ მეტი ქალი იქნა მსჯავრდადებული, 1974 წელს ერთნახევარჯერ მეტი, 1975 წელს იმდენივე, რაც 1971 წელს. 1976-1977 წლებში მათი რიცხვი 1971 წელთან შედარებით 25%-ით შემცირდა, 1979 წელს კი 60%-ით. 1971 წელთან შედარებით 1980 წელს მათი რიცხვი ორჯერ და მეტად გაიზარდა. პროცენტული შეფარდებით კი 1980 წელს თითქმის ხუთჯერ მეტი ქალი იქნა მსჯავრდადებული, ვიდრე, 1972 წელს.

მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულ ქალთა ხვედრითი წონა 1971 წელს 25%-ს შეადგენდა, 1972 წელს ეს რიცხვი ორჯერ გაიზარდა, 1973 წელს მათი რიცხვი 1972 წელთან შედარებით 39,5%-ით შემცირდა, 1974-1975 წლებში კი კვლავ საგრძნობლად გაიზარდა. მომდევნო წლებში მათი რიცხვი სისტემატურად კლებულობდა და უკვე 1979 წელს 1974 წელთან შედარებით იგი სამჯერ და მეტად შემცირდა, 1980 წელს კი წინა წელთან შედარებით კვლავ ორჯერ გაიზარდა.

მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთაგან უმეტესობა აღმოჩნდა ყოფილი მუშები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები კი მე-



ტად უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდნენ. მაგალითად, იმავე წლებში მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა 27,5% იყო მუშა, 58,4% კი მოსამსახურე. აქედან: ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა 18,5% იყო მუშა, 78,6% მოსამსახურე; ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა 33,9% იყო მუშა, 42,6% კი მოსამსახურე. მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა შორის კოლმეურნე იყო 4,3%.

თუ მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან ყოფილ კოლმეურნეებს ცალკე გამოვყოფთ, მაშინ პროცენტული შეფარდება ასეთი იქნება; ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებული 11,6%, დანარჩენი 88,4% კი ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის.

ის პირები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში შრომის უნარიანნი იყვნენ, მაგრამ არ მუშაობდნენ, შეადგენდნენ მსჯავრდადებულთა 4,6%-ს. აქედან ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებული იყო 0,4%, დანარჩენი კი ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის.

მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა ანკეტურ მონაცემებს შორის შევხვდით ისეთსაც, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში იყვნენ პენსიონერები, დიასახლისები და შრომის უუნარო პირები. მათი რიცხვი 3,1%-ს შეადგენდა. აქედან 0,3% მსჯავრდადებული იყო ქრთამის აღებისათვის, დანარჩენი კი ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის.

მართალია, ქრთამის აღებისათვის ასეთ პირთა მსჯავრდადების პრაქტიკა ყოველწლიურად მცირდება, მაგრამ მაინც ვერ იქნა მღწეული სასამართლოების ასეთი შეცდომების სრული აღმოფხვრა. ამ მიმართებით უკანასკნელ წლებში მდგომარეობა თითქოს ერთგვარად გამოსწორდა კოლმეურნეთა შორის. მაგალითად, 1971 წელს ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულ რიგით კოლმეურნე პირთა რაოდენობასთან შედარებით 1972-1973 წლებში მათი რიცხვი თითქმის 50%-ით შემცირდა. მომდევნო წლებში კი საერთოდ არც ერთი კოლმეურნე აღარ იქნა მსჯავრდადებული ქრთამის აღებისათვის. ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი მხოლოდ ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის.

საქართველოს სსრ სასამართლოებს 1970-1980 წლების მონაცემებით მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან სასჯელის მოხდამდე ქრთამის მიცემა ან მექრთამეობაში შუამავლობა არ

ჩაუდენია არც ერთ ისეთ პირს, რომელიც სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლდა პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით. ცხადია, ეს ამ მიმართულებით ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების კარგ მუშაობაზე მეტყველებს. ამასთან, ჩანს, რომ სასჯელის მოხდის ეს ფორმა ამართლებს თავის მიზანს და იგი შეიძლება უფრო გაბედულად გამოვიყენოთ.

ზემოაღნიშნულ დროის მონაკვეთში ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა 4,7% აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც ადრინდელი ნასამართლობა მოხსნილი და გაქარწყლებული ჰქონდა, ხოლო ისეთი, რომელსაც ადრინდელი ნასამართლობა მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ჰქონდა, იყო მსჯავრდადებულთა 2,2%. საგულისხმოა ისიც, რომ აქედან ზოგ მათგანს მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ჰქონდა ორი ადრინდელი ნასამართლობა.

ასეთი შემთხვევები კიდევ უფრო მეტია ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა შორის. მაგალითად, 1970-1980 წლებში იმ პირთა რაოდენობა რომლებსაც ადრინდელი ნასამართლობა მოხსნილი და გაქარწყლებული არ ჰქონდა, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა შორის შეადგენდა 7,4%-ს. ხოლო ისეთი პირები, რომლებსაც ადრინდელი ნასამართლობა მოუხსნელი და გაუქარწყლებული ჰქონდა, შეადგენდა 6,7%-ს, აქედან ერთზე მეტი ადრინდელი ნასამართლობა მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ჰქონდა მსჯავრდადებულთა 1,2%-ს.

ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობა აღმოჩნდა სამსახურებრივი სიყალბისა და მატერიალური სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა გამოკვლევისას. დროის იმავე მონაკვეთში ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის 4,5% იყო ისეთი, რომელსაც ადრინდელი ნასამართლობა მოხსნილი და გაქარწყლებული ჰქონდა, ხოლო ისეთი პირები, რომლებსაც ადრინდელი ნასამართლობა მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ჰქონდა, აღმოჩნდა მსჯავრდადებულთა 2%. აქედან ერთზე მეტი ადრინდელი მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობა ჰქონდა მსჯავრდადებულთა 0,2%-ს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოაღნიშნულ პირებს ადრინდელი მოხსნილი და მოუხსნელი ნასამართლობა ჰქონდათ ძირითადად ისეთი სახის დანაშაულის ჩადენისათვის, როგორცაა: სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონე-

ბის გატაცება, ქურდობა, გაძარცვა, ყაჩაღური თავდასხმა, ბანდიტიზმი, ხულიგნობა და სხვა.

ცალკეული წლების მიხედვით ისეთ დამნაშავეთა რიცხვი, რომლებსაც ადრინდელი ნასამართლობა მოხსნილი და გაქარწყლებული ჰქონდა, განსაკუთრებით გაიზარდა 1973-1976 წლებში, მომდევნო წლებში კი შესამჩნევად იკლო. რაც შეეხება ისეთ პირთა მსჯავრდადების ფაქტებს, რომლებსაც ადრინდელი ნასამართლობა მოხსნილი და გაქარწყლებული ჰქონდათ, მცირეოდენი მატება იგრძნობოდა 1971-1973 წლებში, მომდევნო წლებში კი მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

საყურადღებოა, რომ 1970-1980 წლებში ქრთამის აღებისათვის ადრე მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონე მსჯავრდადებულთა რიცხვი შეადგენდა ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 3,4%-ს. აქედან სასჯელის მოხდით განთავისუფლდა 1,9%, პირობით ვადამდე — 1,3%, ავადმყოფობით — 0,1%.

ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის ადრე მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონე მსჯავრდადებულთა რიცხვი შეადგენდა 7,2%-ს. აქედან სასჯელი მოიხადა 4%-მა, პირობით ვადამდე განთავისუფლდა 0,9%.

ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდადებული პირები. კერძოდ, ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონე მსჯავრდადებულთა რიცხვი ზემოაღნიშნული დროის მონაკვეთში შეადგენდა მსჯავრდადებულთა 2,5%-ს; აქედან სასჯელის მოხდით განთავისუფლდა 1,4%, პირობით ვადამდე — 0,9%, ავადმყოფობით — 0,1%, ამნისტიითა და სხვა საფუძველით — 0,1%.

ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთაგან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების პირველსავე წელს დანაშაული ჩაიდინა 0,2%-მა, ისიც მხოლოდ 1971 წელს. ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთაგან 1975 და 1978 წლებში თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების პირველსავე წელს დანაშაული ჩაიდინა 1,3%-მა, 1980 წელს — 1,7%-მა. დანარჩენ წლებში კი არც ერთი ასეთი პირი არ ყოფილა მსჯავრდადებული.

მატერიალური შემადგეხლობის სახის თახამდებობრივი დანაშაულისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების პირველსავე წელს დანაშაული ჩაიდინა მსჯავრდადებულთა 0,3%-მა.

ჩვენს მიერ შერჩევით აღებული ხუთი წლის მანძილზე (1974-1978 წ.) საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა შორის 9,4% აღმოჩნდა ადრინდელი ნასამართლობის მქონე პირი, რომელთაც კანონით დადგენილი წესით მოხსნილი ჰქონდათ ადრინდელი ნასამართლობა, მსჯავრდადებულთა 1,2%-ს მოხსნილი და გაქარწყლებული არ ჰქონდა ადრინდელი ნასამართლობა, მსჯავრდადებულთა 0,3%-ს კი მოხსნილი არ ჰქონდა ორი ადრინდელი ნასამართლობა.

დროის იმავე მონაკვეთში, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა შორის 14,2% აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც მოხსნილი და გაქარწყლებული არ ჰქონდა ადრინდელი ნასამართლობა. აქედან, მსჯავრდადებულთა 1%-ს მოხსნილი არ ჰქონდა ორი ადრინდელი ნასამართლობა. ერთი პირი კი აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც მოხსნილი არ ჰქონდა სამი ადრინდელი ნასამართლობა.

იმავე ხუთი წლის მანძილზე სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე ნუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის 7,3% აღმოჩნდა ადრინდელი ნასამართლობის მქონე პირი, რომელთაგან 6,3%-ს მოხსნილი ჰქონდა ადრინდელი ნასამართლობა, 1%-ს კი მოუხსნელი.

თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ ზემოთაღნიშნულ პირთაგან ადრინდელი ნასამართლობა ჰქონდა: სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის 0,2%-ს, განზრახ მკვლელობის, სხეულის განზრახ მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და გაუპატიურებისათვის 0,4%-ს; ქურდობის, გაძარცვის, ყაჩაღური თავდასხმის და ბანდიტიზმისათვის—0,2%-ს, ხულიგნობისათვის — 0,2%-ს, სხვა დანარჩენი სახის დანაშაულისათვის — 1%-ს.

ზემოაღნიშნული პირებიდან ისეთები, რომლებსაც ადრინდელი ნასამართლობა კანონით დადგენილი წესით მოხსნილი არ ჰქონდათ, სასჯელისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ: სასჯელის მოხდისათვის 1,1%, პირობით ვადამდე 0,3%, ავადმყოფობისათვის 0,2%, ამნისტიით 0,1%. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ პირები-

დან, რომლებსაც სასჯელი მოხდელი არ ჰქონდათ, 0.2%-მა კვლავ ჩაიდინა დანაშაული.

**გ) თანამდებობრივი დანაშულის მდგომარეობა მათი ჩადენის ადგილის, დროისა და ჯგუფურობის მიხედვით**

საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თანამდებობრივ დანაშაულთა უდიდესი ნაწილი ჩადენილი იყო ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში. მაგალითად, 1971-1980 წლებში ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში ჩადენილი იქნა ყველა სახის თანამდებობრივ დანაშაულთა 81,8%, სოფლად კი 18,8%. აქედან ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა 81,9%-ს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში, დანარჩენი 18,1%-ს კი სოფლად. ასევე, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულთა 82,8%-ს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში, დანარჩენ 17,2%-ს კი სოფლად.

სამსახურებრივი სიყალბისა და მატერიალური სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან 57,9%-ს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში, დანარჩენ 42,1%-ს კი სოფლად. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მონაცემები ცალკეული წლების მიხედვით საკმაოდ ცვალებადია. მაგალითად, თუ 1971 წელს ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა 81,3%-მა ჩაიდინა დანაშაული ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში, 1977 წელს მათმა რიცხვმა 91,5%-ს მიაღწია. ასევე, 1971 წლის მონაცემებთან შედარებით ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის ფაქტები 1979 წელს 10%-ით გაიზარდა, 1980 წელს კი ხუთჯერ. ამის შესაბამისად შემცირდა ამ კატეგორიის დანაშაულთა ჩადენის ფაქტები სოფლად.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სამსახურებრივი სიყალბისა და მატერიალური სახის თანამდებობრივი დანაშაულის მიმართაც. მაგალითად, 1971 წელს ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 60 %-ს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში, 1973 წელს 51,2%-ს. მაგრამ, 1975 წელს 63,6 %-ს მიაღწია. ცხადია, ამის შესაბამისად იცვლებოდა აგრეთვე სოფლად ჩადენილ დანაშაულთა დინამიკაც.

1971-1980 წლების მონაცემებით ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 37,1% სასამართლოების მიერ დამნაშავედ იყო ცნობილი იმავე წელს ჩადენილი დანაშაულისათვის, დანარჩენი 62,9% კი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის. აქედან მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთაგან იმ პირთა რაოდენობა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს მიმდინარე წელს შეადგენდა 39,6%-ს. დანარჩენი 60,4% მსჯავრდადებული იყო მათ მიერ ადრე ჩადენილი ქრთამის ადებისათვის. მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის მსჯავრდადებულთაგან მხოლოდ 37,8% იყო იმავე წელს ჩადენილი დანაშაულისათვის, დანარჩენი 62,2% — ადრე ჩადენილი ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის.

ცალკეული წლების მონაცემები კი ამ მიმართებით ცვალებადია. მაგალითად, მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვმა 1971 წელს 44,3% შეადგინა, მომდევნო წელს კი 23,8%. განსაკუთრებით შემცირდა ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა, რომლებმაც, ცალკე იმავე წლის მონაცემებით 16,3% შეადგინა. რაც შეეხება მომდევნო წლებს, აქ უკვე აშკარად იმატა იმ მსჯავრდადებულთა რიცხვმა, რომლებმაც მექრთამეობა ჩაიდინეს იმავე წელს. 1979 წელს ამ რიცხვმა მსჯავრდადებულთა 57%-ს მიაღწია, 1980 წელს კი იმავე წელს ჩადენილი ქრთამის ადებისათვის მსჯავრდადებული იქნა მხოლოდ 44%. ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთაგან კი მხოლოდ 35% იყო ისეთი რომელმაც იმავე წელს ჩაიდინა დანაშაული. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ მექრთამეობის წინააღმდეგ მეტრძოლმა ორგანოებმა გააძლიერეს თავიანთი მუშაობა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სამსახურებრივი სიყალბისა და მატერიალური სახის თანამდებობრივი დანაშაულის შესახებ, რადგან ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს იმავე წელს, როცა მათი დანაშაულებრივი ქმედობა იქნა გამოძევადებული, 32%-ს არ აღემატებოდა. თუმცა, აქაც შეიმჩნევა ერთგვარი უკეთესობა. მაგალითად, თუ 1972 წელს იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინა მიმდინარე წელს, შეადგენდა მსჯავრდადებულთა 19,5%-ს, 199 წელს მათმა რიცხვმა 34,4%-ს მიაღწია, ხოლო 1980 წელს 28,7%-ს.

1971 წელს ქრთამის ადების შემთხვევებიდან 37,4% ჩადენილი იყო პირთა ჯგუფის მიერ (ჯგუფურად), 1972 წელს — 48%,

1975 წელს — 46,5%, 1979 წელს — 35,5%. 1970 წელთან შედარებით 1980 წელს ჯგუფურად ქრთამის ალების შემთხვევები 8,6%-ით შემცირდა.

ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის ფაქტებიდან 1971 წელს პირთა ჯგუფის მიერ (ჯგუფურად) ჩადენილი იქნა 54,4%, 1972 წელს — 57,8%, 1974 წელს — 56,3%, 1977 წელს — 23,1%, 1979 წელს — 29,8%. 1972 წელთან შედარებით 1980 წელს ჯგუფურად ანუ პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის ფაქტები 17,8%-ით შემცირდა.

რაც შეეხება მექრთამეობის დახასიათებას, მათი ჩადენის დროსა და ადგილის მიხედვით ცალკეული წლების შესაბამისად იგი შემდეგნაირად გვევლინება: 1971 წელს ქრთამის ალების შემთხვევებიდან მსჯავრდადებულთა 42,3%-ს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა მიმდინარე წელს, 1972 წელს — 31,9%-ს, 1975 წელს — 42,2%, 1977 წელს — 34%-ს, 1979 წელს — 54,8%-ს, 1980 წელს — 44,1%-ს. 1971 წლის მონაცემებით ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის შემთხვევებიდან იმავე წელს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა მსჯავრდადებულთა 47,1%-ს, 1972 წელს — 16,3%-ს, 1974 წელს — 37%-ს, 1976 წელს — 56,6%-ს, 1979 წელს — 57,4%-ს, 1980 წელს — 35%-ს.

დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით მექრთამეობა შემდეგნაირი მონაცემებით ხასიათდება: ქრთამის ალებისათვის მსჯავრდადებულთაგან ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში 1971 წელს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 81,3%-ს, 1972 წელს — 79,3%-ს, 1975 წელს — 90%-ს, 1977 წელს — 91,5%-ს, 1979 წელს — 87,1%-ს. 1972 წელთან შედარებით 1980 წელს ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში 20,1%-ით მეტი დანაშაული იქნა ჩადენილი. მსჯავრდადებულთა დანარჩენ მასას კი დანაშაული ჩადენილი ჰქონდა სოფლად.

1971 წლის მონაცემებით ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთაგან ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 79,4%-ს, 1972 წელს — 85%-ს, 1974 წელს — 87,4%-ს, 1977 წელს — 78,5%-ს, 1979 წელს — 89,4%-ს, 1980 წელს — 91,7%-ს. დანარჩენ პირებს კი დანაშაული ჩადენილი ჰქონდათ სოფლად.

**დ) თანამდებობრივი დანაშაულის მდგომარეობა სახელმწიფო  
ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახალხო  
მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით**

თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტები, მსჯავრდადებულთა რიცხვობრივი რაოდენობის მიხედვით პროცენტებში, ჩვენს შიერ შერჩევით აღებული 1974-1980 წლის მონაცემებით, ყველაზე მეტი მოდის სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებსა და სამომხმარებლო კოოპერაციებში. მაგალითად, 1974 წელს სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა ხვედრითი წონა ყველა საწარმოო-დაწესებულებაში და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის შეადგენს 18,5%-ს, ე. ი. იმდენს, რამდენსაც შეადგენდა საბჭოთა მეურნეობებში, რკინიგზის, საზღვაო, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობის, მომარაგებისა და გასაღების ორგანოებში, სახელმწიფო დამზადების ორგანიზაციებში, საბინაო და კომუნალურ მეურნეობებში, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებებში, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებსა და საფინანსო, საგეგმო, საკრედიტო დაწესებულებებში ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა ერთად აღებული რაოდენობა. ამ პრაორიტეტს ეს ორგანიზაციები მომდევნო წლებშიც ინარჩუნებენ. მაგალითად, ასეთივე პროცენტული შეფარდებისა სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისათვის 1980 წელს მსჯავრდადებულ პირთა რაოდენობა.

სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან პროცენტულად უფრო მეტია ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის დამნაშავეთა მსჯავრდადების ფაქტები სამომხმარებლო კოოპერაციაში და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში. მარტო სამომხმარებლო კოოპერაციაში ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი შეადგენდა 25,6%-ს. სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში კი 21%-ს. ამ მხრივ შედარებით უკეთ გამოიყურება სარკინიგზო, საზღვაო, სამდინარო, საავტომობილო და საჰაერო სატრანსპორტო დაწესებულებები, აგრეთვე კავშირგაბმუ-



ლობის, სახელმწიფო მომარაგებრსა და გასაღების ორგანიზაციები, საბინაო და კომუნალური მეურნეობები, საფინანსო საგეგმო, საკრედიტო და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები.

თანამდებობის პირთა მსჯავრდადებას დაუდევრობისათვის (სსკ 188-ე მუხ.) უფრო მეტად ადგილი ჰქონდა სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებსა და სამომხმარებლო კოოპერაციაში (სადაც ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი მთელი მასის 16%-ზე მეტს შეადგენდა), აგრეთვე წარმოებებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტებისათვის (სსკ 187-ე მუხ.) და სამსახურებრივი სიყალბისათვის (სსკ 191-ე მუხ.) მსჯავრდადების ფაქტები უფრო ჰარბობს წარმოებებში, საბჭოთა მეურნეობებში, სახელმწიფო დამზადების ორგანიზაციებში, აგრეთვე სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებსა და სამომხმარებლო კოოპერაციაში.

ამავე მონაცემებით ქრთამის აღების უფრო მეტ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, სადაც ქრთამის აღებისათვის ხუთი წლის მანძილზე მსჯავრდადებული იქნა ამ პერიოდში ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა 7,1%, წარმოებებში 4,3%, სამომხმარებლო კოოპერაციაში — 5,1%, რკინიგზის ტრანსპორტზე 5,1%, სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში 3,9%.

ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის ფაქტებიც სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში ჰარბობს, სადაც ამ პერიოდში მსჯავრდადებულთა რიცხვმა ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 9,3%-ს მიაღწია. მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი ჰარბობს აგრეთვე საბინაო და კომუნალურ მეურნეობებში (3,8%), რკინიგზის ტრანსპორტზე (3,3%), კოლმეურნეობებსა (2,6%) და წარმოებებში (1,7%).

წინა წლებთან შედარებით 1979-1980 წლებში მექრთამეობის ფაქტებმა საგრძნობლად იმატა სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში, სამომხმარებლო კოოპერაციაში, საბინაო და კომუნალურ მეურნეობებში, საპაერო ტრანსპორტზე, სახელმწიფო მომარაგებისა და გასაღების ორგანიზაციებში, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და სამედიცინო დაწესებულებებში, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში. მაგალითად, თუ საპაერო ტრანსპორტზე აღრე

მეჭრთამეობის ფაქტები მეტად იშვიათობას წარმოადგენდა, 1979 წელს ქრთამის მიცემისა და მეჭრთამეობაში შუამავლობისათვის აქთითქმის ორჯერ მეტი პირი იქნა დასჯილი ვიდრე 1974-1978 წლებში ერთად აღებული. ასევე, თუ ადრე ამავე დაწესებულებაში ქრთამის აღებისათვის არცერთი მსჯავრდადებული არ იყო, 1980 წელს მათმა რიცხვმა 3,4%-ს მიაღწია. რკინიგზის ტრანსპორტზე მარტო 1975 წელს ქრთამის აღებისათვის ორჯერ მეტი პირი იქნა დასჯილი, ვიდრე 1976-1980 წლებში ერთად. წარმოებაში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის ყველაზე მეტი მსჯავრდადებული აღმოჩნდა 1976-1977 წლებში. 1977 წელს პროცენტული შეფარდებით ქრთამის აღებისათვის ორნახევარჯერ მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული, ვიდრე 1974 წელს. დანარჩენ წლებში აქ ასეთ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთაგან ყველაზე მეტი პროცენტული შეფარდება მოდის 1976 (13,5%), 1979 (19,4%) და 1976 წლებში — 13,5%. ე. ო. 1979 წელს პროცენტულად რვაჯერ მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული ვიდრე 1974 წელს, 1980 წელს კი თითქმის ექვსჯერ მეტი. ქრთამის მიცემისა და მეჭრთამეობაში შუამავლობისათვის, პროცენტული შეფარდებით, 1980 წელს ამავე ორგანიზაციაში სამჯერ მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული, ვიდრე 1974 წელს. სამომხმარებლო კოოპერაციაში ქრთამის აღებისათვის 1976 წელს თითქმის ოთხჯერ მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული, ვიდრე 1974 წელს, 1980 წელს კი მათი რიცხვი 1976 წელთან შედარებით კვლავ 5,2%-ით გაიზარდა. რაც შეეხება სამომხმარებლო კოოპერაციაში ქრთამის მიცემისა და მეჭრთამეობაში შუამავლობის ჩადენისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობას, აქ თითოეულ წელს მათი პროცენტული შეფარდება საშუალოდ 2,5% არ აღემატება. ყველაზე მეტი აღმოჩნდა 1976 წელს (4%). ამ უკანასკნელ წელთან შედარებით 1980 წელს მათი პროცენტული შეფარდება 2,4%-ით შემცირდა.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა საბინაო და კომუნალურ მეურნეობებში ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადების ფაქტები. მაგალითად, ამ ორგანოებში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვითი პროცენტული შეფარდება 1974 წელთან შედარებით 1980 წელს 5,1%-ით შემცირდა, საერთოდ კი მეჭრთამეობისათვის შეიღჯერ ნაკლები პირი იქნა მსჯავრდადებული (8,6%). ქრთამის აღებისათვის ყველაზე მეტი პირი

იქნა მსჯავრდადებული 1979 წელს, შედარებით ნაკლები 1977 წელს, 1976 წელს კი არც ერთი. ეს მონაცემები იმაზე შეტყვევებს, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა ამ ორგანოების მუშაობის სტილი და ამადღა მათი ავტორიტეტი.

აღსანიშნავია, რომ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგებიდან, იქ ჩადენილ მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა სტატისტიკური მონაცემებით, ზემოთაღნიშნული წლების მიხედვით, ყველაზე უკეთ გამოიყურება სასელმწიფო დამზადების ორგანიზაციები და საფინანსო, საგეგმო და საკრედიტო დაწესებულებები. სადაც 1974-1980 წლებში მექრთამეობის ჩადენისათვის არც ერთი პირი არ ყოფილა მსჯავრდადებული. ასევე, არც ერთი პირი არ იქნა მსჯავრდადებული კავშირგაბმულობის ორგანოებში. აქ ჩადენილი მექრთამეობისათვის სულ რამოდენიმე პირი იქნა მსჯავრდადებული, ისიც მარტოოდენ 1975 და 1980 წლებში.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და სამედიცინო დაწესებულებებში ქრთამის აღების ყველაზე მეტ ფაქტებს ჰქონდა ადგილი 1975 და 1979 წლებში. მაგალითად, 1975 წელს 1974 წელთან შედარებით 3,1%-ით მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული. 1979 წელს კი იმავე 1974 წელთან შედარებით 3,8%-ით მეტი. 1980 წელს მათი რიცხვი 1979 წელთან შედარებით 2,1%-ით შემცირდა. ამ ორგანოებში ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის ჩადენისათვის მსჯავრდადების ფაქტებს მეტად იშვიათად აქვს ადგილი. მაგალითად, 1973 წლიდან 1981 წლამდე ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდადების ფაქტებს მხოლოდ 1978 წელს ჰქონდა ადგილი, ისიც მსჯავრდადებულთა უმნიშვნელო პროცენტს (1,3%).

ზემოაღნიშნული მონაცემები, ცხადია, იმაზეც მიუთითებს, რომ ამ ორგანოებში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას იდეურ-აღმზრდევლობითი მუშაობა, რომ გარკვეულ დახვეწას საჭიროებს მათი მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ბინძურმა დანაშაულმა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებშიც მოიკიდა ფეხი. მაგალითად, 1974 წელს ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთაგან ამ დაწესებულებებში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი შეადგენდა 9,6%-ს, ე. ი. იმდენს, რამდენიც იყო წარმოებაში, კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში, მშენებლობაში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ერთად

აღებული. კიდევ უფრო მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული ქრთამის აღებისათვის 1977 წელს, როცა 1974 წელთან შედარებით მათი რიცხვი კიდევ ერთი პროცენტით გაიზარდა. მომდევნო 1978 და 1979 წლებში ქრთამი: აღებისათვის არც ერთი პირი არ იქნა მსჯავრდადებული, მაგრამ, 1980 წელს მათმა რიცხვმა კვლავ იმატა და 6,8%-ს მიაღწია. ამ დაწესებულებებში ჩადენილი ქრთამის მიცემისა და მექრთამეობის შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვითი რაოდენობაც საკმაოდ ჭარბობს ამავე კატეგორიის დანაშაულისათვის სხვა წარმოება-დაწესებულებებში ჩადენილ დამნაშავეთა რიცხვით რაოდენობას. მაგალითად, 1975 წელს ამ დაწესებულებებში ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის ზუსტად იმდენი პირი იქნა მსჯავრდადებული, რაც იმავე წელს საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და რკინიგზის ტრანსპორტზე ჩადენილი იმავე დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა ერთად აღებული რაოდენობა. მომდევნო წლებში მათი რიცხვი თანდათანობით მცირდება. 1975 წელთან შედარებით 1976 წელს მათი რიცხვი 3,6%-ით შემცირდა, 1977 წელს კი წინა წელთან შედარებით კვლავ 3,1%-ით გაიზარდა. 1978 წელს 1977 წელთან შედარებით 11%-ით შემცირდა, 1979 წელს მათი რიცხვი კვლავ 9,3%-ით გაიზარდა, მომდევნო 1980 წელს კი წინა წელთან შედარებით კვლავ 3,9%-ით შემცირდა.

1974-1980 წლების სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა-განალიზებამ გვიჩვენა, რომ მატერიალური სახის შემადგენლობის თანამდებობრივი დანაშაულისა და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის შემთხვევებს მეტ-ნაკლებად ადგილი აქვს სახელმწიფო და სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. იგი განსაკუთრებით გავრცელებულია სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებსა და სამომხმარებლო კოოპერაციაში, სადაც, თუ მსჯავრდადებულთა რაოდენობის პროცენტული შეფარდებით ვიმსჯელებთ, მათი რიცხვი ყოველწლიურად თანდათანობით მატულობს. მაგალითად, სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში მსჯავრდადებულთა რაოდენობა 1976 წელთან შედარებით 1977 წელს 5,1%-ით გაიზარდა. მართალია, 1978 წელს მათი რიცხვი 2%-ით შემცირდა, მაგრამ სამაგიეროდ 1979 წელს კვლავ 4,2%-ით გაიზარდა, 1976 წელთან შედარებით კი 7,4%-ით, ხოლო 1980 წელს 20%-ს მიაღწია.

ამ მიმართებით მცირეოდენი უკეთესობა შეიმჩნევა სამომხმარებლო კოოპერაციაში, სადაც 1974 წელთან შედარებით მსჯავრ-

დადებულია რაოდენობა 1980 წელს დაახლოებით 7%-ით შემცირდა. მაგრამ აქაც საკმაოდ დიდია ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა ხვედრითი წონა. მაგალითად, მარტო 1974 წელს სამომხმარებლო კოოპერაციაში იმდენი პირი იქნა დასჯილი, რამდენიც იმავე წელს დაისაჯა ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის მსუბუქ და კვების მრეწველობაში, მშენებლობაში, საბჭოთა მეურნეობებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საავტომობილო და საპანკო ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობის ორგანოებსა და სახელმწიფო მომარაგებისა და გასაღების ორგანიზაციებში ერთად აღებული. ასევე, 1979 წელს სახელმწიფო საავტოო ორგანიზაციაში ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის თითქმის იმდენი პირი იქნა მსჯავრდადებული, რაც ყველა ზემოდასახელებულ სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ერთად აღებული. ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ ამ ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას, უნდა დაიხვეწოს მათი მუშაობის ფორმები და მეთოდები. ამასთან, საჭიროა ამ სახელმწიფო ორგანიზაციებში გატარდეს უფრო ქმედითი პროფილაქტიკური ღონისძიებები.

საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკის საერთო მონაცემები აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ უხეშად ირღვევა კადრების შერჩევა-განაწილების ლენინური პრინციპები სრულყოფილად არ ტარდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მიერ მიღებული დადგენილება კადრების შერჩევა-განაწილების შესახებ. სხვა რით შეიძლება აიხსნას თუ არა კადრების არასწორი შერჩევა-განაწილებით ადრე ერთი ან მეტი ნასამართლობის მქონე პირების დანიშვნა ან არჩევა ამა თუ იმ თანამდებობაზე, ან ისეთი პირებისა რომლებსაც ადრინდელი ნასამართლობა ჯერ კიდევ მოუხსნელი ან გაუქარწყლებელი ჰქონდათ. ანდა, განა სასამართლოების კარგ მუშაობად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ესოდენ საშიში დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან პირობით ვადამდე განთავისუფლებულთა შორის ვხვდებით ისეთებსაც, რომლებსაც ადრინდელი ნასამართლობა ჯერ კიდევ მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ჰქონდათ? ცხადია, არა (თუმცა ამის უფლებას ზოგჯერ თვით კანონიც იძლევა, რაც ჩვენი აზრით, არასწორია). სწორედ ეს გარემოებაც უნდა ჩაითვალოს თანამდებობრივ დანაშაულთა ჩადენის ერთ-ერთ ხელშემწყობ გარემოებად. ასეთ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებ-

რევ ფაქტებს შეიძლება საერთოდ ადგილი არ ჰქონოდა, დანაშაულის პროფილაქტიკის მიზნით, შესაბამის კომპეტენტურ პირებს ისინი გარკვეულ თანამდებობებზე რომ არ დაენიშნათ ან რომ სპეციალურ კომისიებსა და სასამართლოებს საფუძვლიანად შეესწავლათ ადრე ნასამართლობის მქონე პირები და სწორად შეეფასებინათ მათი საზოგადოებრივი საშიშროება. ცხადია, მაშინ სასამართლოებიც არ გამოიჩენდნენ ღმობიერებას ასეთ პირთა მიმართ და ისინიც მოკლებულნი იქნებოდნენ შესაძლებლობას, ჩელახლა ჩაედინათ დანაშაული.

## 2. თანამდებობრივი დანაშაულის მიზნები და ხელშეწყობი პირობები

დამნაშავეობასთან ბრძოლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოკვლევა-დადგენის გარეშე, რადგან სწორედ მის საფუძველზე უნდა მოხდეს დამნაშავეობასთან ბრძოლის სტრატეგიის შერჩევა. თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „მოძღვრება დანაშაულზე“ პროფ. ა. ა. პიონტოვსკი მართებულად შენიშნავს, რომ დამნაშავეობის მიზეზების შესწავლის გარეშე ეს ბრძოლა არ შეიძლება ეფექტური იყოს (გვ. 103). ასევე, ს. პ. მიტრიჩევი ნაშრომში „საბჭოთა კრიმინალისტიკის თეორიული საფუძვლები“ სწორედ შენიშნავს, რომ დანაშაულის ლიკვიდაციის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულთა მიზეზების შესწავლას და ამის საფუძველზე მის თავიდან ასაცილებელ ეფექტურ ღონისძიებათა შემუშავებასო.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოკვლევა-დადგენის აუცილებლობა რეგლამენტირებულია თვით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც. მაგალითად, საქართველოს სსრ სსსკ მე-60 მუხლში პირდაპირ ნათქვამია, რომ „მოკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან გამოარკვიონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები და მიიღონ ზომები მათ ასაცილებლად“. უფრო მეტიც, სსსკ 213-ე მუხლის მე-11-ე პუნქტის თანახმად საბრალდებო დასკვნით შემოსულ საქმეზე პროკურორის ძიერ გადასაქრელ საკითხთა შორის პროკურორის ერთ-ერთ მოვალეობად მითითებულია, შეამოწმოს „გამოარკვეულია თუ არა გარემოებანი,

რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას და მიღებულია თუ არა ღონისძიებანი მათი აღკვეთისათვის“. სსსკ 367-ე მუხლში ნათქვამია: „საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს აგრეთვე კერძო განჩინებით დაწესებულებების, საწარმოების ან თანამდებობის პირთა ყურადღება მიაქციოს იმ მიზეზებსა და პირობებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას და მოითხოვენ სათანადო ზომების მიღებას“.

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესში დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების გამორკვევისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა მიღების აუცილებლობაზე მითითებულია აგრეთვე საქართველოს სსრ სსსკ 110-ე და 118-ე მუხლებში.

სასამართლო ორგანოებისადმი ასეთსავე სავალდებულო მითითებებს შეიცავს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოების პლენუმების დადგენილებები. მაგალითად, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ აღნიშნულია, რომ „რიგ შემთხვევებში სასამართლოები სრულად არ ააშკარაებენ იმ მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ მექრთამეობის ჩადენას, არ იღებენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს მათ აღმოსაფხვრელად“. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 14 მარტის №1 დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თანამდებობრივ საქმეებზე „სასამართლოებმა გულდასმით უნდა გამოარკვიონ განმეორებით დანაშაულის ჩადენის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები, წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს აუწყონ ნაკლოვანებების შესახებ, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული პირების შრომითსა და საყოფაცხოვრებო მოწყობაში, აგრეთვე მილიციის ორგანოების შესაბამისი თანამდებობის პირებს — ნაკლოვანებათა შესახებ ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელებაში“. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 7 დეკემბრის №10 დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ სასამართლოები ყოველთვის არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას მექრთამეობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლინება-დადგენის შესახებ და, რომ ზოგჯერ არ ახორციელებენ ჭეშოროვან კონტროლს კერძო განჩინებით მიღებულ ღონისძიებათა შესრულებაზე.

ამიტომ სასამართლოებს დაევალიათ გამოავლინონ მექრთამეობის მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები, მოახდინონ მათზე მკაცრი რეაგირება, მუდმივი კონტროლი განახორციელონ კერძო განჩინების შესრულებაზე და მიაღწიონ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

დანაშაუვების გამომწვევ მიზეზებად მიჩნეულია ის სოციალური მოვლენები და პროცესები, რომლებიც იწვევენ, ქმნიან ან განაპირობებენ დანაშაულებრივ ქმედობათა ჩადენას. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ პირობებად (გარემოებებად) კ: აღიარებულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ეკონომიკურ და იდეოლოგიურ სფეროში არსებული ის კერძო ნაკლოვანებები, რომლებიც, მართალია, თვითონ არ წარმოქმნიან დანაშაულს, მაგრამ ხელს უწყობენ მის ჩადენას.

ყველა გარემოება, რომელიც კი საერთოდ გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე, მასში ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების აღმოცენებაზე და ხელს უწყობენ მისი დანაშაულებრივი ზიზნების განხორციელებას, შეიძლება პირობითად დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: ობიექტური და სუბიექტური ხასიათის გარემოებებად (ფაქტორებად). თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი ავტორი (მაგალითად, ი. ს. ნოი მონოგრაფიაში „საბჭოთა კრიმინოლოგიის მეთოდოლოგიური პრობლემები“) საერთოდ უარყოფა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში დანაშაულის განმპირობებელი ობიექტური მიზეზების არსებობას, რადგან მისი აზრით, „დანაშაული კონფლიქტური სიტუაციაა“ და, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ძალადობით ჩადენილ დანაშაულთა შორის ბიოლოგიურ მომენტს უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვიდრე იგი ჩვენ გვეჩვენებაო. ამასთან, იგი უარყოფს ეკონომიკური პირობების მნიშვნელობას, მის გავლენას დანაშაულის ჩადენაზე, რადგან, მისი აზრით, ჩვენს საზოგადოებაში დანაშაულს იდენენ ან ის პირები, რომლებსაც თავიანთ მოთხოვნებზე არასწორი წარმოდგენა აქვთ, ან ისინი, ვისაც შესაძლებლობა არა აქვთ ლეგალური გზით დაიკმაყოფილონ თავიანთი ნორმალური მოთხოვნები და დასაშვებად მიიჩნევენ ასეთი მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ უკანონო გზით. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ლატენტური გზით დაუკმაყოფილებლობას არა აქვს ინდივიდუალისათვის არსებითი მნიშვნელობა და შეიძლებოდა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებსაგან თავის შეკავებაო (გვ. 177-180). მისი ასეთი შეხედულებების სისწორე, ჩვენი აზრით, ძნელად დასაჯერებელია.



ი. ს. ნოის ზემოაღნიშნული შეხედულება სამართლიანად გაა-  
ყრიტია პროფ. ა. ბ. სახაროვა 1976 წელს ჟურნალ „სოვეტსკოე  
ფოსუდარსტვო ი პრაგო“-ში (№ 9) გამოქვეყნებულ სტატიაში „სო-  
ციალისტურ საზოგადოებაში დამნაშავეობის მიზეზების კონცეფციის  
შესახებ“.

ავტორთა დიდი ნაწილი (ვ. ნ. კუდრიაცევი, ა. ბ. სახაროვი, მ.  
შ. ბაბაევი ა. ს. შლიაპოჩნიკოვი მ. დ. ლისოვი კ. ე. იგოშევი და  
სხვ.) მართებულად არ უარყოფს სოციალიზმის პირობებში დამნა-  
შავეობის მიზეზების ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს. ისინი  
არც იმას უარყოფენ, რომ სამართალდარღვევების ლიკვიდაციის  
მიზნით ჩასატარებელ კომპლექსურ ღონისძიებათა შორის ეკონომი-  
კურ ღონისძიებებს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია.

ვ. ნ. კუდრიაცევი 1976 წელს გამოცემულ შრომაში „სამარ-  
თალდარღვევების მიზეზები“ სამართალდარღვევის ობიექტურ პი-  
რობებს მიაკუთვნებს ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის  
ნაკლოვანებებს; ადამიანთა სოციალურ, ეკონომიკურ ურთიერთო-  
ბასა და საზოგადოებრივ ყოფიერებაში არსებულ კონკრეტულ წინა-  
აღმდეგობებს. ამასთან სამართალდარღვევების სუბიექტურ ფაქტო-  
რებში ასხევეებს აგრეთვე სუბიექტურ მიზეზებსა და პირობებს.  
სამართალდარღვევების სუბიექტურ მიზეზებს იგი მიაკუთვნებს  
სოციალური ფსიქოლოგიის გარკვეულ ელემენტებს, რაც ვლინდებ-  
ა პიროვნების შეხედულებაში, კომუნისტური იდეოლოგიის დამა-  
ხინჯებაში, მასზე არასწორ წარმოდგენებსა და მოტივებში. სამარ-  
თალდარღვევების სუბიექტურ პირობებად კი მიიჩნევს მოსახლეო-  
ბის დემოგრაფიულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურე-  
ბებს (ხასიათს, ტემპერამენტს, ასაკს, სქესსა და სხვ.).

მისი აზრით, ობიექტური და სუბიექტური პირობები ხშირად  
ერთიმეორეს შეესაბამება და ხდება სუბიექტური პირობების შერ-  
წყმა ობიექტურ პირობებთან. სამართალდარღვევების ობიექტური  
და სუბიექტური მიზეზების ურთიერთშემოქმედებაში მონაწილე-  
ობს მრავალი ნეიტრალური ფაქტორები, რომლებიც არ შეიძლება  
დავახასიათოთ არც უარყოფითად და არც დადებითად. ავტორი  
ასკვნის, რომ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური პირო-  
ბები საბოლოო ჯამში წამყვან როლს ასრულებს ადამიანური ქცე-  
ვის გზებისა და ფორმების განსაზღვრაში, რაც განსაკუთრებით  
ვლინდება შემდეგში: ჯერ ერთი, რომ სწორედ საზოგადოებრივი

განვითარების ობიექტური პირობები ქმნის ამა თუ იმ სახის დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის შესაძლებლობას; მეორე, საზოგადოებრივი განვითარება არსებით გავლენას ახდენს ქცევის მოტივაციაზე; მესამე, ეს პირობები უდევს საფუძვლად მოცემული საზოგადოების თითოეული წევრის პიროვნების ხანგრძლივ ფორმირებას; მეოთხე, ისინი საერთო გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი შეგნების შინაარსზე (გვ. 126-131). ავტორი იქვე სამართლიანად შენიშნავს, რომ სოციალიზმმა მართალია მოსპო ექსლოატაცია და მასთან დაკავშირებული სოციალური წინააღმდეგობანი, კლასობრივი ჩაგვრა, ანტაგონიზმი, მაგრამ „კლასობრივი სხვაობა ჯერ კიდევ დარჩა“ (გვ. 133-134).

ი. ი. კარპეცი შრომაში „სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები“ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ მიზეზებს ყოფს ზოგად და კონკრეტულ, პირველ და მეორე რიგის მიზეზებად. მისი აზრით, ამ გარემოებების ასეთი დანაწევრებული განხილვა საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად დავაკვირდეთ და ზუსტად ავსნათ, თუ რატომ ხდება დანაშაული და სადაა მისი სათავეები.

დანაშაულის ჩადენის საერთო მიზეზებს იგი მიაკუთვნებს იმ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს, რომლებიც განპირობებულია კაპიტალიზმის გადმონაშთებით, რაც ვლინდება ცალკეულ პირთა ინდივიდუალურ შეგნებაში სოციალიზმის განვითარების საწინააღმდეგოდ. ამ საერთო მიზეზებით განპირობებულ კონკრეტულ მიზეზებს კი, მისი აზრით, იწვევს სოციალიზმის განვითარების კონკრეტულ ეტაპზე არსებული ის გარკვეული ნაკლოვანებანი, უარყოფითი მოვლენები, რომელსაც ადგილი აქვთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში. კერძოდ, ეკონომიკური პრობლემები, იდეოლოგიურ-აღმზრდელიობით მუშაობაში დაშვებული შეცდომები და სხვ. (გვ. 68-69).

ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ა. ბ. სახაროვი დამნაშავეების მიზეზების სამ კატეგორიას განასხვავებს. პირველს მიაკუთვნებს იმ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ზოგად სოციალურ კანონზომიერებებთან და ქმნიან სოციალიზმის დროს დამნაშავეობის შენარჩუნების აბსტრაქტულ შესაძლებლობას. მეორეს — პირობებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ცალკეული პირების ან ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესთან. მესამეს — დანაშაულის ჩადენის კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებულ პირობებს.

ამასთან, საზოგადოებრივი განვითარების სუბიექტურ მოვლენ-

ნებსა და დანაშაულის მიზეზებს იგი მიაკუთვნებს იმ შეცდომებსა და დარღვევებს, რომლებსაც ადგილი აქვთ წარმოების განაწილების, საყოფაცხოვრებო, შრომის ორგანიზაციის, აღმზრდელით და სოციალისტური მშენებლობის სხვა სფეროში. მაგალითად, არასწორი დაგეგმვა, უყიარათობა, მიკერძობა და კუთხურობა, წმრომელთა მოთხოვნილებებისადმი ფორმალურ—ბიუროკრატიული დამოკიდებულება, სოციალიზმის პრინციპების, დემოკრატიისა და კანონიერების დარღვევის ფაქტების და სხვ. საერთოდ კი დანაშაულთა ყველა მიზეზსა და პირობას იგი ყოფს ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებად. ამ უკანასკნელს მიაკუთვნებს ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოწვეულია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაშვებული შეცდომებით და სხვა.

1978 წელს ურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტში“ (№ 10) გამოქვეყნებულ საინტერესო ნაშრომში „სოციალური დაგეგმვა და დამნაშავეობის თავიდან აცილება“ ა. სახაროვი დანაშაულთა გამომწვევ მიზეზებსა და მათი ჩადენის ხელშემწყობ პირობებს თავიანთი შინაარსისა და ხასიათის მიხედვით ყოფს: ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ-მმართველობით ფაქტორებად. მაგრამ ფაქტორების გარდა იგი ცალკე გამოყოფს აგრეთვე ისეთ ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ნაკლოვან მხარეებთან, კერძოდ: საზოგადოებრივი წესრიგის სუსტი დაცვა; დანაშაულთა გამოვლინებისა და გახსნის დაბალი დონე, საპროკურორო ზედამხედველობის არაჯეროვანი წარმოება, საზოგადოებრიობის ნაკლები აქტიურობა დამნაშავეობასთან ბრძოლისა და თავიდან აცილების საქმეში. იგი იქვე მართებულად აღნიშნავს, რომ კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენა შეიძლება აიხსნას ორი სახის ურთიერთ ზემოქმედებითი გარემოებებით. ჯერ ერთი, პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო იმ არასასურველი პირობებით, რომელთა შედეგად ზოგიერთ პიროვნებას აღმოუცენდება და მყარ ჩვევად ექცევა ანტისოციალისტური შეხედულებები, რაც საფუძვლად ედება მის მიერ დანაშაულის ჩადენას და, მეორე, ის კონკრეტული სიტუაცია, რომელთან დაკავშირებითაც მოხდა დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიღება.

ამრიგად, ისევე როგორც ყველა მოვლენას, დამნაშავეობასა და მათ შორის თანამდებობრივ დანაშაულსაც თავისი წარმოქმნის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები აქვს, მაგრამ დამნაშავეობის

ეს მიზეზები სულ სხვაა და იგი არ შეიძლება აღიარებული იქნეს სოციალისტური სისტემისათვის დამახასიათებლად. ჩვენს სინამდვილეში არსებულ თანამდებობრივი დანაშაულის, ისევე როგორც ყველა სხვა სახის დანაშაულის, საერთო მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ზოგიერთი პირის შეგნებაში ქარბობს ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალური ჩვევების გადმონაშთები, რაც განსაკუთრებით თავს იჩენს მათ ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაში, შრომისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში, პარაზიტისმსა და ეგოიზმში, სოციალისტური თანაცხოვრების წესებისა და კანონისადმი უპატივცემულობაში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის მთავარ მიზეზად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ თანამდებობის პირთა მძიმე მატერიალური პირობები; მაინც არ შეიძლება უარყოთ მისი კავშირი და გავლენა ამ კატეგორიის დანაშაულთა ჩადენაზე. ზოგიერთი ავტორი (ი. ი. ნოი, ი. ა. ისმაილოვი, პ. პ. ოსიპოვი და სხვ.) უარყოფს დამნაშაევობასთან ეკონომიკური ფაქტორების კავშირს და ცდილობს დაასაბუთოს, რომ საბჭოთა ადამიანების მატერიალური უზრუნველყოფის დღევანდელი დონე, მისი ყოველდღიური ზრდა არ ქმნიან არავითარ უარყოფით და მით უმეტეს კრიმინოგენულ ეფექტებსო<sup>1</sup>.

ასეთი დასკვნის გაკეთება, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ ნაადრევია, რადგან როგორც საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ განხილულ თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეების შესწავლამ გვიჩვენა, ეკონომიკური ფაქტორები არც თუ ისე უკანასკნელ როლს ასრულებენ. ამიტომ ჩვენ უფრო სწორად და გონივრულად გვეჩვენება იმ ავტორების მოსაზრება, რომლებიც არ უარყოფენ ეკონომიკის გავლენას დანაშაულთა არსებობაზე. ეკონომიკური პირობების გადაწყვეტა, ცხადია, ხელს უწყობს არა მარტო ცალკეულ ინდივიდთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ მთელი რიგი ოჯახური კონფლიქტების აღმოფხვრასაც. ეს უკანასკნელი ფაქტორი არც თუ ისე იშვიათად უბიძგებს ადამიანს გაიუმჯობესოს მატერიალური პირობები ლატენტური, არაკანონიერი გზით, ან შექ-

---

<sup>1</sup> И. А. Исманлов, П. П. Осипов. Проблемы общих причин преступности в советской криминалогии. Вестник Ленинградского университета, вып. 23, Л., 1975, стр. 99—100.

მნილ შიძმე კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება პატიოსან მუშაკ-საც დასძლიოს ცთუნებამ და დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება მიაღებინოს. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება პრაქტიკი-დან მოვიყვანოთ მაგალითი, რომელმაც ჩემზე გარკვეული შთაბეჭ-დილება დასტოვა.

თანამდებობრივი დანაშაულისათვის მჯავრდადებულ პირებთან გასაუბრებისას ერთ-ერთმა ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულ-მა ჩვენ შეკითხვაზე, რატომ ჩაიდინა ესოდენ შიძმე დანაშაული, გულდაწყვეტილმა გვიპასუხა: ხუთი წლის განმავლობაში უმწიკვე-ლოდ და პატიოსნად ვმუშაობდი .(იგი იყო ერთ-ერთი საკმაოდ დი-დი საუწყებო ორგანიზაციის ხელმძღვანელი), არაერთხელ მიმიღია მადლობა და ფულადი პრემიაც. არ ვცხოვრობდი ფუფუნებით, არ ვიცოდი რა იყო ანგარების მიზნით სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება. სამსახურის მანქანასაც ძალიან იშვიათად ვიყენებდი საოჯახო საქმეებისათვის. მაგრამ უეცრად შეტრიალდა ჩემი ცხოვ-რება: ავად გამიხდა ჩემი ერთადერთი ექვსი წლის ვაჟი. ექიმებია ყოველმხრივი დახმარების მიუხედავად, მისი ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა. ბოლოს ერთმა ექიმმა მირჩია, მეშოვა იაპო-ნური წამალი, ქალაღზე დამიწერა მისი დასახელება და თანაც მი-თხრა: ჩვენს სამედიცინო დაწესებულებებში ამ წამალს ვერ იძო-ვიო. მე მართლაც ამოდ ვეძებდი წამალს სააფთიაქო სამმართვე-ლოსა და ნაცნობ-მეგობრებში. იგი აღმოაჩნდა ერთ-ერთ გადამყიდ-ველს, მაგრამ წამალი მეტად ძვირად — ათას მანეთად დამიფასა. შევწუხდი, არ ვიცოდი ასე უეცრად სად მეშოვა ათასი მანეთი. და-ღონებული დავბრუნდი სამსახურში. რამოდენიმე საათის შემდეგ დაბარებულივით გამომეცხადა ერთი ჩემი ძველი ნაცნობი გ., რო-მელმაც მთხოვა ჩემთან სამსახურში ერთ-ერთი საწყობის გამგედ მიმეღო მისი ახლობელი და თანაც მითხრა, რომ მას ამ საქმისათვის მოტანილი აქვს ორი ათასი მანეთი. მე ძალიან გავბრაზდი და გ. გა-რეთ გავაგდე. გავიდა ორი დღე, ფული ვერ ვიშოვე. დავლონდი. დრო გადიოდა, ფული და წამალი კი არ ჩანდა. ბავშვის ჯანმრთე-ლობა კიდევ უფრო გაუარესდა, თანაც ვშიშობდი, გადამყიდველს ის წამალი სხვისთვის არ მიეცა. ფიქრების კიდილში მძლია ცთუნე-ბამ, გ. დავიბარე და ვუთხარი: ორი ათასი მანეთის მაგიერ ათასი მანეთი და იმ შენი ახლობლის განცხადება მომიტანე-მეთქი. მეორე დილით მომიტანა ათასი მანეთი და განცხადებას გავუკეთე შესაბა-მისი რეზოლუცია. ფულის აღებისას თავბრუ დამეხვა, მუხლები

ზომეკეთა და ხელები ამიკანკალდა. ბოლოს ერთი ღრმად აშოვი-სუნთქე, ძალა მოვიკრიბე, ფული ჯიბეში ჩავიდე და სწრაფი ნაბი-ჯით ოთახიდან წამლის შესაძენად გავეშურე, მაგრამ გასასვლელში დამაჯავეს. ასე დასრულდა ჩემი კარიერა. ჩემი თავიც დავლუპე და ბავშვიც.

ცხადა, არაფრით არ შეიძლება გამართლებული იქნეს ზემოაღ-ნიშნული პირის მიერ ქრთამის აღება, მაგრამ ეს გარემოება გარკ-ვეულწილად მიუთითებს იმაზეც, თუ კონკრეტულ სიტუაციაში რა უარყოფითი როლი შეიძლება შეასრულოს დანაშაულის ჩადენაზე ეკონომიკამ.

დამნაშავეობაზე ეკონომიკური ფაქტორების უარყოფითი გავ-ლენის უგულვებელყოფა იმ არგუმენტით, რომ ჩვენი საზოგადოების-სათვის უცხოა სილატაკე, ექსპლოატაცია და უმუშევრობა, ვფიქ-რობთ, საკმარისი არაა. ეს პრობლემები დიდი ხანია მოსპო ოქტომ-ბრის რევოლუციამ და არავის შეუძლია უარყოს, რომ დღითი დღე უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ კომუნისტური პარტი-ისა და საბჭოთა მთავრობის, მთელი ადმინისტრაციული ორგანო-ების მიერ დამნაშავეობასთან დაუნდობელი, განუხრელი ბრძოლის მიუხედავად, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არც თუ ისე იშვია-თად აქვს ადგილი ანგარების მიზნით ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებს და ეს გარემოება არ შეიძლება მარტოოდენ ბურჟუაზიუ-ლი იდეოლოგიის ზეგავლენით, კაპიტალისტური გადმონაშთებით აიხსნას.

ამის დასასაბუთებლად შეიძლება მოვიშველიოთ მ. მ. ბაბაევისა და ა. ს. შლიაპოჩნიკოვის მოსაზრება რომელაც გამოთქვეს 1979 წელს ჟურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრაჟოში“ (№ 2) გა-მოქვეყნებულ სტატიაში „ეკონომიკური ფაქტორები დანაშაულებ-რივი ქცევის მექანიზმში“. ამ ნაშრომში მათ განავეითარეს აზრი, რომ სოციალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური ფაქტორები არ კარგავენ და არც შეუძლიათ დაკარგონ თავიანთი მნიშვნელობა დანაშაულის ჩადენაზე იმიტომ, რომ იგი შეეხება მო-სახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, სხვადასხვა ფენებს, მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოების მატერიალურ პირობებს, ჩვე-ნი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რომელთა ქცევა საბოლოოდ ეკონო-მიკური ურთიერთობებითაა განპირობებულიო.

დამნაშავეობაზე ეკონომიკური ფაქტორების უარყოფითი გავ-

ლენების შესახებ აღნიშნავენ აგრეთვე ა. ბ. სახაროვი, ვ. ნ. კუდრიავეცივი, ი. ი. კარპეცი და სხვ.

ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ეკონომიური ფაქტორების გარდა თანამდებობრივ დანაშაულთა აღმოცენებასა და გავრცელებას ხელს უწყობს აგრეთვე ისეთი ფაქტორები, როგორცაა:

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში დაშვებული ორგანიზაციული სასიათის ნაკლოვანი მხარეები, მისი არასრულყოფილება;

2. კადრების შერჩევა-განაწილებაში დაშვებული შეცდომები, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არაავტორიტეტულ, არაკომპეტენტურ პირთა დანიშვნა;

3. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში ჭერ კიდევ შემორჩენილი პროტექციონიზმის, მლიქვნელობის, ურთიერთ შაამებლობის, კუთხურობის, ნათლიმამობის, კრიტიკის ღვევისა და ბიუროკრატიზმის ფაქტების არსებობა;

4. ცალკეულ თანამდებობის პირთა საქმიანობაში მათი უფლება-მოვალეობების არაჯეროვანი გაძიჯვნა სხვა თანამდებობის პირთა კომპეტენციაში შემავალი უფლება-მოვალეობებისაგან;

5. ცალკეულ თანამდებობის პირთა შრომის ანაზღაურებაში არსებული ხარვეზები. მათი თანამდებობრივი მდგომარეობისათვის შეუსაბამო საყოფაცხოვრებო პირობები და არაჯეროვანი მატერიალური უზრუნველყოფა;

6. ცალკეულ ჯგუფებსა და საზოგადოებაში არაჯანსაღი ატმოსფეროს არსებობა;

7. თანამდებობრივი დახაშულის ამსახველი სისხლის სამართლის კანონმდებლობის არაჯეროვანი დახვეწა და ზოგიერთი ნორმების შეუსაბამობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილესთან;

8. ცალკეულ თანამდებობის პირთა მიერ კანონის უპატივცემულობა, კანონისათვის გვერდის ახვევა, დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევა;

9. მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებში შემოსული თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნებზე მიმითებელ სიგნალებზე არაჯეროვანი რეაგირება და ამ კატეგორიის საქმეების გაუხსნელობა;

10. თანამდებობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ ღმო-

ბიერი დამოკიდებულება, მათი შეუსაბამო დასჯა სისხლის საძარტლის კანონმდებლობით;

11. თანამდებობის პირთა საქმიანობაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის სუსტად წარმოება;

12. ზემდგომი თანამდებობის პირების ნიგალისტიკური დამოკიდებულება მათი ქვემდგომი თანამდებობის პირების მიმართ, ხელმძღვანელობასა და კონტროლის წარმოებაში წმინდა ფორმალისტური დამოკიდებულება;

13. ცალკეული თანამდებობის პირებისათვის არასწორი, არახელსაყრელი, არანორმალური სამუშაო პირობების შექმნა;

14. ცალკეული საწარმო-დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა არაჯეროვანი აღზრდა სამართლებრივი თვალსაზრისით;

15. თანამდებობის პირთა არაჯეროვანი აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით.

16. საწარმო-დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის სუსტად წარმოება;

17. საგეგმო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები (საოჯახო, პირადი მოხმარებისა და სხვა სახის ნივთებისა და საგნების არასწორი განაწილება, რაც იწვევს ამა თუ იმ სახის ნედლეულის ან სხვა მასალის ერთ ადგილზე დიდი ოდენობით თავმოყრის, მეორე ადგილას კი იგივე მასალისა და ნედლეულის დეფიციტურობას და სხვ.);

18. საწარმო-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში თანამდებობის პირთა მიერ კანონიერების დაცვა-გატარებაზე საპროკურორო ზედამხედველობის სუსტად წარმოება;

19. თანამდებობრივ დანაშაულთა საქმის არაჯეროვანი განხილვა სასამართლოების გამსვლელ სხდომებზე;

20. მეურნეობის ცალკეულ დარგებში, საწარმო-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომხდარ თანამდებობრივ დანაშაულთა გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ სპეციალური დადგენილებებისა და ექრძო განჩინებების არადროული წარდგინება და მათზე არაჯეროვანი რეაგირება;

21. თანამდებობის პირთა რეალური მატერიალური შემოსავ-



ლისა და საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნების ღირებულებებს შორის არსებითი შეუსაბამობა:

22. სიტყვისა და საქმის ერთიმეორისაგან დაცილება;

23. საზოგადოებრიობის ნაკლები აქტიურობა თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში და სხვ.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში, მეურნეობის ცალკეულ დარგებში, საწარმო-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არსებული ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრა, ჩვენი აზრით, გარკვეულად შეუწყობს ხელს თანამდებობრივი დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრასა და დანაშაულთა თავიდან აცილებას.

### 3. თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილება

1. თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილება და მათი საზღვრად აღმოფხვრა შეუძლებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესების გარეშე, იმ ნაკლოვანი მხარეებისა და შეცდომების გამოსწორების გარეშე, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით სახელმწიფო აპარატის ორგანოებში, თანამდებობის პირთა ყოველდღიურ საქმიანობაში, რადგან თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლა პირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მუშაობის გაუმჯობესებასთან, ამ უკანასკნელზე კი ბევრადაა დამოკიდებული თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლაში წარმატებების მოპოვება და საბჭოთა ადამიანების მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინი სახელმწიფო აპარატს თავიდანვე მიიჩნევდა საბჭოთა სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცებისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის უმთავრეს იარაღად.

„უაპარატოდ“, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენ დიდი ხანია დავიღუპებოდით. თუ არ ვაწარმოებთ სისტემატური და შეუპოვარი ბრძოლა აპარატის გაუმჯობესებისათვის, ჩვენ დავიღუპებით სოციალიზმის ბაზის შექმნამდე“<sup>1</sup>. ამასთან, მოითხოვდა რა სახელმწი-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 405.

ფო აპარატის შემდგომ გაუმჯობესება-სრულყოფას, ხაზგასმით აღნიშნა: „წლებმა და წლებმა უნდა განვლოს, რომ მივალწიოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას, მის აღმავლობას“<sup>1</sup>. ამიტომ ვ. ი. ლენინი მოითხოვდა სახელმწიფო აპარატის სისტემატური, ყოველდღიური გაუმჯობესების ახალ ფორმებსა და მეთოდებს. მაგრამ იმავე დროს მიუთითებდა დიდი სიფრთხილით მოკიდებოდნენ ახალი ხელმძღვანელი ორგანოების შექმნას:

„რა საჭიროა შევექმნათ ისეთი სახალხო კომისარიატი, რომელიც უხეიროდ იმუშავეს, კვლავ არავეითარი ნდობის ღირსი არ იქნება და რომლის სიტყვასაც სრულიად უმნიშვნელო ავტორიტეტი ექნება“<sup>2</sup>.

ხელმძღვანელობს რა მუშაობის ლენინური პრინციპებით, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის შემდგომი სრულყოფა-განმტკიცებისათვის. უფრო მეტიც, — იგი პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპროგრამო ამოცანაა. ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში პირდაპირ აღნიშნულია, რომ „სკკპ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებას, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მთელი რესურსების სწორად გამოყენება, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხების დროზე გადაჭრა“<sup>3</sup>. და, რომ პარტიას საჭიროდ მიაჩნია ხელმძღვანელი ორგანოების სისტემატური განახლება<sup>4</sup>.

სკკპ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ყველა რგოლში თანამდებობის პირები მუშაობდნენ ლენინური სტილით, სტილით, რომელიც გულისხმობს მაღალ მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი, გამორიცხავს თვითკმაყოფილებას, უპირისპირდება ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. ეს არის ყველა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის, ყველა ჩვენი გეგმის რეალიზაციის წინამძღვარი.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 468.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 580.

<sup>3</sup> სკკპ პროგრამა. თბილისი, 1971, გვ. 151-152.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 149.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ბოლო მოვულოთ პირადი გამდრებების მიზნით სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დღენი-დაღ ზრუნავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესება-სრულყოფისათვის. უკანასკნელ წლებში უკვე რამოდენიმეჯერ მოხდა სოფლის მეურნეობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნა. მისი გაუმჯობესების მიზნით ტარდება მრავალი ექსპერიმენტი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური აპარატში შეიქმნა მართვის სისტემის შესწავლა-გაუმჯობესების, მისი ფორმებისა და მეთოდების შემსწავლელი კომისია, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, კადრებთან მუშაობის საკოორდინაციო საბჭო და სხვ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ 1984 წლის იანვარში რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა აქტივის კრებაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მართვას სრულყოფა სჭირდება“, რომ „ჩვენ ყველანი უნდა ვეძებდეთ და ვპოულობდეთ“ მართვის „ახალ გზებს. და არა ზოგადად, არამედ რესპუბლიკის, ქალაქის, რაიონის, საწარმოს, ბრიგადის კონკრეტულ პირობებში, ყველგან და ყველგან“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროში ასევე აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, ეკონომიკური განვითარების ბერკეტებისა და სტიმულირების დახვეწას, სამეურნეო და სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამების განხორციელებას, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს, ჩვენი პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა რგოლის საქმიანობას, მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას<sup>1</sup>.

2. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემის გაუმჯობესება, მისი ყოველდღიური სრულყოფა პირდაპირ დაკავშირებულია ხელმძღვანელი კადრების სწორად შერჩევა-განაწილებასთან. ეს მეტად რთული და მტკივნეული საკითხია, რომელიც მოითხოვს ადამიანებთან, სპეციალისტებთან, მოწინავე კომუნისტებთან სათუთ მიდგომას. სწორედ ამიტომაც, რომ კადრებს

<sup>1</sup> იხ. „კომუნისტი“, 1984 წლის 28 იანვარი.

შერჩევის, მათი მომზადების, შემოწმებისა და მათთან მუშაობის საკითხი პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა: „რაც შეიძლება ფრთხილად და მოთმინებით გამოვცადოთ და გამოვიცნოთ ნამდვილი ორგანიზატორები, ფხიზელი გონების და პრაქტიკული გამჭრიახობის მქონე ადამიანები, ადამიანები, რომლებიც სოციალიზმისადმი ერთგულებას აერთებენ უნართან — უხმაუროდ (და აურზაურისა და ხმაურობის წინააღმდეგ) მოაგვარონ მრავალრიცხოვან ადამიანთა მტკიცე და შეთანხმებული ერთობლივი მუშაობა საბჭოთა ორგანიზაციის ჩარჩოებში. სახალხო შრომის ხელმძღვანელთა, მმართველობის ხელმძღვანელთა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე უნდა დავაწინაუროდ მხოლოდ ასეთი ადამიანები, მათი ათგზის გამოცდის შემდეგ, უმარტივესი ამოცანებიდან უძნელეს ამოცანებზე მათი გადაყვანის გზით“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინი პარტიას აფრთხილებდა არ დაეშვათ თანამდებობებზე ისეთი პირები, რომლებიც აო ხასიათდებოდნენ კომუნისტური პრინციპულობით, არ გამოირჩეოდნენ თავიანთი უმწიკვლო საქმიანობით და არ ჰქონდათ იმ დარგის მუშაობაში თეორიული ცოდნა და გამოცდილება, რომლის ხელმძღვანელადაც მის დაწინაურებას აპირებდნენ.

ვ. ი. ლენინმა თავისი ეს მოსაზრებანი საკმაოდ მკვეთრად და დახვეწილი სახით ჩამოაყალიბა 1922 წლის 6 მარტს მელითონეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე მოხსენებაში „საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ“. მან აღნიშნა: „მთელი ჩვენი ორგანიზაცია ისე უნდა ავჯავოთ, რომ კომერციული საწარმოების სათავეში არ აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც არ აქვთ გამოცდილება ამ სფეროში“<sup>2</sup>.

ვ. ი. ლენინი იქვე შეეხო იმ დროისათვის პრაქტიკაში დამკვიდრებულ კადრების არასწორი შერჩევა-განაწილების საკითხს: „ჩვენში ძალიან ხშირად დაწესებულებების სათავეში აყენებენ კომუნისტს — ადამიანს უექველად კეთილსინდისიერს, კომუნისმისათვის ბრძოლაში ნაცადს, ადამიანს, რომელსაც გაუვლია საპყრობილე, მაგრამ ისეთს, რომელმაც ვაჭრობა არ იცის, და ამის გამო იგი

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 310.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 257-258.

სახელმწიფო ტრესტის სათავეშია დაყენებული. და აი მას აქვს ყველა უდავო ღირსება, როგორც კომუნისტს, მაგრამ ვაჰარი მას მაინც გალახავს — და ძალიან კარგსაც იზამს. ვინაიდან ტყუილად ხდება, რომ ყოვლად ღირსეულ, საუცხოო კომუნისტებს, რომელთა ერთგულებაში არც ერთ ჭკვათამყოფელს ეჭვი არ შეეპარება, აყენებენ, იქ, სადაც უნდა დავაყენოთ მარჯვე, საქმის კეთილსინდისიერად შემსრულებელი ნოქარი, რომელიც თავის მუშაობას გაცილებით უკეთ გაართმევს თავს, ვიდრე უაღრესად ერთგული კომუნისტი. აი სწორედ აქ იჩენს თავს ჩვენი ობლომოვობა“<sup>1</sup>.

ასეთ შეცდომებს, სამწუხაროდ, დღესაც აქვს ადგილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში, დღეს, როცა შეიძლება ითქვას, საკმაოდ უხვად, და ჰარბადაც კი გვყავს უმაღლესი განათლების მქონე ყველა დარგის, თავისი სპეციალობის კარგი მცოდნე, სპეტაკი კომუნისტები. უფრო მეტიც, როგორც საქართველოს სპრ სასამართლოების პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის შეგვხვდა ისეთი პირებიც, რომლებსაც ერთი და ზოგჯერ ორი აღრინდელი ნასამართლობაც კი მოხსნილი და გაქარწყლებული არ ჰქონდა.

ვ. ი. ლენინი ნაშრომში „უმჯობესია ცოტა და კარგი“ კადრების შერჩევის საკითხთან დაკავშირებით წერდა: „მოსამსახურენი უნდა შევარჩიოთ სრულად განსაკუთრებულად და მხოლოდ უსასტიკესი გამოცდის საფუძველზე“. ამასთან ვ. ი. ლენინი მუშგლეხინის სამსახურში ასეთი კომუნისტების თანამდებობაზე დანიშვნისას მოითხოვდა, რომ მათ სპეციალური გამოცდები ჩაებარებინათ სახელმწიფო აპარატის თეორიის, მისი მართვა-გამგეობის, საქმის წარმოებისა და სხვა მეცნიერების საფუძველთა შესახებ. კერძოდ, ვ. ი. ლენინის მოთხოვნით, ასეთი პირები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

„ჯერ-ერთი, მათ რეკომენდაცია უნდა გაუკეთოს რამდენიმე კომუნისტმა;

მეორე, მათ უნდა ჩააბარონ გამოცდა ჩვენი სახელმწიფო აპარატის ცოდნისა;

მესამე, მათ უნდა ჩააბარონ გამოცდა იმ საკითხის თეორიის საფუძველების ცოდნისა, რაც ჩვენს სახელმწიფო აპარატს შეეხება,

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 258.

მართვა-გამგეობის, საქმისწარმოების, და სხვ. მეცნიერების საფუძველთა ცოდნისა;

მეოთხე, ისინი უნდა შეეთვისონ მუშაობაში ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრებს და თავიანთ სამდონოს ისე, რომ იმედი გეჟონდეს მთელი ამ აპარატის მუშაობისა საერთოდ<sup>1</sup>.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს რა კადრების შერჩევა-განაწილების ლენინური პრინციპებით, მტკიცედ იბრძვის ცხოვრებაში მათი გატარებისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმი, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა კადრების მომზადების, მათი შერჩევა-განაწილების პოლიტიკის საკითხებს. პლენუმი ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენად დარჩა საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი თანმიმდევრულად იბრძვიან კადრების სწორად შერჩევა-განაწილების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემის მუშაობის შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესების, მისი სიწმინდისა და სიმტკიცისათვის; კადრების სწორად შერჩევა-განაწილებაში ძმაბიჭობისა და ნათლიმამობის აღმოფხვრისათვის. კადრების შერჩევა-განაწილებაში სწორი ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის. ამ თვალსაზრისით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული პლენუმი უაღრესად მნიშვნელოვანია თვითეული ხელმძღვანელისა და კომუნისტისათვის. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია სამართალდამცავი ორგანოებისა და ყველა ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკებისათვის.

პარტია, როგორც პლენუმზე ითქვა, გვისახავს ამოცანას „მოვამზადოთ არა მარტო პროფესიონალები, რომლებიც ზედმიწევნით ფლობენ სპეციალურ ცოდნას, არამედ ადამიანებიც, რომლებიც შეგნებულად და რწმენით ემსახურებიან კომუნისმის აშენების საქმეს, მთლიანად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის ხაზს და არიან მისი აქტიური გამტარებლები თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში“.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თბზ., ტ. 33, გვ. 580.

პლენუმზე აღინიშნა, რომ „ჩვენ უთუოდ გვეპირდება მაღალი საბოლოო ეკონომიკური შედეგები... მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მათ მხოლოდ მაშინ მივალწევთ, თუ ვადავქრით პრობლემას — „მუშაკი თავის ადგილზე“, პრობლემას, როგორც ზნეობრივს, პოლიტიკურს, ისე — ეკონომიკურსაც“. ეს ულამაზესი და უმნიშვნელოვანესი დებულებაა, რომელიც სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს ყველა ხელმძღვანელმა, თანამდებობის პირმა და კომუნისტმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ პლენუმზე საზგასმით აღნიშნა: „კვლავ უცვლელი რჩება პირადი პატოსნებისა და წესიერების კრიტერიუმები, მაგრამ ხელმძღვანელის ზნეობრივი თვისებები მკიდროდ, ორგანულად დაუკავშირდა მის პროფესიულ ღირსებებს, კომპეტენტურობას“. ამასთან დაკავშირებით მან დასვა კითხვა: „შეიძლება თუ არა ხელმძღვანელი მივიჩნიოთ ზნეობრივ ადამიანად, აუ იგი კომპეტენტური არ არის მისთვის მინდობილ სფეროში და ცუდად მუშაობს?“ და ამ მნიშვნელოვან კითხვაზე იქვე გასცა დამაჯერებელი პასუხი: „არ შეიძლება, რადგან მისი არაკომპეტენტურობა დამლუპველ გავლენას ახდენს საქმის შედეგებზე, ხოლო როცა საქმე ზარალდება — აუცალკებდ ად ზარალდებიას ადამიანებიც“. ეს უაღრესად სწორია და იგი კადრების შერჩევა-განაწილების ლენინური პრინციპების ცხოვრებაში გატარების საუკეთესო გზაა.

კარგი კომუნისტობა არ ნიშნავს იმას, რომ იგი ყველა დარგის საუკეთესო სპეციალისტი იყოს, რადგან „სპეციალიზაცია, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალიან ძნელი საქმეა, ძნელია იმიტომ, რომ იგი ადამიანისაგან მოითხოვს დიდ გამძლეობას და დიდ თავდადებას“<sup>1</sup>. ამიტომ არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს ისეთი შემთხვევები, როცა კარგ კომუნისტებს, კარგ პარტიულ მუშაკებს, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნიშნავენ იქ, სადაც მას ამისათვის არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნია. მაგალითად, არასწორად მიგვაჩნია, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემის რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ რგოლებში ზოგჯერ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნიშნავენ კარგ კომუნისტებს, მაგრამ სპეციალობით არა იურისტებს; აგრო-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 2, გვ. 431.

ნომებს, ზოოტექნიკოსებს, ინჟინრებს, ისტორიკოსებს, ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს და სხვა დარგის სპეციალისტებს, მაშინ, როდესაც „სოფლის მეურნეობაში, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე აღინიშნა, სადაც იმ მუშაკთა თითქმის 24 პროცენტს, რომლებსაც სპეციალისტთა თანამდებობანი უკავიათ, არა აქვთ სპეციალური განათლება. სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, მთავარ აგრონომთა, მთავარ ზოოტექნიკოსთა, მთავარ ინჟინერთა და მთავარ ვეტეკიმთა შორისაც კი 15,4 პროცენტს არა აქვს უმაღლესი განათლება“.

კადრების ასეთი არასწორი შერჩევა-განაწილების პრაქტიკის შესახებ ვ. ი. ლენინი შენიშნავდა: „ჩვენ პრაქტიკულ სამუშაოზე შესასრულებლად დავაყენეთ კომუნისტები, რომლებიც შემკული არიან ყველა მშვენიერი ღირსებით, მაგრამ ამ საქმისათვის სრულიად გამოუსადეგარი არიან“<sup>1</sup>.

პარტიული მუშაობა უაღრესად რთული და პასუხსაგებია. იგი თითოეულ კომუნისტს აძლევს უაღრესად დიდ თეორიულ ცოდნასა და გამოცდილებას, რის შედეგადაც, შეუძლია საუკეთესოდ წარმართოს პარტიული საქმიანობა საბჭოთა აპარატისა და მეურნეობის ნებისმიერ რთულ უბანზე. მაგრამ, როცა საქმე ეხება ამა თუ იმ საუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელ თანამდებობას, როცა უკვე კარგი კომუნისტობის გარდა საჭიროა აგრეთვე სათანადო სპეციალური ცოდნა, ვფიქრობთ, აქ, თვით სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით, საჭიროა ასეთი კარგი კომუნისტი ხელმძღვანელი შეირჩეს ამავე დარგის სპეციალისტთა შორის, რადგან ასეთ თანამდებობაზე სხვა დარგის სპეციალისტის დანიშვნა არა მარტო უსიამოვნო მითქმა-მოთქმას იწვევს, არამედ უარყოფით გავლენასაც ახდენს იმ დაწესებულების საქმიანობაზე. ეს გარემოება ზოგჯერ თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის ერთგვარ ხელისშემწყობ როლსაც ასრულებს. მაგალითად, არ შეიძლება ეფექტური იყოს იმ თანამდებობის პირის საქმიანობა კანონიერების დაცვა-განმტკიცებისა და მასზე ზედამხედველობის განხორციელების საქმეში, რომელსაც არა აქვს თეორიული მომზადება სამართალმცოდნეობის სპეციალობით და არაა კომპეტენტური. ასევე, არ შეიძლება დანაშაულის გამოძიების, დანაშაულის განხნის, დანაშაულის პროფილაქ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 258.



ტიკისა და თავიდან აცილების პრობლემების გადაწყვეტა მიენდოს, თუნდაც კარგ კომუნისტ-აგრონომს, ზოოტექნიკოსს, ისტორიკოსს, ინჟინერს და სხვა დარგის სპეციალისტს, რადგან ეს ურთულესი პრობლემებია, რომელთა სწორად გადაწყვეტა მოითხოვს დიდ სპეციალურ თეორიულ ცოდნასა და გამოცდილებას. სწორედ ამიტომაც, რომ ზოგჯერ ასეთი არაკომპეტენტური, არასპეციალისტი ხელმძღვანელის უცოდინარობით დანაშაული გამოუმჟღავნებელი, გაუხსნელი და დამნაშავე კი დაუსჯელი რჩება. ეს თავის მხრივ იწვევს გაუხსნელ დანაშაულთა საქმეების ზრდას და ხელს უწყობს არა მარტო თანამდებობრივი, არამედ ყოველგვარი სახის დანაშაულთა აღმოცენებას. ამიტომ, საჭიროა კადრების შერჩევა-განაწილების დროს გადამწყვეტი ყურადღება მიექცეს პირთა კეთილსინდისიერებას, მათ სისპეტაკეს, ორგანიზაციულ უნარს, სპეციალობას და მათ მთლიან კომპეტენტურობას. საჭიროა ყველა დარგის და მათ შორის იურისტთა კადრების შერჩევა-განლაგების პროცესში მტკიცედ დავიცვათ ლენინური პრინციპები.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში იურიდიული ფაკულტეტი დაუსწრებლად დაამთავრა მრავალმა ახალგაზრდამ, ვისაც იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვამდე ეკავათ იურისტისათვის განკუთვნილი საპასუხისმგებლო თანამდებობები (შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებისა და მათი ქვეგანყოფილებების უფროსები, მათი მოადგილეები, ოპერატიული დარგის ხელმძღვანელი მუშაკები და სხვ.). ეს, რასაკვირველია, კარგია და ამ მიმართებით დაშვებული შეცდომების გამოსწორების საუკეთესო გზაა, მაგრამ, ამავე დროს, მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ იურიდიულ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის განკუთვნილი ადგილები უკავიათ არასპეციალისტებს, მაშინ როცა იურიდიული კადრების ნაკლებობას სრულიადაც არ განიცდის ჩვენი რესპუბლიკა.

ისევე, როგორც პოლიკლინიკის ან საავადმყოფოს მთავარი ექიმის თანამდებობა არ შეიძლება დაიკავოს ექიმის გარდა სხვა დარგის სპეციალისტმა, ან როგორც მკურნალი ექიმი არ შეიძლება შეეცვალოს სხვა დარგის სპეციალისტით, დავუშვათ ისტორიკოსით ან ფილოლოგით, ასევე არ შეიძლება იურისტის შეცვლა სხვა დარგის სპეციალისტით — აგრონომით ან ზოოტექნიკოსით. თუ მკურნალი ექიმი ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას, ასევე იურისტიც თავისი პროფესიული ცოდნითა და მოწოდებით უნდა იღვეს ადამიანთა კანონიერი უფლებების დაცვის სადარაჯოზე, უნ-

და იღწვოდეს სოციალისტური კანონიერების დაცვა-განმტკიცებ-სათვის, გზას აცდენილ — საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და უკანონოდ გამდიდრების ავადმყოფური სენით შეპყრობილ პირთა გამოსწორებისათვის. ე. ი. იურისტის წმინდა მოვალეობაა დაიცვას მთელი ჩვენი საზოგადოება უცხო, მახინჯი მოვლენებისა-გან. ამიტომ ამ დარგის სპეციალისტთა შეცვლა სხვა დარგის სპე-ციალობის მქონე მოწინავე კომუნისტებით გამართლებული არ არის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემო-აღნიშნულ პლენუმზე მართებულად აღინიშნა, რომ სპეციალისტთა უნდა იყოს თავის ადგილზე და ეს პირველ რიგში უნდა შეეხოს იურისტებს, თუ გვინდა, რომ მივადწიოთ სანიმუშო დისკლინასა და წესრიგს.

3. თანამდებობრივი დანაშაულის აღკვეთის, მისი თავიდან აცი-ლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო და საზოგადო-ებრივი აპარატის მართვის სისტემაში ჯერ კიდევ შემორჩენილ პრო-ტექციონიზმის, მლიქვნელობის, ურთიერთმამებლობის, კუთხუ-რობის, სათლიმამობის, კრიტიკის დევნისა და ბიუროკრატიზმის ფაქ-ტების აღმოფხვრას.

ფორმალში, საქმის გაჟიანურება და ბიუროკრატიში თავი-დანვე მიჩნეული იყო სახელმწიფო აპარატის სწორი მუშაობისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების უბოროტეს მტრად. მის წინააღმდეგ ბრძოლა წითელი ზოლივით გასდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელ საქმიანო-ბას ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან დღემდე.

„ჩვენი ყველაზე უარესი შინაური მტერია — ბიუროკრატი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ეს არის კომუნისტი, რომელიც ზის პასუხ-საგებ (ხოლო შემდეგ არაპასუხსაგებზედაც) საბჭოთა პოსტზე და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს, როგორც კეთილსინდი-სიერი ადამიანი. ის ბეღის არაფერს აკეთებს, მაგრამ სამაგიეროდ პატიოსანია. მან ვერ ისწავლა ბრძოლა საქმის გაჟიანურებასთან, მას არ ეხერხება ბრძოლა მასთან, ის ხელს აფარებს მას. ამ მტრისაგან ჩვენ უნდა განვიწმინდოთ და ყველა შეგნებული მუშისა და გლე-ხის მეოხებით ჩვენ მას გავუხსწორდებით“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინი იმავე დროს სახკომსაბჭოს და შრომის თავდაც-ვის საბჭოთა თავმჯდომარის მოადგილეებს ავალებდა თვალყურით

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 259.

ედევნებინათ „საბჭოთა დაწესებულებების შიგნით კომუნისტების გადაჯეუვებას, იმ მიზნით, რომ კომუნისტებმა დაიკავონ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი თანამდებობანი (იერარქიული კიბის როგორც სულ მაღალ საფეხურზე, ისე სულ დაბალ საფეხურზე), რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ ნამდვილად შეამოწმონ მუშაობის მსვლელობა, ნამდვილად ებრძოლონ ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას. ნამდვილად მიაღწიონ იმ უბედურ მოქალაქეთა მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას და ბედის შემსუბუქებას, რომლებიც იძულებული არიან საქმე იქონიონ ჩვენს ყოველად უვარგის საბჭოთა აპარატთან“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ სპეციალური სისხლის სამართლის კანონის გამოცემას, ბიუროკრატებისა და საქმის გამჭიანურებელთა მკაცრად დასჯას. ამავე დროს, მოუწოდებდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ არა მარტო ბიუროკრატები, არამედ ის კომუნისტებიც, რომლებიც სათანადოდ არ ებრძოდნენ ბიუროკრატიზმს:

„...ამზანაგებო, შეგნებულო კომუნისტებო, რა გააკეთეთ თქვენ ამასთან საბრძოლველად? ...საქმის გაჭიანურებისათვის სამართალში აძლევდით? სად არის სახალხო სასამართლოების განაჩენები იმისათვის, რომ მუშა ან გლეხი, რომელიც იძულებულია ოთხჯერ თუ ხუთჯერ მივიდეს დაწესებულებაში, ბოლოს, იღებს ფორმალურად რაღაც სწორს, მაგრამ არსებითად კი აბუჩად აგდება გამოდი! თქვენ ხომ კომუნისტები ხართ, რატომ არ უგებთ ხაფანგს ამ ვაჟბატონ ბიუროკრატებს, მერე კი რატომ არ მიათრევთ მათ სახალხო სასამართლოში და საპყრობილეში საქმის ამ გაჭიანურებისათვის? რამდენი ჩასვით საპყრობილეში საქმის გაჭიანურებისათვის?“<sup>2</sup>.

ხელმძღვანელობდნენ რა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლენინური მიმდევრებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი შემდგომშიც მტკიცედ იცავდნენ და პრაქტიკაში ნერგავდნენ ლენინის ამ მოთხოვნებს. მაგალითად ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხი სპეციალურად განიხილა პარტიის XV ყრილობამ. საანგარიშო მოხსენებაში ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანა „ჩვენს წინაშე მუდამ იდგომება, ვიდრე ჩვენში არის სახელმწიფო ხელისუფლება, ვიდრე

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 396-397.

2 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 545-546.

არსებობს სახელმწიფო“<sup>1</sup>. ამასთან იგი ჩვენი სახელმწიფო აპარატის სისუსტედ თვლიდა, რომ „სახელმწიფო აპარატში მოიპოვებიან ბიუროკრატიული ელემენტები, რომლებიც აფუჭებენ და ამახინჯებენ მის მუშაობას“<sup>2</sup>. ამიტომ ი. ბ. სტალინი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავდა ბრძოლას სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და მოითხოვდა გახურებული შანთით ამოეწვათ პრაქტიკაში არსებული ბიუროკრატიზმის ფაქტები.

ი. ბ. სტალინი აუცილებლად მიიჩნევდა დაუნდობელ ბრძოლას არა მარტო ჩვენს დაწესებულებებში შემორჩენილი ძველი ჩინონიკი ბიუროკრატების, არამედ ახალი საბჭოთა ბიუროკრატების წინააღმდეგაც, „რომელთა შორის „კომუნისტი“ ბიუროკრატები უკანასკნელ როლს როდი ასრულებენ...“

ამოცანა ის არის, რომ დავძლიოთ ბიუროკრატიზმი ჩვენს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აღმოვფხვრათ ბიუროკრატიული „ზნე-ჩვეულებანი“ და გავკაფოთ გზა ჩვენი წყობილების რეზერვების გამოსაყენებლად, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების გასაშლელად.

ეს იოლი ამოცანა როდია. მას „ერთი დაჯვრით“ ვერ გადავჭერთ. მაგრამ იგი აუცილებლად უნდა გადავჭრათ, თუ გვსურს ნამდვილად გარდავქმნათ ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის საფუძვლებზე“<sup>3</sup>.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა მეტად სერიოზული საკითხია, რადგან მის გარეგნულ გამოვლინებაში ხშირად იმალება ისეთი სოციალურად საშიში მოქმედება, როგორცაა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პირადი, ოჯახური, კუთხური ინტერესებისათვის. „ვერ დაინახო ქალაქის მიღმა ადამიანი, ბევრად არის დაკავშირებული კარიერისმომთხრობის და ნაიდან მას ნერგავენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის, თავიანთი პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნავენ, თუმცა ოსტატურად ეფარებიან ხოლმე უანგარობის, საერთო საქმის ერთგულების ნიღაბს“.

ბიუროკრატიზმის საშიშროების საკითხი არც მხატვრული სიტყვის ოსტატებს გამოჩენიათ მხედველობიდან. მაგალითად, სერგეი

1 ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 10, გვ. 342.

2 იქვე, გვ. 343.

3 ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 12, გვ. 357.

მიხალკოვის სატირულ-იუმორისტულ ლექსში „ბიუროკრატი და სიკვდილი“ მხატვრულ ფერებშია ნაჩვენები ბიუროკრატიზმის საშიშროება, მისი სიძლიერე, ბიუროკრატი თანამდებობის პირისა და სიკვდილის შეჭიდება, როცა სიკვდილი თითქოს დამარცხდა კიდეც. აი როგორ გადმოსცემს ამ სცენას სერგეი მიხალკოვი:

„სწორედ იმ დღით  
ბიუროკრატის წასაყვანად გაჩნდა სიკვდილი,  
ნახევარი დღე მისაღებთან იდგა სიკვდილი,  
ნახევარი დღე მისაღებში იჯდა სიკვდილი,  
ნახევარი დღე რიგს ელოდა ძალამიხდილი,  
იმ რიგს,  
რომელიც კვლავ იზრდებოდა,  
ერთი წამითაც არ მცირდებოდა.  
ამდენ ლოდინში  
გადაიღალა  
და სიკვდილი... გარდაიცვალა!  
„რაო? სიკვდილზე ძლიერია ბიუროკრატი?“  
არა!  
და მაინც ცოცხლობს კიდეც, თუმცა დრო გადის...“

დიახ, სამწუხაროდ, ბიუროკრატიზმი ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულ სინამდვილეში.

დღეს, ისე როგორც საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების აღრინდელ ეტაპზე, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ შეუერივებელი ბრძოლა წარმოებს პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ-აღმზრდელობითი და იძულებითი ხასიათის ღონისძიებათა გატარებით. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იზადება კითხვა: რას მივალწიეთ ამ ბრძოლით? მივალწიეთ ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურებათა აღმოფხვრას? მეორე კითხვაზე პრაქტიკა უარყოფით პასუხს იძლევა. პირველ კითხვაზე პასუხისათვის კი შეიძლება მოვიშველიოთ ერთ-ერთი ეურნალისტის მწარე სინამდვილის ამსახველი ირონიულ-ხატოვანი გამოთქმა: „ჩვენ დავცივით მათ (ბიუროკრატებს — შ. ფ.) მთელი ჩვენი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში. და, ერთადერთი, რასაც მივალწიეთ ეს არის მათგან სრული თანაზიარი გრძნობის მოპოვება: ისინიც დაგ-

ვცინიან ჩვენ და ამასთან დაბეჭილებით გვიმტკიცებენ, რომ მათა ცხოვრება არ არის ისეთი შეგნებული, როგორც ჩვენი“<sup>1</sup>.

ფორმალიზმი, საქმის გაკვიანურება, ბიუროკრატიზმი, პროტექციონიზმი და კრიტიკის დევნა უაღრესად ახლოს დგას ისეთი სახის თანამდებობრივ დანაშაულთან, როგორიც არის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, დაუდევრობა, მექრთამეობა და სამსახურებრივი სიყალბე. იგი გარკვეულ მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ნორმალურ საქმიანობას, მის ავტორიტეტსა და ღირსებას, ცალკეულ მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. მაგალითად, პროტექციითა და ძმბიჭობით პასუხსაგებ თანამდებობაზე არაკომპეტენტური პირის დანიშვნას შეიძლება მოჰყვეს ბინების უკანონოდ მიღება, ყალბი სიმწიფის ატესტატის ან უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის გაცემა, უვიცი აბიტურიენტის უმაღლესი სასწავლებელში ჩარიცხვა, საკურსო და სახელმწიფო გამოცდებზე სტუდენტის ცოდნის არაობიექტურად შეფასება ან სუსტი, ნაკლებად მომზადებული ახალგაზრდის ასპირანტურაში მიღება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან დამნაშავე პირთა უკანონოდ განთავისუფლება, დანაშაულის გაუხსნელობა, დამნაშავეთა დაუსჯელობა ან მათი არასწორი დასჯა, უდანაშაულო პირთა უმართებულოდ დევნა, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების აბუჩად აგდება, მათი კანონიერი ინტერესების შელახვა, კარიერის უზრუნველსაყოფად მლიქვნელ, ცრუპენტელა პირთა შემოკრება და მათი ხოტბის წყალობით მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათის შექმნა და სხვ. სწორედ ამიტომ არის რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყოველგვარი სახის ძმბიჭობას, კუთხურობას, კარიერიზმსა და პროტექციონიზმს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1974 წლის 11 ივნისს მიიღო მეტად დროული და საჭირო დადგენილება „რესპუბლიკაში პროტექციონიზმთან ბრძოლის შესახებ“, ხოლო 1980 წლის ოქტომბერში განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა და მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება „ბიუროკრატიზმს — არავითარი დან-

<sup>1</sup> იხ. «Известия» 30 июня 1979 г.

დობა“. ყოველივე ამან, ცხადია, გარკვეული გავლენა მოახდინა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, ჩვენი ცხოვრების ასეთი სიმახინჯის ფაქტებს ჯერ კიდევ ადგილი აქვს არა მარტო ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საქმიანობაში, არამედ სახელმწიფო აპარატის მართვის სისტემაში პასუხსაგებ თანამდებობაზე მომუშავე ცალკეულ პირთა საქმიანობაშიც, თუმცა მათი პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობაა დაიცვან და ებრძოლონ კანონის დარღვევას, დამნაშავეობას, ფორმალისმს, ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას, კრიტიკის ღვენასა და პროტექციონიზმს<sup>1</sup>.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობს მემკვიდრეობით მიღებული სოციალიზმის ეს შავი ლაქები. ამიტომ ამ ბოროტებათა აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით საჭიროა კიდევ უფრო მტკიცე, თანამიმდევრული ბრძოლა და, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, „საჭიროა ასობით ღონისძიებათა“ გატარება. საჭიროა, როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყველა კომუნისტმა და კომკავშირელმა, ყველა მშრომელმა გადაჭრით „ამხილონ ბიუროკრატიული წყულულები, გამოიყენონ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივი აზრის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის მთელი ძალა“. ამ ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა მთელი საზოგადოებრიობის აქტიური დარაზმვა. უნდა მივადწიოთ, რომ არცერთი ასეთი ფაქტი არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოეწყოს აგრეთვე ამ ბოროტების ჩამდენ პირთა საქმეების განხილვა სასამართლოების ღია გამსვლელ სხდომებზე და ფართოდ გაშუქდეს პრესაში, მოეწყოს მისი გადაცემა რადიოთი და ტელევიზიით.

4. თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან აცილების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა თანამდებობის პირთა სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის მკვეთრი ურთიერთგამიჯვნა, რადგან, როგორც ამ კატეგორიის საქმეების შესწავლამ გვიჩვენა, ხშირად ამ პირებმა არ იცოდნენ მათ სამსახურებრივ კომპეტენციაში შემავალი უფლე-

<sup>1</sup> იხ. Королько Н. Почем кило волокиты? — «Правда», 1977, 13 марта; Кошанов П. Бюрократические километры. — «Правда», 1978, 1 апреля; Назаров Е. Многоэтажная волокита. — «Известия», 1983, 24 апреля, და სხვ.

ბა-მოვალეობანი, გარკვეული არ იყვნენ, თუ რა ევალეობადო მათ ან რა სახის მოქმედებების შესრულება შეეძლოს, სამსახურებრივად. ამიტომ საჭიროა ცალკეულ თანამდებობის პირთა სამსახურებრივო საქმიანობის უკეთ მოგვარების მიზნით შემუშავდეს ყველა თანამდებობის პირის უფლება-მოვალეობების ამსახველი დებულებები ან მიღებულ იქნეს შესაბამისი დადგენილებები და იგი დროულად გაეცნოს ყველა ახლად დანიშნულ თანამდებობის პირს, განემატოს მისი სამსახურებრივი მოქმედების სფერო, წრე და ფარგლები, რათა წინასწარ ჰქონდეს წარმოდგენილი, თუ რა სახის სამსახურებრივი მოქმედების ან უმოქმედობისათვის შეიძლება დადგეს მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხი და სხვ.

თანამდებობის პირთა შორის მათი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების, მათი სამსახურებრივი ფუნქციებისა და კომპეტენციის ურთიერთგამიჯნის საუკეთესო ნიმუშია ვ. ი. ლენინის ხელმოწერით 1922 წლის 11 აპრილს მიღებული „დადგენილება მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოადგილეთა) მუშაობის შესახებ“<sup>1</sup>, რომელიც შედგება ხუთი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოცემულია მოადგილეთა საერთო და ძირითადი ამოცანები; მეორეში — სპეციალური საკითხები, რომლებიც შეეხება მოადგილეთა მუშაობას; მესამეში — მოადგილეთა მუშაობის წესი, მათი აპარატი; მეოთხეში — ორივე მოადგილის მუშაობის ერთიანობის შესახებ; მეხუთეში — მუშაობის განაწილება მოადგილეებს შორის.

კარგი იქნება თუ სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში მომუშავე ყველა თანამდებობის პირისა და მათი მოადგილეების სამსახურებრივი ფუნქციებიც ანალოგიური სახის დადგენილებებით იქნება მოგვარებული. ეს გარემოება ჩვენი აზრით, გარკვეულად შეუწყობს ხელს თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან აცილებას.

5. თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან აცილების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ცალკეულ თანამდებობის პირთა შრომით ანაზღაურებაში არსებული ხარვეზების გამოსწორება, მათი თანამდებობრივი მდგომარეობისათვის შეუსაბამო საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესება, რადგან ეკონომიკა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უაღრესად დიდ უარყოფით გავლენას ახ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ, ტ 33, გვ. 393-402.



დენს მათ ფსიქოლოგიურ გაწყობაზე და თვით სამსახურებრივ საქმიანობაზე. ხშირად იგი საფუძველია ოჯახური უსიამოვნებისა და კონფლიქტური სიტუაციების აღმოცენებისა, რომელსაც, ცხადია, ყველა ვერ უძლებს. როცა თანამდებობის პირისაგან მოვითხოვთ კეთილსინდისიერ მუშაობას, მას ამისათვის სათანადო პირობებიც უნდა შევუქმნათ. რასაკვირველია ჩვენ შორსა ვართ იმ მოსაზრებისაგან, რომ თანამდებობის პირებს შევუქმნათ ფუფუნებისა და პირადი განცხრომისათვის საკურო პირობები, მაგრამ არ შეიძლება უარი ვთქვათ იმ საშუალო პირობებზე, რომელიც მას ნამდვილად ესაჭიროება თავისი პირადი და ოჯახური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მართებული არაა თუნდაც ის, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს სამუშაოდ ვაგზავნით საპასუხისმგებლო უბანზე (მშენებლობის ინჟინერი, ექიმი, გამომძიებელი და სხვ.), ვუნიშნავთ ხელფასს 120-150 მანეთს და ვეუბნებით: დაოჯახდი და კოოპერაციული ბინაც აიშენეო. ამით ბიძგს ხომ არ ვაძლევთ ახალგაზრდა სპეციალისტს და ზოგჯერ საკმაოდ პასუხსაგებ თანამდებობის პირსაც, მრუდედ შეხედოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას ან თავის სამსახურებრივ მდგომარეობას? ის მეტად დამაფიქრებელი და მტკივნეული საკითხია. ამასთან დაკავშირებით შეიძლება შეგვედაონ კიდევ, რომ თანამდებობრივ დანაშაულს უფრო ხშირად იდენს ის, ვინც ეკონომიკურად უზრუნველყოფილიაო. ეს მართალია, მაგრამ არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ თანამდებობრივი დანაშაული დიდი ლატენტურობით ხასიათდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამდებობის პირი ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ეძლევა არა მაშინვე ან იმავე წელს, არამედ ხშირად რამოდენიმე წლის შემდეგ, როცა უკვე მას ანგარების მიზნით სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება სისტემად ექცა და ეკონომიკური უზრუნველყოფის მიუხედავად თვითონ აღარ ძალუძს მასზე თავის შეკავება. ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა მსჯავრდადებულმა — ყოფილმა თანამდებობის პირმა განაცხადა: არასოდეს დამავიწყდება ის მწარე დღე, როცა პირველად ქრთამი ავიღე. მთელი დღის განმავლობაში ხელებზე აღმური ამდიოდა, სინდისის ქეჩნას ველარ ვუძლებდი. შექმდე კი ამ გარემოებას ისე მივეჩვიე, რომ ყურადღებასაც აღარ ვაქცევდი, ჯიბეში მიდებდნენ ქრთამს, თუ მაგიდის უჯრაშიო.

ღიახ, არ უნდა დაეუშვათ, რომ პირმა ასეთი მძიმე ნაბიჯი გადადგას. იგი დასაწყისშივე უნდა აღიკვეთოს.

6. ისევე, როგორც ყველა სახის დანაშაულის, თანამდებობრივი დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის საჭიროა თანამდებობის პირთა ირგვლივ იყოს ჯანსაღი ატმოსფერო, რადგან ყველას არა აქვს უნარი ბოლომდე ებრძოლოს მის გარშემო არსებულ არაჯანსაღ სიტუაციას, და ხშირად, თვითონაც ადვილად ექცევა მათი ზეგავლენის ქვეშ.

მართებულად შენიშნავს პროფ. ვ. ხარაზიშვილი, რომ „საკმაზისია ადამიანი მოექცეს ამორალური მოთხოვნილების მქონე ადამიანების ზეგავლენის ქვეშ, რომ მასაც გაუჩნდეს ასეთი მოთხოვნილებები. რამდენადაც ადამიანს მტკიცედ აქვს შეგნებული მორალური მოვალეობანი, იმდენად მას ვეღარ იმორჩილებს. ამორალური ცთუნებანი. ნებისყოფის სიმტკიცე ხომ იმ ადამიანებს აღმოაჩნდებათ ხოლმე, რომლებიც საქმის ცოდნით მოქმედებენ, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება და იმოქმედონ გადაჭრით, თუნდაც ეს მოქმედება არსებითად ეწინააღმდეგებოდეს მის ვიტალურ მოთხოვნილებებს“<sup>1</sup>. არაჯანსაღ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ამა თუ იმ თანამდებობაზე დანიშნული პირი ხშირად ადვილად აღმოჩნდება ხოლმე დამნაშავეთა ჯგუფში, მით უმეტეს, თუ იგი ამ დარგის ნაკლებად მცოდნე სპეციალისტია.

ეს გარემოებაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ყველა რგოლის ხელმძღვანელობა დაკომპლექტებული იყოს შესაბამისი სპეციალობის მაღალკვალიფიციური კადრებით.

7. თანამდებობრივი დანაშაულის არსებობას გარკვეულად უწყობს ხელს სისხლის სამართლის კოდექსში ამ კატეგორიის დანაშაულის ამსახველი მუხლების არაჯეროვანი დახვეწა, მისი არასათანადო გამიჯვნა სხვა მსგავსი ანგარებითი დანაშაულობებისაგან, რის გამოც, როგორც საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, არც თუ ისე იშვიათად სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ არა თანამდებობის პირებს ან უსაფუძვლოდ ათავისუფლებენ ამ სახის დანაშაულის ჩამდენ პირებს და სხვ. გადასინჯვას საჭიროებს აგრეთვე თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი სასჯელები მათი შემდგომი ეფექტურობის გაზრდის მიზნით და სხვ.

8. თანამდებობრივი დანაშაულის აღმოცენებისათვის საკმაოდ

<sup>1</sup> ბ. ხარაზიშვილი. კრიმინალისტიკა. თბ., 1969, გვ. 589.

ნოყიერ ნიადაგს ქმნის ცალკეული სახის თანამდებობის პირთა მიერ სოციალისტური კანონიერებისა და დისციპლინის დარღვევის ფაქტები, მათ მიერ კანონისათვის გვერდის ახვევა, ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის არასწორად გადაწყვეტის პრეცედენტის შექმნა და ამ ქმედობებისათვის მათი არაჯეროვანი დასჯა, რადგან, მიბაძვის ძალით, ასეთი დარღვევები, ზოგჯერ სხვა თანამდებობის პირებსაც გარკვეულ ბიძგს აძლევს მსგავსი საკითხები გადაწყვიტონ თავიანთი შეხედულებისამებრ კანონის გვერდის ავლით, რაც, მთელ რიგ შემთხვევებში, მკვიდრდება მათ საქმიანობაში და იღებს სისტემურ ხასიათს. ამიტომ, საჭიროა თანამდებობის პირთა მიერ კანონისათვის გვერდის ახვევის უმნიშვნელო ფაქტებიც კი არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე.

9. თანამდებობრივი დანაშაულის არსებობას გარკვეულად უწყობს ხელს ამ კატეგორიის დანაშაულის მამხილებელ სიგნალებზე არადროული, არაჯეროვანი რეაგირება და ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულის საქმეების გაუხსნელობა. მაგალითად, როგორც საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, მარტო 1979 წელს ამ ორგანოებში შემოსული თანამდებობრივი დანაშაულის მამხილებელი სიგნალებიდან 25 პროცენტზე მეტი განხილული იქნა კანონით დადგენილი ვადების დარღვევით, განცხადებათა 10 პროცენტი კი საერთოდ რეაგირების გარეშე დარჩა.

თანამდებობრივი დანაშაულის მამხილებელ სიგნალებზე ასეთი არასწორი, შეიძლება ითქვას, უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულება გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს არამარტო ამ კატეგორიის დანაშაულთა შემდგომ გახსნაზე, არამედ თვით იმ მოქალაქეთა რწმენაზეც, რომელთა კანონიერი უფლებები და ინტერესებიც შეილახა თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებებით. მათ ექმნებათ არასწორი წარმოდგენა, თითქოს ეს ორგანოები ჯეროვნად არ იბრძვიან თანამდებობრივ დანაშაულთან და თავიანთი უმოქმედობით ხელს უწყობენ თანამდებობრივ დანაშაულთა გაუხსნელობასა და დამნაშავე თანამდებობის პირთა დაუსჯელობას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ამ კატეგორიის საქმეების გაუხსნელობას, ერთგვარად აქეზებს და უბიძგებს კიდევ ასეთ თანამდებობის პირებს ახალი დანაშაულის ჩადენისაკენ, რადგან ამით კიდევ უფრო უმტკიცდებათ რწმენა იმისა, რომ მათ მიერ სხვადასხვა შენიღბული სახით ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაული ხელმიუწყ-

ვდენელი დარჩება სათანადო ორგანოებისათვის ან თუ იგი გამოქ-  
ლავნდება, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოები ვერ  
შეძლებენ სათანადო მტკიცებულების შეკრებას და ისინი დაუს-  
ჯელი დარჩებიან. დამნაშავეობასთან ბრძოლის კომპეტენტურმა  
ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ეს გარემოება და მთელი თა-  
ვიანთი მუშაობა წარმართონ მოცემული სახის დანაშაულთა სწრა-  
ფი, სრული გახსნისა და თავიდან აცილებისაკენ. უნდა მივალწიოთ,  
რომ არც ერთი თანამდებობრივი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნე-  
ლი, რადგან დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა დამნაშავეთა დას-  
ჯის პოლიტიკის ცხოვრებაში სწორად გატარებისა და დანაშაულ-  
თა თავიდან აცილების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. დანაშაუ-  
ლის გახსნა თავის მხრივ ურთულესი პროცესია, რომელიც წარმო-  
უდგენელია სათანადო სპეციალური ცოდნის გარეშე, მაგალითად,  
როგორც აგრონომს არ შეუძლია ავადმყოფს დაუსვას სწორი დიაგ-  
ნოზი, ასევე მას და სხვა მომიჯნავე დარგის სპეციალისტს (როგორც  
სპეტაკი კომუნისტიც არ უნდა იყოს) არ შეუძლია შემთხვევის ად-  
გილზე დარჩენილი ლატენტური კვალის აღმოჩენა-გამოვლინება და  
პროცესუალური დამაგრება, საგამოძიებო ვერსიების აგება-შემოწ-  
მება, მტკიცებულებათა სათანადო შეკრება, დანაშაულის სწრაფი,  
სრული გახსნა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. სიტუაცია უფ-  
რო რთულდება, როცა ასეთი არაკომპეტენტური პირი ამ რთულ  
პროცესს ხელმძღვანელობს, რადგან, როგორც ცნობილია, თუ ხელ-  
მძღვანელი უძლურია თავის ქვემდგომ თანამდებობის პირს გაუწი-  
ოს კონტროლი და მისცეს სწორი მითითება, მაშინ იგი კარგავს ავ-  
ტორიტეტს და დანაშაულის გაუხსნელობით დაინტერესებული პირის  
ზეგავლენის ქვეშაც ადვილად შეიძლება მოექცეს. ყოველივე ეს  
კი, ცხადია, გარკვეულ გავლენას ახდენს დანაშაულის გაუხსნელო-  
ბასა და დანაშაულთა თავიდან აცილებაზე.

10. თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერ-  
თი აუცილებელი პირობაა ამ კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ პირ-  
თა მიმართ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი სას-  
ჯელების სწორად გამოყენება, მათ მიმართ დასჯის პოლიტიკის სწო-  
რად გატარება. ერთეულების სანიმუშო სიმკაცრით დასჯა ვერ შე-  
ასრულებს გამაფრთხილებელ როლს, თუ იგი იშვიათობას წარმოად-  
გენს ან თუ ასეთ პირთა კანონით დადგენილ მინიმალურზე ნაკლე-  
ბი ზომის სასჯელების შეფარდებას სისტემად ვაქცევთ. სასჯელის  
შეფარდებისას სხვა გარემოებებთან ერთად, უნდა გავითვალისწი-

ნოთ თვით დანაშაულის პიროვნება და მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი.

საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ თანამდებობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯითი პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სასამართლოები არც თუ ისე იშვიათად იყენებენ კანონით დადგენილ მინიმალურზე დაბალ სასჯელებს თვით ისეთი საშიში თანამდებობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართაც კი, როგორცაა შექრთამეობა. სასჯელის ისეთმა ძირითადმა სახემ, როგორცაა თავისუფლების აღკვეთა, თითქმის დაკარგა თავისი პრაქტიკული გამოყენება მატერიალური სახის შემადგენლობის თანამდებობრივი დანაშაულისათვის, რაც არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, რადგან სასჯელი კარგავს თავის ეფექტურობას, თუ იგი პრაქტიკულ გამოყენებას ვერ პოულობს. სასჯელი თავის ძირითად მიზანს — დანაშაულის თავიდან აცილებას — მიაღწევს არა მარტო თავისი სიმკაცრით, არამედ მისი გარდუვალობით. ამიტომ სასჯელი უნდა იყოს რეალური და არა ფორმალური.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე მართებულად აღინიშნა, რომ „კანონში ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მარტო სიმკაცრე, არამედ მისი სამართლიანობაც“<sup>1</sup>.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ამა თუ იმ თანამდებობის პირს ჯერ საჯაროდ ვამსჯელთ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ისეთ ფაქტებში, რომლებიც აშკარად შეიცავენ სისხლის სამართლის კანონით დადგენილ თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნებს, შემდეგ კი მის მიმართ ვიჩინებთ ღმობიერ დამოკიდებულებას, ვკმაყოფილდებით პარტიული სასჯელის დადებით — საყვედურის გამოცხადებით ან სხვა საშუალოზე გადაყვანით. ცხადია, ეს გარემოება უარყოფით გავლენას ახდენს სხვა თანამდებობის პირებზე, ბადებს მათში დაუსჯელობის რწმენას და ისინიც არ ერიდებიან თანამდებობის ბოროტად გამოყენებას. ამიტომ საჭიროა ამგვარი შემთხვევების აღმოფხვრა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვა.

11. თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან აცილების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა თანამდებობის პირთა საქმიანობაზე

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები. 1984 წლის 10 აპრილი. გვ. 13.

მტკიცე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება. ეხებოდა რა საზოგადოებრივი კონტროლის მნიშვნელობას და-  
ნაშაულის აღმოფხვრისა და დამნაშავეთა გამოვლინების საქმეში,  
ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „მხოლოდ მუშათა და გლეხთა მასის  
ნებაყოფლობით და კეთილსინდისიერად, რევოლუციური ენთუზი-  
აზმით გაწეულ თანამშრომლობას აღრიცხვასა და კონტროლში  
მდიდრების, გაიძვერების, მუქთახორების, ხულიგნების მიმართ  
შეუძლია მოსპოს წყეული კაპიტალისტური საზოგადოების ეს გად-  
მონაშთები, კაცობრიობის ეს ნაძირალეები, ეს საბოლოოდ დამპალი  
და მკვდარი წევრნი, ეს ჭირი, ჟამი, წყლული, რომელიც სოცია-  
ლიზმს მემკვიდრეობად გადმოეცა კაპიტალიზმისაგან“<sup>1</sup>. ვ. ი. ლენი-  
ნი მოითხოვდა ამგვარი დამნაშავეების მიმართ უმკაცრესი მეთვალ-  
ყურების დაწესებას. „ამ მტრების მიმართ, — წერდა იგი, — უნ-  
და დავაწესოთ მთელი შოსახლეობის განსაკუთრებული მეთვალ-  
ყურება. მათ დაუნდობლად უნდა გავუსწორდეთ, როგორც კი ოდ-  
ნავედ დაარღვევენ სოციალისტური საზოგადოების წესებსა და კა-  
ნონებს. ამ მხრივ ყოველგვარი სისუსტე, ყოველგვარი მეჩყვობა,  
ყოველგვარი სანტიმენტალობა უდიდესი დანაშაული იქნებოდა სო-  
ციალიზმის წინაშე“<sup>2</sup>.

ღიახ! იქ, სადაც პარტიულ-სახელმწიფოებრივი და საზოგადო-  
ებრივი კონტროლი მაღალ დონეზეა, არ შეიძლება ადგილი ჰქონ-  
დეს ფორმალიზმს, ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას, კრიტი-  
კის დევნას და სხვა სახის თანამდებობრივ დანაშაულს. მაგრამ,  
სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. რიგ საწარმო-დაწესებულებებ-  
სა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საზოგადოებრივი კონტრო-  
ლისა და თვით ადმინისტრაციის საქმიანობაზე პარტიული კონტრო-  
ლის კომისიების მუშაობაც კი ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატა-  
რებს. ისინი ღუმილით უვლიან გვერდს ადმინისტრაციის მიერ კა-  
ნონის ყოველგვარ დამახინჯებას და კმაყოფილდებიან მხოლოდ ფაქ-  
ტობრივად ჩატარებული ღონისძიებების ოქმებში გადატანით.

ცხადია, ასეთი დამოკიდებულება გარკვეულად უწყობს ხელს  
თანამდებობის პირთა თვითნებობასა და მათ მიერ თანამდებობის  
ბოროტად გამოყენებას. ამიტომ, საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერ-  
დეს ადმინისტრაციაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტრო-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 26, გვ. 477.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 478.

ლი, მათი პასუხისმგებლობა. საჭიროების შემთხვევაში, ვფიქრობთ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან ერთად მათაც უნდა მოეთხოვოთ სათანადო პასუხი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ამაღლდეს საზოგადოებრივი კონტროლის როლი და გაიზარდოს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა. ეს გარკვეულად შეუწყობს ხელს მოცემული კატეგორიის დანაშაულის თავიდან აცილებას.

12. თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ზემდგომი ორგანოების მიერ, თავის ქვემდგომ საუწყებო დაწესებულებებზე სათანადო ზედამხედველობისა და კონტროლის სწორად განხორციელება, გეგმიური შემოწმებებისა და ინვენტარიზაციის მაღალი მომთხოვნელობით ჩატარება, გეგმიურ შემოწმებებში ფორმალისმის აღმოფხვრა, საწარმოო-დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების დროული გამომწვეურება, მათთვის სწორი სახელმძღვანელო მითითებების მიცემა, დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთი სახის შემოწმებების ფორმალურად ჩატარება ხშირად ხელს უწყობს საუწყებო დაწესებულების თანამდებობის პირთა თვითნებობას, დაუდევრობას და სხვა სახის თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტების აღმოცენებას.

ვ. ი. ლენინი სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს აფრთხილებდა, რომ თავიანთ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება მიუქციათ იმ კომუნისტების საქმიანობისათვის „რომელთაც უკავიათ თანამდებობანი იერარქიული კიბის ქვედა საფეხურზე, რადგან ხშირად მათ სინამდვილეში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ზედა საფეხურზე მდგომთ“<sup>1</sup>.

13. ზოგჯერ თანამდებობრივ დანაშაულთა ჩადენას ხელს უწყობს ცალკეულ თანამდებობის პირთათვის არასათანადო სამუშაო პირობები. არის შემთხვევები, როცა განკარგულების გზით შეიქმნება დაწესებულება, დაინიშნება მისი ხელმძღვანელი, თანამდებობის პირი მთელი თავისი ადმინისტრაცია, მაგრამ მათ არ გააჩნიათ სამუშაო ოთახები, დამაკავშირებელი საშუალება თავიანთ ძირითად რგოლებთან, არა ჰყავთ სათანადო ტრანსპორტი და სხვ., ე. ი. ფაქ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 397.

ტობრივად მოწყვეტილნი არიან თავიანთ ძირითად ბაზას, განსაკუთრებით კი მაშინ როცა ასეთი ადმინისტრაცია ტერიტორიულად ძალიან დაშორებულია წარმოების ბაზიდან (მაგალითად, ზოგჯერ ასეთი წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა მდებარეობს თბილისში, მათი საწაოშოო ბაზა კი რუსთავეში, ბოლნისში, მარნეულში, წითელწყაროსა და სხვა რაიონებში), რაც ერთგვარად ხელს უშლის ადმინისტრაციას ყოველდღიურად განახორციელოს მასზე კონტროლი და ხელმძღვანელობა. ეს კი ადგილებზე არსებულ ქვედა რგოლების ხელმძღვანელობაში იწვევს ანგარების მიზნით სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას, სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულებას, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, სამსახურებრივ სიყალბეს და სხვა სახის დანაშაულთა აღმოცენებას. ამიტომ თანამდებობის პირებისათვის სათანადო ორგანიზაციული ხასიათის სამუშაო პირობების შექმნა თანამდებობრივი დახაშაულის ჩადენის თავიდან აცილების ერთ-ერთი საწუალებაცაა.

14. საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ თანამდებობრივი დანაშაულის საქმეების განხილვის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მსჯავრდადებულთა დიდ ნაწილს არასწორი წარმოდგენა ჰქონდა სამართლის თვით იმ ნორმებზეც კი, რომლის ჩადენაშიც მათ ბრალი ედებოდათ. ნაკლებად იყვნენ გათვითცნობიერებულნი სამართლის ელემენტარულ საკითხებშიც. დაუდევრობისათვის მსჯავრდადებული ერთ-ერთი ყოფილი მთავარი ბუღალტერი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ მის ზედამხედველობაში მყოფი საწყობის გამგის მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებაში ბრალი მასაც მიუძღოდა. ბუღალტერს ვერც კი წარმოედგინა, რომ იგი სამსახურებრივად ვალდებული იყო ამ საწყობის საქმიანობაზე კონტროლი გაეწია და რომ შეიძლებოდა მას იურიდიული პასუხისმგებლობა დაკისრებოდა ამ მიმართებით თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. წლების განმავლობაში საწყობი მისგან სათანადო კონტროლის გარეშე იყო მიტოვებული. ამით ისარგებლა საწყობის გამგემ და მართო ბოლო ორი წლის განმავლობაში 120 000 მანეთის საბელმწიფო ქონება დაიტაცა.

მსგავსი გარემოებების თავიდან აცილების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია პირის ამა თუ იმ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნვამდე მან ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სპე-



ციალური კურსები გაიაროს სამართალმცოდნეობის ხაზით ან თანამდებობაზე დანიშვნის წინ სპეციალურ კომისიას ჩააბაროს გამოცდა: სამართლის საფუძვლებში. ამასთან, სამეურნეო აპარატის მართვის მექანიზმის უკეთ შესწავლის მიზნით ყოველ სამხუთ წელიწადში ერთხელ გაიაროს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კვალიფიკაციის ამბლები კურსები.

15. საქირთა ასევე გადაჭრით გაუმჯობესდეს სამართლებრივი პროპაგანდა მოსახლეობაში, რადგან თუ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი თანამდებობის პირი ვერ ერკვევა იმ ელემენტარულ სამართლებრივ საკითხებში, რომელიც მას ყოველდღიურად ესაჭიროება, უნდა ვივარაუდოთ, რომ რიგით მუშა-მოსამსახურეს კიდევ უფრო ნაკლები წარმოდგენა აქვს ცალკეული დარგის სამართლებრივ ნორმებზე. მაგრამ სამართლებრივი აღზრდა მართოდ იმას როდი ნიშნავს, რომ გავიზიპიროთ სამართლის ძირითადი დებულებები. მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა ნიშნავს არა მარტო სამართლის ცალკეული დარგების შესწავლას, არამედ მოქალაქეთა აღზრდას სოციალისტური კანონიერების პატივისცემის სულისკვეთებით, რათა თითოეული მოქალაქე მტკიცედ იცავდეს კანონიერებას, არ არღვევდეს მას და სხვებსაც მოუწოდებდეს პატივი სცენ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. არ დაარღვიონ კანონიერება და წესრიგი. მოსახლეობის სწორი სამართლებრივი აღზრდა გარკვეულად შეუწყობს ხელს არა მარტო თანამდებობრივი დანაშაულის, არამედ ყოველგვარი სახის დანაშაულთა თავიდან აცილებასა და აღკვეთას.

16. თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან აცილების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მოსახლეობის აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით. უნდა მივალწიოთ, რომ ყველა თანამდებობის პირი და მოსამსახურე საზოგადოებრივ ინტერესებს თავის პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდეს. ეს დღესდღეობით არცთუ იოლია, რადგან, გულახდილად რომ ვთქვათ, საკმაოდ მომრავლდნენ ისეთი პირები, რომლებიც თანამდებობას გამორჩენის მიზნით იყენებენ. მართალია, უკანასკნელ ათწლეულში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდი გარდატეხა მოხდა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების გაჯანსაღებაში, მრავალმა თანამდებობის პირმა უკუაგდო და დაივიწყა წარსულის მანე ზნეჩვეულება (წამგლეჯობა, გამომძალველობა და სხვა) და მთელი პალესხისმგებლობით მოეკიდა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი

მოვალეობის შესრულებას, მაგრამ დასამალი არაა, რომ ბევრი მათგანი მხოლოდ გარეგნულად შეიცვალა, ოსტატურად ამოეთარა პატიოსანი კაცის სახელს და თავისი ბნელით მოცული საქმეები კიდევ უფრო შენიღბა. არც ისაა დასამალი, რომ აქა-იქ კვლავ გახშირდა ლატენტური სახის დანაშაულებრივი ფაქტები, რომელიც გაუხსნელი რჩება. ეს გარემოება კი უდავოდ დიდ გავლენას აქდენს ზოგიერთ მერყევ ელემენტზე, უბიძგებს დანაშაულის ჩადენისაკენ და უნერგავს იმედს, თითქოს მათი ბოროტება შეუმჩნეველი დარჩება და სათანადო ორგანოები ვერ შეძლებენ მათი ბნელით მოცული საქმეების დღის სინათლეზე გამოტანას. უფრო მეტიც, ზოგიერთი ამჟამად თავისი უკანონო გზით მოპოვებული სიმდიდრით, დასცინის და აბუჩად იგდებს მართალსა და პატიოსან ადამიანს, მის იდეებსა და მისწრაფებებს, მთელ მის საქმიანობას. ასეთ შენიღბულ დამნაშავეს, სანამ იგი საბრალდებო სკამზე არ აღმოჩნდება, არავინ კითხვას, საიდან აქვს ხელგაშლილი, ბატონკაცური ცხოვრების პირობები, არავინ ცდილობს შეაჩეროს იგი, სანამ არ ჩაეფლობა დანაშულთა მორევეში. შემდეგ კი მართლმსაჯულების წინაშე ასეთი პირის წარდგენისთანავე, რომ იტყვიან, „მგლის თავზე სახარების კითხვა“ იწყება.

მართებულად აღინიშნა გაზეთ „პრავდაში“, რომ ზოგი თანამდებობის პირი ფიქრობს: „მდგომარეობა მით უფრო სოლიდური მექნება, რაც უფრო მდიდრულად გავიწყობო ბინასა და კაბინეტს, რაც უფრო ძვირფას აგარაკს წამოვჭიმავო. პირდაპირ ვთქვათ: ეს მცდარი აზრია ავტორიტეტის კომპონენტებზე. რა ასაზრდოებს ასეთ აზრს? ყოყოხური წარმოდგენა, ჩემთვის ყველაფერი შეიძლება, მე-მე ვარ, სხვებში (ასე ვთქვათ, უბრალო მოკვდავებში) არავის შევეშალოო. ის კი არა, არც ის არის დიდი ბედენა, თუ ხანდახან სახელმწიფოს ჯიბეს გადაეწვდი, საზოგადოებრივი ინტერესები პირადულში, ოჯახურში შემეშალაო“. იქვე სწორადაა ნათქვამი, რომ „ზოგ-ზოგებს „უხერხულად“, „ულამაზოდ“ მიაჩნიათ პირში უთხრან კაცს, რომ იგი სწორად არ იქცევა... მთავარია დროზე მიეუთითოთ, სანამ გვიან არ არის“. ასეთ „წვოილმახეებზე“ თვალუბის დახუჭვა არ შეიძლება. „ისინი ჩანასახშივე უნდა აღმოვფხვრათ, უნდა მოვსპოთ, სანამ დროა, სანამ სხვა რამეში არ გადაზრდილა. აი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აკრიტიკებენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს.

მას, თურმე, პირადი ლიფტი და ცალკე სასადილო გამოუყვია თანისთვის. ცუდი ნიშანა, საგანგაშო ნიშანია“<sup>1</sup>.

ღიას! საჭიროა ასეთი ფაქტები დასაწყისშივე აღიკვეთოს, რადგან დანაშაულებრივი გზით უზომოდ გამდიდრებული ან გამდიდრების ავადმყოფური სენით დაავადებული ასეთი „ვაი თანამდებობის პირების“ საზოგადოებისადმი ცინიკური დამოკიდებულება და ამორალური ცხოვრება სხვებში სრულიად კანონზომიერად აღვივებს მომავლისადმი უიმედობის, პატიოსანი შრომისა და მართალი სიტყვის დაუფასებლობის რწმენას. ასეთი კერძო მესაკუთრული ჩვევებით შეპყრობილი ადამიანები, — როგორც მართებულად აღნიშნა რესპუბლიკის ერთ-ერთ პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა აქტივის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, — „რყენიან ირგვლივ მყოფთ თავიანთი კეთილდღეობის ფაქტით და ამით ზოგში ბადებენ ცინიზმს, ზოგში — სკეპტიციზმს, ზოგში — ამორალობასა და აპოლიტიკურობას, ურწმუნობას“. ამიტომ ასეთ პირთა მიმართ საჭიროა სხვადასხვა სახის ქმედითი აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მოითხოვს, საჭიროა ასეთი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებლად „გამოვიყენოთ შეგონებაც და კანონის ძალაც“. მაგრამ, ცხადია, ყოველგვარი კანონი ჰაერში გამოკიდებული დარჩება, თუ მისი გატარება საიმედო პირთა ხელში არ იქნება.

17. თანამდებობრივ დანაშაულთა ფაქტები საგრძნობლად შემცირდება, თუ საგეგმო და გამანაწილებელი ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს დროულად აღმოვფხვრით, რადგან დარღვევები მათ საქმიანობაში იწვევს სასოფლო და სამეურნეო დანიშნულების ტექნიკური საშუალებების, ხელსაწყოების, მასალების, პირადი მოხმარების საოჯახო ნივთებისა და საგნების ერთ ადგილზე დიდი რაოდენობით თავმოყრას, მეორე ადგილზე კი დეფიციტურობას. უფრო მეტიც, პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ ორგანოების ხელმძღვანელები ან ამ ხელმძღვანელების განკარგულების შემსრულებლები განგებ აკიანურებენ ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებისათვის განკუთვნილი ფონდების გაცემას და ამ გზით სისტემატურად ახდენენ გამოძალვას მასალისა და ნედლეულის მიღებით

<sup>1</sup> «Правда», 28 марта 1983 г.

დაინტერესებული წარმოება-დაწესებულების წარმომადგენლებისა-  
გან. ზოგჯერ ისინი სწორედ ასეთი გზით ვაცემენ ზეგეგმით ფონ-  
დებსაც. საჭიროა ბოლო მოელოს ამ ორგანოების მუშაობაში ჯერ  
კიდევ აქა იქ შემორჩენილ მახინჯ მოვლენებს — ბიუროკრატიზმს,  
გამომძალველობასა და მექრთამეობას.

19. თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან აცილების ერთ-ერთი  
საუკეთესო საშუალებაა თანაძღვობის პირთა მატერიალური პირობების  
გაუმჯობესება, მათი ცხოვრების დონის ამაღლება ხელ-  
ფასების გაზრდით. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება  
კითხვა: რატომ არ უნდა შეეძლოს ყველა თანამდებობის პირსა და  
მუშა-მოსამსახურეს თავისი ყოველთვიური დანაზოგით შეიძინოს  
მისთვის საჭირო პირადი და საოჯახო მოხმარების საგნები? რატომ  
არ უნდა შეეძლოს მას თავისი კანონიერი შემოსავლით ნაწილობა-  
რივ მაინც დაიკმაყოფილოს თავისი გაზრდილი მოთხოვნილება  
ამ საგნებზე? რატომ უნდა განისაზღვროს მოსახლეობის მყიდველ-  
ობითი უნარი ცალკეულ პირთა ჯგუფების შესაძლებლობით და  
არა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტე-  
მაში მომუშავე თანამდებობის პირთა და მუშა-მოსამსახურეთა სა-  
შუალო თვიური ხელფასის ოდენობით? რატომ არის, რომ ზოგი  
თვეში ღებულობს 120—150 მანეთს და იმდენსავე თანხას ხარჯავს  
ყოველდღიურად? რატომ არ შეიძლება დაწესდეს კონტროლი ცალ-  
კეულ თანამდებობის პირთა და მუშა-მოსამსახურეთა რეალურ შე-  
მოსავალსა და მათ მიერ ძვირადღირებული ფუფუნების საგნების  
შეძენაზე? რატომ ვამბობთ უარს თუნდაც ამ ფორმალურ შეზღუდ-  
ვაზე? თუ ნაკლები ხელფასის მქონე პირებს სახელმწიფოსაგან გარ-  
კვეული შეღავათები აქვთ დაწესებული (გადასახადებზე საბავშვო  
ბაღებში, სკოლა-ინტერნატებში და სხვ.) რატომ არ შეიძლება მათი  
შეზღუდვა საკმაოდ ძვირად ღირებული ნივთების შეძენაზე, ისევე,  
როგორც ეს ადრე იყო დაწესებული? რატომ ვაძლევთ მათ საშუა-  
ლებას თავიანთი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სიმდიდრით  
სხვები დაჩაგრონ და თავიანთი მატერიალური კეთილდღეობით  
სხვებზეც გამხრწნელი ზემოქმედება მოახდინონ და ისინიც ააცილი-  
ნონ კეთილსინდისიერი ცხოვრების გზას? ეს და მრავალი სხვა კი-  
თხვა მოითხოვს საფუძვლიანი პასუხის ვაცემას არა მარტო ქალა-  
ღზე, არამედ საქმითაც, თუ ნამდვილად გვინდა, რომ გარკვეული  
წარმატებები მოვიპოვოთ დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.

20. თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილებისა და მო-

ქალაქეთა სამართალმხრივი აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ამ კატეგორიის საქმეების სასამართლო განხილვა ღია გამსვლელ სხდომებზე. ცხადია, ასეთი სხდომები განსაკუთრებით კარგად უნდა იყოს ორგანიზებული და არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. სასამართლოების გამსვლელი სხდომები უნდა ჩატარდეს იმ წარმოება-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სადაც დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირები მოღვაწეობდნენ. სხდომა უნდა ჩატარდეს ღია, ფართო აუდიტორიაში, მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების დასწრებით. სასურველია, მასში მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივმა დამცველმა და ბრალმდებელმა. კარგი იქნება, თუ განაჩენის გამოტანის, მისი ტექსტის გამოცხადების პროცესი მთლიანად გადაცემული იქნება რადიოთი იმავე წარმოება-დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველა სამუშაო უბანზე. ეს თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობის ყველაზე ცოცხალი, ქმედითი პროპაგანდა იქნება.

21. თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან აცილების მიზნით საჭიროა გამოძიებლის ან სასამართლოს მიერ გაკეთდეს წარდგინება იმ საწარმო-დაწესებულებაში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, სადაც ადგილი ჰქონდა განხილულ თანამდებობრივ დანაშაულს. წარდგინებაში მითითებული უნდა იყოს იმ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე, რომლებმაც განაპირობეს მოცემულ ორგანიზაციაში თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენა. წარდგინება უნდა იყოს შინაარსიანი და გამიზნული. არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. კარგი იქნება თუ მასში მივუთითებთ არა მარტო მომხდარ თანამდებობრივ დანაშაულთა აღმოცენების მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე, არამედ მათი აღმოფხვრის მიზნით გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებზე. რეკომენდებულია წარდგინების ერთი ეგზემპლარი გაეგზავნოს საწარმო-დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მეორე — საქმეს დაერთოს, მესამე — შენახული იქნეს სამეთვალყურეო წარმოებაში.

საწარმო-დაწესებულება ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში განიხილოს მიღებული წარდგინება, მიიღოს აუცილებელი ღონისძიებანი მასში მითითებული მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის და ამის შესახებ აცნობოს მის წარმდგენ გამოძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს.

22. თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის ისეთი ორგანიზაციული სახის ღონისძიებანი, როგორცაა თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეების განზოგადება. ამ ღრის ყურადღება უნდა გავამახვილოთ თანამდებობრივ დანაშაულთა მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებზე, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო სამსჯავრო გამოძიების პროცესში დაშვებულ ტიპურ შეცდომებზე და ამასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილება დაეგზავნოს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს. განზოგადების შედეგები უნდა ეცნობოს იმ საწარმო-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც, რომლებშიც ადგილი ჰქონდა თანამდებობრივ დანაშაულთა ჩადენას. ასეთი სახის განზოგადება შეიძლება აწარმოოს არა მარტო რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ და საქალაქო სასამართლომ, არამედ ცალკეული რაიონების სახალხო სასამართლოებმაც.

23. თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან აცილება ბევრადაა დამოკიდებული საპროკურორო ზედამხედველობის მუშაობის სწორად წარმართვაზე. ამიტომ, საჭიროა ამ მიმართებთ კიდევ უფრო მკვეთრად გაუმჯობესდეს პროკურატურის ორგანოების მუშაობა.

24. თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ამ ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის აქტიური ჩაბმა, რადგან უამისოდ ძნელად წარმოსადგენია ამ კატეგორიის დანაშაულთა არა მარტო თავიდან აცილება, არამედ მისი სწრაფი, სრული განსნა და, ცხადია, მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენა, მით უმეტეს, რომ იგი რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაც.

ვ. ი. ლენინი ეხებოდა რა საზოგადოებრიობის მონაწილეობის მნიშვნელობას დამნაშავეობასთან და, კერძოდ, თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, წერდა: „საბჭოთა კანონები ძალიან კარგია, იმიტომ, რომ ყველას აძლევს შესაძლებლობას ებრძოლოს ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, შესაძლებლობას, რომელიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში მინიჭებული არა აქვთ მუშასა და გლეხს. მერე რა — სარგებლობენ ამ შესაძლებლობით? თითქმის არავინ! და არათუ გლეხმა, კომუნისტთა უდიდესმა პროცენტმაც არ იცის როგორ გამოიყენოს საბჭოთა კანონე-

ბი საქმის გავიანურებასთან, ბიუროკრატ-ზმთან ანდა ისეთ ჰემ-მარიტად რუსულ მოვლენასთან საბრძოლველად, როგორც არის მექრთამეობა. რა უშლის ხელს ამ მოვლენასთან ბრძოლას? ჩვენი კანონები? ჩვენი პროპაგანდა? პირიქით! კანონები რამდენიც გნებავთ, იმდენია დაწერილი! მაშ რატომ არა გვაქვს წარმატება ამ ბრძოლაში? იმიტომ, რომ ამ ბრძოლას მარტოდენ პროპაგანდით ვერ გამოიწვევ, მისი დამთავრება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით ხალხის მასა გვეხმარება“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინის თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილების ურთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა საზოგადოებრიობის ფართო მასების პოლიტიკურად მომზადება და მათი აქტიური ჩაბ-მა ამ ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ვ. ი. ლენინი პო-ლიტიკანათლების მუშაყებს მოუწოდებდა სწორედ ხალხთან დაემ-ყარებინა მკიდრო, საქმიანი კავშირი: „თუ საქმე გექნებათ ხალხ-თან და პოლიტიკურად გაანათლებთ მას, გამოცდილება დაგანახლებთ. რომ პოლიტიკურად განათლებულ ხალხში ქრთამი აღარ იქნება, ჩვენში კი იგი ყოველ ნაბიჯზეა. შეგეკითხებიან: როგორ მოვიქ-ცეთ, რომ ქრთამი არ იყოს, რომ აღმასკომში ესა და ეს კაცი ქრთამს არ იღებდეს, გვასწავლეთ, როგორ მიეღწიოთ ამას?“<sup>2</sup>. იგი პოლიტი-კანათლებს მუშაყებს მოუწოდებდა, რომ არა მარტო პროპაგანდით, არამედ პრაქტიკულადაც ეჩვენებინათ ხალხისათვის სოციალისტუ-რი კანონიერების დაცვის კონკრეტული გზები და საშუალებანი: „ჩვენ ეწვევით და ვიმედოვნებთ თქვენც ეწვეით პროპაგანდას ბარ-ბაროსობის წინააღმდეგ და ისეთ სატკივართა წინააღმდეგ. როგო-რიცაა ქრთამი, მაგრამ პოლიტიკური განათლება არ ამოიწურება ამ პროპაგანდით; პოლიტიკური განათლება ნიშნავს პრაქტიკულ შედეგებს, იგი ნიშნავს — ასწავლო ხალხს, თუ როგორ მიადწიოს ამას... ეს ძალიან ძნელი ხელოვნებაა, რომელსაც ვერ გადაწყვეტ სხერთოდ კულტურის აუმადლებლად, უიმისოდ, თუ მუშათა და გლეხთა მასა არ გახადე იმაზე უფრო კულტურული, ვიდრე ჩვენი ახლანდელი კულტურაა“<sup>3</sup>.

საზოგადოებრიობის ჩაბმა თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში მართლაც უაღრესად ძნელია. ამ ბოროტებასთან

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 68-69.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 71.

საბრძოლველად მათი მოზიდვა მარტოოდენ ლამაზი ლოზუნგებითა და კანონების პროპაგანდით არ შეიძლება, რადგან შიშველი პროპაგანდა ფარატინა სიტყვების კორიანტელად იქცევა, თუ ხალხს საქმით არ ვუჩვენებთ, რომ არც ერთი თანამდებობრივი დანაშაული გაუხსნელი არ რჩება და ყველა მისი ჩამდენი პირი საკადრისად ისჯება, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მათი თანამდებობრივი რანგისა და განათლების მიუხედავად, რომ პირს რაც უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია, მით უფრო დიდია მისი პასუხისმგებლობა ხალხისა და კანონის წინაშე.

უნდა მივალწიოთ, რომ ჩვენი მოწოდებები და დებულებები პრაქტიკის ანარეკლი იყოს, რადგან „აღმზრდელიობითი მუშაობის“ ეფექტიანობა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური და პოლიტიკური აღმზრდელიობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ მიღებულ დადგენილებაშია აღნიშნული, — მნიშვნელოვნად კლებულობს იქ, სადაც სიტყვას საქმე არ მოსდევს, სადაც არ არის უზრუნველყოფილი ორგანიზაციული სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის ერთიანობა“. დიახ! არ შეიძლება, რომ ტრიბუნიდან ერთს ვამბობდეთ, პრაქტიკულად კი მეორეს ვაკეთებდეთ. სიტყვა და საქმე ერთიმეორეს უნდა შეესაბამებოდეს. ამიტომ, საჭიროა მტკიცედ დავარწმუნოთ ჩვენი საზოგადოებრიობა, რომ ჩვენთან სიტყვა და საქმე ერთია. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შევძლებთ საზოგადოებრიობის ფართო მასების ჩაბმას, მათ გაყოლას თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების პრაქტიკაში სწორად გატარება, ჩვენი აზრით, გარკვეულად შეუწყობს ხელს მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების განუხრელად შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, თანამდებობრივ დანაშაულთა თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.



# ს ა რ ჩ ე მ ვ ი

შესავალი	3
<b>თ ა ვ ი I</b>	
თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის განვითარების ისტორია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში	7
<b>თ ა ვ ი II</b>	
თანამდებობრივი დანაშაულის ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება	48
ა) თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა კლასიფიკაცია	48
ბ) თანამდებობრივი დანაშაულის ცნება	53
გ) თანამდებობრივი დანაშაულის იურიდიული შემადგენლობა	56
<b>თ ა ვ ი III</b>	
სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი სასჯელები თანამდებობრივი დანაშაულისათვის, მათი გამოყენების პრაქტიკის ანალიზი და ეფექტურობა	79
1. სასჯელის მიზნები თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში	79
2. სასჯელის სახეები თანამდებობრივი დანაშაულისათვის	93
3. თანამდებობრივი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი სასჯელების გამოყენების პრაქტიკა	95
4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელების ეფექტურობა თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში	122
<b>თ ა ვ ი IV</b>	
თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილება	136
თანამდებობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათება	143
ა) თანამდებობრივი დანაშაულის სტრუქტურა, დინამიკა და მდგომარეობა საქართველოს სსრ სასამართლოების 1970—1980 წლების პრაქტიკის მიხედვით	144
ბ) თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა საერთო დახასიათება	155
	213

გ) თანამდებობრივი დანაშაულის მდგომარეობა შ:თი ჩადენის ადგილის, დროისა და წგუფურობის მიხედვით	161
დ) თანამდებობრივი დანაშაულის მდგომარეობა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით	164
2. თანამდებობრივი დანაშაულის მიზეზები და ხელშემწყობი პირობები	170
3. თანამდებობრივი დანაშაულის თავიდან აცილება	181

რედაქტორი ზ. წიქარიშვილი  
მხატვარი გ. ქოქაშვილი  
მხატვრული რედაქტორი რ. მაქარაშვილი  
ტექნიური რედაქტორი ზ. გვიმრაძე  
კორექტორები ე. უვანია, ნ. კირთაძე  
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. 4030

გადაეცა წარმოებას 04.03.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.05.85. უე 11806.  
საბეჭდი ქალაქი № 2. 60X841/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი.  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,55. პირ.-საღ.-ვატ. 12,78. სააღრ.-საგამომცემლო  
თაბახი 11,33. ტირაჟი 2000. შეკე. № 265.

ფასი 75 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომის, თბილისის № 4 სტამბა  
380060, მეღქალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4, Госкомиздата  
Грузинской ССР, Тбилиси, 380060. Медгородок II корп.